


مکتب‌های

4

1979



3. 0. 306050



ტყეა

263

გამოცემის მეოთხე წელი

4

ეპრილი

1979

თბილისი

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერეული

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის თანხმად

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

3. მუხრან მამაცვარიანი — ლექსები
7. რეზო ვაიშვილი — მუსიკა ქარში. დასასრული
33. იზა ორჯონიძე — ლექსები
90. თამარ ერისთავი — ლექსები
93. ელიზბარ უპილავა — განმეორების გუშაბი. ვაგრა-
ქელეზა
113. აბაში ჩხაიძე — აკრილის ცა. ლექსი
113. ზურაბ ქართლელი — ლექსები

ახალი თარგმანები

114. ანდრეი ბიტოვი — ქარი. მოთხრობა. თარგმნა მილი-
ცა ჭაჭარიძემ

50 — მუხრან მამაცვარიანი — 50

121. მილოცვები — ნოდარ დუმბაძე, რევაზ ჯაფარი-
ძე, გურამ ასათიანი, იოვანე ქვიციანიძე, ტა-
რიელ ვანთურია, ოტია პაპავრია

კრიტიკა

127. ჯანსუღ ლვიწვილია — მანძილი შამაკობასა
და თვითმკაცრობილუბას შორის
137. ჯარჯი ფხოველი — სტრქიურობის სათაზე
141. სოლომონ ხუციშვილი — ქართული სატრფიალო
პოეზია

განხილვა

144. მარტ ჭლბაძინი — მემორიებისა და ქრონიკის მო-
მლოცველი

პირველი შთაბეჭდილება

147. ამირან რობაქიძე — კრიტიკოსის პირველი წიხნი
148. ვახა ნორდელი — „უღაბანოს ყვეთილი აკვიჯიკი“
149. გიორგი ვაშლიძე — ქართული ფოლკლორის აბა-
რული ნაკადი
150. შალვა ამინაშვილი — უფკბა გოგონს ახვამი

სკოლები

151. ვახუა ამირაჯიბი — ფიქრები განმარტვების ტიპ-
ნოლოგიაზე

159. კულტურული ცნობრების ქრონიკა

მთავარი რედაქტორი მორის უფსხიუვილი

სარედაქციო კოლეგია:

ვახუა ამირაჯიბი,
გურამ ვაქარაძე,
გივი გეგეჭორი,
რინვან გორდუნიანი,
გიორგი გუბელი,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაბდე,
იოსებ ორჯონიძე,
ოტია პაპავრია
(მთ. რედაქტორის
შოადგილი),
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ქენელაძე,
ნუგზარ წამბათელი,
თამაზ წივციანიძე,
ტარიელ ვანთურია,
რეზო ვაიშვილი.

მუსრან მკჳკჳკრიანი

იარს უსასრულოდ რომელიც ამიერ

სომხურად როს ერჳვა ფაძტაკარანი;
ტფილისზე გადიოდა გზები საქარავენე;
ისმოდა ფალაური
თათრული, ასურული,
ისმოდა ატენური, —
მიროტას დაწურული...
კრთის ენა ქართული, — მოსული აქანამდე!

ვაჭრობდენ თათარნი,
ვაჭრობდენ ასურნი,
ისმოდა ხმა თარის,
ისმოდა ხმა ჴურნის...
მტკვერის დუდუნს კისკისი ერთვოდა
მეძავთა....

ვინ ქრისტეს ესავდა,
ვინ მაჰმადს ესავდა...
კრთის ენა ქართული, — მოსული აქანამდე!

გაბზინდა ყაწიმინი რუსთდენერლისანი,
გაისმა საარი, —
რიჳრაჳის ნიშანი...
ღვინო ლაჰლაჰებდა ვერცხლის ფილაში,
თვლემდა დენერალი, —
ძმა ლოპიანასი...
კრთის ენა ქართული, — მოსული აქანამდე!

სომხურად როს ერჳვა ფაძტაკარანი;
ტფილისზე გადიოდა გზები საქარავენე;
ჯაბნიდა შიქასტა მნათობსა ლამიერს,
არავის უთმობდა აშული სარბიელს...
კრთის ენა ქართული, — მოსული
აქანამდე! —

იარს უსასრულოდ რომელიც ამიერ!

ღმერთო, მიცოცხლე მეგობრები

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩი-
ნია, მკლავთა ძალია და ჴურგთა მომბეულია.

ს ა ბ ა

ღმერთო, მიცოცხლე მეგობრები,
ვინც დღემდე მომყვა!
რა სიცოცხლეა! —
სიცოცხლე თუ უმეგობროა!?
თავს უმეგობროდ
(ღმერთმა ნუ ქნას!) —
იგრძნობ როგორდა! —
თვით მეგობრებში
ხარ როდესაც ხანდახან ობლად.

რა ბედენაა! —
ჴკვდავების რომც იყო წყარო!
რა ოხრად გინდა! —

ოქსინოსი გესხას ლაბადა!
ჴკეთუ შენი კარგი საქმით არავინ ხართბს! —
თუ გინდ, ყალბადა!

ღმერთო, მიცოცხლე მეგობრები,
ვინც დღემდე მომყვა!
ზოგი ტლანჭია,
ზოგი, — რბილი, ვითარცა თოქმა,
ხეირიანად ლაპარაკიც არ იცის ჴოგმა! —
რა ვუყოთ მერე! —
მთავარია, — არ იყო ბოღმა!

ღმერთო, მიცოცხლე მეგობრები,
ვინც დღემდე მომყვა.



კარგა ხანია კარგად ვიცეი, სამშობლოვ ჩემო:
ოსტატობისა ფრიად ბევრმა არ იცის გემო.

თვით რუსთველიც კი, ვით ოსტატი, ვინც ყველას
სჭარბობს,
პირველ ყოვლისა ხოტბაშია სიბრძნისა გამო.

მიუხედავად ამისა, მაინც —
ოსტატი ჩვენში იყო და არის.

ვინც ყრუ ადგილას გამოძერწა კანკელი სპეთის,
ვინ იქნებოდა
ჭემმარიტი ოსტატის მეტი?!

ვინც ნიკორწმინდით არაერთი დატოვა სახტად
ვინ არის იგი?! —
დიდოსტატი თუ არა ნაღდი?!

ოსტატთან ერთად,
ამიტომაც, სამშობლოვ ჩემო,
დღე დიდი ყველას, —
ოსტატობის ვინც იცის გემო.

კახეთის ღაპი

მზემ მოხუც მთვარეს დაუთმო სკამი, — როგორც ჩარგალთან, როგორც სხვიტორთან
ისე, როგორც ეს მიწაზე ხდებდა... „მთვარე მეფურად, მძლავრად ვიდოდა“,
კახეთი ჯერ არ მენახა ღამით, ქერა დიაცი უმზერდა ზეცას
კახეთის ღამის მსმენოდა ქება. ჭაფჭაყაძინათ ასულთ ნამზერსა.

ოსკი საბა

მოიპარიზა, მოირიმა, მოისტამბოლა, —
მობრუნდა შინ და იუდასი ეძღვნა ამბორი.

მომოსკოვება არ ადროვა ყინვამ ძლიერმა, —
მოსკოვმა შთანთქა ძვალნი მისნი, — სატანძიენი.

• • •

მკერდზე გეფინა ჩანჩქერივით ქათქათა წვერი,
გადმოლაჟე საკუთარ საფლავს...
კურთხეულ იყოს სახელი შენი, —
ს ა ბ ა!

რა დავაშავე?!
ო, რატომ, რატომ?!
ო, რატომ, რატომ?!
რატომ ვარ მარტო?!

რატომ არაღინ არაა ირგვლივ?!
და თუა, — თვალი რატომ არ მიჭრის?!
რა ოხრად მინდა
ამგვარი ფიჭვი?!
რა ჭირად მინდა
ამგვარი ნიჭი?!

ხანდახან მინდა,
ნახევრად მინდა
ვიარო ქვეყნად
შენსავით ლაღმა,
შენსავით სხვისი
მჯეროდეს სიტყვა,
შენსავით სხვისი
ვიყო თანახმა.

ადამიანი ვიყო შენსავით, —
ჩემი ხანდახან ნატვრა ეს არი.

— ვინ არი სწორი?! —
ძე კაცისა კითხულობს ისევ, —
ვინც დუმილს მირჩევს, —
ის არი, თუ
ვინც ხმაურს მირჩევს?!

— ვინ არი სწორი?!?! —
გააჩნია შენ თვითონ ვინ ხარ:
კაცად ცოტა ხანს ყოფნა გიჯობს:
თუ ძაღლად, — ღიღხანს.

საქათის მაცხოვრის კანკელი

ვით არაგველი, —
მჭამელი გველის,
ძებორციელის
სევდა-ნადველის
გამომხატველი
ვინმე ხევსური, —
მსოფლიოსია ნათესავი ვინცაღინ სულით.

ვითარცა ვეფხი, —
ვიღაცა მესხის, —
საქართველოსი

ოქრო და ვერცხლი
(ვითომ სპარსული), —
მსოფლიოსია ნათესავი რაიცა სულით.

კანკელი სპეთის,
კანკელი სპეთის,
კანკელი სპეთის, —
კანკელთ სპასპეტი, —
წულის ქალწულის, —
მსოფლიოსია ნათესავი ასევე სულით.

ვერ გაგიწირავს საკუთარი უკეთუ თავი,
ეპოტინებში, თუ გიყვარდე, რაღა დიდ მიზანს?! —
ხე იწუებს ცისკენ, ხის წილ ცაში ხის ადის კვამლი! —
ცოცხალი თავით თვით ქრისტემ ვერ მოდრიკა მიწა.



დიდ სალამს უძღვნის ახლა მუხრანი
ჭეშმარიტ პოეტს, — ტერენტი გრანელს! —
იყო რომელიც კაცი მწუხარე.

ვინც თავის ნაცვლად ატარებს ხბოს თავს,
ღრმად იგრძნობს, მჯერა, ამ სიტყვებს
ისიც.

— ირგვლივ სივრცვა და ფიქრი ბევრი! —
ტერენტი! როცა შენ ამას წერდი,
თუ გახსოვს, ღმერთი, თვით
ჭრისტე-ღმერთი
ხომ არა მდგარა მაშინ შენს გვერდით?!
— სადღაც სანთელი იწვის კუბოსთან
და იბურება ქალაქი ნისლით! —

თუ არა ნადდი ვეჯას აჩრდილი, —
სხვა ვინ იტყოდა, როგორ გგონია?!
— წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე,
მე ხომ სიტყვებლე არ მითხოვია.

დიდ სალამს უძღვნის ახლა მუხრანი
ჭეშმარიტ პოეტს, — ტერენტი გრანელს! —
იყო რომელიც კაცი მწუხარე.

თბილისი — შასანაური

შენ არც კი იცი, ვარ შენდამი რა გრძნობით სავეს;
გამოიხატვის ორი სიტყვით ეს გრძნობა ასე:

მხოლოდ იმიტომ გამოგყევი ამხელა გზაზე,
რომ შენთვის ხელი გადამესვა გაყრისას თავზე.



ახლობელია როცა მკენესარი,
ზილფთ ახლორეა ოდეს წეწვანი:
— მოხდეს! — ვიძახით, —
ოღონდ, დღეს არა!

ოღონდ, დღეს არა!
ოღონდ, დღეს არა!

წუთისოფელიც სწორედ ეს არი!



გვინთია ცეცხლი.
კუნაპეტი ტვერია ირგვლივ.
დაცხრილულია ცარგვალი წითლად.
რაა ისეთი, —

არ იკადრებს რასაცა ფიქრი, —
ყოვლისჩამდენი,
ყოვლადბილწი
და ყოვლადწმინდა.

0 9 3 6 3 6...

იყო წისქვილი,
იყო ლაშურა,
ჩეროიანი იყო ჩინარი...
დრომ ქნა თავისი, —
დღეს იმ ლაშურას
აღარ აჩნია ნაწისქვილარიც.
შენი წისქვილი,
შენი ჩინარი,

შენი ირემი, — მთახა მყვირალი, —
ყველა წასულა,
ჩემო ლაშურა,
მიკნავებულა შენი ჩხრიალი.
იყო წისქვილი,
იყო ლაშურა,
ჩეროიანი იყო ჩინარი.



მუსავ ქართვი

საპნის საამბრო და ბატონი დანიელი

ერთ მშვენიერ დღეს დელეგაცია გამოგვეცხადა. ორი კაცი და ერთი ქალი გვესტუმრა. გამხდარ, მაღალ ქალს შავი, ძველი ჩანთა ეჭირა ორივე ხელით, მუხლებზე იხახუნებდა დროდადრო და ძალიან ხმა მაღლა ლაპარაკობდა, შეიძლება ყურსაც აკლდა. დელეგაციის მეთაური, შუახანს მიტანებული, დაბალი, მოღიმარი სახის ადამიანი ჩახლჩილი, მაგრამ ავტორიტეტული ხმით უფროსობდა დანარჩენ ორზე. მაღალი ქალი ბატონ დანიელს ეძახოდა.

მოუთავებელი სახლის ქვედა სართულის ქირით დაკავებას და, როგორც შემდეგ აღიარეს, საპნის საამქროს გახსნას აპირებდნენ რამდენიმე წლით. გეგმოლავთ, შევლამფავთ, შევლესავთ, ქირას ცალკე გადავიხდით და საპონსაც არ მოვაკლებთო. საკმაოდ მაცდურ და ხელსაყრელ პირობებს გვთავაზობდნენ. ომის დამთავრებამდე ვიქნებით და შემდეგ ჩვენც კარგად გვაწყობოს

გამჩნმა, თქვენც მშვიდობაში მოგახმართო ჩვენი მოთავებული, გაკრიკებული სართულიო, თქვა ბატონმა დანიელმა და გაჩუმდა. პაპიროსს მოუვიდა. ვერაფერი ვუპასუხეთ. როცა უხერხული სიჩუმე დადგა, ბატონი დანიელი ჩემკენ შემობრუნდა მოულოდნელად, რომელ კლასში ხარ, როგორ სწავლობო, მკითხა, თუმცა პასუხისათვის აღარ დაუცდია. ისევ საქმეზე გადავიდა. ომის დამთავრებამდე დავრჩებითო, ამტკიცებდა იგი, მაგრამ ისე გულდაგულ ზომავდა და ათვლიერებდა იქაურობას, რომ ან ომის დამთავრების იმედი არ ჰქონდა, ანდა სხვა რაღაცას ითვალისწინებდა უზურში, რაიც ჩვენთან სამუდამოდ დარჩენის სრულ გარანტიას გაუნადგებდა.

დღეაჩემი ყოყმანობდა. „პოს“ ვერ ამბობდა და „არას“ თქმაც უჭირდა. ოჯახის უფროსის გარეშე არც შეიძლებოდა გადაწყვეტით ეთქვა რაიმე, რაც არ უნდა ხელსაყრელი ჩვენებოდა ეს გარიგება. მეუღლე ჯარში ვახლავთ, მივწერ და თუ თანხმობა შემოთვალა,

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3.

აღმათ მოვრიგდებითო. მანამდე სხვებს, ახლობლებს და ნათესავეებს რჩევა-დარიგება უნდა ვთხოვოთ. „მეცხეები“ მაინც დაიმედებულნი წაივინენ.

მეზობლებმა, ახლობლებმა და კარგის მსურველებმა კი დანიელთან საქმიანი ურთიერთობის დაჭერა არ გვირჩიეს. საშარო საქმეაო, ამბობდნენ, თანაც სპანის სუნი დადგება, აქაურობას ააქოთებენ, მოსპობენ, მოასარგალებენ და მეტი არაფერიო. ისე, როგორც თქვენ გინდათ, თქვენი საქმის თქვენ იცით, თქვენ გადაწყვეტეთო. მართალს გვეუბნებოდნენ და მაინც ძნელი იყო ყოველთვიურ, ჩვენთვის სოლიდურ ქირაზე და საპონზე უარის თქმა.

— რა ვქნათ? — შევიფხვებოდა დედა.

უკვე ანგარიშს მიწევდნენ, ჩემს აზრს და შეხედულებასაც ითვალისწინებდნენ, მაგრამ მართლაც რა უნდა გვექნა? არადა, ბატონი დანიელი ყოველ ორ დღეში გვაკითხავდა და ახალ-ახალ მიცდუნებულ პერსპექტივებს გვისახავდა სპანის აუცილებლობისა და ამ გარიგების ორმხრივი სარგებლიანობის შესახებ. საქმიანად მელაპარაკებოდა, ოჯახის უფროსად და მეპატრონედ მთვლიდა იურიდიულად, პაპიროსს მაწოდებდა ხანდახან და უსაშველოდ და უიმედოდ მბზნებდა.

მამის პასუხი აყოვნებდა. დანიელს სული ყელში არ უჩერდებოდა. ჩვენც საგონებელში ვიყავით ჩავარდნილნი და კაცმა არ იცოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე, სეპარატიული მოლაპარაკება თავისთავად რომ არ ჩაშლილიყო. მეცეხე-მესპანეები დაიჭირეს და ჩვენი სახლის ქვედა სართულის გაქირავების საქმეც დაიხურა და დავიწყებას მიეცა დროებით.

ზუსტად ერთი წლის თავზე მე და ჩემმა ამხანაგმა სრულიად უმიზნოდ სასამართლოს დარბაზში ამოვყავით თავი. ჩანთებიანად დავსხედით უკან, კუთხეში. ბარიერს აქით, საბრალდებო სკამზე იჯდა ბატონი დანიელი. გამხდარსა და ფერდაკარგულს უზბეკური ქუ-

დისმაგვარი რაღაც ეხურა და წინ უკან რავი ქალაღი ჰქონდა გამოსილი და დალაგებული. წერდა, რაღაცას ინიშნავდა დაკვირვებულად. დროადრო სთავალეს იხსნიდა, სასამართლოს წევრებმ მისჩერებოდა, ყურზე ხელს იფარებდა, არ მესმისო, იძახოდა, რამდენჯერმე ამეორებინებდა მოწმესა და მომჩივნს ერთი და იგივეს, თავს აქნევდა, გაგიგო, სათვალეს იკეთებდა კვლავ და ისევ და ისევ წერდა.

ეს გახაპურებული სასამართლო პროცესი, სადაც ჯერ მხოლოდ დანიელის საქმე ირჩეოდა, დასასრულს მიახლოებულიყო და იმავე დღეს ელოდნენ განაჩენს. პროკურორის გამოსვლის დროს დარბაზი ხალხით გაიჟვდა.

მთელი მოხსენება შეადგინა დანიელმაო, თქვა ვილაცამ იმ კუთხეში, სადაც მე და ჩემი ამხანაგი დავსხედით. პროკურორს და მომჩივნებს შავ დღეს დააყრის, სენსაცია მოხდებოდა. ერთმად ახმაურდნენ, თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრება, რამდენადაც მახსოვს, არ გამოთქმულა. მოსამართლემ კი წესრიგისაკენ მოგვიწოდა საკმაოდ მკაცრად და უხეშად.

პროკურორმა, მგონი, რვა წელი მოითხოვა. შეიძლება რვაზე ცოტა მეტი, შეიძლება — ცოტა ნაკლები. ყოველ შემთხვევაში, ბრალმდებელმა, ეტყობოდა, გაცილებით მეტი შიუსადავა ბრალდებულს, ვიდრე დამსწრე საზოგადოება ელოდა და ვარაუდობდა.

მისცეს, როგორც იქნა, დანიელსაც საბოლოო სიტყვა. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. დანიელი წამოდგა, სათვალე გაიკეთა, ქალაღები აკრიფა, ერთმანეთზე დააღაგა მშვიდად და აუჩქარებლად. სათვალე მოიხსნა ისევ, სასამართლოს წევრებს გადახედა და საბოლოო სიტყვაზე უარი განაცხადა, არაფერი არ მაქვს სათქმელიო.

ჩემი სტუდენტობის დროს, მზის დაბნელების დღეს ფუნქიულოირის პლატოზე ვნახე ბატონი დანიელი. ფერად



შუშებს და იაფფასიან მზის სათვალეებს ყიღდა საგანგებოდ იმ დღისათვის გამართულ ღია ფარდულში. იყიდეთ, თვარა გეგმა არ შესრულდებოა, ამინებდა გამვლელ-გამომვლელს. ფუნჯულიორი ხალხით იყო უკვე გაქვდილი, თუმცა მზის დაბნელებამდე ბარე ორი საათი მაინც იქნებოდა დარჩენილი.

ბატონი დანიელი იდგა დახლში და ვაჭრობდა ფერადი შუშებითა და სათვალეებით. მკერდზე ორდენების დუბლიკატების ერთი მოზრდილი აცმა ჰქონდა მიკრული, სამამულო ომის მონაწილენი რომ იკეთებენ ხოლმე — ისეთი. რომელი ომიდან ჩამოიტანა, ვერ გატყვით.

ბაზარი. მუხომე-საორტხმენი. მითუნე-ვაზარი და სხვაბი

50ლ-50ლა გავიტანეთ და გავყიდეთ ბაზარში, რისი გაყიდვა და გასაღებაც შეიძლებოდა. თავის გასატანი ფქვილი და ლობიო უნდა შეგვეძინა როგორმე. უფრო სწრაფად ვიზრდებოდი, უფრო მეტ ენერგიას ვხარჯავდი, ვიდრე საჭირო იყო. შეუსაბამობა ენერგიის ხარჯვასა და მატერიალურ შესაძლებლობას შორის თანდათან მაჩნდა კვალს და დედა სასოწარკვეთილი მიზომავდა დაწვრილებულ მაჯებს. წიგნაკებზე აღებული, მალაზიიდან გამოტანილი მთელი ოჯახის ნორმა ცხელი პური კინაღამ სახლში მიტანამდე შემომეჭამა. ჩემი წილი ათვისებული მაქვს-მეთქი, განვაცხადე შინ, ნაკლული პური დავტოვე და სადილზე აღარ გამოვჩენილვარ. დაღამებულს შევძევარი ოთახში. ჩემი პური ხელუხლებლად იდო მაგრიაზე კერძთან ერთად. მადიანად შევექეცი. დავნაყრდისავით. ვინ დაწვა მშვიერი, აღარ მიკითხავს, თუმცა რაღა კითხვა და მარჩიელობა სჭირდებოდა.

ბით, კინჭილებით და სხვა თიხის ქურჭლით იყო გავსებული ბაზრის ის კუთხე. პირდაღებული შევეყურებდი ხელმარჯვე ვაჭარს, მოხერხებულად რომ ასაღებდა თავის ნახელავს. თითქოს მთელი ძალით ურტყამდა ბზის გაპრიანებულ ჯოხს ხალმის ძროს. უცნაური უღრიალო გაჰქონდა დასამსხვრევად განწირულ ამფორას. შეჰკვივლებდა ხოლმე ამ ხმაზე გამოუცდელი დიასახლისი და სეირის მაყურებლებს, ბლომად რომ იკრიბებოდნენ ჯამბაზი ვაჭრის გარშემო, გულიანად აცინებდა. ვაჭარი დოქს აისროდა, დააბზრიალებდა, მიწაზე დავარდნამდე ოსტატურად შეაშვევლებდა ხელს და მიწიდან ზევით ამხტარს დაიჭერდა თითქოს. დაავდე სადაც გინდა, მოისროლე საითაც გინდა, რაც გინდა ურტყი და ურახუნე, არ გატყვებოა, არწმუნებდა თვალბგაფართოებულ მუშტარს და მოხერხებულად აჩეჩებდა ჭურჭელს. ჩემს გარდა, სხვაც ბევრი, დიდიც და პატარაც, მოუჯადოებია ამ ატრაქციონს.

ერთ დღეს სქელი ლეიბი დეარღვიეთ და დაჩჩილი მატყლი წავიღეთ ბაზარში. დედამ მატყლი გაფინა მემატყლებთან და მუშტარს დაუწყო ლოდინი. ცარიელი ტომარი დაკვეციე, ამოვიღლიავე, ცოტა ხანი იქვე შორიახლო ვიწრიალე და შემდეგ ახმაურებულ, აჭრელებულ ბაზარს შევერიე, ზეფითქვევით ავიარ-ჩავიარე, სიგრძე-სიგანეში ავზომე ბაზარი და ბოლოს მეთუნეებთან გავჩერდი. ახალი გამომწვარი ჩაფებით, ლოქებით, ქოთნებით, კეცე-

მოულოდნელად ბაზრის მილიციელმა მტაცა ხელი და კინაღამ ბეჭის ძვალი ამომიგდო. რა გაქვს მაგ ტომარშიო. ცარიელ ტომარში რა უნდა მქონოდა. მართმევდა, მეგონა და შეშინებულმა დავიხიე უკან-უკან. საბედნიეროდ, მილიციელი ტომრით აღარ დაინტერესებულა. ამხედა, დამხედა, არ ხარ შენ წმინდა სულიო, წამოიღი ჩემ-

რეზო აიიშვილი
მუსიკა მარში

თანო, მითხრა, შეტრიალდა, სასტვენს ჩაბერა გამეტებით, წავიდა და გავყევი. გულისგამპობი სტვენით, მუჯლუგუნებით და ლანძღვით მიიწვედა წინ და ბაზრის მეორე კუთხისაკენ მიდიოდა. ვიცნობდი იმ კაცს. ადრე ფიზკულტურას ასწავლიდა და ჰოკით ხტებოდა ინსტიტუტის ეზოში. ეტყობოდა, ახლახან გამოეცვალა პროფესია.

მიდის ის კაცი სტვენით, გრძელი ფარავის კალთების ფართხუნით; მიეყვები გამალებით, ვცდილობ არ ჩამოვრჩე, არ დავიკარგო. მივძებრები შევგრავილ ხალხში, დახლებსა და გამყიდველებს შუა ვეკვებები და მაინც ვერ ვეწევი დაწინაურებულ სპორტსმენს, უკანმოუხედავად რომ მიიწევს წინ.

რატომ მივდევდი? ახლა კი ვხვდები, რატომაც მიეყვებოდი, მაგრამ მაშინ ვიცოდი თუ არა, რას ჩავდიოდი? ვიცოდი თუ არ ვიცოდი, შეგნებულად ვმოქმედებდი, არ მინდოდა დავკარგულიყავი და მაინც არ მესმის, რა ეშმაკი მიმაქანებდა და მიმარბენინებდა წინ. შეურაცხყოფილი ბავშვის მოქმედებას ჰგავდა, ცხადია, ეს საქციელი. იმდენ სპექულანტს, ჯიბვირსა და ბაცაცას შორის რაღა მე გამომარჩია, სახალხოდ, ყველას თვალწინ შემიმოწმა ცარიელი ტომარა და წმინდა სული არ ხარო, მითხრა. რატომ არ ვიყავი წმინდა სული? ბარემ დარწმუნდეს, რაც ვარ და ვინც ვარ-მეთქი, ვფიქრობდი ალბათ: ცარიელი ტომარის დაკარგვისაც მეშინოდა და მაინც ჯიუტად მიეყვებოდი მეჭოკე-მილიციელს.

სამორიგეოში შევიდა. შეეყვები. კუთხეში დაჯდა დაღლილი და დასიცხული. სასტვენი შეინახა, ტყავის ჩანთა და რევოლვერის ბუდე გაისწორა, პაპიროსი ამოიღო, მოუყიდა, შემომხედა, გოცებული მომიჩერდა. ვერ გაიგო, რა მინდოდა, რას ვაკეთებდი იქ და ტომარზე მიცნო, მე მგონი, ბოლოს. სკამზე გასწორდა, ჩაახველა, მკაცრი გამომეტყველება მიიღო და თვალი მომარბდა მაინც.

— გვარის!

- გვიმრადე.
- რა გქვია?
- ბაღრი.

აღგა. ადგილი მოინაცვლა. მაგიდას მიუჯდა. აჭრაქუნებული სკამი გაისწორა რამდენჯერმე, იდაყვები ჩამოადო მუდგადაკრული, მეღნით მოსვრილი მაგიდას ძვიდეს. ამა და ამ კაცის შვლი ხომ არა ხარო, იკითხა ხმადაბლა. კიმეთქი. გაჩუმდა. კარგა ხანი იხედებოდა უმისამართოდ, თვალგაშტერებული.

— წერილებს გწერთ, მამა?

— კი.

— კიდევ კარგი.. — გაეხარა და მილიციელს. — შენც ხომ წერ? ვწერ-მეთქი. რომელ კლასში ხარ, რომელ სკოლაში სწავლობ, დედა რას შვრებო და სხვა. დაწვრილებით გამომიტხა ყველაფერი და გაჩუმდა. ვილაც სქელი, მკლავზე წითელუნტშებმული კაცი შემოვიდა ხენეშით, ნიშნისმოგებით გადმოხედა და კუთხეში დაჯდა.

— ეს კარგი ბიჭია! — უთხრა მილიციელმა.

სქელმა კაცმა დაკუჭული ქვითრები ამოიღო, ერთმანეთზე დაალაგა და ჩემი პერსონით მეტად აღარ დაინტერესებულა.

მილიციელი კი დუმდა, ფიქრობდა, უაზროდ ათამაშებდა თითებს მუდგადაკრულ მაგიდაზე. უჯრა გამოადო ბოლოს და ხელის ფათური დაიწყო შიგ. მივხვდი, რაღაცის მოცემას აპირებდა. მკლავზე წითელუნტშებმული კაცი ქვითრების თვლას მორჩა, ხენეშით აღგა და წყლიანი გრაფინი მიიყულა პირზე. ვილაც უცნობიკ შემოვიდა ამასობაში. რას შობითო, იკითხა ხმამაღლა.

— ოჰ, შენა ხარ, მადლობა ღმერთს!..

— ჩაილაპარაკა უჯრაში თავჩარგულმა მილიციელ-სპორტსმენ-მეჭოკემ.

ავდექი და შეუმჩნევლად გამოვედი გარეთ. უკან აღარავინ დამღვენებია, კარგად მასსოვს.

ომის შემდეგ ის კაცი ისევ პედაგოგიურ ინსტიტუტს დაუბრუნდა. ფიზკულტურის გაკვეთილებს ატარებდა ეზოში. ჰოკით აღარ ხტებოდა, მაგრამ

ახლაგზარდებს წვრთნიდა, საქმიანად, ენერგიულად. სკოლიდან დაბრუნებულნი, თვალუბზე ქუდჩამოწეული, ჩანთაგადაკიდებული რომ მივჩერებოდი სტუ-

დენტებს, მწვრთნელი ჩემკენ იხედებოდა დროდადრო, ვინ არის ეს ბალანო, ფიქრობდა, ღმერთო გამახსენე, სად მინახავს.

ლეკებმა რო დამიჭირეს

მართი ცანცარა, ახოვანი, ხვანჯარშენილი, დაკონკილი კაცი დადიოდა ბაზარში. კი არ დადიოდა, დარბოდა, სულ სადღაც ეჩქარებოდა და მიანიც იქვე, ერთ ალაგას ტრიალებდა. ტყუილად ყოფნას ტყუილად სიარული ერჩივნა, თუმცა მუშაობდა კიდევ ხანდახან. თავის შეწუხება არ უყვარდა და საიოლო საქმეს ეძებდა. გოგია მეღვინეს ეძახოდნენ. მანეთს თუ მისცემდი (მეტზეც არ ამბობდა უარს), ლექსს გეტყვოდა, სხაპა-სხუპით მოგაყრიდა:

ლეკებმა რო დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა,
ათი მთა გაღამებარეს,
მეთერთმეტე აღგეთისა.

რამდენი არ მივაყურადე, სულ ერთი და იგივე ლექსი გაიმეორა. სხვა თქვი გოგიაო, თხოვდნენ

— მომე მანეთი, მანეთი და ვიტყვი. მისცემდნენ მანეთს და დაიწყებდა სულმოთქმელად. ლექებმა რო დამიჭირეს... თავიდან ბოლომდე ჩაათავებდა შეუცდომლად და შეუფერხებლად.

... გახზედე ჩერქეზთ მინდორსა,
ნისლი იწვა შავი ზღვისა,
შვიდი ქალი ყანას მკიდა,
შვიდივე ჩერქეზთ ბატონისა.

— სხვა თქვი, გოგია!
— მომე მანეთი, მანეთი, მანეთი... მისცემდნენ და ისევ „ლეკებმა რო დამიჭირეს“ გარკვედა. მეტი ლექსი რომ არ იცოდა, ადვილი ასახსნელი იყო, მაგრამ იმ იმერელმა კაცმა რომ მაინცაღამაინც ეს ლექსი დაისწავლა და დაიხეპირა, ეს იყო საკვირველი. საშუალო სკოლის დამთავრებისას ასეთ სურათს შევესწარი.

სასტუმროს ვესტიბიულში მრგვალი მაგიდის გარშემო ისხდნენ ცნობილი

პროფესორი ქალი, რამდენიმე ასპირანტი, რამდენიმე სტუდენტი და გოგია მეღვინეს. წვერგაუპარსავი, დაკონკილი გოგია დაფეთებული აცეცებდა თვალებს, სკამზე ცმუკავდა, ადგომას აპირებდა და ვერ ბედავდა.

თქვენობით, პატივისცემით ელაპარაკებოდნენ სხალხო მოქმელ გოგია მეღვინეს, გაქცევაზე რომ ეჭირა თვალი. გოგია „ლეკებმა რო დამიჭირეს“ აბულბულებდა; ამთავრებდა და თავიდან იწყებდა დაუკითხავად, ფულსაც აღარ თხოულობდა. ოღონდ თავი დაენებებინათ და ფულს იქით გადაიხდიდა, მე მგონი.

— ახლა სხვა ლექსი გვითხარი, გოგია ბატონო! — ნახად სთხოვა პროფესორმა.

გოგია წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, მივედრებელი თვალები მიაპყრო გულკეთილ პროფესორს.

— სხვა, სხვა, სხვა?... სხვა არ ვიცი! — ჰირველად აღმათ თავის სიცოცხლეში გატყდა გოგია.

— დამშვიდდით, ნუ ლეღავთ, ფეხზე რატომ დგახართ? — წყნარად, დიმილით უთხრა პროფესორმა.

გოგია არ დაჭდა, უნუგეშოდ გახედა უზარმაზარ კარს და ხელები მუცელზე დაილაგა მორჩილად.

— აბა, გოგია ბატონო, — იმავე ხმით განაგრძო პროფესორმა; სტუდენტმობრაქტიკანტმა საწერ-კალამი და რვეული მოიმარჯვა. — რუსთაველზე თუ იცით რაიმე?

— რუსთაველზე, რუსთაველზე, რუსთაველზე? რუსთაველზე... არადერი.

— ამირანის მითი თუ გაგიგონიათ?

— მითი? ამირანის მითი, ამირანის

რაზო მინიშნული
მუსიკა მარში



მითი, ამირანის მითი? ამირანის... არ გამიგონია.

— კარგი, ლეკებზე რა იცით?

— ლეკებზე? ლეკებზე, ლეკებზე... არაფერი.

— ჩერქეზთ ბატონზე?

— ჩერქეზთ ბატონზე? ჩერქეზთ ბატონზე... — გამოცოცხლა გოგია-მე-ლექსე, იმედის ნაპერწკალი ჩაუღდა თვალებში. — ჩერქეზთ ბატონზე რა ვიცი? რა ვიცი... ჩერქეზთ ბატონზე, ჩერქეზთ

ბატონზე... არაფერი. — უცბა...
ნა გოგია და გაოგნებული შინაგონდა
პროფესორს, აუწყრლად თავბრუ-
დამხვევი სუნამოს სურნელებას რომ აფ-
რქვევდა სულ უმიზნოდ და უმისამარ-
თოდ.

— არაფერი არ იცით, გოგია? — გა-
იღიმა იმედგაცრუებულმა ქალმა.

— არაფერი, არაფერი?... არაფერი,
არაფერი?..

არაფერიც არ იცოდა გოგია

ივლიანე (ქათმის ქურდი)

ივლიანე სანდომიანი სახის, ყლალ-
თმიანი, გვარიანად თავშენახული ბერი-
კაცი იყო. ზამთარ-ზაფხულ დაბეჭი-
ლი, სქელი სათბურით დადიოდა. ბამ-
ბებს ჰქონდა აქა-იქ სათბურიდან თავი
ამოყოფილი. ბეჭზე მსხვილი თოკები
ჰქონდა მეკურტნესავით გადაკიდებული.
მუშა ვარო, იძახოდა. სხვები ქათმის
ქურდად ნათლავდნენ. ქათამი არა, მაგ-
რამ ყველი რომ მოპარა გლეხს ბაზარში,
ჩემი თვალით დაეინახე. სხვას რომ ეთ-
ქვა, არ დავიჯერებდი. ერთხელ ხორცის
ნაჭერიც გააქანა უბეში. მათხოვრობით
მეტის იშოვიდა ალბათ, მაგრამ ყველას
თავისი სიამაყე და თავმოყვარეობა აწუ-
ხებს და ივლიანე რალა გამონაკლისი
უნდა ყოფილიყო.

— ივლიანე, ქათმის ქურდი! — და-
უძახებდა ვილაც.

— მე ვარ ქათმის ქურდი? — გოცე-
ბას ვერ მალავდა ივლიანე.

— შენ ხარ, კი!

— ხო მოგხკალი ახლა! — იმუქრებო-
და ივლიანე მშვიდად.

„ხო მოგხკალი“ ჰქონდა ჩემებუღი.
ხანდახან თოკებს მოიხსნიდა, დაიქ-
ნედა და უგულოდ აყვირდებოდა:

— ხომ მოგხკალი თუ მოგხკალი ვიხ-
ცხა ეშმაკი ხარ!..

მკეპარე ხმა ჰქონდა, მაგრამ თავს ძა-
ლას არ ატანდა მაინცადამაინც.

— თუ მოგხკალი, რას მოგხკალე! —
ჩაილაპარაკებდა, თოკებს ვადაიკიდებდა,

საგულდაგულოდ გაისწორებდა ბეჭზე
და მიდიოდა.

— მუშა, მუშა ვის უნდა! — იძახდა
დროდადრო.

ერთხელ ხეცდავ, ბაზრიდან სადგური-
საკენ გაჩქარებით მიმავალმა დედაკაცმა
გაიგონა ეს ხმა და ელღანაცემივით
იკვილა:

— მუშა, მუშა, მოდი, მუშა!

ეტყობოდა, მატარებელზე აგვიანდ-
ბოდა. ცარიელ გოდორს და ნახევრად
სავსე ტომარს მოათრევდა საცოდავად.
მხსნელად მოვლენილი მუშა ღვთის წყა-
ლობად მიიჩნია უთუოდ, მიშველე, ტო-
მარი სადგურამდე მიმატანიეო, შეე-
ვედრა ივლიანეს.

— გოდორი? — იკითხა ივლიანემ.

— გოდორს მე თვითონ წამოვიღებ.

— რა გაქვს შიგ? — დაინტერესდა
რატომღაც.

— არაფერი, ცარიელია.

— ცარიელია? — ტომარში ჩაიჭრი-
ტა ივლიანემ ურწმუნოდ და ტომარის წა-
ღებაში, არც მეტი, არც ნაკლები, ასი მან-
ეთი მოითხოვა — ერთი კილო თეთრი
ბურის ფასი. დედაკაცი კინაღამ შეიშალა,
მაგრამ მუშას შაური ვერ დააკლებინა.
ამდენი ფული არ ეთმობოდა, მატარე-
ბელზე აგვიანდებოდა, ნერვიულობდა,
წუხდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვლებს,
იქნებ სხვა მუშა დაეინახო, სხვა არ
ჩანდა და რა ექნა, არ იცოდა. უსაშველო
რალაც სჭირდა და ასი მანეთის დათმო-

მა ამჯობინა მატარებელზე დარჩენას. მხოლოდ ჩქარა ქენი, არ დამალატოო. მაგის ჯავრი ნუ გექნება შენო, უთხრა ივლიანემ. თოკები მოიხსნა, მშვიდად დაშალა მოთმინებადღეული დედაკაცის თვალწინ, ტომარაი ასწია, დასწია, ძირს დადო, გაასწორა, გაჩერდა, დაფიქრა. დიდხანს აყანყალა თავი და განაცხადა, ამას ვერ წავიღებო. ას მანეთს გაძღევე, მეტი რა ვქნაო, ტირილი კინალამ დაიწყო ქალმა.

— ას მანეთზე არ არის საქმე... — უთხრა ივლიანემ და თოკების დაკეცვა დაიწყო.

— აბა რაზეა? — იქნებ წავუმატო ერთი თუმანიცო, გაიფიქრა, მე მგონი.

— მიძიეა ნამეტანი! — თოკის გორგალი გადაიკიდა ბეჭზე ივლიანემ.

— ფუთნახევიარი სიმინდია სულ! — ყურს არ დაუჯერა დედაკაცმა.

— ფუთნახევიარი უძახე შენ, მიძიე ქეა და ... — თავი მოიფხანა ივლიანემ და ტომარს ერთხელ კიდევ დახედა სასხვათაშორისოდ.

— მაშინ ეს გოდორი მაინც წამომიღე!

— რა დევს შიგ?

— არაფერი არ დევს, ტიკი აგლია ცხარელი.

ივლიანემ გოდორში აფათურა ხელი, რას ეძებდა, გაოცებულმა დედაკაცმა ვერაფრით ვერ გაარკვია.

როცა ივლიანე დარწმუნდა, დაფუშული ტიკტორისა და თივის ნარჩენების მეტი არაფერია შიგო, გოდორი გარდაეშეთვალა გულდამით, გახედა, გამოხედა, მუხლით მიაწვა, შეანძრია.

— არა, ამას ვერ წავიღებ, ნამეტანი დილია!

გამხდარმა დედაკაცმა რის ვაი-ვაგლახით შემოიღო ზურგზე ტომარაი, გოდორს ცალი ხელი წავლო, გააჩოჩილა და წელში მოკაკული წაჩაქჩაქდა სადგურისაკენ.

ივლიანემ გაოცებული თვალები გააყოლა ბალის გაღვენის გასწვრივ გაფარფატებულ ქალს, თოკის გორგალი გაისწორა, მუშა, მუშა ვის უნდაო, დაიძახა და თავქვე დაეშვა. კარგა ხანი ისმოდა მისი ბზარნარევი, ხაფი ხმა:

— მუშა, მუშა, მუშა ვის უნდა!

ვინ იცის, რამდენი ივლიანესნაირი მუშა შეგვხვედრია ცხოვრებაში შენც და მეც, ჩემო მკითხველო.

ზსეველო-ივლიანე

ის ბაბინა ძალიან ჰგავდა ივლიანეს. ისიც თმაწვერშეუღლებული მოხუცი იყო. იმგვარადვე ეცვა, როგორც ნამდვილ ივლიანეს და ივლიანე მაინც სხვა იყო და ის კაცი სხვა. თუ ძალიან გააბეზრებდი თავს, ივლიანე არა ვარ მე, პიძიაო, გეტყოდა და მეტს ვერაფერს დააცდენინებდი. პირიქით, ივლიანობაზე და ქათმის ქურდობაზეც თანახმა იყო, ოღონდ თავისი ნამდვილი გვარი, სახელი და წარმომავლობა დაეფარა. აი ვინ მალავდა თავისი ვინაობას, ვინ უფროთხილდებოდა შვილებისა და ნათესაეების სახელს. ვიცოდი, ვინც იყო, რომელი კუთხიდან და სოფლიდან იყო წამოსული. არც „მუშობას“ თაკილობდა, არც ვაჭრობა-გაღამყიდველობას და,

რა დასამალია, არც მათხოვრობას. ხელგაწვდილი არასოდეს დამინახავს, მაგრამ რალაც სისულელეებს უგონებდა საკუთარ თავს, ხალხს აცინებდა და ამაშიაც ფულს აკეთებდა. რძალი შემომეუპატიურაო, ყვებოდა. არც ძმა ჰყავდა, არც ვაჟი და, ცხადია, არც რძალი. ოთხი დაბინავებული და დაოჯახებული ქალიშვილის მამა იყო. ჩვენს უბანში პატარაძის ბალის წინ ნახევრად დანგრეულ, მიტოვებულ სახლში ცხოვრობდა მარტო-მარტო. ხანდახან მშობლიურ, ვაპარტახებულ კარ-მიდამოს, სხვა სოფლებში გათხოვილ ქალიშვილებს აკითხავდა. ჩა-

რაყო მუშვილი
მუსიკა მარტო



მოპქონდა ხილი, კვერცხი, მოხარული ტარო და სხვა. ყველაფერს მამასისხლად ყიდდა. ნივრით, ხახვით, წყალში დამბალი შავი პურის ქერქით იყვებებოდა. საღ მიიკაქვს ფულიო, ეკითხებოდნენ. ფულს ვინ მომაშავებს, თთხი შვილი მყავს სარჩენი, მეშინია, ცოცხლად არ შემშკამონო. ტყუოდა. გახვრეტილ შაურთან ვერ გააგდებინებდა ვერავინ ხელიდან. ცხენის გაღუნული ნალი რომ ენახა, ბაზარში გაიტანდა გასაყიდად, ხიდან შემთხვევით ქუჩაში ჩამოვარდნილ ნაქარ ვაშლს გაწმენდა და იმასაც ყიდდა. ფულის გულისათვის ყველაფერს კადრულობდა. კაბიკს კაბიკზე ადებდა, შაურს შაურზე ამატებდა და მთხვორისა და ქათმის ქურდის სახელით დადიოდა. დიდი ფული აქვს საღდაც შენახულიო, ამბობდნენ და თვითონვე არ სჯეროდათ თავიანთი ნათქვამი. მართლაც ხუმრობას უფრო ჰგავდა ივლიანეს ფულიანობა, ვიდრე სინამდვილეს. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ დანაჩანაქებულ, დევარდნილ, დაცემულ ადამიანს ცხოვრების რაიმე სახსარი გაჩნდა.

წლები გადიოდა, ცრუ ივლიანე წესს და ნორს არ იცვლიდა. ომი მთავრდებოდა, ქვეყანა სხვაფერდებოდა და ივლიანე ივლიანედ რჩებოდა. ხანდახან მოიწყენდა, დაფიქრდებოდა, ხუმრობისა და ლაზღანდარობის ხალისი ეკარგებოდა.

— არა ვარ მე, ბიძია, ივლიანე, წადი, თავი დამანებე, შენი საქმე ნახე! — ბრაზობდა ხოლმე.

ხალხს უკვე აღარ უჭირდა; ივლიანე ხახვს, ნიორს და წყალში ჩამბალ შავი პურის ქერქს ჰამდა კვლავ.

და ერთხელ, ომის დასრულებიდან დაახლოებით ორი წლის თავზე, ომით, ნგრევით გაუფასურებული, ჩენჩადქცეული ფული გამოიცვალა, გაუქმდა ფაქტიურად.

რას შვრები, ივლიანე, ახლაო, ეკითხებოდნენ ფსევდო-ივლიანეს. რა უნდა გქნაო, ვისაც ფული აქვს, იმან იკითხოსო, არაბუნებრივად იღრიჯებოდა დაბ-

ნეული, შეცვლილი, მოტეხილი ანე.

ფულს რატომ არ ცვლი, რას ელოდები, ივლიანეო. სადა მიქვს გამოსაცვლელი ფულიო. ფული რომ მქონოდა, ჩემ შვილებს, შვილიშვილებს და ჩემ თავს მოვასხმარდი, ასე დაგლაზავებული არ ვივლიდი ამდენი ხანიო.

იმ დღეებში გაშტერებული დადიოდა ცრუ ივლიანე, თავის თავს ელაპარაკებოდა; დახეულ ფარჯაში გახვეული ქუჩაში მზიგულზე ჯდებოდა, არ ვარ ივლიანეო, უღრენდა გამგელ-გამომგელუს.

ფულის გამოცვლიდან ერთი თვის შემდეგ სოფელში გავემგზავრე მატარებლით. საფიჩხის ბაქანზე ცრუ ივლიანე ამოვიდა ვაგონში. ხელში ხის დიდი ჩემოდანი ეჭირა. ხალხით გაჭედილი ვაგონის ბოლოში მიჩერდა. ვილაყამ ადგილი დაუთმო მოგვიანებით და ფანჯარასთან დაჯდა.

— რა მივაქვს ჩემოდნით, ივლიანე? — იკითხა მაკინტოში და ჩექმებში გამოწყობილმა ახალგაზრდამ, ჩამქრალ პაპიროსს რომ ღეჭავდა ვაგონის ტიხარზე აყუდებული.

— ფული. — უთხრა ივლიანემ.

— ამდენი? — გაიცინა მაკინტოშიანმა ახალგაზრდამ.

— ბევრია? — ჩემოდანს მიუტყაპუნა ხელი ივლიანემ, ბებრული თვალები მოწყურა, გამომცდელად გადახედა ახლო-მახლო მყოფთ. მაკინტოშიანი ენაწყულიანი კაცი აღმოჩნდა და მიყვენ და მოყვენ ის და ივლიანე. ერთი ერთმა თქვა, მეორე — მეორემ. ხალხი გაამხიარულეს. რძლის ამბავი გვითხაროო, ჩაჩიცოდა ვილაყ. ნამეტანი ბევრი ხალხია, ვერ ვიტყვიო, დაიმორცხვა ცრუ ივლიანემ და ფანჯრისაკენ გაჩოჩდა. ერთი წუთით მიწყნარდა იქაურობა და ბოლოს მაინც ფულის იმეამინდელ რეფორმაზე და მისგან გამომდინარე მოსალოდნელ შედეგებზე ჩამოვარდა ლაპარაკი. გუშინ იყო ბოლო დღეო, ვინც შეტანა ვერ მოასწრო ან ვერ მოახერხა, მეთელსაც ვერ აიღებს, ფული ქალა-

დად იქცევა. შალვარადა თუ გამოდგებაო, თქვა ერთმა.

ათი წლის შემდეგ ფული ხელახლა გამოიცვლება და ძველი კუპონები დარჩება ძალაშიო, წამოილაპარაკა ცრუ ივლიანემ. კუპონურა არ უხსენებია, ცხადია, მაგრამ დაახლოებით ასე თქვა.

... ათი წლის შემდეგ შეტრიადღება ისევ ყველაფერი, ყოველ ათ წელიწადში მთვარე დგება უკუღმა და ყველაფერი იცვლება — ფულიც და სისხლიც ადამიანის ძარღვებშიო. ათი წლის შემდეგ ახალი ძველად იქცევა და ძველი ახლად, როგორც ადრე ხდებოდაო... ბურღულუნებდა ივლიანე თავისთვის და თმა-წვერში იფათურებდა ხელს.

მივხვდი, ცრუ ივლიანეს ფულით საესე ჩემოდანი ეღო ფეხებთან. ამდენი ფულის წარმოდგენით თუ ჩემი აღმოჩენით აღფრთოვანებული, ავღელდი, ავწრაილდი. მგზავრები კი თავ-თავიანთი ფიქრითა და საქმით გართულიყვნენ, ცრუ ივლიანე გადავიწყებოდათ. რამდენიმე გაჩერების შემდეგ ვაგონიც განახევრდა. ცრუ ივლიანესთან დავრჩი პირისპირ. ფიქრებში ჩაყვინთულმა თანამგზავრმა რამდენჯერმე უაზროდ შემომხედა და მოულოდნელად მითხრა:

— არა ვარ მე ივლიანე.

ვიცი-მეთქი, ვუთხარი.

არ გაკვირვებია. გაჩუმდა. თვალები გაუშტერდა. ვეღარ მხედავდა, მეგონა და, მანეთი მომეცი ახალი ფულითო, მითხრა. არ მაქვს-მეთქი. მართლა არ

მქონდა. უფულოდ რომ დამიგულა, სიხარული ვერ დამალა, სახე შეეცვალა, თვალები აუციმციმდა.

— ერთხელ, ჩემო ბატონო, საყუთარი რძალი შემომეუბნატიურა, შენ ვერ გაიგებ, მარა მინც, სახლს ხვეტავდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, წაქუზული და...

— რძალი არ გყავს შენ.

ცრუ ივლიანეს ისევ გაუქვავდა სახეტყუილსა და მართალს შორის ერთი ხელის დადებაო, თქვა მესამე ვაჩერებზე და სახეზე, ყურსა და თვალს შორის აიფარა ხელი.

— ა, შეხედე, ხომ ხედავ?

— ვხედავ.

თუ ხედავ, რალს ლაპარაკობო, დამტუქსა და ერთი თორმეტი ანდაზა თუ შეგონება, ერთმანეთთან რომ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, მომაცარა ზედღივდ. ივლიანე არ ვარ, მაგრამ ცოტა რამე გამეგება ცხოვრებაში, ათი წლის შემდეგ შეიცვლება ყველაფერიო, დამთავრა და ჩავიდა კიდევ. არც დამშვიდობებია, არც უკან მოუხედავს.

ვაგონის ღია ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ მიპაორწილებდა გაუქმებული ფულით გატენილ დიდ ჩემოდანს ფსევდო-ივლიანე. წელში მოხრილი, უეცრად დაჩაჩანაკებული მიაბოტებდა გამხმარ შარავანზე.

იმ დღის შემდეგ ფსევდო-ივლიანე ჩვენ ქალაქში აღარ გამოჩენილა.

იცოცხლა თუ არა ათი წელი, ესეც არ ვიცი.

ტ ა ს ი ა

მამს და ქალიშვილი შემოვიდნენ შუაღლით ეზოში. ხმელ, ულვაშებაპრეხილ, წარმოსადღე მამაკაცს შევგვრემანი, გამხდარი გოგო ახლდა, რომელსაც გრძელი ნაწნავები და მრგვალი, დაჰყეტილი თვალები ჰქონდა. შიშს, მორიდებას და გაცივებას ერთდროულად გამოხატავდა ეს თვალები. ტასია ერქვა თურმე. ინსტიტუტში ჩარიცხულიყო იმ

ზაფხულს და ოთახს დაეძებდნენ საქიროდ. ჩვენ არა გვაქვს ოთახითქვა, ვუთხარიო და სხვაგან მივასწავლეო, მაგრამ ჰარმაგი გლეხი წასვლას არ იჩქაროდა. მერხზე ჩამოჯდა, შეისვენა, ყაბალახი გადაიძრო, შუბლი გაიგრი-

რამო ვაიშვილი
მუსიკა მარში

ლა. ჩვენი მოუთავებელი სახლისათვის დაედგა შორიდან თვალი და მარტო ოთახის სათხოვნელად არ ყოფილა მოსული. ერთ ცარიელ, თუნდაც ქვედა ოთახს რომ მომყიდდეთ, კარგი იქნებოდა. მე თვითონ მოხელე კაცი ვარ, გამმართავდი და ქალიშვილს საიმედოდ დავაბინავებდიო. ამა ქირით სანამ უნდა იცხოვროს, თანაც ორი მყავს კიდევ ამისთანა, ერთმანეთზე მიყოლებულიო. უარი რომ ვუთხარი, ხევწნა და ვპქრობა აღარ დაუწყია. დარბაისელი მოსაუბრე აღმოჩნდა. ლაპარაკობდა ომზე, მისავალზე, ხალხის მოუთმენლობაზე, ფრონტზე წასულ უფროს შვილზე და მინც ქალიშვილის დარდი აწუხებდა. ისეთი მფრთხალია და შტერი, არ ვიცი, რა ეშველებაო. თუ საიმედო ოჯახში არ დავაბინავე, ვერ დავტოვებო.

ჩვენი კარის თუ ეზოს მეზობელთან დავაყენეთ ტასია მდგამურად. დედჩემს დაუახლოვდა გრძელნაწნავიანი სოფლელი გოგო. თითქმის ყოველ საღამოს ჩვენთან იჯდა. მამაც ხშირად აკითხავდა სოფლიდან და თვის სარჩო-სანოვანებს უტოვებდა და მინც გულდამძიმებული ბრუნდებოდა უკან. დროა ისეთი არეული, ქალს კი არა, კაცს ვეღარ ენდობიო, თანაც ასეთ ჩურჩულს და შტერსო. ვინმეს არ გადაეკიდოს, მეშინია, მეზობლების ანაბარა ვტოვებ, თქვენ იცით, ყურადღება მიმიქცევთო.

ტასია დანიშნული ყოფილა. ნიშნობიდან ერთი კვირის თავზე გაუწვევიათ სატრფო ფრონტზე. ორად ორი წერილი მიუღია და მას შემდეგ საქმროსაგან აღარაფერი სმენოდა. ეს ორი წერილი კი ზეპირად ვიცოდით ტასიამაც და ჩვენც ახალდამებულს, ლამპისა და ბუხრის შუქზე, ზამთრის გრძელ ღამეში გვიკითხავდა წერილებს და ლექსებს, საქმროს რომ სამახსოვროდ დაეტოვებინა საცოლისათვის. ლექსები ორ საერთო რვეულში იყო იისფერი მელნით გადათეთრებული. საქმროს ხელიაო? ეკითხებოდნენ ტასიას. საქმროსი არისო, ამაყად ამბობდა ოგი და წერილებს ლექსებს უღარებდა ქეშმარიტების დასადგენად. მსგავსი

ღამაში ხელი არ მინახავს ჩემს სწორეშუქს ბაში. იმ ლექსების დანახვაზე პოეტობა კი არა, კალიგრაფისტობა მენატრებოდა. ღმერთო, ასეთი წერა მასწავლე-მეთქი, ვლოცულობდი ღამდამობით. რაზე იყო ის ლექსები, ზამთრის გაუთავებელ ღამეებში რომ გვასმენინებდა ტასია. სიყვარულზე, დაღატაზე, იმედის გაცრუებაზე, ჩაის ვარდზე, მაგნოლიის ყვავილზე, ჭლექიან დღეზე, ადრიაან შემოდგომაზე, დაცვენილ ფოთლებზე, აუხდენელ ოცნებაზე.

გადმოიტანდა ტასია ახალშეღამებულს საქმროს წერილებს, ლექსებს და მჭადის ფქვილს. ფქვილს მოცომავედა, დააკრავდა ტაფაზე და მჭადის გამოცობამდე კითხულობდა ლექსებს ანდა სოფლის და ქალაქის, მთისა და ბარის ამბებს ყვებოდა; ნანახსა და ვაგონილს ურევდა ერთმანეთში. მიღველფილი ცეცხლის სუსტ შუქზე ერთოდა მისი დაწყვტილი, მრგვალი თევლები. გადააბრუნებდა მჭადს და გრძელი თითებით, თხილის ფორმისა და ფერის ფხილებით კენკავდა ახალშემაგრებულ კანს. ლაპარაკ-ლაპარაკით ფქვნიდა და ატყავებდა ცალი მხრიდან. გადმოაბრუნებდა ცოტახნის შემდეგ და ძეორე გვერდს ამოკენკავდა, მოუშუშებელ მჭადს ციკვნიდა. ტრიალ-ტრიალით, შეუმჩნევლად, თვლდახელშეა ათავებდა მეორე დღის ულუფას. ქე არ შემოჭამია?! ვაოცებულნი ამბობდა ოგი და კვლავ საუბარს განავრძობდა. ცრემლმორეული ოხსენებდა ფრონტზე წასულ სატრფოს, ძმას, სოფელს, მამას და თვალზე რული ედებოდა თანდათან, ბუხართან განშორება უჭირდა, ცივი ოთახისა და საწოლის განსენებაზე იშუმუნებოდა უსიამოდ.

ზოგჯერ სოფლიდან ჩამოსული სტუმრები გვაკითხავდნენ. ღამის გასათევად მოდიოდნენ ნათესავები, ნათესავების ნათესავები და მეზობლები. ბაზარში გაყიდვას ვაღარჩენილ თუ ვანგებ მოტოვებულ ნარჩევალა ხილს დაყრიდნენ ქალები მაგიდაზე და ბოდნიშობდნენ, მეტი ვერაფერი მოვახერხეთო. ან ეს რა საქმრო იყო, ამბობდა დიასახლისი და



სტუმრებს უშაქრო, კვარახიანი ჩაით უმასპინძლებოდა. ქვეშაგები არ გვინდაო, ამობდნენ სტუმრები დაძინების წინ, პოლზე თავშელებს გავიშლით და მოვისვენებთო. მართლა იატაკზე ხომ არ დაეწვენდით, თანაც უქვეშაგებოდ. ვიჭირებდით და იმ დამით მატარებლის საერთო ვაგონებს ემსგავსებოდა ჩვენი ორი პატარა ოთახი.

დაძინებამდე ქალები ქსოვდნენ, საუბრობდნენ აუჩქარებლად, სოფლური ხმით, დამაჯერებელი ინტონაციით. ლაპარაკობდნენ კუდიან ვარსკვლავებზე, მთვარის შემობრუნებაზე, ზამთარში მგზის გავარდნაზე და სხვა. ეფუთში წერებულაო, ამა და ამ წელს (წელი არასოდეს არ ახსოვდათ) წითელი ხელმწიფე დამარცხებს თეთრ ხელმწიფესო, ჩამოვარდება ზავი და ორი წლის შემდეგ დაიწყება გვალვები, მიწა დასკდება, ურწმუნოები, მცურავეები, ღრიანკელები და მორიელეები გამოვლენო. ბუხართან მიკუნტული, ფერდაკარგული ტასია ნაწინაგებში ეხვეოდა, დაჭყეტილი, გაოცებული თვალები უფართოვდებოდა, ბუხარის კედელზე აფერადებულ საკუთარ ლანდს ემსგავსებოდა.

ეფუთში წერებულაო... განაგრობდნენ ქალები. რა იყო ეს ეფუთი თუ ეფული, არ ვიცოდი. ეფუთი ზურმუხტის თვლებით გაწყობილი წიგნიაო, სადაც სიმართლით წერია ყველაფერი, სადაც წინასწარ არის ვაანგარიშებული და განსაზღვრული მოსახდენი და მოსასვლელო. წინასწარმეტყველის დაწერილი წიგნი თავად არ ენახათ, მაგრამ წამკითხველის მნახველის მნახველის ნათქვამის ნათქვამი ჰქონდათ გაგონილი. ვის ჰქონდა ნეტავი იმეამად ეს წიგნი, ეფუ-

თი, რომლის არსებობაში ეჭვიც კი მეპარებოდა. ვერც წარმომედგინა, რომ აღამიანის სიბრძნე სადღაც ერთად თავმოყრილი არ იქნებოდა. ბედისმწერალს ყველაფერი აღნუსხული უნდა ჰქონებოდა უთუოდ. ვინ მალირსებდა მე იმ წიგნს. ვნახავდი კი ოდესმე? შორიდან მაინც დამენახა ზურმუხტის თვლებით გაწყობილი ეტრატი.

ეფუთში წერებულაო, მესმოდა უკვე ძილ-ბურანში.

მინავლებულ ცეცხლთან მიმჯდარ, გაოცებულ ტასიასაც რუსული ედებოდა, დაჭყეტილი თვალები ეხუქებოდა. ახსენდებოდა გაყინული ოთახი, გაციებული სარეცელი და ტანში ზარავდა. რა გაათბობს ჩემ საწოლსო, იტყუოდა და წელათრეული, შეშინებული და გაოცებული მიდიოდა; წითელი და თეთრი ხელმწიფის, კუდიანი ვარსკვლავისა და უკულმა დამდგარი მთვარის საბედისწერო ზმანება მიჰყვებოდა. საბანში ეხვეოდა და დიდხანს, დიდხანს ვერ ათბობდა გაციებულ ქვეშაგებს.

ომის დამთავრებამდე გათხოვდა ტასია.

საქმრო რომ ჩამოუვიდეს, საინტერესოა, რას იზამსო, ნიშნის მოგებით ამბობდნენ მეზობლის ქალები. მართლაც საინტერესო იქნებოდა, როგორ შეზღვდებოდა ქმრიანი ტასია სატრფოს

... მაგრამ საქმრო არ ჩამოვიდა. დარჩა ლექსების ორი გახუნებული რვეული, ტასიას აცრემლებულ, გაოცებულ თვალებში მიკარგული მკრთალი მოგონება სატრფოს ხატისა და მაგნოლიის ყვავილის, ქლექიანი დღის, ჩაის ვარდის, ადრიაინი შემოდგომის, დაცვენილი ფოთლების მიფერფლილი სევდა.

ბერგუთაშვილის ქალი ბაიკო

ბაიკო ბერგუთაშვილი რუსულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა. გადაბერებული, ლამაზი, კოწწია ქალი ერთხელ პრაქტიკაზე გამოგზავნილ გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტებს სა-

მასწავლებლოში ბლოკის ლექსებს უკითხავდა. პეტერბურგში ქალიშვილო-

რეზო ბერიშვილი
მუსიაა მარში



ზისას ამ ლექსებს რომ ვკითხულობდით ვტროოდით, ცრემლად ვიღვრებოდითო. შეკეტებში გამოწყობილი სტუდენტები ქალიშვილები უმეტყველო თვალებით მიჩერებოდნენ მაიკო ბერბუთაშვილის ქალს, ვერაფრით ვერ გაეგოთ, რა ატირებდათ და აქვითინებდათ პეტერბურგში მაიკოს და მის მეგობრებს.

მაიკო ბერბუთაშვილი ჩვენს ოჯახს იცნობდა საიდანაც და მეც მოწყალე თვალთ მიყურებდა. თვეში ერთხელ სახლში მიბარებდა სამეცადინოდ. რიონის პირას ცხოვრობდა ქვარიანის ბინაში. სიმართლე გითხრათ, აღარც კი ვიცო, ქვარიანს ჰყავდა მაიკო შეკედლებული თუ პირიქით, ქვარიანი იყო ბერბუთაშვილების დიდ სახლს დაპატრონებული. ასე იყო თუ ისე; ქალბატონი მაიკო, ორი ოთახი რომ ეჭირა მდინარის მხარეს, სივიწროვეს არ უჩიოდა. ქვის ყორეებით, გალავნის ნარჩენებით, ნარღვევებით და ნაშალი კიბით იყო ეზო და სანაპირო მოფენილი. გაყვებოდი ხოლმე ეგზოტიკური ყვავილებით გაწყობილ ბილიკს, ჩამოქცეულ თაღთან რომ თავდებოდა და უერთდებოდა ძველთაძველ კიბეს. იმ დახავსებული კიბით ჩავლიოდი ქვევით, გავუხვევდი მარჯვნივ და იმდაგვარივე ვიწრო, ხავსიანი საფეხურებით მივადგებოდი მაიკო ბერბუთაშვილის სადარბაზოს კარს.

მოგვიანებით გამომხედავდა ხოლმე მასპინძელი და გაოცებული მომიჩრებოდა. ვეღარ მცნობდა თუ აღარ მელოდა, ვერ ვხვდებოდი. ხელს ჩამჭიდებდა კარგა ხნის შემდეგ, ბუტბუტითა და საყვედურებით შემეყვანდა სასტუმრო ოთახში, დამსვამდა მაგიდასთან, გადამიშლიდა წიგნს და დამტოვებდა. მეორე ოთახიდან ჩამიჩუმე არ ისმოდა. მხოლოდ ხანდახან გაილანდებოდა ქალბატონი მაიკო სასტუმროს წინ და იმწამსვე გაქრებოდა მოჩვენებასავით. ვმეცადინეობდი თუ რას ვშვრებოდი, არ მეკითხებოდა. არც მაქმევედა, არც მასმევედა, არც ჭკუას მარიგებდა. ვიჭექი

გაბუსუნებული, ვათვალიერებდნენ ურობას და ვფიქრობდი, რა მინდა აქმეთქი. წიგნში არ ვინებდებოდი, წასვლასაც არ ვაპირებდი და ისევ და ისევ ვათვალიერებდი უცნაურ ოთახს, სადაც უამრავი საათი და რაღაც ძველთაძველი, გაქვავებული მექანიზმები იდგნენ, იდგნენ და დუმდნენ ეს საათები და მექანიზმები. მრგვალი, დიდი სარკე ფოტოსურათებით იყო მოგვირგვინებული. სიძველედ დამუშავებული ტვიფრებით, მონოგრამებით დალდასმული ფოტოები ძალაუნებურად იპყრობდა ყურადღებას და თვალს იტაცებდა. ვუყურებდი ფოტოებს და მექანიზმებს, რიონის დაბნული შხუილის ხმაც შემოდიოდა დაგმანული ფანჯრიდან და ეს ყრუ ხმა არ არღვევდა იმ იდუმალ სიმყუდროვეს, გაქვავებული ნივთებით გაქედნილ ოთახში რომ იყო ჩასადგურებული. ხმის ამოღების და განძრევის მეშინოდა. ცხვირის დაცემინებაზე დაბრუნდებოდა თითქოს რომელიღაც ბორბალი, რაღაც ნივთი გადმოვარდებოდა თითქოს ზედსადგარიდან ხელის გატოვებაზეც კი. როდის-როდის წამოვდებოდი და წასასვლელად ვემზადებოდი.

— მიდიხარ? — მეძახდა მეორე ოთახიდან ბერბუთაშვილი მაიკო.

— მივდივარ.

— წადი და ჭკვიანად იყავი!

მაიკო ბერბუთაშვილი მალე პენსიაზე გავიდა და ის გაუგებარი ვიზიტებიც შეწყდა სამუდამოდ. სახლში ჩაიკეტა იგი და ერთი შინაბერა ნათესავი შეიკელა მემკვიდრედ და მომვლელად. აუხირდა და არ მოეშვა თურმე, ფოტოგრაფი მომიყვანე, უკანასკნელი სურათი უნდა გადავიღო სასიკვდილო სარეცელზეო, მკვდარი როგორი ვიქნები მაინტერესებსო. აუსრულებია სურვილი იმ შინაბერა ნათესავს. წამოუყვანია ფოტოგრაფი, ფასზე და პირობებზეც გარბიებია წინასწარ, მაგრამ ცოცხალი მიცვალებულისათვის რომ სურათი უნდა გადაეღო, ეს კი აღარ უთ-



ჭემს. წვეს თურმე ყვაილებში ჩაფლული მაიკო სულარაგადაფარებულ ტანტზე. აცხონოს ღმერთმაო, ჩაულაბარაკია ფოტოგრაფს, გაუმართავს სამფეხა აპარატი, შეურგია თავი შავ ნაჭერში, გაუსწორებია ობიექტივი და ჩვეულებისამებრ, სანამ აპარატიდან ჩიტი გამოფრინდებოდა, დაუძახია, არ გაინძრეო, (მკვდარს რა გაანძრევდა). მაიკოს კი სწორედ ამ ხმაზე წამოუწევია თავი. ფოტოგრაფი დაფეთებულა, მარჩენალი აპარატი წაქცევია, შტატივი და ლინზა გაუტეხია.

იჩივლა, სხვათა შორის, იმ ფოტოგრაფმა ოფიციალური საჩივარი შეიტანა

უზენაეს სამსჯავროში. ჩვენებური ქვეყნის ცი არ იყო, თორემ არ იზამდა. იმ დღეებში რიონში საბანაოდ ჩასულმა გალავანს ზევით გამოკვეთილ სარკმელში მაიკო ბერბუთაშვილი დაეინახე. მზე ჩაღიოდა და ქანგისფერი გალავანი ქონგურიდან საძირკვლამდე ნაკვერცხლისფრად ელვარებდა. უხილავი ალი შენთებოდა კოშკის ყრუ კედელს და სარკმელში ვაღმომდგარ თეთრ დედაბერს ნთქავდა სიწითლეში და სიცარიელეში.

პარასკევ დღეს დანიშნეს სამოქალაქო სასამართლო, მაგრამ იგი აღარ შემდგარა მაიკო შერმაღინის ასულ ბერბუთაშვილის გარდაცვალების გამო.

წითური ელკაჯი

სოფლიდან მეწველი თხა ჩამოვიყვანეს. წითური თხა იყო. მტავე წყალი რომ ნაპირზე მიწას მიაქანგავს, დაახლოებით იმფერი. კარგად იწველებოდა, მაგრამ თხა, თანაც წითური, ქალაქში როგორი მოსავლელია, კარგად მოგესხენებათ. თავგამოდებით ვუგროვებდი ბალახბულახს, ვუმტვრევდი ტყემლის ნედლ ყლორტებს, კინალამ პატარობის ტყემლების ბალი გვაპარტახე და თხა მიინც გულნაკლული მრჩებოდა. საკვები არ ჰყოფნიდა აშკარად, უმადობასაც არ უჩიოდა და ახალი ნარგავები დაგვიჭამა ეზოში. მოზარდი ხეებსაც აცალა ქერქი, ახლაც ატყვია მისი ნაკბილარი გადაბერებულ ვაშლებს. აღმასის კბილებს ამოდებდა ხის ქერქს და საშოლტე ტყავს ახვედა სიგრძეში. საიმედოდ ვიბამდი ღობესთან ამის შემდეგ. სარზე ბაწრით თავმიკრული, ფერდებაცვენილი თითქოს უღარდელი მზერით მომჩერებოდა სკოლიდან შინ დაბრუნებულს. რასაც მაქმევთ, იმას მოვიწველიო, მეუბნებოდა ცოხნით და წვერების ცანცარით. მართალიც იყო. სწავლა დამიმთავრდა თუ არა, წყალწითელას ხეობისაკენ გავდენე. საკვები იშოვა, გაიხარა. გავბერა ფერდები და ავესო ჭიჭანი. შებინ-

დებამდე ვმწყემსავდი, თავს ველებოდი და მაინც უწყალოდ მაწვალებდა ღვთის პირისაგან ამოვარდნილი ელქაჯი. ახალგამოროდებულ ყანას ახდენდა გოდოვის შემოგარენში. კერძო მოსახლის ეზოში გადამიხტებოდა ხოლმე თვალის დახამხამებაში, უქანა ფეხებზე შეპოლიკებული ქვიშის შეთვალურ ტოტს მოიწვედა ენით, ელასტიურ ტოტს პირით იჭერდა და თან ჰამდა ერთდროულად. როგორ ახერხებდა, გაცებული ვიყავი. ტვირავდა ნედლ ყლორტებს წვერების ცანცარით და თან მე მომჩერებოდა, ფეხაკრეფით რომ ვეპარებოდი, ჩემი ჰკუთით. სახრეს მოვუქნევდი თუ არა, გვერდზე გახტებოდა, ღობეს გადაეღებოდა ელვის სისწრაფით და გზის პირას, ბურღებთან მელიოდებოდა უწყინარი თვალებით. ახალამოწვერილ სომინდს რომ ფოთნიდა, მაშინაც ცალი თვალით მიჰკრეტდა. ჩემი ნაბიჯები ჰქონდა ვაზომილ-გამოთვლილი თუ რა იყო, არ ვიცი, მისხალში იცილებდა მოქნეულ ჯოხს, მანამდე კი შორიდან ნასროლ ბელტებს და გორიხებს არიდებდა მოხერხებულად თავს.

რაზო ზივილი
მსსიპა მარში



ერთხელ წყალწითელას ხიდის ბურჯის შვერილზე გავიდა, გადაბურღულ ბუჩქებში შეძვრა და შეიმაღლა. გასაქცევი აღარსად ჰქონდა და უღარდგლად ჩამოვკეტი ხიდის ყურეში. ქვევით, სანაპიროზე ჯიბგირები თამაშობდნენ ხარს. ჩაჩოქლ ბიჭებს შეეკრათ წრე და გამეტებით იბათქუნებდნენ ხელისგულებს ბარძაყებზე. ამ სურათის ცქერით გავერთე და თხა სულ გადამავიწყდა. წითურ ელქაქს ის შვერილი მივბალახ-მოვებლახებინა და ვამყოლოდა ვიწრო კარნისხ, სადაც ალბათ მანამდე სულიერს არ დაედგა ფეხი. რძიან ბალახს გავტყუებინა, როგორც ჩანდა. არ მომეწონა მისი საქციელი, შევშოთიდი კიდეც, მაგრამ რაღი ფეხის მოსაკიდებელი ნახა, არა უჭირს რამეთქი. უკან როგორ აპირებდა მობრუნებას, ეს არ მიკითხავს. კვლავ ყომარბაზებს დავაჩერდი და აქ მოხდა მოსახდენი—თხა შვერილიდან გადავარდა და ზურგით დაეცა შუაგულ წრეში, კამათლების საგორებლად მოტყუებნილ მიწაზე. რა დაემართათ მოთამაშეებს, ამის აღწერა ყოვლად შეუძლებელია. ვინ საით გარბოდა, ვინ ვის ასწრებდა, ვინ სად რგავდა თავს და იმალებოდა, ძნელი გასარკვევი იყო. სანამ თხა ერთ ალაგას იგრჩებოდა, სანამ მე ქვევით ჩავფოფხდებოდი და თხასთან მივიდოდი, გულგახეთქილ ყომარბაზებშიც შეგროვდნენ ნელ-ნელა.

— შენია ეს თხა? — მკითხა ერთმა თმავადაპარსულმა ბიჭმა.

მომკლავენ უეშველად-მეთქი, გავიფიქრე შეძრწუნებულმა, მაგრამ ტყუილის თქმა არ ვიკადრე.

— ჩემია... — ამოვიღულულულე გაუბედავად.

— საწყალი! — ჩილაპარაკა იმ ბიჭმა, ვინც ეს უხერხული შეკითხვა დამისვა.

ერთმა თხა წამოაყენა და ცოცხალიაო, ჩილაპარაკა უღარესად გაცეხულმა.

ხიდან გადმოვარდა, დაწყევლოს დემართმა, მე რომ იქიდან გადმოვვარ-

დნილიყავი. სული არ დამყავდა. მართლა თხა არისო, ამბობდა ერთი დროული კაცი, რომელიც, ჩემი ვარაუდით, ჯიბგირების უფროსი უნდა ყოფილიყო.

დარეტიანებული თხა ფეხზე იდგა და ერთთავად კანკალებდა.

— წაიყვანე, ბიძია, და მარილიანი წყალი დაალევიანე! — მირჩია დროულმა კაცმა, — ჯიბგირების უსტაბაშმა.

მდინარემდე ჩავიყვანე ჩემი თხა ძლივძლივობით. არ დალია, გამობენტრებულნი დააჩერდა წყალს. თავპირი მოვბანე, ყურები დავუსრისე, აკაციის ნედლი ფოთლები მოვუტანე. არ შექვამა. ძიგძიგებდა და ფეხზე მეკვროდა, არ მშორდებოდა.

რა უნდა მექნა, არ ვიცოდი, შემწე და მშველელი არსად ჩანდა. ჯიბგირებსაც კი აღარ ეცალათ ჩემთვის. ბარძაყებზე ხელების ბათქაბუთქის ხმა ტრიალებდა თაბქევეშ, იგუდებოდა, იხრჩობოდა და სახეშეცვლილი გადი-გამოდიოდა ვაღმა-გამოღმა.

ბანცალ-ბანცალით, სვენებით და ძიგძიგით მივიყვანე თხა სახლში. მარილიანი წყალი გავუთხე, როგორც დროულმა კაცმა დამარჩია. თრი-სამე მუტი მჭადის ფქვილიც მოვიპარე, მარილიანი წყალს ჩავუმატე და მალულად მივეტანე ლობესთან საცოდავად მიკუნტულ თხას. დალია. გამოცოცხლდა. სველი წვერები დაიფერთხა. ვარცლიც ვატლიცა და ხის ნედლი ტოტებიც ვატკვთრა მაღიანად. მორჩა და მომჯობინდა და ეგ იყო. თხა ქე გადამირჩინა იმ დროულმა კაცმა და ჯიბგირების უფროსი იყო თუ გოდოგანის საბჭოთა მეურნეობის ვეტექიმი, აღარ მირკვევია.

ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდმა რომ უმაღლესი ლიგა დატოვა, სრულიად შემთხვევით, დავესწარი ერთ რიგით, უფერულ თამაშს. შეთხელეებულ ტრიბუნებს გადავავლე თვარი და მეგობართან ერთად, თამაშის საყურებლად თუ სასაუბროდ მოსული ორა



დარბაისელი ლექტორის წინ დავჯექი. ლექტორები რიგრიგობით, მაგრამ გაუთავებლად ლაპარაკობდნენ. რაღაც ამბებს იხსენებდნენ და დროზე და თარიღზე ვერ თანხმდებოდნენ. აბა თუ

მართალი გინდაო, თქვა ერთმა, მაგ ფენიწიანად მოხდა, წითელი თხა რომ დავვეცა თავზეო. სხვათა შორის მას შემდეგო, უპასუხა მეორემ, მუხლების კანკალი დამჩემდა რატომღაცო.

თეთრი თიხანი

წითურმა თხამ შემოდგომაზე თეთრი ბატკი მოიგო. მშობიარობამდე დადინჯდა და დადარბაისლდა. სხვის ეზოში ხტომილსაც მოეშვა და უადგილო ალაგასაც იშვითად ადგამდა ფეხს. ვიწრო და გაუვალი ბილიკის დანახვაზე მომჩერებოდა, გავიდე თუ არაო. სამწყესურიდან დაბრუნებული, რქებზე ბაწარდახვეული მორჩილად მომყვებოდა ქალაქის აბურდულ ქუჩებში. ჰკუადამჯდარი პირუტყვის მიხვედრილობა იმდენად არ მაკვირვებდა, რამდენადაც ბატკის სითეთრე, ვაცი და ისიც სულ თეთრი, იმ არემარეზე არ დამილანდავს და თეთრი ბატკის მოვლინებაში ვის უნდა დავმადლიერებოდი, არ ვიცოდო.

გათიკნებული ბატკი კი უკვე სულიწმინდას ვეგდა. ქათქათა, სუფთა, მოკიკინე და მხიარული, უდარდელად დაბაკუნებდა ოთახიდან ოთახში. საწოლიდან საწოლზე ხტუნვით იჯერებდა გულს და ისევ ეზოში ჩაბოდა, პატარა რქებს ურტყამდა დედას ცარიელ ჩიქანში.

იმ დღეს პურის წიგნაკები დავკარგე. თხას და თიხანს არავითარი საერთო ამ უბედურებასთან არ ჰქონიათ, მაგრამ მათ მეტი ჩემი დარდისა და ვარამის გამოზარბელი ვერავინ ვნახე იმ დღეს და იმ ღამეს.

კიდევ კარგი, ორი-სამი დღის კუპონებილა იყო წიგნაკებზე შერჩენილი, თორემ ამ დანაკლისს ჩვენი ოჯახი ვერაფრით ვერ გადაიტანდა.

დავკარგე პურის წიგნაკები. შეიძლება დავკარგე, შეიძლება მომპარეს. რა ჩემდაპირად ჩამრჩა იმ დღით ვახვრე-

ტილ ჯიბეში. მოიძიეო, მითხრეს, საღლაც იქნებაო. საღლაც იქნებოდა, რაღა თქმა უნდოდა, მაგრამ საღ უნდა მეძია, ვიპოვიდი თუ ვინმე გამომიჩნდა. არადა, სახლში რა პირით უნდა შევსულიყავი. ვინღა მიიტანდა მეორე დღეს იმ პურს, ერთ იჯრაზე რომ ძლივს ვყოფილობდიო. დავსჯიდი ჩემ თავს საკადრისად, ერთი-ორი დღე ვიშიმშილებოდა, თუმცა ჩემი უკმელობა სხვას ვით დანაყრებდა.

ეთამაშობ ბურთს და სულ პურის წიგნაკები და კუპონები მიტრიალებს თვალწინ. გადაამევიწყდება, გამახსენდება, გული გადაამეწურება.

დაბინდა. ბავშვებიც წავიდ-წამოვიდნენ. ზოგი თვითონ დაადგა სახლის გზას, ზოგს დაუძახეს, ზოგი წაათრიეს და წააპორწყიალეს. დავრჩი მარტო. ვზივარ პატარაობის ბაღში კიბეზე. ვფიქრობ, ვდარდობ. დრო კი მიდის. მთვარე ამოდის. ტყემლის ხის ჩრდილები ეფინება ხმელ მიწას. სინათლეები ქრება ერთმანეთის მიყოლებით სახლების ფანჯრებში. შემცივდა, ავდექი. ქუჩას დავუყვები თავქვე. საკუთარ სახლს ჩავუარე თავწახრილმა. უფანჯრებო, პირდაღებულ ჩარჩოებს იქით მოჭიატე შექი დავინახე. არ ძინავთ, მელოდებთან. მელოდონ, რა ვქნა. გავცდი დარბაზბურულ პურის მაღაზიას, შეგჩერდი, გამოვბრუნდი. მეზობლის ქალი შემომხვდა. მივესალმე. გამიღიმა. გაჩერდა. ბეჭებზე მოხურული სქელი ღაზლი გაისწორა. ღაზლს შიგნით საკერებელადღებული კაბა მოუჩან-

აპოო პიროვილი
მუსიაა მარში

და. საღ მიღის ასე გვიან ამნაირად ჩაცმული-მეთქი, გავიფიქრე. როგორა ხარო, მეთხა. კარგად ვარ, თქვენ თავად როგორ ბრძანდებით-მეთქი. მერა მიჭირს, შვილოო, ვარ ასე, რავარც მხედავო, ჩემი რაულის მაყურებელი ცოცხალი რატომ ვარ, ის მივირის, მეტი არაფერიო, წელიწადნახევარია ფრონტიდან წერილი არ მიმიღიაო. მობრუნდა. ღაზლი გაისწორა კვლავ და გამომყვა. შინ წავიდეთ, გვიანიაო. მივხვდი ყველაფერს. ასეთი რამე ვის არ დამართნიაო, მიხატრა ცოტა ხნის შემდეგ. პურის წიგნაკებს კი არა, საცხოვრებლებს კარგავენ, ერთმანეთს კარგავენ, ცოლი ქმარს შორიდება, შვილი მამას ეყრებო. ომია, ინგრევა ყველაფერი, მაგრამ სასოებას არ ვკარგავთ, უკეთესი მერმისის იმედი გვაქვსო. დედას ნულარ ანერვიულებ, სახლში შედიო. ჭიშკარში შემაცილა, გამიღიმა, ხელი მომიტყაპუნა და წავიდა. ფრთხილად, უხმაუროდ ჩავეკეტე ჭიშკარი. ფეხაკრეფით შევედი ჩაბნელებულ სარდაფში. სიბნელეში ვერაფერი გავარჩიე თავდაპირველად. თხის ცოხნის ხმა და თიანის სუსტი ფშვინვა ისმოდა საიდანაც. სიბნელეს რომ თვალი შევაჩვიე, ჩემკენ მომზირალი თხა და მის ფეხებთან მიკუნტული თეთრი თიკანი გავარჩიე. წითური ელქაჯი გულგრილად მომჩერებოდა. არც არაფერი უკვირდა, არც არაფერი აოცებდა. თიკანს რომ ვეფერებოდი, რქებს მიხახუნებდა მკლავზე მადლობის ნიშნად. ეს პატარაა, ვერ არაფერი ესმის და შენ დიდი ხარ, ყველაფერს მიმიხვდები-მეთქი, ვეუბნებოდი ხმადაბლა. თავს მიკანტურებდა, მიყურებდა და თვალს თიკანისაკენ აპარებდა მაინც დროდადრო. ჯვალოს ტომარი გამოვძებნე, გავფერთხე, ხმელ ფიცრებზე გავწექი, ტომარი გადავიხურე და მივიკუნტე კედლისაკენ, სა-

დაც მტერის მძაფრი სუნი ზღვამ ჩამეძინა, მაგრამ შემცივდა და სიცივემ არ მომასვენა. ძილ-ღვიძილში ვშფოთავდი, ვტრიალებდი, ჯვალოს ტომარს ვიკუჭავდი ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან. ერთ გვერდქვეშ რომ ამოვიდებდი, მეორედან გადაამძვრებოდა.

... თანაც დაზამორდა. დათოვა ამ ნაადრევ შემოდგომაზე. ასე აღრე რატომ აცივდა-მეთქი, ვწუხნდი; შეშა ჩვენ აღარ გვაქვს, ნავთი არ იშოვება. თუმცა, ეტყობა, ჩემდა იღბლად, ჩქარა ვარბის, კი არ ვარბის, მიჭქრის ეს დრო. რალაც უზარმაზარი დაფატრიალებს თითქოს. დაფის ერთ მხარეს ზამთარია, მეორე მხარეს — ზაფხული. გადაატრიალებ, ზამთარია, გადმოატრიალებ — ზაფხული. ახლა კი გაზაფხულია, ტყემლები აყვავილებულა პატარძის ბაღში. ნაადრევად ხომ არ აყვავილდა? თუმცა რა გასაკვირია, შარშან ხომ იანვარში იფეთქა კვირტებმა. ყველაფერმა სახე იცვალა, ყველაფერი გაუკულმართდა, მაგრამ მთავარია, რომ ცხილა. დაბეგვილი და დაღურჯებული გვერდები გამითება, დამავიწყდა, რომ მციოდა და მტკიოდა და გამეღვიძა კიდევ თბილ, რბილ ლოგინში. გავახილე თვალი და შემოდგომის მზით მკრთალად აფერადებულ ფანჯრებს მივაჩერდი, პურის წიგნაკები მომავონდა იმწამსვე. ძილის შებრუნება დავაპირე. ნეტავი ორი დღე და ღამე არ გამეღვიძებოდეს-მეთქი, გავიფიქრე გულმოკლულმა.

იმ ორ დღეს და არც მას შემდეგ ჩვენს სახლში პურის წიგნაკების და კუპონების ხსენება არ ყოფილა და მეც ყველაფერი გადამავიწყდათქვა, ვერ ვიტყვი, თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერი გამახსენდა დიდი ხნის შემდეგ.



ბრეზინტის უზარმაზარ კარავს აზნარებდა ღვეკმბრის ქარი. აფრებივით გაჰქონდა ტკაცუნის კარვის კალთებს. ცირკი ზრიალებდა, ღელავდა, ბობოქრობდა. იუპიტერების მძლავრი შუქი აბრწყვილებდა ნახერხმოფენილ მანექსს, წითელ-ყვითელ ლივრვან კაცებს, თითბრისა და სპილენძის ინსტრუმენტებს.

—... ერთმანეთს ხვდებიან პალიკო ბანიკოლაშვილი და ვასილ ქელიაბოვი. პალიკო და ვასიკო, ვინ — ვის! — გაჰკიოდა ვერცხლიმკედით მოსირმულკოსტიემიანი, ბრიოლინით თმააბრიალებული კონფერანსიე.

ორკესტრი აზნარებდა ქარისაგან ატორტმანებულ გიგანტურ კარავს. ფრიალებდა კარვის კალთები და მუსიკის ხმა უერთდებოდა აფრების ტკაცუნს. საყვირების ხმა გაჰქონდა და გამოჰქონდა ღვეკმბრის ჭალიკონს. ხალხი ღრიალებდა.

ჭერ ვასილ ქელიაბოვი გამოჩნდა, შემდეგ პალიკო ბანიკოლაშვილი — ხორცისა და ძვლების გორა.

—... ამ კაცმა შემოიჭამა თიკანი ომის დროს.

— გიცანი, გიცანი!... — უერთდებო ჩემი ხმა ტაშსა და გუგუნს, აფრების ტკაცუნს და ქარში უგზო-უკლოდ გადავარდნილმუსიკას.

ბაზრის შესასვლელთან დგანან ღვედა და შვილი. ბავშვს გულზე თეთრი თიკანი ჰყავს ახუტებული. დგანან და მუშტარს ელოდებიან ზედ კარიბჭესთან. ბაზარში არ უშვებენ ან არ შეიღიან. შეიძლება, ბაჟის ფული არ უნდოთ გადაიხადონ. ბიჭი დალოლია და შეწუხებული. წყინს და უხარია, თიკანი რომ არ იყიდება. იცის, რომ უნდა გაყიდოს და იქნებ ვერ გავყიდოთო, იმედოვნებს. თანაც წინასწარვე არის შეგუებული ყველაფერს. თიკანის საფასურით იყიდიან რამდენიმე დღის სამყოფ მჭადის ფქვილს, შეიძლება ლობიოსაც. აბა რა უნდა ქანა, თიკანს

ხომ არ შეჭამენ! ბიჭი დარწმუნებულია, თეთრ თიკანს ღვთისნიერი ადამიანი წაიყვანს საჩიშედ, მასავით მოუვლის, გაზრდის და მოეფერება. სხვანაირად ვერც წარმოუდგენია. უნდა იაფად დაუთმოს ჭალარაშერეულ ლამაზ ქალს, ღარიბულად, მაგრამ სუფთად ჩაცმულ მოხუცებულ დედაკაცს, ჩითისკაბიან გოგონას, ბიჭს, ჩვეულებრივ ბიჭს, ჩიტებს რომ დასდევს „რეგატით“ და კატებს რომ აწვალებს.

ბაზრის შესასვლელთან ხალხი ირევა. შემსვლელნი და გამომსვლელნი ედებიან ერთმანეთს ფეხებში. რამდენჯერმე აიარა და ჩაიარა იმ აყოლებზე სახედალურჯებულმა მთაკაცმა, რომლის დანახვაც ბიჭს სული კინადამ შეუგუბდა. რისი შეეშინდა, ვერ გაიგო. მთაკაცი კი ერთი წუთით მიეფარა თვალს და ისევ გამოჩნდა. ისე მოდიოდა, თითქმის სხეულის ყველა ნაწილს — მხარს, თეძოს; ფეხებს, ქანგიანი ხრახნებით რომ ჰქონდა ერთმანეთზე გადაბმული, ცალ-ცალკე მოათრევდა. აი იმ კაცმა-ჯართმა იყიდა თეთრი თიკანი სრულიად მოულოდნელად, თითქმის სულ მუქთად. სწრაფად მიუთვალა ფული გოგონებულ ქალს, თიკანს ხელი დაავლო, კუდი, მენჯი და ფეხები მოიმწყვდია ერთიანად ხელში და წავიდა. კისერმოღრეცილი თიკანი გაოცებული მიაჩერდა პატრონს.

— რატომ მიჰყიდე! — მიაფრინდა ბიჭი ღედას.

ქალმა ხმა ვერ ვასცა. თვითონ იცოდა კი, რატომ მიჰყიდა? ანდა რატომ არ უნდა მიეყიდა. ყიდდა და გაყიდა კიდევ. იმ კაცს ყიდვა უნდოდა და იყიდა. ყველაფერი ისე ჩვეულებრივად, ბუნებრივად მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო, ერთი შეხედვით.

კაცი მიდიოდა, თიკანს თავდაღმა მიაპარწიალებდა. ერთადერთი ადამიანი იყო ალბათ მთელი დედამიწის

რეზო ზერიანილი
მუსიკა პარამი



ზურგზე, რომელიც თიკანს საჯიშედ არ დაიტოვებდა, არ გაზრდიდა, წყალს არ დააღვინებდა, მიწაზე ფეხს არ დაადგმევინებდა, ისე გამოლაღრავდა ყელს და გაატყავებდა. ყელმოღრეცილი თიკანი კი კიკინებდა, ბიჭს უყურებდა, რა მიქენიო, ეკითხებოდა გაცივებული თვალებით. ბიჭი მიჩერებოდა თიკანს და ეჩვენებოდა, რომ მთა-კაც-ჯართი გზაშივე ხრავდა და ტკვირავდა ოთახში გაზრდილ, საწოლიდან საწოლზე ხტუნვით განებვივრებულ მის თეთრ თიკანს. ცრემლები ახრჩობდა, ყელში, ცხვირში და თვალებში ებჯინებოდა ერთდროულად. რცხვენოდა და ცრემლებს ყლაპავდა, თითქოს სურდო აწუხებდა, თითქოს სულ სხვა რაღაც ტკენდა და სწვავდა ორთავ თვალს.

სახლისაკენ მიდიოდნენ ხელცარიელი დედა და შვილი. ერთმანეთს აღარ უყურებდნენ, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

— გამოადგი, ქალო, ფეხი! — ჯავრობდა ბიჭი.

— რა მიგაზრდინებებს, რა გეჩქარება! — გაღიმებას ცდილობდა ქალი და გაჩქარებით მიმავალ ბავშვს არ უნდოდა ჩამორჩენოდა.

სადღაც ვიღაც იცინოდა, საიდანღაც თიკანის გულსგამაწვრილებელი კიკინი ისმოდა. ამას როგორ აპატიებდა ადამიანებს, ის ბიჭი რომ შურისმაძიებელი ყოფილიყო. შურისგება ხომ პატარა ადამიანების, ხვედრი, ჩვევა და წესია. ბავშვის სიძულვილზე დიდი საზღაური კი არ არსებობს ბუნებაში და, კიდევ კარგი, ეს სიძულვილი რომ წამიერია მხოლოდ.

ცირკი ტორტმანებდა იუპიტერის შუქზე.

კარვის კალთებს და ორკესტრის ხმას აფრიალებდა ქალიყონი.

ქშინავდა ოფლში, ბოლში და ორთქლში გახვეული გამარჯვებული პალიყო.

— ლეკური, პალიყო, ლეკური, პალიყო! — გაპკიოდა ვიღაც.

ბეკევებისყლაპია პალიკოს შინ, ტახტზე წამოგორება ერჩია ყველაფერს. ერთი ტომარა ფული რომ ჰქონოდა, გარეთ არ გამოიხედავდა. იკოტრიალებდა და იქნებოდა, კაციშვილს არ შეახსენებდა თავს, ადამიანს არ შეაწუხებდა, ბეკევებსაც აღარ გადაყლაპავდა, რძესა და მაწონზე გადასული მიხედავდა დაავადებულ ღვიძლს.

— ლეკური, პალიყო, ლეკური, პალიყო!

ქშინავდა პალიყო.

ნესტოებიდან აფრქვევდა ნახერხს, იარუსებიდან აფუტებულ თამბაქოს ბოლს, ორთქლს და ქარს.

— ლეკური, პალიყო, ლეკური, პალიყო!

სპილენძის საყვირებმა ახია კარვის გუმბათი, საცეკვაო მუსიკის ხმა დაიკარგა ქარში.

ქართულს ცეკვავდა ლეკურის მაგივრად პალიყო.

ცეკვა ის იყო, თუ იყო.

ზრიალებდა ცირკი. ტორტმანებდა გივანტური ყვითელი კარავი.

აფრების ტკაცუნა და მუსიკის ხმა მიდიოდა მოკრიალებული ცისკენ.

305 მოიბანა წიგნები. ერიმლე?

დილაადრიან ეზოში შემოვიდა მეზობლის ბიჭი, რომელიც ნავთის სასესხებლად გამოეგზავნა დედამისს. ხელში ბოთლი ეჭირა და მისურისამირა აბუძგული იღვა აივნის ქვემოთ, კინბესთან. რა არისო, მითხრა, როცა

ნავთი წაიღო, თქვენ სახლში რაები ყრიაო. სად-მეთქი? ქვევითო. ჩავყვი და მართლაც უცნაურ სანახაობას გადავაწყდი. მოუთავებელი სართულის შუა ოთახის კუთხეში დალურსმული ყუთი, სიგარტივ დაგორგლილი, თხელ-



საბანშემოხვეული შეკერა და მოზრდილი ფუთა იყო მიწყობილი. ალბათ ვინმემ მოგვებარა შესანახად-მეთქი, ვუთხარი მეზობელს, ჩვენთან ამოსვლამდე კარგად რომ მიეთვლიერ-მოეთვლიერებინა იქაურობა. ალბათო, თავის ფხანით დამეთანხმა გაბუძვული მეზობელი და წავიდა. არადა, მართლაც ვის უნდა მოეტანა ასეთი უჩვეულო ბარგი ამ დილაადრიანად. დაფუძახე დედას. დედამ თქვა, მეც პირველად ვხედავ, საიდან გაჩნდა, არ ვიციო. ალბათო, დამით მოიტანა ვილაცამ, აქ დაალაგა დროებით, სადაცაა მოვა და წაიღებსო. ან ყუთში რა ეწყვო, ან ფუთაში რა ელაგა, ან საბანში რა იყო შეგორგლილი, ვერ გავიგეთ. ხელი არაფრისთვის გვიხლია, ისე გავეცალეთ იქაურობას.

მოშუადღევდა. მზე გადაიხარა. პატრონი არ ჩანდა. ვილაცამ თქვა, საშარო და სახათაბალო სუნი უდის ამ საქმესო, წავიდა და უბნის კომიტეტის თავმჯდომარე ერმილე კობრიძე მოიყვანა. თავმჯდომარემ დიდხანს უტრიალა ნივთებს შორიახლო. ყუთს თითი მიუკაკუნა, პაერი შეიყნოსა რამდენჯერმე და ღმერთი არ გაგიწყრეთ, არ გაეკართო რამესო, გავგაფრთხილა. ამ საბანში შეიძლება მკვდარიც არის შეხვეულიო. საბანში შეხვეული მკვდარი გვაკლდა, მეტი არაფერი. სადაც საჭიროა, იქ წავალ, განვაცხადებ და ისინი გავარკვევენ ყველაფერსო, წავიდა და იმ დღეს აღარ გამოჩენილა. თეთრად გავათენეთ ის წყნარი, უქარო და ვარსკვლავიანი ღამე. ნიავის შრიალის, ძირს ჩამოვარდნილი ფოთლის ხმაური გვაკრთობდა და გვაშინებდა. ან ბარგის პატრონი მოგვაკითხავდა, ან მომკითხველის მომკითხველები გამოჩნდებოდნენ, თუკი გამოჩენილი და ჩასაფრებულნი არ იყვნენ ახლომახლო. შეიძლება მკვდრის სული გამოსულიყო ლანდალ და ჩრდილად ნაშუაღამევს და ბოდიალი დაეწყო სარდაფში და კიბის ქვეშ. გამთენიის ხანს დაუბრუნდებოდა იგი ვარსს, მავრამ

გათენებამდე რა გაძლებდა. როდესაც ჩამეძინა, აღარ მახსოვს. ძილში ვგრძობდები, როგორ დადიოდა სული ეზოში, მთვარის ნათელს გაუბრბოდა, ჩრდილებს ეფარებოდა; თენდებოდა, რიბირაბო ედებოდა მიწას და საბანში შეხვეული სხეული არ იღებდა მარტოულ სულს. გათანგულმა გავიღვიძე. მზის ამოსვლის შემდეგ დედა მეზობლის ქალებს ელაპარაკებოდა ეზოში. მოგვიანებით უბნის კომიტეტის თავმჯდომარე ერმილე კობრიძემ გამომჩნდა. ღირსეული იერის მქონე კაცთან ერთად მოვიდა. მოწმევების თანდასწრებით გახსნეს და დათვლიერეს ყველაფერი. ფუთაში ქალის ნახმარი ტანსაცმელი და საცვლები აღმოჩნდა; თხელ საბანში კი, სადაც მკვდარი უნდა ყოფილიყო — ქვეშაგები, ხოლო ყუთში — წიგნები, წიგნების ყუთიც გაჩხრიკეს, წიგნებიც გადაათვლიერეს, საეჭვო ვერაფერი ნახეს, ეტყობოდა, და ყუთი ისევ დალურსმეს, ფუთა და ქვეშაგები კი თან წაიღეს. ყუთს ხელი არ ახლოთო, დაიბარეს წასვლისას. რა პოლიტიკური და კრიმინალური მოსაზრებით გააქანეს ქალის საცვლები და საბან-გობანი და დატოვეს წიგნები, ჩემთვის პირადად. გაუგებარი დარჩა. აღარც უბნის კომიტეტის თავმჯდომარე ერმილეს მოუკითხებია წიგნებისათვის და აღარც იმ კაცს შეუწუხებია თავი, ერმილეს რომ მოჰყვა.

დღისით, მზისით, მთელი ერთი კვირა ვუტრიალებდები დაჭედულ ყუთს. დამით მიცვლებულის სული მოჭვრებოდა ჭიშკარში და დალურსმულ ყუთს არ შორდებოდა. რა უნდოდა, რას ეძებდა, რა დარჩენოდა, რა წიგნები ჰქონდა ნეტავ იმ ყუთში დატოვებული, ასეთნაირად რომ უჭირდა განშორება. იქნებ ეფუთი ჰქონდა გადამაღული. ის ეფუთი, სადაც ყველაფერი იყო გათვლილი და გაანგარიშებული, სა-

გაყო მკითხველი
მუსია ანდრე

დაც ადამიანის ცხოვრების, სიცოცხლის დასაწყისისა და დასასრულის თავი და ბოლო იყო განსაზღვრული; კაცობრიობის, ადამიანთა მოდგმის არსებობის მიზანი და დანიშნულება იყო განმარტებული.

ეფუთზე ფიქრმა თავგზა ამიზნია და ჩემი დაქინებული მოთხოვნით კვირის-თავზე დალურსმული ყუთის სახურავი ავსენით; ჩემთვის სრულიად უცნობი, ნახევრად ნაცნობი და ნაცნობი წიგნები ამოვკექეთ. მათ შორის: მალაქია ტორთშელიძის თარგმნილი მარქსის „კაპიტალი“, ბაბელის „ქალი და სოციალიზმი“, კაუტცის რამდენიმე ნაკლებად ცნობილი ბროშურა, სოფრომ მგალობლიშვილის „ჯარსაქარა“ და სხვა. ეფუთი არ აღმოჩნდა. თუმცა, ჯერ ვინ იცოდა. ბევრ წიგნს ყდა და ფორზაცი ჰქონდა ახელი, ზოგს ხაზვი და ბოლო აკლდა, ზოგიერთი კი ისე იყო დაქექილი და გაუბედურებული, რომ ძნელად თუ რაიმეს ვაარჩევდა გამოცდილი ბიბლიოგრაფიც. სამწუხაროდ, ვერც ერთ მათგანს ეფუთს ვერ მიამგვანებდი. ზურმუხტის თვლებიან ეტრატს, წინასწარმეტყველას დაწერილ ბედის წიგნს სხვა იერი და ელფერი უნდა ჰქონოდა, ჩემი მიხვედრილობით. და მაინც ყველა მათგანს სათითაოდ, საფუძვლიდან სჭირდებოდა გაჩხრეკა და ვადასინჯვა. მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი შემომჩრა იმდროინდელი ნადავლიდან დღესდღეობით. არც ერთ მათგანს საზოგადო თუ კერძო საყუთრების დამადასტურებელი დამლა არ აზის. არც ბიბლიოთეკის ბეჭედი ჩანს, არც პატრონის ფაქსიმილე და ლეგენდა. ერთი წიგნის შუა ნაწილში, პირდაპირ ნაბეჭდ ვგვირდზე თუთუნის დაჭრის წესზე იყო დაწერილებით ლაპარაკი; ერთგან ეწერა,

ციცინო უდრის მიტუშასო; სხვაგან კიდევ უფრო უაზრო და უმნიშვნელო მინაწერები აღმოჩნდა. ხელის ჩასაჭიდებელს იმთავითვე ვერ მივაკვლი ვერაფერს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თავი ძალიანაც არ ამიტყევივბა, დიდის გულმოდგინებით არ მიძენია პატრონი იმ წიგნებისა, რომლებიც ისევე იოლად გავანიავე იმ მოკლე ხანში, როგორ შევიძინე.

იმ გვალვიან ზაფხულს კი კაკლის ხის ტოტებში ფიცრებისაგან ნარის-მაგვარი რაღაც შევკედე და შევხაბაკე კიდევ მულთაქიან-წიგნებიანად. ვიწქეი ნარზე გულადმა ჩრდილში და სიგრილეში; ვკითხულობდი წიგნებს, ვკითხულობდი გატაცებით, შვებით, ოხვრით, სიცოცლ-ტირილით. გვიანობამდე, ომის დამთავრებამდე და ომის დამთავრების შემდეგაც ვკითხულობდი ყველაფერს სოფრომ მგალობლიშვილიდან დაწყებული კაუტცით გათავებული და ეფუთზე ნატვრით და დარდით შეჭირვებულს ბოლომდე არაფერი არ მაკმაყოფილებდა. ეფუთისმაგვარი რაღაც გამოანათებდა ზოგჯერ გაცრეცილი, გადაყვითლებული წიგნის გვერდებიდან, მაგრამ ასე ნაწილ-ნაწილ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ შეკოწიწებული ეფუთით როდის გავიდოდი ბოლოში. მე მინდოდა ეფუთი მთლიანად, ერთ წიგნად თავმოყრილი ეფუთი მჭირდებოდა.

ადრე თუ მალე ვიპოვიდი, მეგონა, არარსებულ ბედის წიგნს, იმ იმედით ვიძინებდი და ვგრძნობდი, როგორ დაბოდილობდა მარტოული სული ეზოში; მთვარის ნათელს არიდებდა თავს და ჩრდილებს ეფარებოდა წიგნების პატრონი, უსხეულო არსება. რალაცას ეძებდა, რალაცას აყურადებდა, წუხდა და გათენებამდე უბრუნდებოდა გარსს.

პროზილი

გინახავთ, ალბათ, ჩვენებური სახლების გრილი სადარბაზოები. სარულნახევრიანი, თამბაქოს ხმელი

ფოთლისფერი ქვით მოპირკეთებული ასეთი საცხოვრებლები კიდევ არის შემორჩენილი აქა-იქ. პორტალი სახ-



ლინა ფასადთან, ზედა დიდ, ქვედა პატარა ფანჯრებთან არის გამთლიანებული. ზღურბლიდანვე იწყება რამდენიმე საფეხურიანი, ქვის შიდა კიბე, რომელიც ბაზოვებდაჭრელებულ, მაღალ, სქელ კართან თავდება. კიბეს მარჯვნივ და მარცხნივ ვიწრო ბაქნები აქვს ჩაყოლებული, ქვის მოგრძო სკამლოგინებს რომ მოგაგონებთ. ზაფხულში, როცა ქალაქს ალმური ასდის, აქ გრილა, სიწყნარე და სიმშვიდეა, მით უმეტეს, როცა ეს საზეიმო სადარბაზოები ფაქტიურად გაუქმებულია და მობინადრეები სახლთან ეზოსა და სათავსოების მხრიდან ამყარებენ ურთიერთობას.

ერთ ასეთ სადარბაზოში გაატარა მთელი ზაფხული მხატვარმა პორფირმა, უფრო სწორედ, პროფილმა. პროფილში ხატავდა ადამიანებს და ეს სახელი შერქმეოდა სასიყვარულოდ. ზოგიერთებს კი, მათ შორის მეც, პროფილი და პორფირი გვერეოდა ერთმანეთში. იჯდა ეს პროფილი, პორფირი თუ პორფილე ერთ იმნაირ გრილ სადარბაზოში, ზემოთ რომ აგვიწერეთ, და ხატავდა. ალბომი, წებოს კოლოფი, მაკრატელი, საშლელი, სხვადასხვა ზომისა და ფერის ქაღალდები ჰქონდა კიბეზე დალაგებული. მოხალისეებს, საკმარისზე მეტი რომ აღმოჩნდნენ თავდაპირველად, თავარა მზეში აჩერებდა გვერდულად. თვითონ ჩრდილს შეფარებული ნელა და დაკვირვებულად ხაზავდა პროფილს. ხაზვა-ხატვას მორჩებოდა თუ არა, ფანქარს გვერდზე გადადებდა და მაკრატელს მოკიდებდა ხელს, აკურატულად ამოჭრიდა შავ ქაღალდზე შემოხაზულ პროფილს, დააწებებდა მოიხფრო-მოთეთრო მუყაოზე და პორტრეტიც მზად იყო. გასამრჯელოს, რაღაც უმნიშვნელო თანხას, წინასწარ იღებდა და გაცივებული მოქალაქე დიდხანს უკმაყოფილოდ დასცქეროდა თავისისავე აჩრდილს.

სათომბით ვმდგარვარ და მიყურებია ტროტუარის ქვის ფილაქანზე დაჩენილი მოქალაქის პროფილისათვის და

მხატვარი პროფილისათვის. დარწმუნებული ვიყავი, ჩრდილებს ხატავდა; მზეში მდგარი ადამიანის ჩრდილს დაჰყურებდა და ქაღალდზე ლანდები გადაჰქონდა. უხმაუროდ, რბილად, ლანდევით მუშაობდა თვითონაც; ყრუდ და უსიამოდ ახველებდა დროდადრო.

მზის ჩასვლისას, როცა ჩრდილები უსაშველოდ, არაბუნებრივად დაგრძელებოდა, ქვენა რომ წამოუქიჩინებდა, მხატვარს მუშაობის ხალისი უნელდებოდა და დასიცხული მილიციელი ბეჟუამქე გამოჩნდებოდა დაბარბანულივით, სადარბაზოსთან შეჩერდებოდა მოყაფული სახით.

— აქ ხარ შენ კიდევ?! — ეკითხებოდა მხატვარს და ქუდის გაოფლილ სარჩულს ამშრალეზდა ცხვირსახოცი.

— აქ ვარ, უფროსო! — პასუხობდა პროფილი.

— რა ვითხარი მერე მე შენ?.. მერამდენედ უნდა გაგაფრთხილო, წადი აქედან!..

— სად წავიდე, უფროსო, აღარ ვხატო?.. — პროფილი ალბომს კეცავდა, ათნაირად მიჭრილ-მოჭრილ შავ ქაღალდებს ალაგებდა შიგ.

— ჩემ უბანს გაშორდი და გინდა ხატე, გინდა ქვეები ირტყი თავში!

— კარგი კაცო, რატომ იცი მაგნაირი ლაპარაკი... — ყრუდ და უსიამოდ ახველებდა პროფილი; საშლელს, მაკრატელს, ფუნჯს და ფანქრებს ტილოს ხალათის ჯიბეში ილაგებდა და წასასვლელად ემზადებოდა. საყელის აიწვედა და ისე ფრთხილად გამოჰყოფდა თავს სადარბაზოდან, თითქოს წვიმდა ან ცივი ქარშიშხართი უბერავდა, მზეში გაცივების ეშინიაო, გვეგონებოდათ.

— კარვად იყავი! — უკანმოუხედავად ემშვიდობებოდა მილიციელ ბეჟუამქეს და მეორე დღეს ასიცხებამდე უბრუნდებოდა წინანდელ პოზიციას. მზის გადასვლამდე, სანამ ჩრდილები

კაზო ვიოვნილი
მსსიაა მარში



უსაშველოდ და არაბუნებრივად არ დაგროვდებოდნენ, სანამ ბექუაძეც არ გამოვიდოდა არენაზე, იჭდა და ჩრდილებს აგროვებდა. ისე მუშაობდა აგვისტოს ბოლომდე, თითქმის მთელი ზაფხული.

ერთ აუქმებულ დღეს ფაშეგადმოტრიალებულმა მიეტლე კანდაურიძემ ჩამოიარა და პროფილს უთხრა, დამხატვე, მხოლოდ ისე არა, შენ რომ ხატავო.

— აბა როგორ?

— აი ისე, როგორც მიყურებ, თანაც ყანწით ხელში.

მაგნაირად არ ვხატავო, უთხრა მხატვარმა, თანაც ყანწი არა მაქვსო.

— არ გაქვს და იშოვნე, ანდა წარმოიდგინე შენი საკუთარი ფანტაზიით, ფული თუ გინდა, ა, ფული... გიყიდი, ვაგყიდი ნახატებიან, სულიან-დედამამაინა!.. — კანდაურიძემ დაკუჭული წითელი სამთუმნიანები ამოიღო ბლუჯად.

წადი, თავი დამანებე, ვერ დაგხატავო, ფუბნებოდა მხატვარი. გინდა თუ არა, დამხატვე, არ ეშვებოდა მეეტლე.

— აღარ ვხატავ, ვანებებ მხატვრობას თავს! — წამოიყვირა პროფილმა და ხველებ-ხველებით ჩაიყარა ჯიბეში საშლელი, მაკრატელი და ფანქრები.

— მაშინ დავლიოთ! — უთხრა მეეტლემ.

— არ ვსვამ.

— არ ხატავ, არ სვამ... აბა რას მიკეთებ?.. მუქთად გინდა იცხოვრო, ხომ?.. — სინანულით გადააქნია თავი კანდაურიძემ, წითელი სამთუმნიანები ისევ გალიფეს ჯიბეში ჩაიკუჭა, მხატვარს საყელოში სტაცა ხელი და სადარბაზოდან გამოათრია. პროფილმა ტილოს ხალათის საყელოს წამოწე-

ვა მოასწრო, გარეთ რომ გამოსდიოდაც ასედა, კედლისკენ გაიწია, ისე წაიხარა, თითქმის ქარიშიხაროს მოერიდა, მზეში შეცივდა თითქოს.

კანდაურიძეს ხელი აღარ გაუშვია პროფილისათვის. მარჯვნივ გაუხვიეს. ჯერ თვითონ გაქრნენ, შემდეგ მათი ჩრდილები გაცოცდა და გაუჩინარდა დამტკერილ ქვაფენილზე. სად წავიდნენ, არ ვიცი. კანდაურიძეს იმ დღეებში სადგურთან და სასტუმროსთან ფაეტონის კოფოზე დაფუებულს ვხედავდი, მხატვარი პროფილი კი იმ დღის შემდეგ ჩვენკენ აღარ გამოჩენილა.

აშუადღებულს დეხაკრეფით ჩავუვლიდი იმ ალაგს, სადაც პროფილი მუშაობდა ერთი ზაფხული. ჩრდილში შემალულ ლანდს ვხედავდი შორიდან. გამოცარიელებულ სადარბაზოს შევათვალიერებდი და ჩრდილისმაგვარი რაღაც გადაუვლიდა ქვის კიბეს და სკამლოვინებს. ჩრდილის შრიალი მესმოდა ჩადუმებულ სიციხილეში. გავცდებოდი იქაურობას და სადარბაზოდან გამოსული ლანდი შეირხეოდა ზურგს უკან. იგი ზევით იხედებოდა, წვიმს თუ არაო, აინტერესებდა. მზეში გაცივების ეშინოდა, სხივების წვიმას არიდებდა თავს და ისევ სადარბაზოში იმალებოდა შრიალით.

ბავშვებმა თქვეს, მხატვარი პროფილი გერმანიის სამხედრო დაზვერვის აგენტი აღმოჩნდა და დაიჭირესო. ათიოდე წლის შემდეგ კი ეს აგენტი საგარეუბნო მატარებელში დავინახე. გამხდარს და წვერმოშვებულს გახუნებული პიჯაკის საყელო ჰქონდა ბოლომდე აწეული. ასველებდა უფრო ყრუდ და უსიამოდ, ვიდრე ადრე. სტალინისა და კეკეს ფოტოსურათებს ყიდდა.

ბარეზაძე და ბეჟუაძე

სახლიდან სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე სადგური მედო გზად და სევალად. სკოლიდან სახლში მომავლი საბარგო განყოფილების უზარ-

მაზარ საწყობებთან ვიდექი ხოლმე და ვუყურებდი, როგორი ხრილით იღებოდა და იხურებოდა ტყვიისფერი რკინის კარები. რიჟის ქვით მოკირ-

წყლულ მოედანზე ორცენიანი ჯაგეები და დანჯღრეული მანქანები იდგნენ. ნეხვის, თივის და მახუთის სუნი იყო არეული ერთმანეთში. საბარგო ვაგონების ბუფერების ჯახავუხი ისმოდა დროდადრო. სწრაფად აცარიელებდნენ გაქძგილ ვაგონებს მტვირთვები, ტომრებს და ყუთებს საწყობებში მიაბრებინებდნენ საკვირველი სისწრაფით. საწყობებს კი მოედნის მხრიდან აცარიელებდნენ შუადღისას და იმ არემარეზე სიჩუმე ისადგურებდა. მანქანები აღარ ჩანდა. ვაგონების ბუფერების ჯახანი არ ისმოდა, ყურჩამოყრილი, ბუზებდახვეული რამდენიმე ცხენი თვლემდა პატივით, თივით და ნაჩვის ნარჩენებით დაფარულ ეზოში. საწყობის ვაჰვე მინავო ბარებაძე ქვირტებს ატოლებდა ერთმანეთს, ხელს აწერდა ქიმიური ფანქრით და გიგანტური სასწორის თავქუდზე ხელჩამოდებული რაღაცას გუნებაში ანგარიშობდა. დაბალი ტანის ჩოფურა კაცს მოჭერილი ცეცხლისფერი თმა ჰქონდა, „ორისი“ საწყობი აბარიაო, ამბობდნენ. რა იყო ეს „ორისი“, არ ვიცი, მაგრამ მდიდარ და სარფიან საკუჭნაოს შურით და სიხარბით რომ შეჰყურებდნენ ზოგიერთები, კარგად ვატყობდი.

უფრთხილდებოდა მინავო ბარებაძე, ძალიან უფრთხილდებოდა ღვთითობებულ თანამდებობას, თავის ადგილსამყოფელს, სამწყსოს და ციტადელს. ეკლესიის აღსავლის კარივით აღებდა საწყობს. ჯერ ქუდს შეგადებდა შიგ, არ დაინავსო და შემდეგ შედიოდა თვითონაც მოწიწებით და თაყვანისცემით, ბუტბუტებდა, ლაპარაკობდა თუ ლოცულობდა, ვერ გაიგებდი, თან ბერტყავდა მტვერში ამოგანგლულ ქუდს, ჟოკეს რომ ეძახდნენ იმხანად.

ერთ დილით, სკოლაში დაგვიანებული და უსაქმურად გაჩერებული რომ დამიგულა, ცარიელი ყუთები მათრევისა და მადლობის მაგივრად ფული შემომთავაზა. რომ არ ავიღე, სინანულით გადმომხედა. კაცი არ გამოვა შე-

ნგანო, ვაიფიქრა, მე მგონი. მეორედ დღეს მითხრა, რა კარგი ფეხის ყოფილხარ, შედი საწყობში გაიარ-გამოიარეო. შევედი. დავათვალიერე ათასნაირი ხარახურით გამოტენილი, უცხო და უცნაური სუნით გაელენთილი, ნახევრად ბნელი, ნახევრად ილუმალი შენობა. ბარემ ყოველ დილით შემოიარე და პატივისცემა ჩემზე იყოსო, მითხრა წასვლისას. ქუდის მაგივრად ვკირდებოდი, შევატყვე. ჩემი უნდო, ღიმილნარევი მზერა რომ დიჭირა, რა იყო, შე კაი კაცო, რას მამადლი მაგ შენ ფეხსო, ჩაილაპარაკა ქვირტების წერაში გართულმა და იმ დღის შემდეგ აღარც ვახსენებდით. თუმცა იმ ადგილებში ვტრიალებდი ისევ სკოლიდან დაბრუნებული. ჩემთვის ისედაც, აღარ ეცალა. ნამილიციელარი ბეჟუაძე ჩაუსახლდა საწყობთან. ბეჟუაძე პაგონებამძვრალი ფორმით დადიოდა კვლავ და ბარებაძეს გულს უხეთქავდა. შეიძლება სხვა ტანსაცმელი არც ჰქონდა, მაგრამ, მინავოსთან რომ ანგარიშს ასწორებდა, ადვილი მისახვედრი იყო.

— წადი, ჩემო კეთილო, თავი დამანებე, რას დამდგომიხარ თავზე, საქმე არაფერი გაქვს?! — ღიმილით კითხულობდა მინავო.

— რა ვქნა, საწყალი კაცი ვარ, ხან აქ ვიდგები, ხან გავიარ-გამოვიარ... მიშლი ამ საზოგადო ადგილზე ყოფნას თუ რა გინდა? — არანაკლები თავზიანობით ეპასუხებოდა ბეჟუაძე.

— ვახ, ეს ვინ არი, კაცო! — ხელებს ასავსავებდა ნერვებმოშლილი ბარებაძე და საწყობში იკეტებოდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოყოფდა კარში თავს და ხედავდა, რომ ბეჟუაძე ან სვეტზე იყო აყუდებული, ან სვეტის ძირში იჯდა, ანდა საწყობის წინ მხდი-მოდოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი.

რაჟო ზაიზვილი
მუსიაა ჯანში

რა უნდა, რას გადამიკვიდაო, კითხულობდა ხასიათმოწმამული ბარებაძე:

— ველში რამეს? — უკვირდა ბექუაძეს.

ცრუმორწმუნე მინაგოს ავი წინათგონობა აწუხებდა და ბექუაძის დანახვაზე აციებდა და აცხლებდა. გულისყურადფანტულს აწყობილი საქმეები უფუჭედებოდა, ანგარიშები ერეოდა, გულმავიწყობას უჩიოდა. სხვა გზა აღარ ჩანდა და ბექუაძეს ჯამაგირი გაუჩინა. ფულს ჯადავუხდი, ოღონდ აქ ნუ გაჩერდება, სხვაგან დადგეს, არ დამენახოსო, დააბარა შუამავალს და ბექუაძემაც სიამოვნებით მოაწერა ხელი ამ გარიგებას, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ბექუაძე დროდროდ გაილანდებოდა მაინც და, ჩემი შეტყობით, თვით მინაგო არღვევდა ხელშეკრულების რომელიმე პუნქტს.

— წადი, ძმაო, რა გინდა... გუშინწინ ხომ იყავი... დამანებე თავი, ოთხშაბათამდე არ მოვალო, ხომ მითხარი.

— ოთხშაბათა უხსტად... — ხმადაბლა ახსენებდა ბექუაძე.

— მერე რა გინდა, შენი მმართველს რამე? — წონასწორობას კარგავდა მინაგო.

— შენ თვითონ რა გინდა — ხმას უწევდა ბექუაძეც; — მიშლი აქ დგომის?... გთხოვს ვინმე რამეს?... მიკრძალავ სიარულს?... იქნებ სუნთქვის საშუალებაც აღარ მომცე, ეს ჰაერიც შენია, ხომ?! —

— რა გაყვირებს, შენ გადაგიშენდა პატრონ-მყვარებელი! — აყალბავალს და დავიდარაბას ერიდებოდა ბარებაძე; ერთი წლის ფული შესთავაზა ერთხელ წინასწარ. ერთად მოცემული ერთად დამეხარჯებო, უარი უთხრა ბექუაძემ.

— ეს ტანსაცმელი მაინც გაიხადე და ისე მოდი, ხომ აღარ მუშაობ იმ დასაწავავში?!

— რას გიშლის შენ ჩემი ტანსაცმელი, საკმელს გთხოვს თუ სასმელს?..

— ა, მაშინ გასაღები! — საწყობის

უზარმაზარი გასაღები გადმოუღლო მინაგომ.

— რად მინდა შენი გასაღები?

— ველარ ამოვედი, შე ოჯახდაქტეულო, შენი ვალიდან, მოდი და იმუშავე ჩემს მაგივრად!

იფიქრა, იფიქრა მინაგო ბარებაძემ, რა მოეუხებოდა ამ ბექუაძესო. რომ მოვაკვლევინო, ძვირი დამიჯდება და ისევ სამსახურში მოვაწყობო. მოაწყობ კიდევ. რომელიმე საფინანსო დაწესებულებაში განამწყესა დაბალი რანგის მოხელედ. ბექუაძე კი ექვს თვეში დაწინაურდა და რევიზორ-კონტროლიორად ჩაუჯდა „ორსის“ საწყობის გამგეს.

მეაცრად, ხანგრძლივად, საფუძვლიანად ამოწმებდა ბექუაძე საწყობის შემოსავალ-გასავალს, სათვალემომარჩვებული ჩაპკირკიტებდა უწყისებს და საანგარიშოს აჩხაკუნებდა; ცარიელ დავთრებს და რეკულებს ხაზავდა, ახალ გრაფებს უმატებდა ძველს. სამუდამოდ აპირებდა თითქოს იქ დასახლებას.

თავაზიანი, ზრდილობიანი, თქვენობით მოლაპარაკე, მოლიმარი ბარებაძე ბედმერიგებულს დამგვანებოდა; ეფერებოდა, ელოლიავებოდა ახალგამომცხვარ რევიზორს; თვის ბოლოს კი ქრთამის ფული დაუნომრა და მილიცია დააყენა თავზე. დაიპირეს ჩვენი ბექუაძე და ჩვენი ბარებაძეც მიაყოლეს ზედ. რაღაც საუბედუროდ, შეიძლება საგანგებოდაც, ერთ კამერაში მოხვდნენ ორთვენი.

— შენ, კაცო, მომავრებელი ხომ არა ხარ ჩემზე!.. — გულის-ფრიალი აუვარდა ბარებაძეს ბექუაძის დანახვაზე.

ბექუაძეს არაფერი უთქვამს. ხელბარგი ბარებაძის ნარზე დაალაგა და დაბნეულმა მიათვალეირა იქაურობა.

ერთ საკანში ისხდნენ, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, მოსაკითხსა და ძღვენს არ იყოფდნენ, მაგრამ მაინც გლახად ეჩხირებოდნენ თვალში ერთმეორეს. ხანდახან მარტონი რჩებოდნენ ოთხკედელშუა.



წავიდე ძმავო, თავი დამანებე! —
 ეხვეწებოდა გულშემოყრილი ბარგ-
 ბაძე.

— წავიდე კარგია, ვინ მიშვებს? —
 უკვირდა ბეჟუაძეს.

ვადაზე ადრე, თითქმის ერთდროულ-
 ლად გამოვიდნენ ციხიდან.

დავაადებული მინავო მალე გარ-
 დიცვალა. საფინხიის სასაფლაოზე დაკ-
 რძალეს. დიდძალმა ხალხმა ვააცილა
 უკანასკნელ ვაზზე.

ბეჟუაძეც მიჰყვებოდა სხვებთან ერ-
 თად პროცესიას. ძალიან კარგად მახ-

სოვს, ლურჯი, გრძელი მაკინტოში ეცვა.
 რაღაც დაუსრულებელ ამბავს უყვებო-
 და თანამგზავს. ქუდი მარჯვენა ხელ-
 ში ეჭირა, ნელა მიდიოდა და თავწახ-
 რილი ლაპარაკობდა. როცა მკვდარი
 სამარეში ჩაასვენეს. მაშინლა გაჩერ-
 და. დადინჯდა, წინ წავიდა, ნედლი
 ბელტების გროვასზე შედგა, ქუდი და
 ხელები გულზე დაიმწყვდია. საფლავს
 ჩაჩერდა დამწუხრებული და დანაღ-
 ვლიანებული.

სიტყვა არ უთქვამს, ასეთ რამეს მწერ-
 ლები იგონებენ ხოლმე.

ნატალია მისერიძე

ჩემნი ქართლის მასწავლებელი
 ნატალია მისერიძე დარწმუნებული იყო,
 რომ ბაზალეთის ტბა სამეგრელოში
 მდებარეობდა. როცა ვუთხარი, სამეგ-
 რელოში კი არა, რაჭაშია-მეთქი (მეც
 კარგად ვიცოდი გეოგრაფია), ისე გა-
 მეტებით მოხლოვა გრძელი სახაზავი,
 რომ კინაღამ თავი გამიროფა გახარე-
 ბული თანაკლასელების თვალწინ. ზონ-
 ზონა, სქელი დედაკაცი იყო ნატა-
 ლია მისერიძე. ყოველად გულკეთილმა
 ადამიანმა დაუზოგავი ცემა იცოდა.
 თანამედროვე მედაგოგიკურ მეცნიერე-
 ბათა მიღწევებსა და მეთოდოლოგიას პრინ-
 ციპულად არ იზიარებდა. სახაზავი,
 ჯოხი, თმის ბლდენა და ჩქმეტა იყო მი-
 სი აღზრდისა და შეგონების უტყუა-
 რი იარაღი. კიდევ კარგი, სიარული ეზა-
 რებოდა, ეზარებოდა და უჭირდა კი-
 დეც, თორემ, ვინ იცის, როგორ ტკბი-
 ლად დაამახსოვრდებოდათ მისი ხელი
 უკანა მერხებზე მოკალათებულ მოს-
 წავლევებს, ცოდნისა და დისციპლინის
 გამოშვებება რომ არ უყვართ ეგერ-
 რივად. ჯოხით ხელში შემოჭდებოდა
 ნატალია პირველ, თავისუფალ მერხზე,
 საგულდაგულოდ, თუმცა უშედეგოდ
 იქაჩავდა შალის ვატრეილ ქვედა-
 წელს მრგვალ, მსხვილ მუხლისთავებ-
 ზე და გრძელი, ფოხანო, მწვანე ნიფ-
 ხავი მოუჩანდა მაინც.

ერთ დღეს მერხზე აღარ შემომჯდა-
 რა. დაფიქრებული იდგა დაფასთან და
 უაზროდ მოგვიჩერებოდა. გვიყურებდა
 და ვერ გვხედავდა. ახმაურებულ, თავ-
 გასულ ჯგუფს ყურადღებას არ აქ-
 ცევდა. აღარც კიოდა, აღარც გვირტ-
 ყამდა. მოდი აქო, რატომღაც მე გა-
 მომარჩია იმდენ ჯარში. რა გნებაეთ-
 მეთქი, შორიასლო გავჩერდი ყოველ
 შემთხვევისთვის.

— მოდი, ნუ გეშინია!
 მივედი.

ღირექტორის სახლი ხომ იცი, სად
 არისო. კი-მეთქი. ვიცოდი, სადაც იყო.
 ამ წერილსო — საგულდაგულოდ გა-
 დაწეპილი კონვერტი ამოიღო ჩან-
 თიდან, — გადასცემ ზინასო. ღირექ-
 ტორის მეუღლე ზინა გეოგრაფიას
 გვასწავლიდა, იმჟამად დეკრეტულში
 გახლდათ. წავიღებ-მეთქი, დავეთან-
 ხმე სიხარულით. ჩემი ერთგულებით
 შეეჭვებული ნატალია კი კარგა ხანი
 გამომცდელად მომიჩერებოდა.

— არ გახსნა, თვარა ნიშანს ვეღარ
 ეღირსები შენს ცხოვრებაში!

სულს თუკი არ ამომხდოდა, ნიშანს რა
 თავში ვიხლიდი. კონვერტის გახსნა კი
 რა საკადრისი იყო. გუნებაშიც არ ვა-

რავო ვაიშვილო
 მუსია ბარში



მივლია ამნაირი რამ. ერთ გაცვეთილს ვაცდენდი, ორსაც ზედ მივყაფლებდი და ჩემი სარგებელიც ეს იქნებოდა.

ეზოდან გასული დირექტორს შევეჩხებე შიგ ცხვირ-პირში. საღ მიდიხარო, მკითხა სხვათა შორის. მიცნო და ვერც მკითხო. მისი სკოლის მოწაფე რომ ვიყავი, ჩაცმულობაზეც მეტყობოდა. ნატალია მასწავლებელმა გამათავისუფლა-მეთქი. ხო, კარგო, ჩაილაპარაკა და წავიდა. გაბრუებული და გაშტერებული დამტოვა. მივხვდი, რაღაც საფათერაკო საქმეში რომ ვტუეცე ფეხი. ზინა მასწავლებელს წერილს მისი ქმარი ჩემზე უკეთ არ გადასცემდა? რატოღამი იყო საქმე. რაც არი, არიმეთქი, გავიფიქრე და წავივი.

როდის-როდის მივიდებო დირექტორის სახლს. სახეაფორაჯებულმა, ფეხმძიმე მასწავლებელმა გამომხედა. გადავეცი წერილი.

— სხვა არაფერი დაუბარებია? — დაინტერესდა ადრესატი.

— სხვა არაფერი.

— ჰო, კარგი... — სწრაფად მიპასუხა მან, უბოდიშოდ მომიხურა კარი და... მეორე დღესვე აირ-დაირია სკოლაში ყველაფერი.

დირექტორი თურმე ქიმიის მასწავლებელზე ყოფილა პრაქტიკულად შეყვარებული. ქიმიის მასწავლებელს ნაყვარებო, ასე თქვეს. ნატალიამ, ესე იგი, ჩემმა ქართულის მასწავლებელმა ეს ამბავი, ჩემი მეშვეობით, შეატყობინა პატივცემულ ზინას — გეოგრაფიის მასწავლებელს, რომელიც, ადრეც მოგახსენეთ, დეკრეტულ შეგბულებში გახლდათ იმეამად და ქიმიის ახალ მასწავლებელს ხეირიანად არც კი იცნობდა. მეორე დღესვე მობრძანდა ზინა მასწავლებელი სკოლაში და სიმღერის მასწავლებელი, რომელსაც ცოტა ნაძრახი სახელი ჰქონდა, მაგრამ ამ ისტორიაში გარეული არ იყო, თმით დაითრია. ქიმიის მასწავლებელს ვერ-სად გადააწყდა და ჩემი ქართულის

მასწავლებელი გამოიწაღდა შიგ-გარეშად თილზე. რა ეპისტოლეებს და ბარათებს მიგზავნი, სხვის ოჯახურ საქმეებში რას ერევი, შე გაათასირებულოო. მე ისეთი ზიზლით გადამომხედა, მიწა გამსკდომოდა, მერჩია. სიმღერიმ მასწავლებელმა, ჩემი ვოკალური მონაცემების გამო, მანამდეც რომ არ ვეხატებოდი გულზე, საბოლოოდ შემიძულა. დირექტორმა რომ ამითგაღწუნა, რაღა ლაპარაკი უნდა, მაგრამ სხვა მასწავლებლებმაც აღმაცერად დამიწყეს ყურება. ფეხმძიმე ქალი გაუნერვიულებიაო, უთქვამს ერთს.

ოთხშაბათს, გაცვეთილების მსვლელობის დროს პაპიროსის მქაჩველ დიდ ბიჭებთან ვიდებო ეზოში მოწვემეთვალყურესავით. სიდანდაც დირექტორი გამოტყვრა. მწველები გაიქცნენ და გააგებულ დირექტორს შეერჩი მე. ილპობ ფილტვებს, ხომო, ილპობ, ხომო; გამცხო და გამომცხო. სულ წერილები და ბარათები მხვდებოდა თავში და კისერში.

კიდევ არ გადავიდოდი იმ სკოლიდან, ნატალია მესერიძეს რომ არ ეთქვა, შენ რომ ზინასთან წერილი არ მიგეტანა, ამნაირ უბედულ დღეში ხომ არ ჩაგვარდებოდიო.

ნატალია კიდევ უფრო გასუქდა, ფეხები დაუსივდა. ომის დამთავრების შემდეგ ძლივსლა დადიოდა. ქუჩაში მხვდებოდა ხანდახან, შორიდან მიღიმოდა, თვალს მიკრავდა. ბოლოს სულ დავარდა. სასწავლებელში სიარული ვეღარ შეძლო. იმდენი დამსახურებაც არ ჰქონია, მოსწავლეებს რომ ხელში აყვანილი ეტარებინათ და სამუდამოდ დაეთხოვა სკოლას, პედაგოგობას.

ომისაგან, გაჭირვებისაგან გაუხეშებული და გატანჯული, მარტონგლა, უშვილძირო ადამიანი ღარიბულ, უბადრუკ ოთახში გამოკეტილი გარდაიცვალა. საძილე წამლების გადაჭარბებული დოზა მიეღო და ვეღარ გაიღვიძა.



არც მართ ივლიანეს არ ჰგავდა არც თვალტანადობით, არც იერით, არც საქციელით. დაბალი, ფართო გულმკერდინი, შუა ხანს გადაცილებული, მელიტი, პირგაპარული და სუფთად ჩაცმული კაცი იყო. სპორტსმენი ვარო, ამბობდა. სხვებიც სპორტსმენს ეძახდნენ. რა სპორტში მონაწილეობდა, გვიანობამდე ვერ გავარკვეე. თვითმფრინვიდან პარაშუტით ხტებოდაო, მთხრეს და ვერ დაევიწყე. წყალში მხტომელს უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე მეპარაშუტეს. ყვინთვის ოსტატიაო, რომ ეთქვათ, ჩემთვის უფრო უპრიანი იქნებოდა. წარმოვიდგენდი კიდევ ზოლმე ხანდახან, როგორ ამყარებდა მსოფლიო რეკორდს ყვინთვაში ცხვირზე ხელმოჭერილი ივლიანე. სადღესასწაულო დღეებში შავ კოსტიუმზე „თავდაცვა ავიაჰიმის“, „გოროშილოველი მსროლელის“, „მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის“, რაღა თქმა უნდა, პარაშუტიდან გადმოხტომის და სხვა რაღაც-რაღაცის აღმნიშვნელ სპორტულ სამკერდე ნიშნებს იკეთებდა. სულ დახვრეტელი ჰქონდა საგარეო კოსტიუმის ბორტები.

— „პრიბორი“, ივლიანე! — უყვიროდნენ პარიკმახერები კვირა-უქმედღეს, მუშტარების შემოტევის დროს. სხარტად ტრიალებდა, წინ და უკან დარბოდა თეთრხალათიანი ივლიანე. სიტყვაშეუბრუნებლად რომ ასრულებდა ხელოსნების ბრძანებებს. დანარჩენ დღეებში კი, როცა პატარა სადალაქოში ხალხნაკლულობა იყო, მზით განათებულ ვიტრინასთან, გახურებულ შუშებსა და ფარდებს შორის ჩამჯდარი თვლემდა: ანდა მოცლილ კლენტებს და საქმეშემოღეულ პარიკმახერებს თავის გარდასულ სპორტულ დღეთა ავანჩავანზე მოუთხრობდა. უსმენდნენ, სიყოჩაღეს უწონებდნენ, ახალ სპორტულ სამკერდე ნიშნებს ანიჭებდნენ დროდადრო საზეიმო ვითარებაში.

სპორტის ოსტატად რომ აყურთხეს, ჩემი თვალით ვნახე. შემოდგომის მზიან, ქარიან დღეს, ომის დამთავრების წინ სტადიონზე წაიყვანეს ნორმატივის ჩასაბარებლად. სულ რამდენიმე კაცი ესწრებოდა ამ საზეიმო ცერემონიას.

ერთი წრე უნდა დაარტყა მოედანს, მეტს ვერ შეძლებ. თუ დროში ჩაეტევი, სპორტის ოსტატობას მოგცემთ, თუ დროს გადაცილებ, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებას მოგანიჭებთო, უმტკიცებდა ივლიანეს სერიოზული სახის ნოქარი, ხელში რომ ახალთახალი წამშზომი ეჭირა.

უხმოდ, აუჩქარებლად იხილდა ივლიანე ტანსაცმელს და ტაბურეტზე ალაგებდა. ქარი პიჯაკის სახელოებს და კალთებს აქანავებდა, ლურჯ, გამოხუნებულ შლიაპას აგდებდა ძირს. ვილაცამ მიწით მოსვრილი ლოდი მოათრია და ივლიანეს თავსამაკაულს დაადო ზემოდან. აწი ამას ქარი ვეღარ მოერევაო, თქვა. ივლიანე გაბრაზდა, ქვა გადააგდო და დიდხანს ფერთხა და ასწორა დასვრილი და გაბრტყელებული შლიაპა.

თეთრ ტრუსებში და თეთრ მაისურში გამოწყობილი ივლიანე სტარტზე იდგა და ძაგდაგებდა. თვითმფრინვიდან პარაშუტით შეიძლება მართლაც გადმოხტა ან გადმოაგდეს ერთ დროს, მაგრამ იქამად ვერაფრით ყოფილ სპორტსმენს ვერ მიამსგავსებდით ამ აღამიანს. ფართო, გაბერილ გულმკერდზე თეთრი, მეჩხერი ბალანი ებუძებოდა. ისეთი წერილი და სუსტი მკლავები ჰქონდა, რომ მარტო მის დანახვაზე შეეწუხდი, ხასიათი გამიფუჭდა, მაგრამ მალე გაეჭალისდი და სეირის მასურებელთა აღტაცება გადამედო.

სტადიონის დარაჯმა, ნახევრად პატიმარმა, სახეგაჩინედილებულმა რაკი-

ბაზო ვიივილიო
მუსიაა მარში

კომ, ძველი რეიტუზი რომ ეცვა და ფეხები ჩუსტებში ჰქონდა გარგული, დოლი გამოიტანა. დოლს დაცხებთუ არა, გაიქეციო, უთხრა ივლიანეს და პირდაპირ ტაბურეტზე, საგულდაგულოდ დაწობილ-დალაგებულ ტანსაცმელზე დაჯდა. მზესა და ქარში გამხმარ და გაბრიგინებულ დოლს ხელი შემოჭრა და მართლაც მთელი ძალით მიცხო.

ქარი ივლიანესაგან უბერავდა, დოლის ხმას ქვევით, გასასვლელისაკენ მიარბენინებდა და სტაიერს არაფერი ეყურებოდა. მოიხედა, რას შვრება, უკრავს თუ არაო. მოიხედა და სახე გვერდზე მოექცა. სად დამჯდარხარო, აუყვირადა რაჟიკოს წვრილი ხმით. უკაცრავად, უკაცრავადო, ბოდიშობდა მედლოე, ვერ შევხედე, სკამზე თუ შენი ტანსაცმელი ეწყოო.

— ვერ შეხედე, რას ვერ შეხედე... დამჯდარხარ აქ იმასავით! — არ ცხრებოდა ივლიანე.

ნოქარს რომ არ ემარჯვა და გულზე ტანსაცმელახტებულ სპორტსმენი ტეხილი სიტყვით არ დაემოშინებინა, ამ ღონისძიებას ჩაშლა არ ასცდებოდა იმ დღეს.

დოლის ხმაზე მოძუნძულებდა პირდადებული ივლიანე ფინიშისაკენ. ქარი ზურგში აწევებოდა, ხმელ ფოთლებს და მტვერს ადევნებდა, ეწეოდა, ასწრებდა, უცდიდა და უკან ბრუნდებოდა კვლავ. ესმოდა თუ არა დოლის ხმა, ხედავდა თუ არა რაიმეს ივლიანე, ძნელი სათქმელი იყო. როდის-როდის მიაღწია ფინიშად გადებულ, სარზე და რკინის მოაჯირზე საიმედოდ მიკოჭილ ბამბუკის მსხვილ ჭოკს, მკერდით ეკგერა დადლილი და გასავათებული და კინაღამ ძირს დაეარდა. ჯერ ზემოდან გადასვლა დააპირა, შემდეგ ქვემოთ გაძვრა გაჭირვებით. ირბინე, ირბინე,

არ გაჩერდე, არ გაცვიდე, არ დაგგოლოსო, დოლიანად მისდევდა მავრამ ივლიანეს სირბილის თანხმად ჰქონდა. მოაჯირს მიყრდნობილი ქელავდა და რაჟიკოს მისჩერებოდა უაზროდ.

ნოქარმა ბოთლით ღვინო მოარბენინა, ჩაის ჭიქა გააესო და ივლიანეს მიაწოდა, გინდა თუ არა, დალიე, წესია ასეთით. სად წერია მავნაირი წესითა არ სჯეროდა ივლიანეს. ნოქარმა მაინც თავისი გაიტანა და ერთი ჩაის ჭიქა ძმარღვინო აყლურწვინა აქოშინებულ სპორტსმენს.

მეორე დღეს, შუადღისას, სპორტული ნიშნებით გაჩინჯილებული ივლიანე საპარკიმახეროს წინ დავინახე. ტროტუარზე იდგა და რატომღაც პარკიმახერებს ლანძღავდა: ხალხი ხართ თქვენო, პარკიმახერები კი არა, დაქლები (ალბათ დალაქები) ხართო. პარკიმახერები თუ დალაქები აუჩქარებლად, დინჯად მუშაობდნენ, ილიმებოდნენ და ივლიანეს ყურადღებას არ აქცევდნენ.

ძველმა ქურდმა და ყომარბაზმა, ჩაფართუნებულ ღალაშჩიანმა ჭონია უკლებამ ჩამოიარა. ჯაჭვაწყვეტილი ჭოფაკის ისე არ ეშინოდა ივლიანეს, როგორც ჭონია უკლებასი. ჭონია ივლიანეს, დანახვაზე შეჩერდა, აღელვებულ სპორტსმენს ბეჭზე ხელი დაკრა მთელი ძალით და რიკლედ დატოვებულ სახელოსნოს კარში შეიხედა. ხელოსნებს უსაყვედურა, რატომ ურტყამთ ამ კაცს, არ გრცხვენიათო. გულმოცემული ივლიანეც პარკიმახერებზე გაიქაჩა, რატომ დამარტყით ზურგშიო. ჭონია დროდადრო უნაცვლებდა და ხელოსნებს ანამუსებდა, რატომ სცემთ, ცოდვაო. ვის ურტყამთ, ვის უბედავთო, ყვიროდა ივლიანეც და პარკიმახერებსაკენ მიიწვედა, ვითომ არ იცოდა, ზურგში ვინ უბაზუნებდა.

აბრაჰამიონი

სკოლა, სადაც მე სასწავლებლად გადავედი, ქალაქის კათოლიკურ უბანში, რიონის პირას იყო აშენებული.

უყუათო საქმლისაგან დასუსტებულს შორი, გზით სიარული მიჭირდა, ვიღლებოდი. სახლიდან სკოლამდე, სკო-



ლიდან სახლამდე, რასაკვირველია, თანაბარი მანძილი იყო, მაგრამ შინ დაბრუნებას მაინც უფრო მეტ დროს ვანდომებდი, ვიდრე სკოლაში მისვლას, მიუხედავად იმისა, რომ სულ მეჩქარებოდა. სკოლაში იმიტომ, რომ მაგვიანდებოდა, სახლში კი შიმშილი მიმარბენინებდა. ახალ თანაკლასელებსაც ვერ შეეგწევეთ თავდაპირველად და მარტოხელა მგზავრს სიარული მიძინდებოდა. გზაკვალსაც ვიმრუდებდი შეუგნებლად. ხან რას გადავაწყდებოდი, ხან — რას. დიდხანს ვიდექი ხოლმე წითელარმიელთა სახლის წინ, სადაც უზარმაზარი რუკა იყო გამოკიდებული. რუკაზე ფრონტის ხაზის ცვალებადობას, უფრო სწორედ, ჩვენი ჯარის წინსვლას აღნიშნავდნენ პატარა-პატარა წითელი ალმებით. ალმების უწყვეტი მწყკრივი თანმიმდევრულად მიიწეოდა წინ და ყველა ხედებოდა, რომ ეს საშინელი ომი დასასრულს უახლოვდებოდა.

ერთ ქარიან დღეს, როცა კედელზე გამოკრულ წითელალმებიან რუკას ვათვლიერებდი, მუსიკის ხმა და მოტოციკლის ტკაცუნის შემომესმა. ეს უჩვეულო ხმა მოწვედა ჩემს სმენას და წმწამსვე მიიკარგა. ქარმა გაიზუზუნა მაღალი ჭადრების წვეროკინებში, ტოტებში ჩამაშლივინდა; ქვევით დატრიალდა, მოტოციკლისა და მუსიკის ხმა აიტაცა, გადაატარა ყავისფერ სახურავებზე და კვლავ უკან დააბრუნა. გავყევი ამ ქარს და ამ ხმას. გადავჭერი მოედანი და ყოფილ ყაფანთან ამოვყავი თავი. მოტიტვლებულ ალაგას, ორი დღის წინათ რომ არაფერი შემინიშნავს, თავახდილი კასრისმაგვარი, უფანჯრო შენობა დავინახე. გიგანტურ კასრს რამდენიმე სალტე და ერთი იარუსი ჰქონდა შემოყოლებული. იარუსზე ხალხი იდგა და დიდი გულისყურით ჩასჩერებოდა ფსკერს, საიდანაც მოტოციკლის გამაყრუებელი ტკაცანი ამოდიოდა. წითელი აფიშებით იყო იქაურობა აკრელებული. მრგვალ და ვიწრო ჯიხურში სალარო იყო მოთავ-

სებული. სალაროსთან რიგი იდგა. კასრის გარშემოც ხალხი ირეოდა. მოტოციკლი დადის კედელზე, ამისსწესისაოცრება თუ გინდათ, ეს იყო. როგორ შეიძლებოდა, მოტოციკლს ევლო შევუღულ, თუნდაც კასრის ოვალურ კედლებზე?! თავისით კი არ დადის, კაცი ზის ზედო. მით უმეტეს-მეთქი, გავიფიქრე. გავჩერდი და ხეზე მიკიდებული დინამიკიდან გადმოღვრილ მუსიკას მივაყურადე.

ყოველ ათ წუთში მოტოციკლის გრიალი წყდებოდა. ნასიამოვნები, მაგრამ თითქოს დაღლილი და შეწუხებული ხალხი ღიმილით ჩამოდიოდა ვიწრო კიბეზე. შემსვლელები, იარუსის დატარილებს რომ ელოდნენ, კიბეზე ჩამომაჯვალთ მისჩერებოდნენ კითხვის ნიშნით. შემდეგ თავადვე ადიოდნენ ზევით, სერიოზულად და მდუმარედ იკავენდნენ ქანდარაზე ადგილებს, მოტოციკლის ხმაზე ფეთავდნენ, რიტმულად, თანაბარი აჩქარებით ატრიალებდნენ თავს და კისერს მარჯვნიდან მარცხნივ, ოხრავდნენ და დაღლილი და შეწუხებულნი ჩამოდიოდნენ ქვევით. მუსიკის ხმა კი არქაეალის გორისაკენ მიჰქონდა ქარს; დინამიკებიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ გატყორცილი მელოდიები მიჰყვებოდნენ ერთმანეთს.

ვიდექი, ვუყურებდი და ვერ ვხედავდი ამ უჩვეულო სანახაობას. ქალის გაურკვეველი, მაგრამ მომხიბვლელი ხმაც მესმოდა ხანდახან. ის ლამაზი ქალი (იმ ხმის პატრონი არ შეიძლება და ლამაზი არ ყოფილიყო) ალბათ პროგრამას აცხადებდა, მოტომხედრის ტიტულებზე და დამსახურებაზე ლაპარაკობდა.

აცივებამდე დარჩა ეს ატრაქციონი ქალაქში. სკოლიდან დაბრუნებული ყაფნის მოედანზე ვჩერდებოდი, თავახდილ კასრს და კისერმოღრეცილ მაყურებელს ვუყურებდი გარედან. ვუსმენდი მუსიკას, ლამაზი ქალის ხმას (იმ

აიფონ ზაიზვილი
მუსიკა ქარში

ხმის პატრონი ულამაზო ხომ არ ექნებოდა და მოტოციკლის ტყაცუნს. კასრი წელში წყდებოდა, იზნიქებოდა, ჭრატუნობდა, ნაკერებში ირღვეოდა თითქოს. აშკარად ვატყობდი, თვალნათლევ ვხედავდი, როგორ და რანაირად ხაზავდნენ მოტოციკლის თვლები კასრში სპირას და რვიანებს.

არასოდეს ჯიბეში ბილეთის ფული არ მქონდა, სახლიდან საგანგებოდ ვერ მოვდიოდი, ვიწრო კიბეზე, სადაც კონტროლიორი იდგა, აპარვა არ შეიძლებოდა, სხვა ასავლელი არ ჩანდა და ვიდექი ქვევით, ამოლლიავებული ჩანთით, შუბლზე ჩამოფხატული ქუდიო, დახეული ფეხსაცმელებით.

იმ დღეს უცხოსავთ ჩავიარე ნაცნობ ქუჩებში და ძალაუნებურად შევჩერდი სახლთან, სადაც ომის დროს უზარმაზარი რუკა იყო გამოკიდებული. გამახსენდა ის ქარიანი დღე და შემომესმა ის ხმა, ოცდათხუთმეტი წლის წინათ რომ მოიტანა ქარმა ჩემამდე. გავყევი იმ ხმას და დაახლოებით ისევ იმ ალაგას ისევ იმ თავახდომ კასრს გადავწყვიდი. ისევ ის ჯიბური, ის აფიშები, ის მელოდიები, ხეზე მიკრული დინამიებიდან რომ იღვრებოდა ერთ დროს. მხოლოდ ხალხი იყო ცოტა და სხვანაირი. მშვიდი, გულგრილი სახეები ადიოდა და ჩამოდიოდა კიბეზე.

ვიყიდე ბილეთი და ავედი იარუსზე თუ ამფითეატრის ქანდაკაზე. ქვევით, კედლის ძირას შინდისფერი მოტოციკლი იყო მიყუდებული. მაშაკაცი, ალბათ მოტომხედარი. ფერადი სათვალე რომ შუბლზე ჰქონდა აწეული, ლამაზ ქალს ელაპარაკებოდა ხმადაბლა, საქმიანად, მე მგონი, ბახარში თუ იყავიო, ეკით-

ხებოდა. ქალს პრიალა, ლურჯი ჩუქმები, ცისფერი ატლასის შარავლი და წითელი კოფთა ეცვა. წმინდად გადავარცხნილი, ჩალისფერი თმა ჰქონდა უკან გამოწასკული.

ოტიოდე კაცი შეგვგროვდით ალბათ. მეტი ადგილიც აღარ დარჩა, მაგრამ შუბლსათვალისნმა მაინც უქმეყოფილოდ შეათვალეირა იარუსი. ვიღას ელოდა, ვერ გავიგე და სამი კაციც შემოგვემატა. აუჩქარებლად და სასხვათაშორისოდ ამოვიდნენ, შეჩერდნენ, შეგვეთვალეირეს, ერთმა გამარჯობაც გვითხრა. ამასობაში მუსიკის ხმაც მიწყდა. ქალი წინ წამოდგა, უხალისოდ, მაგრამ შნოიანად გამოაცხადა პროგრამა. მაშაკაცმა ზანტად ჩამოიწია სათვალე თვალეებზე და მოტორი ჩართო. ლამაზი ქალი და ლამაზი, უსიამაოთიო მაშაკაცი ვიცანი, ესენი იყვნენ ბავშვობაში რომ ვხედავდი და ვერ ვუყურებდი. დიდი ხანი გასულიყო და ხანი არ დასტყობოდათ, გამოხუნებულყვენენ, გაცრეცილიყვენენ და არ შეცვლილიყვენენ. იგივე მოტოციკლი, იგივე კედლები, აფიშები და მუსიკა, სხვა დროში და სხვა ხალხში ვიდექი მხოლოდ და დიდი ხნის წინ გადაღებულ, მოძველებულ კინოსურათს ვუყურებდი.

ქეშმარიტად საოცარი იყო, როგორ დაჰქროდნენ კაცი და მანქანა ალმა და დაღმა შევეულ კედელზე. საკვირველი იყო და არ გამკვირვებია. ეს ყველფერი ხომ ნანახი და განცდილი მქონდა მრავალჯერ.

ათ წუთში დამთავრდა წარმოდგენა. დამთავრდა ისე, თითქოს არც კი დაწყებულიყო. შევედი სრულიად უდროოდ დროს და გულდამძიმებული გამოვედი.

უშანგი დაბრუნდა

უშანგი ხეიბარი დაბრუნდა ომიდან. ხერხემალდაზიანებულს სააქაო პირი აღარ უჩანდა, მაგრამ რკინის ორგანიზმმა განსაცდელს გაუძლო და გადაარჩა, თუ იმას გადაარჩენა ერქვა. განთქმული მოჭიდავე, საქართველოს ფა-

ლავანი, ორმოცდაორში რომ გაიწვიეს, დამბლადაცემული და მეხსიერებადაკარგული დაბრუნდა ორი წლის შემდეგ. საცოდავად მოათრევედა მოწყვეტილ ფეხებს ბალის კიდებზე. კინოს წინ, საგანეთო ჯიბურთან ჯდებოდა ხოლმე.

იჭდა თავჩაქინდრული, მიწას ჩასჩერებოდა და ეღიმებოდა დროდადრო, რას იხსენებდა, ვინ გაიგებდა. უშანგიას უძახოდნენ. პატვის სცემდნენ, სანამდის არ მოსწყინდათ, ვის როგორ შეეძლო, ისე ეხმარებოდა იმხანად; ფულს უღებდნენ ზოგიერთები ჯიბეში. უშანგი მადლობასაც არ ამბობდა, ეღიმებოდა მხოლოდ.

— როგორ ხარ, უშანგია?

— კარგად. — მოკლედ პასუხობდა იგი. ღიმილით, ცალი თვალით ახედავდა მომიკითხველს. ცნობდა თუ არა, ძნელი სათქმელი იყო.

ხანდახან ჭიდაობის ამბებს ივონებდა და დაწვრილებით. ომს არ ახსენებდა. ბრძოლის სურათები, როგორც ჩანდა, მთლიანად ამოვარდნილი იყო მისი ცნობიერების უჯრედებიდან.

სასწაულია ეს ომიო, იტყოდა ხოლმე და ეს იყო და ეს. თანაც სასწაულს კი არ ამბობდა — სასტაულს. ეს სიტყვა ისედაც ამოჩემებული ჰქონდა. ერთხელ ჩემი თანდასწრებით ასეთი რამ მოჰყვა:

— ...ჩემი მომრევი კაცი აღარ დარჩა ქვეყნიერებაზე და სასტაული გამოიყვანეს. გამწირეს. უტოლური კაცი იყო. შევხედე თვარა, იმწამსვე მივხვდი, სასტაულთან რომ მიქონდა საქმე. რაღას ვიზამდი. მისი წერა გამოვდექი. და მაინც გავედი... — უშანგი დაფიქრდა, მიწას დააჩერდა.

— დაგამარცხა? — ჰკითხა ვილაყამ.

— ხერხემალი დამიზიანა... — თქვა უშანგიმ, გაიღიმა და გვერდულად ამოხედა მოსაუბრეს. შეიძლება ხუმრობს, შეიძლება დაგვიცინის ან რაღაცს მალავსო, ასეთი აზრებიც დაგებადებოდათ ზოგჯერ უშანგის შემხედვარეს.

— მეღლები რაში მოგცეს, უშანგია?

— მერგებოდა. — გაიღიმა, მიწას დააჩერდა და, ერთ ამდენს კიდევ გამომიგზავნიანო, დაუმატა.

კინოს ყურება უყვარდა. დილის სიანსზე შედიოდა მხოლოდ. უბილეთოდ უშვებდნენ და მარტოღმარტო ჯდებო-

და კედელთან, კუთხეში. ერთ დღით ერთმა მაღალმა, გრძელცხვირა ყმაწვილმა, ამხანაგებთან ერთად ხმაურით რომ შემოვიდა ჩაბნელებულ დარბაზში, კედელზე აკეცილი შიშველი ელექტრონის მავთულები ჩამოხსნა, წვერები დააშორიშორა და უშანგის მიადგა. ახლა გაჩვენებთ სასტაულსო, ეუბნებოდა მეგობრებს და სიცილით იხრჩობოდა, მავთულის შიშველ წვერებს უშანგის პირდაპირ ყურებში უმიზნებდა. დანარჩენებიც, წარმოდგენა რომ არ ჰქონდათ, როგორ ჭიდაობდა და როგორ ომობდა უშანგი, იცინოდნენ, ამხანაგს აქეზებდნენ, მიდი, კარგიაო. ამ სიცილზე უშანგიმაც მოიხედა და ღიმილით მიაჩერდა გრძელცხვირა, მაღალ ბიჭს.

— რას შევბი, შე ნაბიჭვარო! — იყვირა უცბად ჭონია უქლებამ, შემთხვევით რომ შეასწრო თვალი ამ სურათს. იგი ახალი გამოსული იყო ციხიდან და თვალზე ქუდჩამოფხატული მოჩვენებასავით იდგა კარებთან.

ჭონიას ხმაზე და დანახვანზე ბიჭები დაფრთხნენ და ხრიგინ-ხრიგინით გაიკვლიეს გზა სკამებსა და სკამებს შუა, გარეთ გაცვივდნენ. პრაფტექნიკური სასწავლებლის, მაშინდელი „ფეხეოს“ მოსწავლეები უნდა ყოფილიყვნენ. ამ ხმაურზე კინომექანიკოსმა აპარატი გააჩერა, სინათლე აანთო. ჭონია უშანგისთან მივიდა, სკამზე გადაფენილი მავთულები შეამოწმა, გრძელი, გამზდარი თქთებით შეაერთა ორი წვერი და ნაპერწყლების ტკაცუნზე შეკრთა თვითონვე. მავთულები ფრთხილად აკეცა და კლავდნენ, ბიჭო, უშანგიასო, ჩილაპარაკა უაღრესადი გაოცებულმა, რამდენიმე საეჭვო შესახედაობის პირს გადახედა, წამსვე რომ შეგროვდნენ მის გარშემო.

ომის დამთავრება მიულოცეს ცხრა მისის უშანგის. კარგა ხანი დუმდა იგი და მიწას დაჩერებოდა.

რეზო შაიშვილი
მუსიკა პარმი

— მართლა დამთავრდა? — იკითხა ბოლოს.

მართლა დამთავრდა, უშანგიო, უთხრეს.

— სასტაულოა პირდაპირ... — თვლები გაუნათდა, სიხარულმა გადაუხსნა სახე სულ ერთი წამით და ისევ ის აღრინდელი, არაფრისმთქმელი ღიმილი გადაეფინა.

მუშაობა დააწყებინეს მოგვიანებით. ბაზრის წინ ქალაღის პარკებს ყიდდა. აღარც ჭიდაობა ახსენდებოდა, აღარც ომი და აღარც სასწაული, რომელმაც ხერხემალი დაუზიანა. აუწერელი ტკივილები აწუხებდა ბოლო დროს. იჯდა, ითმენდა. ვერ უძლებდა. სიმწრის ცრემ-

ლი ერეოდა ხანდახან. უხ, ბიჭო, არ მეშვება, არ მეშვებაო, ჩურჩულდებოდა წელში გახრილი და სახედამანქნის რიცა ტკივილი უტევდა, უშელავათებდა. უშანგი სამუშაოს ტოვებდა და სახლისაკენ მილასლასებდა.

— სასტაული! — ეძახდნენ გზადაგზა, ზოგიერთი ხალათში ქაჩავდა. ზოგი ყურში ჩაყვიროდა, ხომ ხარ მაგრადო.

უშანგი ერთ დღეს გაქრა. ქალაქში აღარ გამოჩენილა. მოვიკითხე და მოკვდაო, მითხრეს.

რომელი ქვის ქვეშ გძინავს, უშანგია. თუ მოისვენე მაინც!

მიხო ზომელი

ფიხბურთის არაოფიციალური მატჩიც ჩატარდა ჩვენს ბატარა სტადიონზე. მოსკოვის პირველხარისხოვანი გუნდი ჩამოვიდა სათამაშოდ. ბილეთები წინასწარ გაიყიდა და სტადიონთან მისასვლელი ქუჩებიც ხალხით გაიჟედა თამაშის დაწყებამდე. ჭგუფ-ჭგუფად დაყოფილი, უფულო და უბილეთო ბავშვები ჭარასავით ვუტრიალებდით სტადიონს, რომლის გალავანს კერძო სახლები, დაწესებულებები და სახელოსნოები ესაზღვრებოდა. შესასვლელ-გამოსასვლელები, გასაძრომ-გამოსაძრომში საიმედოდ იყო დაცული და ჩაკეტილი. მექანიკური სახელოსნოს ეზოში მეტი ხალვათობა იყო და იქ შევჯგოვდით, თუმცა იმ სახელოსნოს ყველაზე სასტიკი მცველი, მიხო ჭომელი დარაჯობდა.

სტადიონის გალავანს არ გავაკარა მიხო ჭომელმა და ეზოშიაც ავგვიკრძალა დგომა. არადა, თამაშის დაწყების დროც მოვიდა. ბავშვების გუნდებში ნერვიულობამ იმატა. ვილაცამ უსაშველოდ გრძელი ხის კიბე გამოათრია საიდანაც. ვეცით ამ კიბეს, სახელოსნოს კედელს მივავუდეთ და ერთმანეთის მიყოლებით ავცვივდით ბეტო-

ნის სახურავზე, საიდანაც პატარა სტადიონი და ძალიან მწვანე მინდორი ხელისგულივით გამოჩნდა. სკამებიც რომ თან აგვეტანა, უკეთეს საყურებელ ადგილს. ადამიანიშვილი ვერ ინატრებდა იმ დღეს. ჩვენი შემხედვარე მიხო გავიქდა და გადაიჩია; დაიწყო სტვენა, გინება, იარაღზე ხელის ფათური და ქვების სროლა. სტადიონის დასავლეთი ტრიბუნის ზედა რიგებში ამოსული ხალხი მიხოს აუმხედრდა, რა გინდა, რას ერჩი მაგ ბავშვებსო, უყვიროდნენ ზემოდან.

— როგორ რას ვერჩი, ფეხბურთს უყურებენ!

— უყურონ, მაგისათვის არიან მოსული! — წყნარად განუმარტა ერთმა დარბაისელმა კაცმა, მაგრამ მიხოს ვერაფერი შეასმინა.

შენ შენ საქმეს მიხედე, ჩემი მე ვიციო, დაუძახა ქვემოდან დარბაისელ კაცს. ხალხმა ისევ რომ იხუვლა, კიდევ უფრო გაიკეცხლდა და გააქტიურდა. სტვენდა, წინ და უკან დარბოდა, სახურავზე ასასვლელს ექებდა. ამ ბრუალში უჭნა მხრიდან მოყუდებული კიბეც აღმოაჩინა, ხელით მოსინჯა, შეაყაყალა, გამძიმებს თუ არაო და, რო-

ცა ფალანგების ვარგისიანობაშიც და-
რწმუნდა, სწრაფად ამოვიდა ზევით.
კირით და სილით მოსერილ სახურა-
ზე ბუქი დააყენა. კინწისკერითა და
ჯიკავ-ჯიკავით დაგვიწყო ძირს ჩაყრა,
თუმცა, ბილეთიანი მაყურებლების
მხარდაჭერით გამხნეებულნი, ვურჩო-
ბდით და ფეხებს ვჩაჩხავდით. ნერვებ-
მოშლილი ხალხი კი ტრიბუნიდან სტვენ-
და და ილანძვებოდა. მთელი სტადი-
ონი დასავლეთისაკენ იხედებოდა, ვერ
გაეგოთ, რა ხდებოდა. დაგვიანებულ
მაყურებელს თავისი ვადაწყდომია შე-
მოსასვლელთან; თამაში დაწყებულია და
ბურთიც გაუტანიათ, უფიქრია.

უკანასკნელი ბავშვი ჩამოავდო მი-
ხომ ძირს, კირში მოსვრილი ხელები
დაიფერთხა და მაყურებლებს გადახე-
და ნიშნისმოგებით, სტვინეთ ახლა და
იყავითო. ამასობაში, ვინ მოიფიქრა,
არ ვიცი, სახელოსნოს კედელს კიბე
ავაცალეთ, გამოეჭანდით და სტადიონ-
ის გალაყანას მიეაყუდეთ.

გარჩა მიხო სახურავზე. ზემოდან
გვხედავდა, როგორ გადავდიოდით ვა-
ლაგანზე. ჭიანჭველებივით გაბაწრულ-
ნი მივცოცავდით და სტადიონში მიე-
ჭვრებოდით. მაყურებლები ხელს გვაშ-
ველებდნენ, კიბეს გვიმაგრებდნენ,
ტრიბუნაზე ჩახტომაში გვეხმარებოდ-
ნენ. იდგა აჭარხლებული, ენაჩავარდ-
ნილი მიხო სახურავზე და დამბლად-
ცემულივით მოგვიჩერებოდა.

ჭუჩაში დარჩენილებს გაუგიათ, კი-
ბეა ამა და ამ ადგილზე მიყუდებულიო
და შემოვიდნენ და შემოგარდნენ სა-
ხელოსნოს ეზოში; მიხოს თვალწინ
ვადავიდნენ ყველანი გალაყანაზე. ბავ-
შვი არ დარჩენილა იმ დღეს სტადიონ-
გარეთ. სულ ბოლოს ცვირა დღეს სა-
მუშაოდ გამოსულმა ორმა მუშამ მია-
ტოვა სახელოსნო. რა ხდებოდა, ეკით-
ხებოდნენ ისინი ერთმანეთს და კიბეზე
ამოდიოდნენ. რიგრიგობით ვადმოთაბი-
ჯეს ყორეს. ცოტა ხანი იდგნენ, უყუ-
რებდნენ ხალხს და ხმას არ იღებდნენ.
ერთი სტადიონზე დარჩა და მეორე
მავე კიბით ჩაბრუნდა უკან სახელო-

სნოში. თამაშიც დაიწყო, სახურავზე
გარჩენილი მიხოსაკენ იყურებოდნენ
მაინც ზოგიერთები. მიხო დონიჭშემოყ-
რილი იდგა და ვითომ დიდი გულის-
ყურით მისჩერებოდა მოედანს, თით-
ქოს საგანგებოდ ფეხბურთის საყურე-
ბლად იყო ამოსული. შესვენებაზე ხალ-
ხი წამოიშალა. მიხოსაკენ მიტრიალ-
დნენ სიცილითა და ხმაურით.

— უ, მიხო! — იძახდა ვიღაც.
კარგი, ცოლვაო, ხმადაბლა თქვა
ერთმა.

მიხო კი ღვარსადენებს დაყვებოდა,
ჩასასვლელს ეძებდა უშედეგოდ. ვერც
ჩასასვლელი ნახა, ვერც კიბის მომტა-
ნი იპოვა და მეორე ტაიმსაც დონიჭ-
შემოყრილმა მიადგენა თვალი.

თამაშის დამთავრებისას, ხალხმა რომ
გასასვლელს მიაშურა, მიხო კვლავ იქ
იდგა. ვინ ჩაიყვანა და როდის, აღარ
დამინახავს.

შავი ზღვის სანაპიროდან ვბრუნდე-
ბოდი სტუდენტი და მოსწავლე ახალ-
გაზრდობისათვის საკურორტო სეზონ-
ის მიწურულს. პირველი სექტემბერი
ახლოვდებოდა და თბილისისაკენ მი-
მავალ მატარებლებზე ტევა აღარ იყო.
დამატებითი ვაგონები და შემადგენ-
ლობებიც კი ვეღარ აღდიოდნენ მგზავ-
რების გადაყვანას, საერთო ვაგონში
ძლივს შევდი. ერთ მოლიავებულ კუ-
პეში, სადაც ახალგაზრდები იყვნენ
შექუჩულნი, კუთხის სკამზე დასაჯდო-
მი ადგილი ვიშოვე. ახალგაზრდები
სპორტზე საუბრობდნენ. ფანჯარასთან
ყოფილი ფეხბურთელი იჯდა და ბო-
ლოს მაინც ფეხბურთზე ჩამოვარდა
ლაპარაკი; ლაპარაკი კამათში და ყა-
ყანში გადაიზარდა. ერთმა თქვა, მასე
თუ წავიდა საქმე, ომის დამთავრების
შემდეგ ქუთაისმა მოსკოვის „სპარ-
ტაკს“ მოუვგო.

— შეუძლებელია! — თქვა ვილა-
ცამ.
— რატომ არის შეუძლებელი? —

ამჟამად მიწვილი
მუსიკა მარში

განაწყენდა იმ ინფორმაციის ავტორი. ისევ აყაყანდნენ. ზოგმა თქვა, მართალი იქნებაო, უნრავლესობამ, რასაკვირველია, არ დაიჭერა. მართლა ასე იყო თუ არაო, ჰკითხეს ბოლოს ყოფილ ფეხბურთელს, რომელიც იმ დროს სწორედ ქუთაისის გუნდში თამაშობდა. ასე იყო, კიო, დადასტურა პირწმინდად გამელტებულმა კაცმა.

— გახსოვს, კორნელი ბიძია, ის თამაში შენ? — ჩაძია იმ ბიჭმა, ვინც ეს დავიღარაბა ატეხა.

— მახსოვს რომელია, ორი ბურთი გავიტანე... — თქვა კორნელიმ და საბოლოოდ მიაჩუმა სუყველა. — მხოლოდ, — განაგრძო მან. — ომის დამთავრების შემდეგ კი არ გვითამაშია, ომის მიწურულს შეგვდით ერთმანეთს... შეიძლება ახალი დამთავრებულიც იყო... — შეეძვედა შემდეგ თვითონვე.

— ორმოცდახუთი წლის ოცდაექვსი აბრილი იყო ზუსტად... — მოულოდნელად განაცხადა ყავარჯენიანმა კაცმა, განაკიდეს რომ იჯდა და აქამდე ხმა არ ამოუღია. მიხო ჭომელი აღმოჩნ-

და. რამდენიმე კაცმა იცნო კიდევ ჩემს გარდა იმ ახლომახლო. სამკურნალოდ ყოფილიყო რომელიღაც შორეულ კურორტზე. წყალტუბო არ მომიხდა და გადასაკარგავში გამგზავნესო. ნაწამლს და ნამკურნალებს ჭერჯერობით არაფერი მიგავს და შემდეგ ვნახოთო.

— ოცდაექვსი აბრილი იყო, ვითომ? ჩაეკითხა დაეძვებულნი კორნელი.

— ზუსტად. — მოკლედ უპასუხა მიხომ. მეტის თქმა და განმარტება ზემდეტად ჩათვალა.

— საიდან გახსოვს ასე ზუსტად? — გაელშია კორნელის.

— ვუყურებდი.

მეტრმა უყურა ისე, ის რომ იმ დღეს თამაშს უყურებდა.

მიხოსათვის მეტი აღარაფერი უკითხავთ. ფეხბურთზე ლაპარაკიც მიწყდა ცოტა ხანში. მიხო წამოდგა და ყავარჯენბის ზრიგინით, ხენვით და ვიშვიშით გაიკვლია გზა საპირფარეოსაკენ. ეტყობოდა, შარდის შეუკავებლობა სჭირდა — ყოველ ნახევარ საათში დაჩოჩავდა წინ და უჯან.

მანისი

მანისის მზიან დღეს ქალაქში პირველი კენგურუ გამოჩნდა. ბაღში მოსერირე ხალხმა იხუვლა და ჰიშკრებს მიიწყდა. არავის კენგურუ არ ენახა ამ ქალაქში. ავედევენე მორბენლებს მთავარანგელოზის ეკლესიასთან, გავასწარი ბარე ორ მადევარს და მარეკს და მეწინავე ჯგუფში ჩავდექი. რას მისდევდნენ, რა უნდოდათ კენგურუსაგან?..

მეწინავე ჯგუფი შედგა. რამდენიმე კაცი გაშეშდა ერთდროულად. გიმნაზიის მხრიდან ჩვენკენ, შუა ქუჩაში მოხტოდა კენგურუ, ნამდვილი კენგურუ. ერთ წყება ხალხს გამოქცეული გადაგვანყდა ჩვენ, შედგა, ჩაჯდა მძლავრი კუდითა და ფეხებით. პატარა, უმწეო თათები ჩამოყარა გულმკერდთან. იჯდა. გვიყურებდა. გიმნაზიასთან აშლილი ხალხი უახლოვდებოდა უქნიდან.

— ეს არის კენგურუ? — ჰკითხა პატარა ბიჭმა დედას.

კენგურუ ამ ხმაზე შეცბულდა, წამოხტა და დიდრონი, მოხდენილი ნახტომებით ჩაუარა თეატრს, დაუპირდაპირდა ბაზარს, შეუხვია მარცხნივ და გაუჩინარდა. გიმნაზიის ქუჩიდან მორბენალი ხალხი უკანვე გაბრუნდა, გზა თუ უყელეს კენგურუს. ბაზრიდან ხალხი გამოცვივდა, აქედან ჩვენ გავქანდით, მოსახვევიდან ბავშვებმა გამოყვეს თავი, დასცეს ყვირინა და მიმამლნენ კენგურუსთან ერთად.

გულამომჯდარი დავწინაურდი. შევუხვით მარცხნივ და ქუჩაში მოხტუნავე კენგურუს მივანეთ თვალი. იგი ხალხით გაჭედულ ტროტუარებს შორის მიხტოდა. მოვერცხლისფრო-მოყავისფრო ზურგი ელავდა დროდადრო.



წითელ ხილთან შედგა, მოტრიალდა, რამდენიმე ნახტომით დაგვიახლოვდა და შუა ქუჩაში დაყუნცდა მოულოდნელად. ნელ-ნელა შემოეხვია დაღლილი ხალხი. ნუშისებური, პატარა თვალებით ერთ მხარეზე იხედებოდა მხოლოდ კენგურუ; პატარა, შავი დრუნჩი და შავი ტუჩები უცმაყუნებდა შეუმჩნეველად, ბლისფოთლისგვარი ყურები უთრთოდა. ხალხი კი გროვდებოდა და გროვდებოდა.

ხიდის მხრიდან თავს ნუ დაუვლითო, იძახდა ვიღაც ავტორიტეტული ხმით, რომ მოკლა, ხიდზე არ გავაო, რატომ არ გავიღოდა კენგურუ არაფრით ხიდზე, ხალხმა არ იცოდა.

— შინაური კენგურუა, თვითონ წავა სახლში, თავი დაანებეთ! — თქვა ერთმა.

— როდის დაიწყეს ჩვენკენ ამის მოშინაურება? — გაუკვირდა მეორეს. არაფრით არ შეიძლება, აქ, ამ ქალაქში კენგურუ არსებობდესო, უხსნიდა ქალარათმიანი, წარმოსადეგი, კარგად ჩაცმული მოქალაქე ახლომახლო მყოფთ, ესო, განაგრძობდა იგი, ავსტრალიური კურდღლის რომელიღაც გიგანტური სახესხვაობააო.

კენგურუ ისევ ატოკდა. შეიძლება წარმოსადეგი მამაკაცის სიტყვებმაც

შეურაცხყო, ახტა, გახტა და ხტუნუნ-ხტუნვით გადაიარა წითელი ხიდი.

ვინ თქვა, ხიდზე არ გავაო, გაბრაზდა ერთი კაცი, რომელსაც ეტყობოდა, ფეხსაცმელები უქერდა და სიმწრის ოფლი ასხამდა სირბილის დროს. ხალხი გაშეშდა. ხიდგალმა თითქმის აღარავინ გამყოლია კენგურუს.

— სათაფლიაზე წავიდა! — განაცხადა იმ კაცმა. აღრე რომ ამტიცივებდა, არაფრით ხიდზე არ გავაო.

კენგურუ კი თეთრი ხილით შემობრუნდა ქალაქში.

უღრუბლო დღე იყო. მოლაყვარდისფრებული ცა ჩანდა წყალგალმა. ნიავე არ იძროდა. ჩადიოდა მზე და მეწამული ფერი ედებოდა რიონის ქეებს, წყალს და ხიდს.

მარტოდმარტო, დაღლილი და მოწყენილი ვიდექი ხიდს ქვემოთ, ჰადრებთან, გიმნაზიის ეზოში და ვუყურებდი ჩამავალი მზის სხივებში აფერადებულ თეთრ ქეებს, თეთრ ხიდზე, მოაჯირის გასწვრივ მიმჭოლავ. მოყავისფრო-მოვერცხლისფრო კენგურუს, დაღლილი და გაოცებული რომ ბრუნდებოდა უკან.

რა გინდოდა, კენგურუ, იმ მაისს ჩვენ ქალაქში!

ომი დამთავრდა

მომრე დღეს სუსტი ქარი ამოვარდა მაინც. ქალაქი კი საზეიმოდ მორთულიყო დილიდანვე. ხალხიც ქუჩაში გამოფენილიყო ერთთავად. ჭგუფ-ჭგუფად, უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ ქალაქის ცენტრისაკენ. საჩქაროდ ჩავიცვი და მეზობლის დიდ ბიჭებს ავედევნე. ბაღი და მოედანი გადაჭედილი იყო მოქალაქენით. დედოქიმკართან სასულე ორკესტრი უკრავდა. ჩემი მეზობელი ვასია, წითელარმიელის ქუდი რომ ეხურა, უზარმაზარ დოღს უბრაგუნებდა. ლოყებდაბერილი ბიჭი აღარც კი ჩანდა ბეჭზე ღვედით გადაკიდებულ, მუცელზე მიბჯენილ დოღს უკან.

„ვიცი. ვიცი, ვეღარ გნახავ, გულს მედება სინანული“... ამ სიტყვებზე აგებულ მელოდიურ მარშს აგუგუნებდა ორკესტრი.

...დუმბა, დუმბა, დუმ-პა-ა, დუმ-პა, დუმ-პა-დუმ-პა, დუმ-პა... ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ მიარჩევდა და მიაფრიალებდა ქარი ამ ბგერებს.

ბალის ყოველ კუთხეში ცეკვა-თამაში იყო გაჩაღებული. ისმოდა დოღის, ფანდურის, აკორდეონის ხმა. ღია ესტრადაზე სახელდახელო კონცერტი

რაჟო ზინზვილი
მუსიკა მარში

იყო გამართული: თეორიკებიანი და წითელშარვლიანი კაცი ზურგზე იყო დაწოლილი და ფეხებით კასრს ატრიალებდა საშინელი სისწრაფით.

ჯგუფი, რომელსაც მე ავედღევე, ბაღის ერთი კუთხიდან მეორეში დასუნსულვბდა. ერთ ალაგას შეჩერდა ბოლოს. წრე შეკრეს და ტაში და სიმღერა დასცხეს. ხალხი გამოიქცა, შემოგვეხვია. სიმღერა და ტაში შეწყვიტეს ჩემმა მეზობლებმა და მეორე კუთხეში გადაინაცვლეს, იქაც მისცხეს საცეკვაო და ცნობისმოყვარეთა შეგროვებამდე აორთქლდნენ, სხვაგან შეიყუყუნენ ხითხითით. ასე გაიმეორეს რამდენჯერმე და ძალიანაც გამახარეს. მომეწონა ეს თამაში. აღტაცებული დავდევდი მოკუღლულთ უფროსკლასელებს. რა მიხაროდა, თვითონვე ვერ გამეგო. მეცინებოდა, პირში ჩალაგამოვლებულს რომ ტოვებდნენ სეირის მოყვარულთ. ამ წამოწყებას მეთაურობდა მეთათეკლასელი კოტე, რომელსაც მთელი ომის განმავლობაში, ჩემს თვალში, თავი არაფრით გამოუჩენია. თანატოლებში არასოდეს გამოწყვეტილა, ჩაგრამ განსაკუთრებულად არაფერი ჩაუდენია, არც მალაღი იყო, არც დაბალი, არც უჭკუო, არც ნამეტანი ჰქვიანი, წესიერიც იყო და უწყსარიგოც. ყველაფერში ჩვეულებრივი და ზომიერი, ერთი სიტყვით, მაგრამ, ალბათ, მასში იყო მაინც რაღაც ამოუცნობი, თვალშისაცემივც კი, რომელსაც მხოლოდ უფროსები ამჩნევენ იმ დროს.

იმ საზეიმო დღეს კოტემ მითხრა, გამოიარე ჩემთან, სახელმძღვანელოებს მოგცემ, მე აწი მაინც აღარაფერში მჭირდებო. გამეხარდა და მივედი მეორე დღესვე. ცოტა ადრე უნდა მოსულიყავი, წიგნები სულ დავარიგე და ესლა დამჩრაო. ერთი ძველი, მაგრამ კარგად შემონახული სახელმძღვანელო მაჩვენა. დანარჩენების გაჩუქება როდის მოასწრო, ან ამაზე ადრე რო-

გორდა უნდა მიესულიყავი, ვერ გავიგე. ამას კიო, მითხრა კოტემ, ხუთ თუმნად ვყიდიო. სამი წელი გეყოფა სამაგიეროდო, ნამდვილად არ წააგებო. ფული არ მაქვს-მეთქი, ვუთხარი საქციელწამხდარმა. მის მაგივრად მე შემრცხვა რატომღაც. თუ ფულს იშოვი, ორშაბათამდე შევინახავ აუცილებლადო, მითხრა და გამომიშვა.

მივედი შინ. ერთადერთი წიგნი დარჩენია მხოლოდ და იმასაც ას მანეთად ყიღის-მეთქი. ასი მანეთი რა ამბავიო, გაოცდა დედაჩემი. სამაგიეროდ, სამი წელი მეყოფა... თანაც სწორედ ის წიგნია, მასწავლებელმა რომ შემოგითვალა, მაგის გარეშე სკოლაში არ მოვიღესო. ჩაფქირდა დედაჩემი, ასი მანეთი ეძვირა, მაგრამ თუ სამი წელი ეყოფაო, მასწავლებელიც თუ აღარ შემაწუხებს, იქნებ გავიჭირვოო, ანგარიშობდა გუნებაში.

— შეიძლება ხუთ თუმნად დაგვითმოს! — ვთქვი უცბად, როცა მიგხვდი, რომ დედა სერიოზულად აპირებდა იმ წიგნის შექენას.

თხოვე მაშინ, მეტი არა გვაქვსთქვა, უთხარი, იქნებ მართლა დაგიომოსო. ჩემი წინადადება მოეწონა დედაჩემს, ხუთი თუმანი მომცა და სამწლიანი წიგნის საყიდლად გამიშვა.

კოტე შარვალს იუთოვებდა; სეულ ნაჭერს წურავდა, მე რომ მივედი. ტრუსებისამარა იღგა და თეთრ პერანგზე ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული. ორშაბათამდე არ ძელოდა, თუ რა იყო, არ ვიცი და, ძალიან გავაკვირებ და გავახარე ჩემი გამოცხადებით. ფული გამომართვა. წიგნი მომცა, მშვიდობაში დაგებიოსო, დამლოცა და აიგნის კარამდე გამომაცილა ტრუსებისამარამ.

თვალისჩინივით გაუფრთხილდი ამ წიგნსო, მიფხრა დედამ. არ დახიო, სამი წელი იმყოფინე, როგორც გინდაო. პირნათლად შევასრულე მშობლის დარიგება. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე კლასის სახელმძღვანელო წიგნი



იყო. მე უკვე მეხუთე კლასს ვამთავრებდი. გამოირკვა, რომ თითქმის ორი წელი ამ წიგნის გარეშე გამეტარებინა.

ნა. მომდევნო წელს წიგნი სასკოლო პროგრამიდან ამოიღეს, იმ წელს მე ის არ გადამიშლია და რა ეშმაკი დახვდა.

შოთა ბოთა

ბაბრატის ტაძრის ზედა გალავანზე გადავედი. თავახდილი ბაზილიკის გვერდით, მისის მხით გახურებულ მიწაზე, ახლად გაფოთლილი ბროწეულის ჩრდილში დავჯექი. ჰაერი არ იძროდა. მხით გადაბღვლილებული, გადაკრიალებული, ლაყვარღვენი ცარგვალი დამხობდა დედამიწას. სიფრიფანა ღრუბლის რამდენიმე ფთილი იდო მხოლოდ ნაქერალს თავზე.

დაგუდული, შორეული ხმები ამოდიოდა ქალაქიდან. გორის ძირში, სადღაც სულ ახლო, დედა დატიროდა ომში დაკარგულ შვილს.

— ...თენგიზია, სად ხარ, თენგიზია, თენგიზია, შვილიო!..

ეს ხმა ნელა და არაბუნებრივად ამოდიოდა ზემოთ, წამით იყინებოდა გამჟვრავლე ჰაერში, ეშვებოდა კვლავ ძირს, რიონის ქალისაკენ, მოდიდებულ მდინარის ჩქერში იმსხვრეოდა და იძირებოდა.

..თენგიზია, შვილო, გაბარეული თენგიზია!..

გულწითელა ჩიტი შემოჯდა ბროწეულის წვრილ ტოტზე, ელასტიკურმა რტომ აღმა-დაღმა დაიწყო ქანაობა. კარგა ხანი იჯდა ჩიტი აქანავებულ ყლორტზე. უცხად გაფრინდა, ფარფატით შემოუარა ზღუდე-გალავანს და ქვის გროვაში ამოსულ ბარდებში ჩაიმალა. ჭიანჭველა ააცოცდა ბალახის აყელყელავებულ ღერს, ავიდა წვეროში და შეჩერდა: იდგა და ფიქრობდა ჭიანჭველა. შემობრუნდა, იმავე გზით ჩავიდა ქვევით, საიდანაც ამოცოცდა, კვლავ ამობრუნდა, ამჯერად შუა გზაზე შეტრიალდა, თავდაღმა დაეშვა, ჩავიდა ბოლომდე და ბალახის ბაოში გაუჩინარდა.

...თენგიზია, შვილო, თენგიზია, სად ხარ, შვილო, გაბარეული თენგიზია!..

მანქანების საყვირის, მამლების ყვილის ბუნდოვანი და გაუკუღმართებული ხმაჟ ჩაერთო საერთო ხმაურში, აქრიალებულ სინთემში. დედის ზარი კი, ომში გაბარულ და დაღუპულ შვილს რომ დატიროდა, მიიღია და მიწყდა. ახლა რიონის შხუილმა გადაფარა დიდი მომწვანო ბუხის ბზუილი, გაცრეცილ თავლისფერ ლოდს რომ დასტრიალებდა გამჟვრავლე ქერქების ფრთხილით. შემდეგ თითქოს ბუხმა აჯობა რიონს.

შეშევი ალაპლაპებული ქალაქი ჩვეულებრივად, უხმაუროდ, ზანტად მოძრაობდა. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარაიყოს თითქოს იმ მისს, ომში უნებართვოდ წასულ და დაღუპულ შვილზე გამწარებული დედის მოთქმაც არ არღვევდა თითქოს სიშვიდესა და ყოველდღიურ ერთფეროვნებას. კვლავინდებურად ელავდა მოწამეთის, შწვანეყვავილას და გელათის მონასტრების გუმბათები, კათოლიკური ეკლესიის ქვის თაღები, სანაპიროზე გაღმომდგარი სახლების სახურავები.

საიდანღაც შოფერი შოთა გამოძვრა. ატატებული პატარა ბიჭით მოდიოდა. ავტომანქანის საბერველი მოჰქონდა თან. ბავშვს კი უზარმაზარი, დაჩუტული ბურთი ეჭირა ხელში. თვალდასიებულმა შოფერმა, რომელსაც შოთა ბოთეს ეძახდნენ, ბავშვი ძირს ჩამოსვა, თვითონ პირდაპირ მიწაზე დაჯდა, საბერველი მოიმარჯვა, რეზინის მილი ბურთის სასულეში გააკვება და ბერვა დაიწყო. ბიჭიც იქვე ჩაცუცქდა, ოღნავ

რაზო ზიზვილი
მუსიკა მარში



შებერილი ბურთის გვერდებს უტყაბუნა ხელები და შემდეგ ბალახებქვეშ მოფუსფუსე კიანჭველების ცქერით გაერთო. ხმელი წყირი აიღო და გზა გადაუღობა გაბაწრულ ქარავანს. გაბურბუსალბული შოთა ბოთე ხვნეშოდა, ოხრავდა, დგუშს ამოძრავებდა ზანტად და უყურადღებოდ. სადღესასწაულოდ ნაქიფარს შეიძლება თავი სტიკოდა და პირი უშრებოდა. მალე გაიოფლა, დაიღალა, ბუშტი კი არ გაიბერა და არა. წამოდგა, ქვაზე გადაჯდა, ბუშტი მუხლებში მოიმწყვდია და მთელი ძალით დააწვა საბერველს და მასთან ერთად აქშინდა. გახარებულმა ბიჭმა ნახევრად გაბერილ ბურთს შემოხვია ხელები, მეტი აღარ უნდაო, დიძახა. შოთა ბოთემ მომზვარული ბუშტი შეამოწმა, უკმაყოფილოდ გააქნია თავი; ბურთს დახედა, დგუშს დახედა, უზარმაზარი ლოდი გადმოაბრუნა, მოუხერხებულად დაჯდა ზედ და თავიდან შეუდგა ბერვას. დაფიქრებული აწებებოდა დგუშს და სადღეს უმისამართოდ იხედებოდა. დაკუნთული ყბებისა და კისრის კუნთები უკრთოდა რამდენსამე ადგილას. შეშუპებულ ქუთუთოებში ღრმად და საინმედოდ ჰქონდა შემალული ორი კეკუნათივით შავი, არაფრისმთქმელი თეალი. რტომ ეძახდნენ ქალაქში ცნობილ, თავზეხელაღებულ მძლოს შოთა ბოთეს ნეტავი?

რიონშესის საფუბარს ქვემოთ. ნაწისქვიდართან მდინარეს დიდი მანქანა მოაგ გა უკუსვლით, თავახელში ჩაიდა, რაგორც ჩანდა, უკანა ბორბლებით. ვილაკამ ცალი ბორტი გადახსნა, კიდევ ვილაკ გაილანდა და გაქრა. ეტყობოდა, რიყის ქვებს ყრიდნენ ძარაზე. თეთრბერანგოანი კაცი და წითელკაბიანი ქალი გამოჩნდნენ ძველი სასამართლოს ეზოში. მზებზე იდგნენ და არ ინძრეოდნენ. ტიროდნენ, იციროდნენ თუ ლაპარაკობდნენ; ალბათ იციროდნენ. ლურჯი, გამქვირვალე ბოლი აუღიდა მოწამეთის საკარის ქარხნის ვრძელ მილს. კომისარიატის გვერ-

დით, სადაც სამღებრო უნდასწავლავო, სახლის ყრუ, თეიარ კედელს ახლად შეღებილი ლილისფერი მატერიები ჩამოეფინა.

შისისგან შეწუხებული, თვალბუჭებული შოთა ბოთე დგუშის სახელურს აწებებოდა კვლავ, ლოდს აბრუნებდა წაღმა-უკულმა და მარჯვე დასაჯდრმს ეძებდა.

დაგორგლილი, ლილისფერი მატერიები ჩამოიშალა კვლავ სამღებროს კედლებზე. რამდენსამე ალაგას გადაფარა გალავანი, წყლამდე ჩააღწია იმ ნაჭრებმა და ლილისფერი გადაიკრა იმ ალაგას რიონმა. ნაქერალას მთიდან წამოსული თხელი, რძისფერი ღრუბელი გამოყვა წყალწითელას ხეობას, თავზე წამოაღმა მტრედისფრად აფერადებულ ღვთისმშობლის საყდარს, იცურა მარჯვნივ და გადაფარა მზე სადღაც ბაკისუბნისა და კახიანოურის მიმართულებით. სინათლემ იკლო და რიონიც გადალურჯდა იმწამსვე.

შოთა ბოთე აწებებოდა დგუშის სახელურს, ბერავდა და ვერ ბერავდა ვეებერთელა ბუშტს. ბიჭს კი მოთმინება დალეოდა, ტირილის დაწყებას აპირებდა. შოთა ბოთემ ამიოხობრა, წამოდგა, გრძელი ლოდი აღმა აატრიოლა, დაჯდა, მანქანის საბერველი მოისროლა, ბუშტი პირზე მიიღო, ამოიქშინა და ჩაბერა. ბურთი გაივსო, გაბიზინდა, გაიბერა, გვერდები აუელვარდა. აღტაცებული ბავშვი ხტოდა, ყვიროდა, გეყოფათ, ეძახდა მამას. შოთა ქშინავდა და ბერავდა, ბუშტი იზრდებოდა, უფრო გამქვირვალე, უფრო ვარდისფერი ხდებოდა, მზეს ეფარებოდა და მეწამული შეჭი ეფინებოდა შემორღვეულ გალავანს. შოთამ ბუშტს თავი მოუკრა და შეიღს მისცა. ბავშვი ბუშტიანად გაიქცა. თითქოს ბუშტმა აიტაცა. მიწაზე ფეხდაუკარებლად მივიდა გალავანამდე. მამა გაეკიდა ბორძიკით და კვანძალით. კლდეზე გადამდგარ ზღუდესთან შედგნენ, შოთამ შვილი აიყვანა, ყორავზე შესვა. ასე იდგნენ და იხედებოდნენ ქვევით.

ცოტა ხნის შემდეგ ბავშვმა ბუშტს ხელი უშვა. ბუშტი ჯერ წინ გაგარდა, უცხად აიჭრა ზევით, წამით გაშვებდა ერთ ალაგას და ძალიან ნელა გაცურდა წინ. თენგიზია, შვილო, გაპარულო თენგიზია... ეს ხმა გაიყოლა წითელმა ბუშტმა და ვარდისფერმა ჩრდილმა.

გადაუარა ლილისფერ წყალს, აბრჭყვია ალბელ კათოლიკურ ეკლესიას, სპილოსფერ ქვებს, დახავსებულ გალავნებს, დაბზარულ კედლებს, წითელკრამიტიან სახურავებს. წითელი ბუშტი წინ წავიდა, წავიდა, დაპატარავდა და მზეში ჩაიკარგა.

მეელექტრონე გედია

ჯველამ, გამარჯვებით დაბრუნებულმა, ომის სამახსოვროდ რაღაც ნივთი გამოაყოლა ხელს. ბევრმა მხოლოდ მედალი და თავი ჩამოიტანა, მაგრამ ოჯახის წევრებისა და ახლობლების გასახარებლად, რა დასამალია და, ერთეულებმა, ხელის მოსათბობადაც, ნაღვლი ჩამოიყოლეს. მართალია, თუ არაკად თქმულა, არ ვიცი და ერთმაო პატარა ჩემოდნით რამდენიმე მილიონი საკერავი ნემსი წამოიღო და მანეთ-მანეთ დაყიდა. რამდენად სწორად და პატიოსნად მოქცეულა, სხვა სათქმელია, მაგრამ იმ აღმაიანს უქკუობას რომ ვერავინ დასწამებდა, ცხადზე უცხადესია.

მამაჩემმა ომის დამთავრების აღსანიშნავად უზარმაზარი ელექტროლუმელი შემოაგდო ოჯახში. გერმანიაში არ ყოფილა, მაგრამ გერმანული მარკის ელექტროხელსაწყო ჩვენ ქალაქში თავისით ხომ არ გაჩნდებოდა. ბუნებრივია, ვიდიცამ გამოგზავნა ან ჩამოიტანა და მამაჩემმა იყიდა ან ისაჩუქრა.

ამას რიონპესის დენი არ ეყოფა და ქალაქს რას უშვრებითო, იხუმრა ერთმა ჩვენმა ახლობელმა კაცმა. დენს მაინცდამაინც ბევრს არ ხარჯავს, სამაგიეროდ, მთელი ცხვარი შეიწვება შიგო, განაცხადა ოჯახის უფროსმა. მივხვდი, იწყებოდა ახალი ერა ჩვენს ცხოვრებაში. აღარც შეშა დაგვირდებოდა, აღარც ქვანახშირი. ყოველ მეორე დღეს მთელ ცხვარს შეებრაწავდით ელექტროქურაში და ვიქნებოდით არხეინად. ცხოვრება ასე უნდა.

ჩავრთეთ მოკლედ ის ჩვენი ელექტროლუმელი იმ საღამოსვე. რაღაც გა-

დასართველ-გადმოსართველები გადავწყით, გადმოვწყით გაუგებარ ენაზე დაწერილი ინსტრუქციის მიხედვით და უკანაც დავიხიეთ წარმოუდგენლად მაღალი სიმხურვალის შიშით. შეთბა ის ჩვენი ღუმელი და მეტი არა. უნდა აცალით, თანდათან გახურდებო. ვაცალით, ვუცადეთ, არ გახურდა, არც იმ დღეს და არც იმ კვირაში. რაღაც უნდა გველონა. ვიფიქრეთ და მოვიყვანეთ მეელექტრონე გედია. მაღალი, კისერგამართული და ბეჭებში მოხრილი კაცი ტილოს ფეხსაცმელებით დადიოდა ზამთარ-ზაფხულს. აცივდებოდა თუ არა, თეთრ ტილოს გააშავებდა და თუკი გაზაფხულამდე გააძლებინებდა, რაც ცოტა დაუჯერებელია, ისევ თეთრად გადალებავდა. უბრალო მონტიორსა და ელექტროტექნიკოსს შორის მერყეობდა გედიას თეორიულ-პრაქტიკული განათლება. გედეონ-ელექტრიკად იყო მონათლული.

მოვიდა ეს გედეონ-ელექტრიკი. რაშია საქმეო, იკითხა შორიდან, ვსაუზმობდით და ოთახში შემოსულა მოიხათრა.

მობრძანდით, მობრძანდით, მოიპატივეს. აქედან შევხედავ, არა უშავსო, იძახდა კარში გახილული გედია. ძლივს შემოიყვანეს. ფეხები მაქვს ცოტა დასვრილიო, ბოდიშობდა მაინც.

— ეს არის? — ელექტროლუმელს მიაჩერდა იგი ვაოცებული სახით.

— ეს არის, კო.

— ხო, ხო, ხო... რა ნახელავია, შენი

რაყო ზეიშვილი
მუსიკა მარში

ჭირები... — ხელს უსვამდა და ეფერებოდა ღუმელს.

მთელი დღე შლიდა და აწყობდა გედია ელექტროღუმელს. საჭმელი არ ჰქონდა და მამაჩემიც უსადილოდ დატოვა. მოვარჩები და მერეო, იძახდა; ვერა და ვერ მორჩა. ახალდაღამებულს დაიბანა, როგორც იქნა, ხელები, პირსახოცის გამოტანამდე ცხვირსახოცით შეიმშრალა მალულად, იყოს, იყოს, არ მინდა, შევიმშრალე უკვეო და ხალათის ჯობიდან ერთი პეშვი ნაწილები ამოხაზა, ესენი გორჩაო, თქვა და ფრთხილად დალაგა კუთხეში.

— როგორ მორჩა? — გაუკვირდა მამაჩემს.

— მორჩა, მარა შეინახეთ მაინც, ყოველ შემთხვევისათვის.

— კარგი, რაც არი, არი, ვივასშოთ მაინცო, თქვა ჩვეფქრიანებულმა მასპინძელმა. ჭერ ჩავრთოთო, განაცხადა გედეონ-ელექტრიკმა. ჩავრთეთ. შეფერმკრთალდა სპირალი, ძველებურზე უკეთესად გახურდა ქურაჲ. აწი და აწი წავა და წავაო, თქვა კმაყოფილმა გედიაშ. ის მორჩენილი ნაწილები მართლა აღარ იყო საჭირო თუ შემთხვევის იყო ჩამონტაჟებული, ვერ გავიგეთ.

ვივასშოთ, ვივასშოთ, იძახოდა მამაჩემი. ცოტა მადროვეო, პასუხობდა გედია, შიშველ სპირალს ადებდა ხელისგულს. და ხსიათი უფუქდებოდა, უნუგეშობა იპყრობდა თანდათან.

— მოეშვი, თუ კაცი ხარ!

— ახლავე, ახლავე... — ბუტბუტებდა გედია და დაბნეული აცეცებდა თვლებს. ვკამოთ მაინცო, ეუბნებოდა მამაჩემი. ნაქამი ვარო, ამტკიცებდა საქციელწახზდარი მეელექტრონე. როდის ჰამე, შე კაცოო, გულმოსულად ეცინებოდა მასპინძელს. რიონჰესში მა-

ლე ფაზები შეიცვლება და ამასვე სხურვალე მოემატებო, გაუბედავად ამბობდა გედია. მაგაზე დადგომია ჯაგრი, თუ არ მოემატებო, ეუბნებოდა მამა. ეს ნაწილებიო, მორჩენილ ნაწილებს დაჰყურებდა გედეონ-ელექტრიკი, არ დაჰარგოთ, კარგად შეინახეთ, მაინც, რა იცოთო და ახლა ბოდიშს ვიხდი, უნდა წავიდე, ძალიან მეჩქარებო. ვერაფრით ვერ გააჩერეს, ფული შესთავაზეს. ამაზე სულ გადაირია და გაიქცა.

სამსახურში მიმავალი და სამსახურიდან შინ დაბრუნებული გედეონ-ელექტრიკი მორიდებული და დარცხვნილი ჩაუვლიდა ხოლმე ჩვენ სახლს. ცალ თვალს ჰიშკრისაკენ გააპარებდა და ჩემს გარდა თუ ვერავის დაინახავდა, ჩერდებოდა; გახურდაო? მეკითხებოდა ხმადაბლა.

— ისე, რა... — უხეიროდ ვიჩჩავდი მხრებს.

— სულ არ მოიმატა? — ხმას უდაბლებდა გედია.

— ცოტა კი.

— აწი და აწი უფრო მოიმატებს...

— თითქოს რაღაც საიდუმლოს მიზიარებდა, ისეთი იდუმალი ხმით ამბობდა იგი და გაჩქარებული ტოვებდა იქაურობას.

— არ გახურდა? — თითქმის ჩურჩულით შემეკითხა თვის ბოლოს.

გახურდა-მეთქი, ვუთხარი. ხომ ვამბობდი მეო, თვალეში გაუბრწყინდა ტილოს ფეხსაცმელებში და თხელ საწვიმარში გათოშილ მიღალ, გრძელცხვირა კაცს, გედეონ-ელექტრიკს.

ელექტროღუმელს კი დენზე აღარც ვაერთებდით. სხვანაირად თბებოდა და ხურდებოდა იგი. ქურაში საბუდარი გავაკეთეთ და დარბაისელი კრუხი დავაბრძანეთ კვერცხებზე.

ბიძინაშ როზ გოთლი გაბეხა

მისი დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ სოფელში ბიძაშვილმა ნინუცამ ჩუმად მიიხრა: ხვალ რაღაც უნდა

გაჩვენოო. რა-მეთქი, დავინტერესდი. ხვალ დილით თხებს რომ გავრეკავთ, მაშინ გაგაგებინებო. დილაშე რა გაძ-

ლებდა. არ მოვეფი და გამოტყდა. ფრონტზე წასვლის წინ, ბიძინამ რომ ღვინის ბოთლი გატეხა, იმის ნატეხები მაქვს დამალული. სად დამალე-მეთქი, ვიკითხე ამ საიდუმლოს არარაობით გულაცრუებულმა. მსხლის ფესვებშიო. თუ არ გჯერა, დილით განახვებო. რა უნდა ენახებინა, ბოთლის ნატეხები ცოტა მჭონდა ნანახი თუ რა. საკვირველი იყო პირდაპირ.

სოფლის ბოლოში, ბრეჯზე, საიდანაც საურმე გზა შემოდის ორღობეში, ორი დიდი, ფესვებგამიშვლებული მსხალი იდგა. აი, აქა მაქვს დამალული, მითხრა ნინუცამ მეორე დილით, როცა იმ მსხლებს გავუთანასწორდით და თხებმა უკანმოუხედავად ჩაიარეს ფერღობი. ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა. აღარც კი მახსოვდა, წინა ღამით იმოდენა საიდუმლო რომ გამოიზიარა. მსხლის ძირას ჩაცუტკდა, ფრთხილად შეჰყოფის ვეგვემ ხვრელში ხელი და გამოიღო შუშის ნამსხვრევები, ჩვეულებრივი ლიტრიანი ბოთლის ნამსხვრევები. აქედან გააცილეს ფრონტზე ბიძინაო, ამ ხეს შემოკრა ღვინიანი ბოთლი და წავიდაო, რომ დაბრუნდება, დავახვედრებო, ბიძინას ჩამოსვლამდე არავის არაფერი არ უთხარო, გამაფრთხილა და ნატეხები ფესვებში შემალა კვლავ.

ჩვენი გარე ბიძაშვილი, უფრო სწორედ, ბიძა, სოფლის თვალი, მომღერალი და მოცეკვავე ბიძინა შემოდგომაზე გაიწვიეს ომში. იმ მსხლებამდე გამოჰყოლოდნენ მშობლები, ნათესავები და ახლობლები; იმ ხეებთან შეესვათ ბიძინას გზის დასალოცი და იმ ხეზე მიემსხვრია აღგზნებულ ბიძინას ღვინის ბოთლი. სამახსოვროდ დარჩესო, უთქვამს სიცილით. ამ სიტყვებისათვის კი ნინუცას გარდა ყურადღება არავის მიუქცევია. როცა სუყველანი წასულან ბოთლის ნამსხვრევები აუკრეფთა, დიდები ვადაუყრია, პატარები კი მსხლის ფესვების ხვრელში შეუწახავს. იმ დღიდან, იმ შემოდგომიდან ელოდებოდა

ნინუცა ბიძინას და საიდუმლოს ეგრე რიგად არ უმხელდა არავის.

ყოველ ჩამოსვლაზე, ზაფხულის თუ ზამთრის არდადეგებზე, დღესასწაულზე თუ სხვა რაიმე გაუთვალისწინებელ ვიზიტზე, ნინუცა ფესვებამოყრილ მსხალთან გამაჩერებდა და მეტყვოდა:

— ა, ბიჭო, ა, ამ ხეზე მიატება ბოთლი ბიძინამ... აქა მაქვს შენახული მისი ნატეხები... — დაიხრებოდა, ჩხირით ფრთხილად, სათითაოდ გამოყრდა პატარ-პატარა, მწვანე, ნახევრად გამჭვირვალე შუშებს, ვადაწყობდა, ვადათვლიდა და ისევ უკან შეაღაგებდა; რომ ჩამოვა, ასევე უნდა დავახვედროო, იმეორებდა.

ბიძინასაგან კი უკვე აღარაფერი ისმოდა. მისი ასავალ-დასავალი არ იცოდა არავინ. ომი მთავრდებოდა და ბიძინა არ ჩანდა. დამთავრდა ომი. ბიძინა არც მკვდრებში ეწეოდა, არც ცოცხლებში. მისი დაბრუნების იმედი გადაეწურა მოხუცებულ მშობლებსაც კი, მხოლოდ ნინუცა არ კარგავდა იმედს და ისევ ძველებურად ელოლიავენოდა ბოთლის ზღვისფერ ნამსხვრევებს. ჩვენ ვავიზარდეთ თუ ნატეხები დაპატარავდა, ვერ გამეგო. აშკარად დაიკლეს ზომაში, გაგლუვდნენ, გაღამაზდნენ; ისინი ბოლოს უფრო ეღვარებდნენ მსხლის ფოთლებში ჩამოპარულ მზის სხივებში, ვიდრე ადრე. როცა ჩამოვა, დახვდებო, უხაროდა ნინუცას და მეხუთე შემოდგომაზე, ჭინკობის თვეს, ყანების ატეხის დროს, რთელის დაწყებამდე ჩამოვიდა ბიძინა. სიცოცხლით საესე, მხიარული და მოცინარი; მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი.

მთელი სოფელი დიდიან-პატარინად, ქალიან-კაციანად გამოეგება ბიძინას. იყო მიკითხვა-მოკითხვა, სიხარულის ტირილი. საღამოს სტუმრებმა შეიყარეს თავი ბიძინას გაცოცხლებულ ოჯახში. სუფრა ეზოში იშლებოდა, წაბლის შე-

რაზო ვაიშვილი
მუსიკა მარში

მა ტკაცუნობდა სასწაღში. იკვლევოდა, იწვევოდა, ცხვებოდა და იხარშებოდა ყველაფერი ის, რაც ამ დღისათვის იყო გადნახული: ქალები ფუსფუსებდნენ, კაცები ტრიალებდნენ. ჭგუფ-ჭგუფად შეკრებილი ხანში შესული მამაკაცები და ბერიკაცები დარბაისლურად მასლაათობდნენ ეზოში. ბიძინა ხან ერთ ჭგუფში გაერეოდა, ხან მეორეში. ხან კალოზე გამოჩნდებოდა, ხან აივანზე გაილანდებოდა, ხან სად იდგა და ხან სად.

ნინუცამ კალთაში ჩაყრილი ბოთლის ნატეხები მოიტანა, დიდხანს იარა ლობე-ლობე ფეხაქრფევით, როგორც იქნა, ბიძინა დაიმართოხელო, ნატეხები აჩვენა და უთხრა: შენ რომ ბოთლი გატეხე მსხალთან, ელიას გორახე, ის არისო.

— რა არის? — ხმამალა გაიცინა ბიძინამ და ნინუცას თავზე ხელი გადაუსვა.

— ბოთლის ნატეხები.

— რისი?

— ბოთლის...

ვერაფერი ვერ გაიგო ბიძინამ. რა ბოთლი, რის ნატეხები, რაზე იყო ლაპარაკი, ვერ გაარკვია, აივანზე ყმაწვილები თამაშობდნენ ნარდს, ბიძინას ეძახოდნენ, ამოდით. ერთი შარვალაკაპიწებული, აყალოთი ფეხებმოსვრილი ბიჭი ეტბნებოდა, მამამ შემოგითვალა, ქურის მოხდას დაესწარიო.

— კარგი გოგო ხარ! — უთხრა ბიძინამ ნინუცას, ჯიბეში ხელი ჩაიყო და კარგა ხანი აფათურა შიგ. ჩანდა, კამფეტს ეძებდა. ან ვერ მოიძია, ან ნინუცა მოეჩვენა გაზრდილი, რომლისთვისაც კამფეტი აღარც კი უნდა შეგკადრებინა. ისევ გაიცინა და ყურადღება-

დაფანტული გაჰყვა აყალოში მოსვრილ, შარვალაკაპიწებულ ბიჭს.

იქვე, იმ ალაგას იდგა ნინუცა უძრავად ცოტა ხანი. შემდეგ კაბის კალთა ჩამოუშვა და შუშის ნატეხები დაყარა ღობის ძირში.

— ...რა დაყარე, გოგო, ამ დანვეტილ ეზოში!.. — იყვირა ჩვენმა ნათესავმა ქალმა, გატყინებულ სუფრას და ხელსახოცებს რომ მიიარბენინებდა. — რა არის ეს, რა ქენი, სტეკლოები არ დოუყრია... რომ დაადგას, ბოშო, ვინმე ფეხი, რას შობი მერე... აბოჰე ახლავე!.. დედა, რაეა წახდა ეს ბოვშები, აღარც რიდი აქეთ... აღარც ზრდილობა, აღარც უფროსის პატივისცემა იციანი!.. — ცაცხან-ცაცხანით ჩაიარა ნათესავმა ქალმა და სახლის ყურეს მოეფარა.

ნინუცამ ბოთლის ნატეხები აკრიფა ფრთხილად, საითათოდ, კაბის კალთაში დაიგროვა კვლავ, საბიჯგელოზე გადავიდა, ბურღებში გადაყარა და ხელცარიელი მობრუნდა. ღობესთან გაჩერდა. ეზოში აღარ შემოსულა. იდგა, გამხიარულებულ ხალხს უყურებდა კარგა ხანს. მზე ჩასულიყო. ბინდებოდა. სტუმრები რივისა დ წესის მიხედვით სხდებოდნენ სუფრასთან. თავზიანად უთმობდნენ ერთმანეთს ადგილს, ერთმანეთს ეპატიებოდნენ.

— მე სახლში მივიდვიარ. — მითხრა ნინუცამ.

— რატომ?

— მეძინება. — მალულად დაამთქნარა მან.

რა დროის ძილია-მეთქი.

— რა ვიცი, მეძინება კია და, ალბათ დავილაღე... — ცივად თქვა მან, შეტრიალდა და წავიდა.

თავი ბამიბენს

მამიღრი ბიძა, დედაჩემის ძმა ბართლომე, გაცილებით გვიან დაბრუნდა. შემოდგომის მიწურულს ჩამოვიდა ჩვენ ქალაქში.

სკოლის ეზოში მეზობლის ბავშვმა

მომაკითხა: დედაშენმა შემოგითვალა, ბიძაშენი ბარძიმით თუ ბართლომე ჩამოვიდა, სოფელში მიდის და მატარებელს თუ მოუწერებ, შენც წაყვიო. ომიდან დაბრუნებულიყო საყვარე-

ლი ბიძა, რომელიც დაკარგული გვე-
გონა კარგა ხანს. მხოლოდ ომის მიწუ-
რულს მოგვაწვდინა ხმა და წერილიც
გავუგზავნე დედის რჩევა-დარიგებით.
ისე არაფერი არ გამხარებია და არა-
ფერი არ გამეკვირებიათ, მწერდა სა-
პასუხო ბარათში, რავარც შენმა წე-
რილმა გამახარა და გამეკვირვაო. ნუ-
თუ, ჩემო ბაბო, შენ, რომელიც კი-
ნდამ ახლად ფეხადგმული დაგტოვე, იმ-
ხელა ხარ, რომ ასეთ შინაარსიან წე-
რილს მიგზავნიო. ახლა სანგარში ვზი-
ვარ და პასუხს გწერ. როგორც კი
დროს ვიშოვნი, შენ წერილი ვკითხუ-
ლობ და ვტერი, თვალზე ცრემლი არ
მაშრებიაო. ცოტა მოითმინე, გერმანე-
ლებს მივასარგალ-მოვასარგალებ და
დავბრუნდები, არ შეგეშინდეს, ყოჩა-
ღად იყავიო.

ვტაცე ხელი ჩემს საველე-სამხედრო
ჩანთას, რომლითაც სასკოლო წიგნებს
ვატარებდი იმჟამად, გადავიკიდე ბეჭ-
ზე და გავვარდი. მთავარი იყო, მატა-
რებელს არ გავსწრო. წინასწარ წარ-
მოვიდგინე, რა ამბავი ატყდებოდა
სოფელში ბართლომეს დანახავზე. სო-
ფელს სოფლად ვნახავდი და, რაც
მთავარია, შევხვდებოდი ბიძაჩემს, რო-
მლის გამოც საბანქევშო ცრემლიც მი-
ღვარღვალეზია.

მატარებელმა არ უნდა გამასწროს-
თქვა, ჩავიქედე გონებაში და საბარგო
მანქანას, ჩემი ვარაუდით რომ სადგუ-
რისაკენ მიდიოდა და არც შევამცდარ-
ვარ, ჩამოვეპორწიალე; სადღაც ძარას
ქვემოთ მოვიკიდე ფეხი და იღლებით
ჩამოვეკიდე ქუჩკიან ბორტს. ძარაზე
ნახშირი ეყარა და კაბინის უკან საყე-
ლოაწეული, კაცობაში შესული ორი
ბიჭი იჯდა. ზურგით კაბინას მივრდნო-
ბოდნენ, თავ-კისერს არიდებდნენ ქარს,
რომელიც გამეტებით მცემდა სახეში.
ბიჭები იცინოდნენ, რალაცას ლეჭავ-
დნენ და თან მე მომჩერებოდნენ. ბო-
ლოს ნახშირის სროლა დამიწყეს. ჭერ
პატარა ნატეხები დამიმიზნეს, შემდეგ
დიდები გამოუშვეს და ბოლოს კარგა
მოზრდილი ფიქლო დამაფშენეს თავ-

ზე. ზუმრობას აღარ ჰგავდა მათი საქ-
ციელი. ფრონტს, ბრიკოლას და სის-
ხლისღვრას ვადარჩენილმა, კაცობაში
შესულმა ბიჭებმა სიცილს, ლეჭვას და
სროლას მოუხშირეს. სხვა გზა აღარ
მქონდა და გაქანებული მანქანიდან
ჩავხტე. სირბილით გავეყევი პატარაზე,
მაგრამ როცა ბორტს ჩაქიდებული, სი-
ცივისაგან გაფიხხული ხელებიც ნა-
ხშირებით ამიფორაჯეს, თავი ვეღარ
შევიმაგრე და მწარედ წავიქეცი. ერთი
კი გავიფიქრე სულელურად, ახია თქვენ-
ზე, ხომ დავიბტევი, ასე მოგიხდებო-
მეთქი და თავი წამოვწიე. დამწუხ-
რებულნი, შემფოთებულნი სახეების მა-
გივრად სიცილისაგან დაოსებული, აღ-
ტაცებული ბიჭები დავინახე და მანქა-
ნაც მიეფარა თვალს.

შუა ქუჩაში მარტოდმარტო დარჩე-
ნილმა, თავჩაღუნულმა, გაბრუებულმა
და გაშტერებულმა ძირს რალაც წითე-
ლი საგანი შევნიშნე, რომელიც აღდგო-
მის კვერცხის ნაჭუჭი მეგონა. სანამ
შუბლზე ხელი არ მოვისვნი, მანამ ვერ
გავიგე, ჩემი სისხლში შეღებილ რი-
ყის ქვეს რომ ვუყურებდი.

მანც მატარებლის გასვლამდე მი-
ვედი სადგურში.

უფროსი სერჟანტი იდგა ერთ-ერ-
თი ვაგონის კიბესთან. შორიდანვე
ვიცანი გამხდარი, ულვაშა, მოციმიცი-
მე, გაუტეხელი, წაუწყმედელი თვალე-
ბის პატრონი კაცი, ყოჩაღი ქართველი
ჯარისკაცი, ბევრი ბრიკოლებისა და ცო-
ტა მეღლების კავალერი, მრავალგზის
დაჭრილი და საღსალამათად დაბრუ-
ნებული მხედარი ბართლომე.

ჩემთან შეხვედრამ უფრო გაახარა
ბართლომე თუ ჩემი გატეხილი შუბ-
ლის დანახვამ, საკითხავი იყო. უჩხუ-
ბილი, აღტაცებული უმტკიცებდა შეშ-
ფოთებულ დედას; მეხვეოდა, მათვა-
ლიერებდა. თავი დაარტყი თუ თავი
დაგარტყესო, ყვიროდა და ყურადღე-
ბას იპყრობდა მგზავრებისას, ღიმი-

რაჟო ზივილი
მუსია მარში

ლით და თანაგრძნობით რომ იხედებოდნენ ჩვენს. ბურთის თამაშის დროს დავეცი-მეთქი, ვიმეორებდი, მაგრამ ბიძაჩემს ჩემი არ ეუყურებოდა. ეს არაფერი, მაგის წამალი მაინც ვიცი, სხვა თუ არაფერი, ჯიბიდან მახორკა ამოიღო და ქრილობაზე დამაყარა ფრთხილად, შემდეგ პაპიროსის თხელი ქაღალდიც მომაწევა რაღაცნაირად და თავისივე ნახელავით მოვიდა ალტაცებაში. შვენის, კაცს დაემგვანაო, იმეორებდა სიცილით.

— შენ მოისპე, ბურთის თამაშის მეტი რომ არაფერი გახსოვს, ასე უნდა წახვიდე სოფელში?.. — ჩამილაპარაკა დედამ, როგორც კი დრო იხელთა. მართლაც, ისე იმნაირად ქაღალდაწებებული წავედი. სოფელში ჩასვლის-

თანვე მოვიშორე ქაღალდი, შელექსებული სისხლი და თუთუნის ნაბწყვენი. არც არაფერი გამართლებია, არც არაფერი გამმიზეზებია, როგორც დედაჩემს ეგონა.

რა უნდოდათ? რატომ მესროდნენ ქვანახშირის ნატეხებს, ყველაფერი რომ გავიგო, ამას ვერაფრით ვერ ავხსნი. სიხარული ვერ მომიკლეს, დაღი ვერ დამაჩინეს, მაგრამ წყენის ნალვერღალი ზომ სულის ღადარში შემიხვიეს უმიზეზოდ. დავიწყების ბინდი გადაეფარა ბოლოს ყველაფერს, ისე, როგორც ჩემი სისხლით შეღებილ ქვას გადაეფარება მალე ასფალტი, მაგრამ სულში ჩატოვებული წყენატი არ იფერფლება, — იღეჭება და ძნელად ირეცხება.

ლექსის დავაწერე

სკოლაში თქვეს, მერხვილამემ ომის დამთავრებაზე გადასარევი ლექსი დაწერა, წაიღეს და სამასწავლებლოში გამოაქრესო. უნიჭიერესი ბავშვიო, განაცხადა კერძო საუბარში ზოოლოგიის მასწავლებელმა, მაგისაგან უიყო დიდი პოეტი დადგებაო. შესვენებაზე თანაკლასელები სამასწავლებლოში მიდიოდნენ და ალტაცებულნი ბრუნდებოდნენ უკან. წავედი მეც ამბის გასაგებად, სიმართლის შესამოწმებლად. რაღაც ცხრილებსა და დიაგრამების გვერდით მართლაც იყო გაკრული მერხვილამის დაწერილი, ცალსახანი რეჟელის ფურცელზე ორ მწკრივად ჩაწიკწიკებული ათ თუ ოთხთემეტკუბელიანი ლექსი. ზარი დაირეკა, წაიხიხვა ვერ მოვასწარი და შემდეგი შესვენებისათვის გადავდე ეს საქმე.

მერხვილამე მთელ სკოლაში თითოთი საჩვენებელი, ფრიადოსანი მოსწავლე იყო და ლექსს დაწერდა, აბა რას იზამდა, მაგრამ მე, რომელსაც პეტრე-პავლეს ეკლესიაში ერთხელ მღვდელმა პოეტობა მიწინასწარმეტყველა, რატომ არ უნდა დამეწერა მერხვილამის-

ნაირი თუ არა, რაღაც იმის მსგავსი ლექსი თუ შიირი. ვიფიქრე, ვიფიქრე და შემდეგ გაკვეთილზე რაც არი, არი, ერთ ლექსს მეც დავწერ-მეთქი, გადავიწყვიტე. შემდეგი და ბოლო გაკვეთილი გაგვიცდა და ლექსიც გადამაიწყდა და მერხვილამეც. რა მელექსებოდა, ციოდა; სუსხი ძელსა და რბილში ატანდა; სახლამდე მივალწვედი თუ არა მშიერი და ფეხებგალიგვებული, ისტე არ ვიცოდი.

ახლდღამებულს გაკვეთილების სამასწავლებლად დავჯექი თუ არა, გამახსენდა მერხვილამე, სამასწავლებლოში გამოკრული ლექსი, პეტრე-პავლეს ეკლესია, ნაოლია მღვდელი, რომლის სახე ჩემმა მასსოვრობამ, სწმუნუხაროდ, არ შემოინახა. გათვალულიათ, დაუქინია ბებიჩემს და ეკლესიაში წავუყვანიეარ. გამოლოცვის თუ შელოცვის შემდეგ პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელს ვუქვე, მივეცი თუ არა ამის საბაბი, ვერ გეტყვით, პოეტი გამოვარო. მე რაღაც უარესს ველოდიო, ამბობდა კმაყოფილი ბებიჩემი მოგვანებით.

გარეთ ცივა, სუსხავს, ცივი ქარი უბე-



რავს, კარს აწვება, აჭრიალებს, გაუქმებულ ბუნარში თავშერგული თუნუქის მილიდან კვამლს უკან აბრუნებს, ოთახში ბორბაყის მომწარო სუნი დგას. ერთ ოთახში შეხურხლულნი, მტყუბუბი-გადაფარებულ სასადილო მაგიდას შემომსხდარნი ვსაქმიანობთ. მე გაკვეთილებს ვამზადებ, ჩემი ჰკუთით, მამა გუზეთს კითხულობს, ჩემი და წერს, ჩემი ძმა ჯღაბნის, დედაჩემი აფუტებულ ცეცხლს უტრიალებს. გაუქმებული ელექტრონის ღუმლის ქურიდან კი ახლად გამოჩეკილი წიწილების წიავე-წიავე ისმის. ხანდახან კრუხი აქოთქოთდება და წიწილების წიავე მიწყდება. ქარიც მიწყნარდება თითქოს დროებით. კრუხ-წიწილაც ჩუმდება.

მოულოდნელად შუქი გამოირთო. ჩაბნელდა.

— გადაშენდით თქვენ! — ამბობს მამა. ვის გულისხმობს, არ ვიცი.

პატარები ამოქნარებენ.

დედა ნავთის ლამპას უჩხიკინებს.

— აი, გადაშენდით თქვენ! — ისმის სიბნელეში მამაჩემის ხმა.

ახლა ლექსის დაწერის დრო სწორედ. მერხვილაქმ თუ დაწერა, მე ვერ დავწერ? (წამხედურობამ შეიძლება გენოსობამდე მიიყვანოს ადამიანი) კი მაგრამ, რაზე უნდა დავწერო? ზმის დამთავრებაზე დაწერილია და სამასწავლებლოშია გამოკრული. სიყვარულზე წერა ჯობია, ასე ვატყობ. ასე იწყებდნენ და აკეთებდნენ, მე მგონი, სხვებიც, ასე უნდა ჩავიღინო მეც, სხვა ვზა არაა.

ნავთის ლამპა აინთო. მამამ ისევ გუზეთი ვაშალა. პატარებმა წერას და ჯღაბენას მიჰყვეს ხელი. მე სიყვარულზე ლექსის საწერად ვეზადებ. ქარი აწვება კარს; კვამლს აბრუნებს თუნუქის მილში, ფანჯრიდან ლედვის ტოტები, ნახევრად მოღრუბლული, ნახევრად მოწმენდილი ცა ჩანს. შვიგადაშიგ გაცრეცილი მთვარე გამოკრთება და გაქრება. ქიმიურ ფანქარს წავუსველე თავი და ვარდისფერ საშრობზე (ახლაც შენახული მაქვს ის საშრობი)

სვენებ-სვენებით, მაგრამ შეუსწორებელი ლივ დავწერე.

გაზაფხული დადგა,
მინდორი ამწვანდა.
კვავილები ამოვიდა,
ხილი შემოვიდა.
გაზაფხულს ბუნება
და ჩვენი გუნება
ერთობრად შეიცვალა
მოხდა გადაბრუნება.

ფანქარს ვაწვავლებ, პირში ვიდებ, საშრობს დავყურებ. მეტი რაღა უნდა ვქნა. დავწერე და ეგ არი. მამაჩემი რაღაც სტატიის გამო ბრაზობს, გულმოსული ოხრავს. ისე აშენდით თქვენო, იძახის. ვის გულისხმობს, არ მესმის. ჩემი და და ძმა ჩხუბობენ, ტირიან.

— გაჩუმდით! — უყვიროს დედა. დროებით ჩუმდებიან.

— ლექსი დავწერე, — ვამბობ მე.

— რა ქენი? — სათვალეს იხსნის მამა. შრილით ეშვება გაშლილი გაზეთი მაგიდაზე.

— ლექსი დავწერე.

საშრობი გამომართვა. ჯერ თვალდათვალ, შემდეგ ხმამაღლა და რატომღაც მარცვალ-მარცვალ ჩაიკითხა ბოლომდე.

— ქე მიუშგვანებია რაღაცას! — თქვა მან. საშრობი გადმომიღო და ისევ გაზეთს ჩაუღრმავდა. ისე აშენდით თქვენო, წამოიძახა რამდენჯერმე. გაოცებულმა პატარებმაც, პირდაღებულნი რომ უსმენდნენ მამის დეკლამაციას, თამაში დაიწყეს.

სიჩუმე დადგა. ცეცხლი აბარბალდა თუნუქის ღუმელში მოულოდნელად, მილებმა უცნაური გუგუნე დაიწყა. გაავებული ქარი კი ისეთნაირად მოაწვა ორივე კარს, თითქოს სპილომ ბეჭი ააფხანა ძვლებს.

— კი მაგრამ, — გაზეთი ჩამოუშვა მამამ. — ამ ყინვაში და უბედურებაში

რაფო ზივილი
მსსიპა ჯარში



რა გავაფხულო და ყვაილები აგიტ-
ყდა?..

ზუსტად იმ კითხვას ვუსვამდი იმ
წუთას საკუთარ თავს. ხმა არ გამოილია.
გარეთ სუსხავდა. ცივი ქარი ქროდა,
სბილო ზურგს აფხანდა კარის ბაზოს.
რა მელექსებოდა. მერხვილაძის აყო-
ლა მარგებდა!

ინჟინერი მარლენი

დღესასწაულის ითრია წელი ზამთარში.
მთელ თვეს დაესესხა მარტს, აპრილსაც
ჩამოაღლიტა რამდენიმე დღე, შემდეგ
უცბად და ხევირელად შემოვარდა გა-
ვაფხულო. აყვაილდა ატემები, ტყემლე-
ბი და ჩვენი სახლის მშენებლობაც გა-
ნახლდა. ღია ფანჯრებიდან ოთახებში
დანაფოტებული და აბურბუშალებული
ფიჭვის სასიამოვნო სუნი შემოდითოდა.

აგტოქარხნის მშენებლობაც დაიწყო.
უკაცრიელ მიწოდარში, ლაფში და ტა-
ლახში კრიდნენ ბალავარს მომავალი
ქარხნისათვის. მუშებს, სპეციალისტებს,
ტექნიკურ პერსონალს საცხოვრებლად
კერძო მოსახლეობაში ანაწილებდნენ.
ქირობდნენ ოთახებს და იჯარით ამთავ-
რებდნენ ომის დაწყების წინ მოუთავებ-
ლად დარჩენილ სახლებს. მათ შორის —
ჩვენსასაც. სამი წელი იცხოვრებდნენ
ამ სახლებში და შემდეგ ხონის გადასახ-
ვევთან დაპროექტებული მრავალსართუ-
ლიანი კორპუსების მშენებლობა დაიწ-
ყებოდა და დამთავრდებოდა ალბათ.

ოფიციალური ხელშეკრულებით გა-
ფორმებულ ხელსაყრელ გარიგებას ქარ-
ხნის სამშენებლო ორგანიზაცია აწარმო-
ებდა, ჭალაქში მიმოფანტულ, ჩვენი
სახლისმაგვარ ობიექტებს კი ინჟინერი
მარლენ გუჭეჯიანი ხელმძღვანელობდა.
ომიდან დაბრუნებულ, კანტუზიანგამოვ-
ლილ კაცს გვარიანად აკლდა ყურს და
ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა.

სმენის დაკლება, რამდენადაც ვიცო,
საარტიკულაციო და სახმო აპარატის
მოკმედეგის ფუნქციურ დარღვევას
არ იწვევს, მაგრამ საკუთარი ხმას

ლექსი აღარ გამოიჩინებდა. სკოლაში
არ წამილია, არც მასწავლებლებსათ-
ვის მიმიცია, არც ამხანაგებისათვის
მიჩვენებია და სამასწავლებლოშიც არ
გამოუქრავთ, ცხადია, მაგრამ არც
პოეტი მერხვილაძე შემხვედრია ქარ-
თული პოეზიის ანთოლოგიაში.

მიმართ კონტროლის დაქვეითება ზოგ-
ჯერ ხმამაღლა ლაპარაკს აწყებინებს
სმენანაკლულ ადამიანს. მარლენი კი,
გარდა იმისა, რომ ხმამაღლა ლაპარაკობ-
და, ყვიროდა კიდევ. ხან იმიტომ ყვი-
როდა, რომ ყურს აკლდა, ხან საყვირე-
ლი იყო და ყვიროდა, ხან ყვიროდა და
არ იცოდა, რომ ყვიროდა. საიდან ამო-
დიოდა ამ ტანმორჩილ, ნაყვაილარი
სახის, გრძელკისეა კაცს ამოდენა ხმა,
საკვირველი იყო.

მარლენი, როგორც მოგახსენეთ, რამ-
დენიმე ობიექტს ხელმძღვანელობდა,
მაგრამ ძირითადად ჩვენთან იყო ჩაბარ-
გებული. კაბინეტად ბურბუშელით გავ-
სებული ბატარა ოთახი ჰქონდა, მაგი-
დად სადურგლო დაზგას იყენებდა. გა-
დახვეტავდა ნახერხს და ნაშალაშინევს,
მიწვევ-მოწვევა ხუშტარას, გონიოს, სა-
ტოხს, შალაშინს და ისე აწერდა უწყი-
სებზე ხელს.

ზედა და ქვედა ოთახებში კარ-ფან-
ჯრები იყო ჩასადგმელი, იატაკი დისავე-
ბი, ლამფა ახაკრავი, კედლები გასაღე-
სი. შუშაბანდში და ქვევით, საჩხეში სფე-
ტები გამოსაცვლელი დარჩა. კოჭებს ჩა-
მატება დასჭირდა რამდენსამე ალაგას.
რკინის შვერილი მოსატანი შეიქნა და
იმდენი წვრილმანი და გაუთვალისწინე-
ბელი რამ გამოტყვრა, რომ მარლენ გუ-
ჭეჯიანი საგონებელში ჩაეარდა თავდა-
პირველად. მთავარი მაინც ხის მასალას
დამუშავება იყო. ჩვენთანვე მზადდებო-
და კარ-ფანჯრები, ჩარჩოები, იხერხებო-
და და ისუებოდა სვეტები, ირანდებოდა

კოჭები, შალაშინდებოდა ლამფისა და იატაკის ფიცრები.

ჩემმა მშობლებმა ამ მდგომარეობით ისარგებლეს და პატარა აივნის გასწვრივ ხის ოთახის მიშენება გადაწყვიტეს, რომელიც სამზარეულოსა და სასაღიბროს მაგივრობას შეასრულებდა ერთდროულად.

კი ბატონო, თქვა მარლენმა, როცა საქმე გარიგებაზე მიდგა. მუშა აქა მყავს, მხოლოდ ოსტატს მოურიგდით, ხის მასალა გამოიწერეთ და საერთო ხარჯში გამოგიტანინებთ, რავარც იქნებაო. დაასია მართლაც ჩვენს სახლს წინ და უკან მუშები მარლენმა. ერთი კი თქვა: ვინმემ რომ გაიგოს, წინა ოთახს რომ უგემოდ ვაშენებ, საყვედური შემეხედება, ვილაკას რალაცა ეგონება, თითქოს გამორჩენა მქონდესო. რომ გაგიტანით, კარგი ხალხი რომ დაგინახეთ, იმიტომ გავწიე ასეთი რისკიო. ამ ლენის მადლი შემეწიოს, ისე ჩემმა ოჯახმა იხაროს და იძლიეროს, რავარც მე მართალს ვამბობო. ლენო, სადღეგრძელოები და ქეიფი უყვარდა, რაც მართალია, მართალია.

ომის დამთავრებამ ჰოსპიტალში გამოჩანართლებულს დამისწრო და თითქმის ყველაზე ადრე დავბრუნდით, ყვებოდა მარლენი. ხმამალა და გატაცებით ლაპარაკობდა აივანზე გაშლილ სუფრასთან შუადღით. ბირკელიზე მზეზე ვასაშრობად გამოტანილი ნედლი ფიცრები იყო აყუდებულნი.

მისულა მარლენი ქალაქკომში. განყოფილების გამგეს უთქვამს, იხეინრის ადგილი ჭერჯერობით არა გვაქვს და ბიბლიოთეკაში წადი ანდა ფიზკულტურის მასწავლებლად გაგაგზავნით რომელიმე სკოლაშიო. მარლენს უუარია. მაშინო, უთქვამს განყოფილების უფროსს, ბაზრის კონტროლიორად გაგიშვებ დროებითო. ახალი მშენებლობები დაგეგმილი გვაქვს და, როგორც კი რაიმეს წამოვიწყებთ, გამოვიძახებთო. რაც არი, არიო, წავილ ცოტა ხნით ბაზარშიო, უფიქრია მარლენს. სულ არაობას ბაზ-

რის მთავარი კონტროლიორობა აჯობებსო.

...ფეხები უკან მრჩებოდა, მარა ჯარში ნამსახურს, ვაგზაუნას და ბრძანების შესრულებას შეჩვეულს უარი აღარ მიუთქვამსო. მივედი ბაზრის დირექტორთან, უფროს კონტროლიორად დამნიშნეს და გამოვცხადდიო. დირექტორს გულს შემოყრია, ზაფრანისფერი დასდებია სახეზე. რა ბზიკმა უქბინა, ვერ მივხვდი, ვერ გავიგეო, ეცივნებოდა მარლენს. პირველად ისიც კი გავიფიქრე, სიხარულისაგან თუ დაიბნა, ოდერზე ხილების ამგები აღამიანის სამსახური დიდ პატივისცემად მიითვალა ალბათთქვა.

...აწრიალდა ის კაცი. იქით გავიდა, აქეთ გამოვიდა, სადღაც დარეკა, მირეკა, მორეკა, შემოვიდა, დაბრძანდითო, მითხრა, განცხადება დაწერეთო. დაგჯექი, საწერ-კალამი მოვიმარჯვე. მხოლოდო, განცხადება უნდა დაიწეროს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სახელზეო. ასე დაიწყეო, მითხრა, თქვენო მალალუწმინდესობაგ... დაღღვევი კალამი, რაწმა, ამხანავო, საქმე, მე ვუთხარი, კათალიკოსთან რა მესაქმება? მე ვუთხარი, მღვდლად ხომარ მამწყსებთ-მეთქი. როგორ გეკადრებათო, ჩვენო მწვანეყვავილას ეკლესიის დანგრევას ვაპირებთ კარგა ხანია და კათალიკოსისაგან ნებართვა გვჭირდებაო. შენ ნაფრონტალი კაცი ხარ, უფრო დაგიჭერბს. მოგვეცემს თანხმობას, დავანგრევთ ეკლესიას, გავაუქმებთ სასაფლაოს, გავაშენებთ ბაზარს და პირდაპირ დირექტორად დავნიშნავთ. ახლა, ამ წუთას გელენიძეს ველაპარაკე და შევეათანხმე კიდეც ეს საკითხიო. მასე არ გამოვითქვა, მე ვუთხარი, არც კონტროლიორობა მინდა, მე ვუთხარი, არც ბაზრის დირექტორობა. მაგ წამოწყებაშიც ვერ მოგხმარებთ, მე ვუთხარი, კარგად იყავით-მეთქი. მოიცა, კაცოო, სად მიბრძანდებით, მოითმინეთ, იქნებ ფული გჭირდებათ დროებით, სახარჯოდ, ნუ მოგვერიდებითო.

აჲო ვიოვხილი
მუსიკა ძაგოშ

ფულით სავსე უკრა გამოსწია; აიღეთ, რამდენიც გენებოთ, შემდეგ გავსწორდებითო. ქესატად ვიყავი და კინალამ სულმა წამძლია; ვიფიქრე, ვისესხებ და ჩავასესხებ ისევ-მეთქი, მაგრამ გასტუმრების იმედი არ მქონდა, მაღლობა ვთქვი და წამოვედი. მაღლობელი დავრჩი, ერთი სიტყვით, იმ კაცის. ვზავი, შენ ხარ ჩემი ბატონი, დავფიქრდი, რა მოხდა, მე ვთქვი, რა ფული, რის კათალიკოსი, რა მწვანეყვავილა, ვინ ღირექტორი, ვინ კონტროლიორი. სვანი არა ვარ, სახლში მომივიდა გული. ამეშალა ნერვები, გადავირიე, დავიციდე, რაც შედეგები და ორდენები მქონდა, მიეუვარდი განყოფილების უფროსს, რა გვარი იყო, აღარც კი მახსოვს, ფინგანში მუშაობს ახლა, მიეუვარდი და შავი დღე ვყავრე. შეიქნა ერთი ამბავი, ყვირილი, გაწვე-გამოწვევა. გამოუძახეს მილიციას. მიჭერენ, ვატყობ. ჩემდა იღბლად, აშენდა იმისი ოჯახი, მდივანს გაეგონა ეს ხმაური. დაინტერესებულა, რა ხდებაო. გამომიძახა, რაშია საქმე, დამშვიდდით, დაწყნარდითო. მოუყუევია წვრილად ყველაფერი. სიმწრით იცინა. ჩადით ქვევით, კადრების აღრიცხვის ფურცელი შეავსეთ, ჩვენ გამოგიძენით შესაფერის სამუშაოსო. ფურცელი რომ ამოქონდა, მისაღებში განყოფილების გამგე დამხვდა მოკაყული. რა მიქენი, რას მერჩო-

დი, რატომ დამღუბეთ, მითხრა. სხვა შეკლესიებს რომ მანგრევივინებდით, კათალიკოსთან რომ მაგზავნიდით და მახითურებდით, რავა გეგონათთქვა, მე ვუთხარი, მე შენთვის კარგი მინდოდა და ვერ შეიშენეთ, მითხრა და დაუძახეს კიდევ არადა, მართლაც რას ვერჩოდი თურმე, რომ დამინახა, ყბებში ლანდი ვამლოდა, ახლა რა ვარ და მაშინ რა ვიქნებოდი, უფიქრია, მაღლს ვიზამ, ბაზარში გავგზავნი, ცოტა სულს მოითქვამსო, მარა მთავარი კონტროლიორობა მინისტრის ტოლი ადგილი ყოფილა და მე ვინ დამნიშნავდა. ის ბაზრის ღირექტორი, ქე ვაჭამე მერე, იცოცხლეთქვა, ჯაბუნაკი, ცხრას იყიდდა და გაყიდდა იმ განყოფილების გამგისნაირს თურმე. ასე იყო ეს საქმე.

რალა დავიგმოლოთ და, მთელი ორი თვე უცნაურ სიზმრებს ვხედავდი. რალაც ეკლესიები და საყდრები შეჩვენებოდა. ბაგრატიის ტაძრის კედელი მექცეოდა თავზე. გავრბოდი და ვერ გავრბოდი, ვყვიროდი, გაოფლილი ვიღვიძებდი... რავა გასუსული მისმენს ეს ბალანა... — გაიცინა მარლენმა და თავზე ხელი დამადო. — ყველაფერს იმახსოვრებს, თავი ნუ მომიკვდება. ამ ბავშვს მოერიდეთ, ყველაფერს იმახსოვრებს! — გადაიხარხარა მან და ახალი სადღეგრძელო დალია.

03ლიანი V (არქივარიუსი)

სახლის მშენებლობის განახლებიდან ერთი კვირის შემდეგ ისევ გაავდრდა; აცივდა კიდევ ერთი ხანობა.

შავ საწვებარში გახვეული, საყელო-აწეული, გამხდარი კაცი მოადგა ჩვენ ჭიშკარს. ხელში ტყავის საქალაღდე ეჭირა. სახლის ნომერს უყურებდა კარგა ხანი და საქალაღდეს ატრიალებდა. ეზოში

აპირებდა შემოსვლას თუ ვინმეს ელოდებოდა, ვერ გავიგე. იღვა და იცდიდა. ბოლოს ნავერდულა ფიცრის ნაჭერი. აიღო და ისე გამეტებით მოურახუნდა. ჭიშკრის გამირს, თითქოს შუასასუქუნოვანი ციხე-დარბაზის მსახურთ უხმობდა კარიბჭესთან. ჭიშკარი ღიბა, შემობრძანდით-მეთქი, ვუთხარი, ძაღლის მეშინიაო, თქვა. იამანიძეები იყვნენ შეპირებულნი ლეკვს, რომელიც იმ დღეებში უნდა მომეყვანა შინ და იმისი თუ ეშინოდა, არ ვიცი. სხვა ძაღლი ჩვენ არ გვყავდა.

აღმასკომიდან ყოფილიყო გამოგზავ-

* ივლიანე მეოთხე მხოლოდ ექვსი თვე მოღვაწეობდა ჩვენს ქალაქში. რეკვიზიტის გამგედ მოეწყო თეატრში. ჩოხა-ახალუხი და კალოშები მოიპარა და აოტოქლდა. სხვა რამ ღირსსამახსოვრო არაფერი ჩაუღენია და სიერით ნუსხაში ვეღარ შევიყვანეთ.

ნილი. საბინაო წიგნი, მშენებლობის ნებართვა და სახლის გეგმა მოითხოვა. მიცეს. საბუთები შეაბოწმა და მიინც გულნაკლული დარჩა. ეს ყველაფერი კარგო, თქვა მან, მაგრამ ესა და ეს ცნობა გაკლიათო. დაპირდნენ, წარმოგდგენოთ და დაიმედებული გაუშვეს.

ცნობას, შესასწავლიანა კაცმა რომ მოითხოვა, სხვა ცნობა დასჭირდა, სხვას — სხვა და ბოლოს არქივამდე მივიდა საქმე.

ყველაფერი გაკეთებულაო, მითხრა მამაჩემმა მესამე დღეს, არქივში მისვლადა საჭირო, ივლიანე ვაფრთხილებულია, მიხვალ და იმ ცნობასაც დაგახვედრებსო. გვენათესავებოდა ის ივლიანე. ვიცნობდი, მაგრამ ყოველთვის მერიდებოდა იმ კაცის. ვერ მივალ, განვაცხადე კატეგორიულად. რატომო. ვერ მივალ და რატომ და რისთვის, არ ვიცი-მეთქი. წადით. არათქვა, ქვა ავაგდე და თავი შევეშვირე. მაშინ ასე ქენიო, დამარიგა მამამ, მიდი, მხოლოდ შორიასლო გაჩერდი, დაენახვე და თუ გამოგვიდა, გამოიქვიცი, უკვე მოხვცია, ვერაფრით ვერ დაგეწევიაო. საქმეს მაკეთებინებდნენ, მაგზავნიდნენ და მამასხარავებდნენ მადლობის მაგივრად. რალა უნდა მექნა, წავედი მეორე დღით.

ჭირის ოფლი გადამასკდა, ხანამ ივლიანეს აფუხსენი, ვინ ვიყავი, ვისი შვილი და შთამომავალი, საიდან გავჩნდი და რა მინდოდა. ვიცი, ვიცო, მითხრა ბოლოს, მასე გეთქვა თავიდანო, რამხელა გაზრდილხარ, შე კიი კაცო. ქუჩაში რომ შემხვედროდი (ვითომ კაბინეტში მიცნო), ვერც კი გაგისხენებდიო. დაბრძანდიო, მთხოვა და საქმოდ მოშორებით მდგარ სკამზე დამსვა. მოპირდაპირე მაგიდასთან მჯდარ თანამშრომელს, ძველ გაზეთებს რომ კითხულობდა, ცნობის ამოქექვა და გამზადება დაავალა.

...კი მაგრამ, იულონე ეესეევიჩო, სიტყვა შეუბრუნა თანამშრომელმა, კაკაურიძეს არ ეკადრება სამსახურში სიარულიო? რასაც გეუბნებიან, გააკეთეო, ცივად უთხრა ივლიანემ, — იულონე ეესეევიჩად წოდებულმა. თანამშრომე-

ლი, კაკაურიძე რომ დაასმინა, ზანტად წამოდგა, მალე მოვლო, გადმომხედა გავსლისას და როგორც თქვენ არ შემოსულხართ იმ ოთახში, ისე ის კაცი აღარ შემობრუნებულა და აღარც ივლიანეს გაეხსენებია.

ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდასთან იჯდა იგი. მოხუცებულ, კარგად თავშენახულ, ხმელ კაცს გრძელი პირისახე, წმინდად დავარცხნილი თხელი თმა და ბაკენბარდები ჰქონდა. თავწახრილი წერდა. შტამპიან-ბეჭდიანი ქაღალდების ასლები გადაჰქონდა დავთარში. წერდა წყნარად, გაბმულად და, თუ მხედველობა არ მღალატობდა, გაკრული, ოდნავ გადაქანებული ქართულ-რუსული კალიგრაფიით.

ვიჯექი იმ გამოყრუებულ ოთახში და ვუყურებდი კაცს, შინაურები რომ ივლიანეს ეძახოდნენ და ოფიციალურად რომ იულონენდ იწოდებოდა. ხელსაც იულონენდ აწერდა. გვარს საჭიროდ აღარ თვლიდა. იულონეს ჩაახვევდა და მორჩა. ომის დროს ჩვენ ქალაქში თუ მართლა კარგად, უშფოთველად, უზრუნველად უინმე ცხოვრობდა, ეს მეფის არმიის შტაბის ყოფილი გადამწერი იულონე არქივარიუსი იყო. რუსულის შესანიშნავი მცოდნე, კანონ-სამართალში გარკვეული კაცი, ოფიციალური თუ კერძო მოხსენებების, საჩივრების, თხოვნების, შუამდგომლობების შემდგენელი, ფულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნატურითაც იღებდა გასამრჩელოს.

სამი წყება ცოლ-შვილი ჰყავდა გამოცვლილი. შვილების, გერების, შვილი-შვილების, გერიშვილების, უამრავი ნათესავის გარეშე ცხოვრობდა უზარამზარ, მრავალთვლიან, ძველ სახლში. ერთი ორჯერ ნამყოფი ვიყავი იმ ბინაში, რომლის ასეველ-დასავალს თუ გასავალ-გამოსავალს მე კი არა, ბარე ორი ჩემზე დიდი და გამოცდილი ადამიანი ვერ გაარკვევდა. მაღალჭერიან ოთახებში უსაშველოდ მაღალი და ძველი ავე-

რადო მინილი
მსხიაა ძარვი



ჯი იღბა. კედელზე ჩამოსაკიდებელი თუ მისაყუდებელი საათი, მოვარაყებული გრძელი სარკე, მოჩუქურთმებული, მაღალი მაგიდა და სკამები, რაღაც აბლი-ხული ქანდაკებები თუ მანეკენები ამ-ვენებდა იქაურობას.

იმეამადაც მაღალჭერიან, ვიწრო ოთახში, ვიწრო და მაღალ ფანჯარასთან იჯდა ივლიანე. იჯდა და წერდა. გაზაფხულის თბილი ნიავი ტრიალებდა სარკმელთან, საიდანაც ლედვის ბებერი ხე და მოპირდაპირე სახლის ყრუ, ნახევრად სველი კედელი ჩანდა. დაუხვეტავ ეზოში ქვანახშირის ნარჩენები იყო მიმო-ბნეული. ყორესთან ორთქლადენილი ძველი დახერხილი შეშა ეწყო. მზე უფრო და უფრო აცხუნებდა და ივლიანეს ოთახს სითბოთი და სიმბურვალით ავსებდა. მუშაობით გართული არქივარიუსი წუხდა, იშმუშნებოდა, ვერ გაეგო, რა ჭირდა. მოჭუტული, ჭროლა თვალები მიაპყრო ბოლოს ფანჯარას, გრძელი სახაზავი აიღო და თამასას გამოსდო, გამო-სწია, ფანჯრის გაღება დააპირა, არ გამოუვიდა.

წერდა, იშმუშნებოდა, ხურდებოდა ივლიანე და რაფაზე, ჩარჩოზე და თამასაზე სახაზავს აფოკიალებდა. ნაზამთრალი ფანჯარა ურჩობდა, არ იღებოდა. ივლიანეც არ იშლიდა თავისას, წერასაც არ ანებებდა თავს, თან წერდა, თან ფანჯარას აღებდა ცალი ხელით და გრძელი სახაზავით. ცხელოდა არქივარიუსს. გაზაფხულის მწველი მზე აწუხებდა, გრილი, ახლად გაფოთილი და აყვავებული ხეების სუნით გაქლენილი ჰაერი ენატრებოდა. თხელი, სუსტი სახაზავით ეთამაშებოდა ნაზამთრალ, ჩაგმანულ ფანჯარას, რომელსაც მხოლოდ საგანგებოდ მოყვანილი დურგალი თუ მოუხერხებდა რაიმეს.

ოცდაათი წლის შემდეგ ვნახე ივლიანე გასვენებაში. ყველაფერს ვიფიქრებდი და თუ ის ცოცხალი დამიხვდებოდა, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი. ყურში აღარ ეყურებოდა, თორემ თვალს არ აკლდა და მშვენივრად, დაწყობილად

ლაპარაკობდა. სამაგიეროდ წინააღმდეგობა არ იმართებოდა. ისე იყო გახრილი, რომ თავი და მენჯი ერთ სიბრტყეზე ჰქონდა განლაგებული. საოცარი იყო, როგორ დადიოდა და როგორ იცავდა წონასწორობას.

ბიძახვით, მითხრა სოხუმიდან ჩამოსულმა ნათესავმა ქალმა, ქე იქნება ასი წლისო, დარდი და ჯავრი მაგან არ იცოდა, თავის თავის კაცი იყო და იმიტომ მოიყარა აქამდეო. ა, შეხედეო, დაამთავრა მან და საფლავებსა და საფლავებს-შუა მარჯვედ და მხატვდ მოძრომილედ ივლიანეს გააყოლა თვალი.

მანქანით მივიყვანეთ დავრდომილთა თავშესაფარში. გაცვდიო ქალაქს, უსახო და უნუგეშო ალაგას აშენებულ ბეტონის ოთხსართულიან სასახლესთან გავჩერდით. ბეტონის სახურავიან, ბეტონის აივანიან-მოაჯირიან-გალავნიან შენობას, მე მგონი, ბეტონის რამდენიმე ჰიშკარი ჰქონდა.

თავის თავის კაცი იყო, დარდი მაგან არ იცოდა და იმიტომ არის ასე კარგადო, ამბობდა სოხუმელი ნათესავი, როცა მანქანის კარში გაკვეთებულ ივლიანეს ვეჭვანბნობდი მთელი ძალით. ცოტა ხანი დამელოდე, შიგ შევეყვები, მომვლელი ქალი უნდა ვნახო, ყველას ბატონი ჰყავს, ამის გარდაო, ლაპარაკს განაგრძობდა ივლიანეს ძმისწული, ამხანაგები საკმელს პარავენ და ყურადღება მიმიქციოს, უნდა ვთხოვო; მე აქ წელიწადში ერთხელ ჩამოვდივარ და აწი როდის მომიწევს ჩამოსვლა და, საერთოდ, მომიწევს თუ არა, ღმერთმა იცისო.

— მართლა გპარავენ საკმელს!!! — ჩაეყვირე ივლიანეს შიგ ყურში.

კიო, მითხრა.

არა აქეთ საკმელი თუ რაშია საკმე-მეთქი, ვიდრიალედ კვლავ.

საკმელი ყველას აქვს, მაგრამ მაინც ერთმანეთს პარავენო, ხმადაბლა მიბასუხა. მეტი აღარაფერი მიკითხავს.

ვიჯექი მანქანაში და ველოდებოდი სოხუმელ ნათესავს. ვიხსენებდი ივლიანეს, სახაზავით რომ აღებდა ნაზამ-

თრალ, ჩაგმანულ ფანჯარას. სად ჰყავდა
სამი წყება ცოლ-შვილის მონაგარი, ნა-
თესავები და მოკეთებები. ვის დარჩა
იმოდენა სახლი და ქონება? რომ მეცი-
თხა, ისე დაწყობილად და დალაგებულად
ლაპარაკობდა, თუ ყურში შეევსმენდი,
ამომწურავ პასუხებს გამცემდა უეჭვე-
ლად. იქნებ ისიც კი აეხსნა, რატომ პა-
რავდნენ დაერდომილი თანამომენი საჭ-
მელს ერთმანეთს, როცა ყველაფერი

ჰქონდათ და თავის არჩევნაც ვერ ერე-
ოდნენ.

ვილაცამ ბეტონის ჰიშკარი გაალო, ვი-
ლაცამ გამოიხედა; ერთმანეთის საჭმლის
მპარავი რამდენიმე მოხუციც გაილანდა
და გაქრა, ბეტონის კარიც მიიხურა და
საღლაც ბეტონის კარს უკან გაუჩინარ-
და მეფის არმიის შტაბის ყოფილი გადა-
მწერი, თავის თავის კაცი, არქივარიუსი
იულოინე.

ბერლინ-სამტრედია

ჩემი ეზოში სიარულს მოუხშირა მარ-
ლენის ცოლის ძმამ ისე თედორაძემ,
პედინსტიტუტის ეკონომიური ფაკულ-
ტეტის პირველი კურსის სტუდენტმა.
ხან მარლენს ეხმარებოდა, ხან მუ-
შებს შეველოდა, ხან ჩემ მშობლებს აძ-
ლევდა მისი ასაკისათვის შეუფერე-
ბელ საქმიან რჩევა-დარიგებებს და
ფაქტიურად არაფერს არ აკეთებდა. ჩემ-
თან და ჩემს ტოლებთან თამაშობდა
ბურთს პატარბის ბაღში. ჩაჯიგვული,
დათვივით მობლუნკული, მაგრამ საკმა-
ოდ სწრაფი ისე გვეგვაგავდა, გვაშტრევე-
და და მაინც გვიხაროდა, ჩვენ გუნდში
რომ გაერცოდა. საღამოხანს სამტრედია-
ის რაიონის სოფლების ავანჩავეანს
გადმოულაგებდა დედაჩემს და მამაჩემს.
არ მუშაობენ, არა, უგულოდ ეკიდებიან
მათზე დაკისრებულ მოვალეობასო, კი-
ცხავდა კოლმეურნეებს, გეგმები არ
სრულდება და მოსავალიც ნაკლებიაო.
არაფრით სადილზე არ დარჩებოდა, რო-
გორც კი საჭმლის სუნს იკრავდა, დამ-
დულრულივით გარბოდა. ის კი არა, მისი
სიძის, მარლენ გუჯეჯიანის ოჯახშიც
იხატებდა, ნამეტანს ბევრს ვჭამ,
უხერხულიაო და შუადღით ხანდახან სა-
ბარგო მატარებელს ან დატვირთულ მა-
ნქანას შეახტებოდა, სამტრედიაში
ამოყოფდა თავს და ორი-სამი საათის
შემდეგ მომკობინებული და გამაძლარი
გამოჩნდებოდა. ასაკის განურჩევლად
მეგობრობდა და ამხანაგობდა ყველას-
თან, დიდთან და პატარასთან. თხელ, მო-

ცისფრო საწვიმარს თუ კურტაცს ატა-
რებდა დარში და ავდარში. ხან ხელში
ეჭირა ეს კურტაკი, ხან ეცვა, ხან საღ
მიადგებდა და ხან საღ. ბერლინიდან
ჩამომიტანა ჩემმა სიძემ, მარლენ ვუჯე-
ჯიანმაო, ამტიციებდა. ერთხელ ვილაცამ
სარჩული ამოუტრიალა და კურტაკზე
სამტრედის რომელიღაც არტელის დამ-
ლა უნახა. ბერლინ-სამტრედიას ეძახოდ-
ნენ ამის შემდეგ.

ფულის ნახვის მანიით იყო ეს ყოფ-
ლად გულკეთილი კაცი შეპყრობილი.
ნიადაგ ფულს ნატრობდა. სახარჯო და
ჯიბის, თუნდაც ტანსაცმლის ფულს კი არ
ეხარბებოდა, წარმოუდგენლად დიდი
თანხისაკენ მიუწყევდა გული; მილიონიან
ციფრებს უტრიალებდა ძილში და სიფ-
ხიზლეში. კონკრეტულად კი ასი ათასი
ჰქონდა ამოჩემებული. რად უნდოდა
ამდენი ფული, მიზეზს არ ასახელებდა
და, კაცმა რომ თქვას, არც არავინ ეკით-
ხებოდა, რად გინდაო. თუ იასეს ლაპა-
რავს თანამიმდევრულად მიუვდებდით
ყურს, ფრიად არასახარბილო დას-
კენებს გააკეთებდით უთუოდ.

ერთი ასი ათასი რომ მაპოვნინა, ხომ
წაგიყვანდით კინოშიო, გვეტყოდა ხან-
დახან. ასი ათასი რომ მანახინა, წავიდო-
დით ახლავე და გემოზე ვისადილებდი-
თო, ეტყოდა თანატოლებს, როცა პუ-
რისჭამაზე და, საერთოდ ჰამაზე ჩამო-
ვარდებოდა ლაპარაკი. ერთხელ თქვა:

რამო მიწვილი
მუსიკა მარში



ასი ათასი რომ მომცა, სამანქანო გზას გავიყვანდი სამტრედიიდან ეხვეთამდეო და ამაზე პრაქტიკული წინადადება ამის შემდეგ აღარ წამოუყენებია, რადგან მარლენის დაანგარიშებით, გზას სამტრედიიდან მაღალმთიან, მიუვალ ეხვეთამდე, სადაც იასეს მარტოხელა ბებია ცხოვრობდა, ასი მილიონი სჭირდებოდა, სულ ცოტა. არაფერი არ ყოფილა ეს ასი ათასი, თქვა გულდაწყვეტილმა იასემ, თუმცა ნახვის სურვილი არ განელუბია, პოვნის იმედი არ დაუქარგავს. ადრე იქნება თუ გვიან, მაინც ვნახავო, ამტკიცებდა გულდაჭერებული. ფული, ბოლოს და ბოლოს, საყვარლის საფლავი ხომ არ არისო.

ბერლინ-სამტრედია, იგივე იასე თედორაძე ეძებდა ფულს, დაახლოებით ასი ათასს; ფული, როგორც მოგეხსენებათ, გზაზე არ ყრია, მაგრამ ისიც ნათქვამია, ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ.

ერთხელ, ახალშობილებულს პატაროძის ბაღში ერთი კვირის გადაკარგული იასე შემოიძურწა. ეზოს ტერასის ქვის კიბეზე ისხდნენ მოზრდილები, იასეს ტოლები. დანარჩენები კი, ვისაც უფროსების თანდასწრებით იმ კიბეზე ჩამოჯდომა გვეკრძალებოდა, შორიახლო ვტრიალებდით და დიდი ბიჭების ლაზლანდარობას ვუვლდებდით ყურს.

— რა დაგეშართა? — ჰკითხა ვილაცამ აბუხულ და ფერდაკარგულ იასეს, რომელმაც კარგა ხანი არ ამოიღო ხმა და ფული ვნახეო, განაცხადა ბოლოს.

— რამდენი? — ხმამალა გაიცინა ერთმა დამხედურთავანმა.

— სტოტიში. — მოკლედ თქვა იასემ.

ბოძზე მივიდებელი ნათურით მკრთალად განათებულ ეზოში სამარისებური სიჩუმე დადგა. სად წაიღეო, იკითხა იმ ბიჭმა, ვინც ფულის რაოდენობით დაინტერესდა. მილიციას ჩაებაჩაეო, გულგრილად უპასუხა იასემ და საშინელი სიცილ-ხარხარი ატყვა. ბავშვებმა რატომღაც ყვირილი აეტყვეთ და სირბილი დაიწყეთ ნახევრად ჩახნელებულ ეზოში. ამ ყვირილის დროს იასე ღობის სარს

აფხანდა ზურგს დიდს გულმოდგინებით.

რა იცი, რომ ზუსტად ასი ათასი იყო, ღიმილით იკითხა ერთ-ერთმა, როცა ხმაური და ღრიანცელი მიწყდა.

— როგორ რა ვიცი... მილიციაში დათვალეს, ოქმი შეადგინეს და ხელი მომაწერიანეს შავით თეთრზე...

ისევ სიჩუმე დადგა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ერთხმად ახრიალდნენ. ვინ რას ამბობდა, ვინ რას კითხულობდა, ძნელი გასარჩევი იყო. რატომ, რისთვის ჩააბარეო, აინტერესებდა უმრავლესობას.

...ქალაქის ბაღში, ბუჩქებში ეგდო ქალაღში შეხვეული ფულის შეკვრა. ავიღე, კამფეტების ქალაღები მეგონა (რატომ ეგონა კამფეტების ქალაღები, არ უთქვამს), გავსინჯე, ფულია. ვილაც კაცმა დამინახა, ამეტორღილა, ჯერ მითხრა, ჩემიაო, მერე მითხრა, გავიყოთ. არ ექენი. წავლაპარაკდით. მილიციელი წამოგვადგა თავზე, რას იყოფთ თქვენო? აღარ დაეშალე, გავტყდი. წავედით მილიციაში, ჩავაბარეთ ოქმით და ხელწერილით, მოკლედ მოყვა იასემ, გაჩუმდა და სიტყვა პირიდან ვეღარ ამოწვადეს ამის შემდეგ.

ტყუილიაო, თქვეს მაინც, როცა იასე წავიდა.

ტყუილი რომ არ იცის იასემო, შენიშნა ვილაცამ. მართალი თქვა. არასოდეს იასეს, ჩემი დაკვირვებით, ტყუილი არ უთქვამს.

მოელანდაო, დაასკვნა ერთმა და მაინცადამაინც არც არავის უცდია ამ დებულების უარყოფა.

ინსტიტუტის დამთავრებამდე ჩვენს ქალაქში ტრიალებდა იასე. იმ შემთხვევას აღარ იხსენებდა და აღარც ფული უნახავს, რამდენადაც მახსოვს. იოლი გამდიდრების სურვილი კი ბოლომდე არ განელუბია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამტრედიოში გადასახლდა და ხონელი თუ ბაღდადელი მდიდარი ქალი შეირთო. ქერის ორმოში გადავარდა თავითო, ასე თქვეს. კარგად ცხოვ



რობს, მუშაობსო, ცოლსაც ბეგრის ფული აქვს და თვითონაც ზეერ ფულს მოულობსო.

შარშან წყალტუბოში შევხვდი ქორწილში. შინაურ კაცად ტრიალებდა და მაგიდასთან არც დამჯდარა. იმ ღამით იქ დამტოვეს და ღვინისაგან გათანგული ძილში „ბერლინ-სამტრედისა“ ვიძახობდი თურმე. ხალხი ვადამირევი, რა დაემართა, რა ბერლინი და სამტრედია აუტყდაო. მეორე დილას სანამცეცო სუფრაზე შევასხენქ თავი. ვაგიყდა სიხარულით. სახეგაბადრული გადმოჰდა ჩემს გვერდით. საერთო ნაცნობები მი-

იკითხ-მოიკითხა: გაიხსენა ის დრო და ის წლები; როცა მივირდა, როცა მშობლები დაიღუპნენ, ისევ ის დრო ჯობდაო, თქვა და დაიწყო დანადვლიანდა. მარლენი სამი წლის წინ მომკვდარიყო; მისი და, მარლენის მეუღლეც ავადმყოფობდა თურმე. თვითონ ცოლს გაყროდა და არც ისე აწყობოდა პირადი ცხოვრება, როგორც ზოგიერთები ლაპარაკობდნენ. დათვრა და იტირა. ერთ დროს ჩემი ხომ იყო მთელი ქუთაისით, მკითხა ცრემლების წმენდით. იყო-მეთქი, როგორ არ იყოთქვა, ვუპასუხე ყველას გასაგონად. იყო ალბათ. ერთ დროს მისიც იყო.

მხატვარი იაშა

იაშა მოხარულ მსხალს ყიდდა მთელი ომის განმავლობაში. სახლში უშლიან, არ აყიდინებენო, ამბობდნენ, მაგრამ მკვებ მსხალს რომ ქუჩაში არ ხარშავდა, ვხედავდი. გამოიჩინდა სუფთა ტილოვადაფარებულ კალათას, დადებდა სადგურთან, მაღაზიის წინ და ვაჭრობდა სხვებთან ერთად. ომის დამთავრებისას დაიმორცხვა, მოხარულ მსხალს მოეშვა და ხურდა ფულის თამაში დაიწყო. თუ ხურდა არ გქონდა, ღიღებს დაგაჭრიდა, რაღაცაზე გეთამაშებოდა მაინც. საშინელი ჰინჯული და ჟინიანი კულის რიკამდე ატყავებდა თანატოლებს. ცემით რომ მოგეკლა, შაურს ვერ გაავდებინებდი ხელიდან. გრძელი, გამხდარი, კლანჭებივით თითები ჰქონდა. ნიჭიერი და საზრიანი ბავშვი ბევრს კითხულობდა და ხატავდა. თავისი ნიჭი და უნარი ცუდად რომ არ წარემართა, უფროსების თქმის არ იყოს, მისგან მართლაც რაღაც გამოვიდოდა. სკოლაში პლაკატებს ახატვინებდნენ, ლოზუნგებს აწერინებდნენ, კედლის გაზეთების გაფორმებას აღარც კი კადრულობდა. ახლა ძნელი სათქმელია, რა შესაძლებლობის და მონაცემის მხატვარი იყო ან იქნებოდა, მაგრამ გადახატვის საოცარი უნარი რომ ჰქონდა, თვალნათლივ ჩანდა. რასაც თვალს დაადგამდა, უნაკლოდ გადმოიღებდა, ასლს დედნი-

საგან ვერ განასხვავებდით. კინოს, თეატრის და სტადიონის ბილეთებს პირდაპირ, ზეპირად ხატავდა.

ერთ დღეს ჩვენ ეზოში შემოვიდა და ყურადღებით დაათვალიერა იქაურობა. კაკალზე გაწყობილი ნარი და წიგნები ვაჩვენე. ისინიც ზედმიწევნით ყურადღებით გასინჯა. რჩევა-დარიგებებს მომცემდა მეგონა, რაც არ უნდა ყოფილიყო, სამი-ოთხი წლით იყო ჩემზე უფროსი, მაგრამ ხმა არ გაუღია. ნიგვზის ფოთლები მავნებელიაო, თქვა, განსაკუთრებით ღამით აზიანებს ორგანიზმსო, ზედმეტ ორქანგს გამოყოფსო და მავნარი ხეები პარიზში აუჭრიათ ამ ბოლო დროს მთლიანადო.

მე მგონი, იაშას შემურდა ჩემი ყოფა. იმოდენა ეზომ, იმხელა კაკალმა, მშენებარე სახლმა, ავტოქარხანა რომ ამთავრებდა, იაშაზე რაღაცნაირი დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა.

წიგნები როგორ მოგწონს-მეთქი, ვკითხე მაინც.

მაგნაირ ფუტურისტულ წიგნებს არ ვკითხულობო, ცივად მიპასუხა და ჯიბეებში ჩაიწყო ხელები.

ფუტურისტული წიგნები რას ნიშნავს-მეთქი, შევეკითხე მორიდებულად.

რამო ავიწყლი
მუსიაჲ ძარჲ

ფუტურისტული ნიშნავსო, როცა წიგნი დიალოგებით და მონოლოგებით არის დაწერილი. მონოლოგებით (დიალოგები ვიცოდი), კაცო რომ საკუთარ თავს ელაპარაკება სარკეში, იმას ნიშნავსო.

სარკეში მოლაპარაკე ადამიანებზე დაწერილი წიგნები მქონდა თუ არა, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, იქამდე, ეტყობოდა, არ ვიყავი მისული, და მაინც, საკუთარი წიგნების კითხვაზე კარგა ხნით ამიძრუებდა გული.

მეო, თქვა იაშამ, მოსარშულ მსხალს იმიტომ ვყიდი, რომ გაჭირვებულ მშობლებს ვეხმარებოდით, საფიჩხიაზე ცივიც გამიყიდიო. ამკარად ტყუოდა. მსხალსაც ყიდა და ცივ წყალსაც, მაგრამ მისი მშობლები სხვებზე ბევრად უკეთესად ცხოვრობდნენ ომის დროს. მამამისი რომელიღაც არტელში იყო მოკალათებული და საკუთარის გარდასაყვარლის ოჯახსაც ინახავდა.

იაშა იზრდებოდა. სახეზე თითქმის არ იცვლებოდა. გამხდარი და პირუტყვს სიმაღლეში მიდიოდა და თითები უგრძელდებოდა უცნაურად. ყალბი ატესტატების კეთებაზე დაიჭირეს სკოლის დამთავრებისთანავე. მალევე გამოვიდა. მხედვებოდა და აღარ მცნობდა, მამჩნევდა, არ მესალმებოდა, თავს რომ აღარ გამოიტოვებდა — ეტყობოდა და მეც ძალიან ვერიდებოდი რატომღაც. ხმა გავრცელდა, პაკეტს აგდებს სადგურშიო. ვილაცამ თქვა, ჭორიაო. სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა. გრძელი მაკინტოში ეცვა იმ დღეს, მოგრძო ქუდი ეხურა და თხელი სანთლისფერი პროფილი უელავდა ნეონის შუქზე თბილის-ქუთაისის მატარებლის გასვლისას.

იმ აფიორის შემდეგ აღარ მინახავს. ყალბ ფულზე ჩავარდა ბოლოს და ახალგაზრდობაშივე გარდაიცვალა.

გალელი ძალი

დათიკო გალიდან იყო ჩამოსული თუ ჩამოყვანილი. იძულებითი მუშაობა მქონდა მისჯილი და ამ მსუბუქ სასჯელს ჩვენ ქალაქში, უფრო სწორედ, ჩვენ სახლში იხდიდა. შესანიშნავი დურგალი, მუყაითი მშრომელი ადმინისტრაციის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა და ხშირად ღამესაც ჩვენთან ათევდა. სავალდებულო სამუშაოს მომთავრების შემდეგ ხის პატარა ოთახს უტრიალებდა. კედლებზე ფიკრულ, ზევით და ქვევით კოჭებგაწყობილ ოთახს ლამფავდა, კარ-ფანჯრების ჩადგმას აპირებდა.

მუშაობა როცა დამთავრდებოდა, მარლენ გუჯაგიალის საქმის მწარმოებელი შაბაშს რომ გამოაცხადებდა, აეტოპარხნის მუშები როცა მიიფანტ-მოიფანტებოდნენ, დათიკო ისვენებდა, ხელ-პირს ვადიბანდა, ისადილებდა, გემრიელად გადმოივებდა, გამართავდა უზარმაზარ შალაშინს და ისევ მუშაობას იწყებდა. გაზაფხული იწურებოდა, დღე დიდდებოდა, დამე პატარავდებოდა კვლავ;

როდის-როდის ჩამოწვებოდა ციდან მიწაზე ბინდი, როდის-როდის ჩამობნელებდებოდა.

რაზედ იყო დაჭერილი, არ ამბობდა. მხოლოდ ერთხელ წამოსცდა, რაღაც ჩხუბიო, სიტყვიერი მხოლოდო, უიარალოდო, ბევრი არაფერიო და გაჩუმდა. ეს იყო და ეს. არ უყვარს ბევრი ლაპარაკიო, ასეთ კაცზე იტყვიან. დათიკოს კი არც ბევრი უყვარდა და არც ცოტა. ალბათ საერთოდ არ ამოიღებდა ხმას, მისი ნება რომ ყოფილიყო. ჭლარაშერეული, ფეშტემალაკრული, ყურზე ფანქარშემოდებული, წარმოსადგეი კაცი შიშველი, თეთრი, გრძლად დაკუნთული მკლავებით ამხუველებდა შალაშინს ლამფის ფიცრებზე, ვაჭქონდა და გამოჭქონდა სურნელოვანი ბურბუშელა დაზვის თავსა და ბოლოში.

მანამ ვერაფრით ვერ წამოვიდგინე, რა ჩხუბთან და აყალბაყალთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ეს მშვიდი, რკინის ნერვებისა და ჯანის პატრონი



ადამიანი, სანამ ცოლმა არ ჩამოაქოთხა გალიდან. მაღალ, ლამაზ ცისფერთვალე-ბა გალელ ქალს რაღაც საერთო უნდა ჰქონოდა ამ ისტორიასთან და არც ისე-თი ჩუმი და მორიდებული უნდა ყოფი-ლიყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. იგი იდგა კარის ცარიელ ჩარჩოში, ხის დიდ ჩემოდანთან. გადასული მზე გვერ-დიდან ასათებდა და ჩარჩო ირიბუ-ლად იყო გაწოლილი მიწაზე. ქალის მო-ჩარჩოებული ჩრდილი ზედ დახვამდე, დათიკოს ფეხებამდე იყო მისული. ყვა-ვილებით მოჩითული, კალთებნაოჭები-ანი, ტანზე ცოტა სრულად მორგებული კაბა ეცვა. კაბისა და თავსაფრის მომწვან-ო ფერი ვაცრეცილ სახეზე ლიკლიცებ-და, მუქდებოდა, მკრთალდებოდა და ერთ ალავას არ დგებოდა.

ჯერ ჩრდილს მოკრა დათიკომ თვალი, შემდეგ ჩემი გაცეცხული მზერა დაიჭი-რა და ქალიც დაინახა. ფეშტემალი მო-იხსნა, სატინის ლურჯი ხალათი მოიკცა, ყურზე ფანქარშემოდებელი, ღიმილით გეგება მუელღეს, ჩემოდანი აიღო უხ-მოდ და სტუმარს ზევით გაუძღვა.

გვარიანი შეღამებული იყო. გაოფლილი, მთელი დღის გადაკარგუ-ლი, უსწავლელი და უქმელი შევედი ეზოში. სახლში შეპარვას ვაპირებდი და დაეინახე სტუმრები, რომლებიც აივანზე ისხნენ. დათიკო პაპიროსს ეწეოდა. კუთხეში კი ის ყვავილებმოჩითულკაბი-ანი გალელი ქალი იჯდა, გადაშუადლე-ბულს რომ გამოგვეცხადა ხატით. არ ველოდი და გამეხარდა. წასული მეგო-ნა რატომღაც უცხო და მოსარიდებე-ლი ადამიანის თანდასწრებით მშობლე-ბი რომ ვერაფერს მეტყობდნენ, ვიცოდი და თამამად ავედი აივანზე. საერთოდაც მიყვარდა სტუმრები, მაგრამ იმ დღეს კიდევ რაღაც მიხაროდა და რა — არ ვი-ცოდი.

ბავშვები ასეთია ყველაო, თქვა გა-ლელმა ქალმა ღიმილით და ალერსიანი ხმით, როცა ჩემს მიმართ გამოთქმულ თავაზიან საყვედურებს მოუსმინა; ხის ჩემოდნიდან ხმელი ხურმის აცმა ამო-იღო და მომაწეოდა. ახალნავახშვევ მაგი-

დაზე მრგვალი ხაჭაპურები და თხელი, დაჭრილი და დაუჭრელი სულგუნები ელაგა.

დათიკომ პაპიროსის ნამწვი გადაგ-დო, მაღლობელი ვარო, თქვა და წამო-დგა. გალელი ქალიც ადგა იმავე წამს, მაღლობელი ვარო, თქვა მანაც. მაღ-ლობელი ჩვენ ვართ, პირიქითო, უბასუ-ხა დიასახლისმა, აულაგებელ სუფრას გადახედა და სტუმრებს უთხრა, თუ მო-სვენებას აპირებთ, ლოგინებს გაგიშლი-თო. არა უშავს რა, ქვევით მოვისვენებთო, თქვა დათიკომ.

დათიკოს საშუშაო ოთახში დაზვასთან სახელდახელოდ შეფიცრული ტახტიც ჰქონდა და ჩვენთან ბუმბულგზში კოტ-რილის ახალგაზრდა მეუღლესთან ხმელ ფიცრებზე ტანჯვა ერჩია, ეტყობოდა. თავაზიანი მიპატყება-მოპატყება, არ იქნება, კი იქნება და როგორ გეკადრე-ბათ, დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგ-რამ ეს იყო ალბათ ყველაზე უხერხული და მძიმე წუთები ცისფერთვალემა გა-ლელი ქალისათვის იმ დღეს და შეიძლე-ბა საერთოდ ცხოვრებაშიც. მარტო ხაჭა-პურებისა და სულგუნის ჩამოსატანად და მოსაკითხად რომ არ იყო ჩამოსული, შე-იძლება თვითონაც მაშინ ვაახსენდა. გხე-დავდი, როგორ წითლდებოდა, ყვრიმა-ლებზე და საფეთქლებზე როგორ ედებოდა ფერმკრთალი ალი.

წავიდნენ თუ არა, დედამ თხელი საბ-ნები და მუთაქები გადმოიღო, ქვევით ჩაიტანეო, მითხრა. თავი მოვიკალი და არ წავილე. ქვევით ვერ ჩავალ-მეთქი, ვიძახოდი და რატომ ვერ ჩავიდოდი, არ ვამბობდი. რისი გეშინია, ჩადიო, მეუბ-ნეოდნენ. რა შუაში იყო შიში. რაღაც გაუცნობიერებელი, სწორი თუ არასწო-რი ალლო თუ ტაქტი მაკავებდა და ფე-ხებს მიბოროკავდა. არაფერში ადამიანს არ გამოადგებო, მისაყვედურა დედამ, მუთაქები და საბნები ამოიღლიავე და თვითონვე წავიდა, მხოლოდ შორიდანვე დაიძახა, დათიკო, ერთი წუთით გამო-

რეზო მინაშვილი
მუსიკა მარში



იხედო. დათიკო კი იქვე მდგარა საჩეხ-
ში, წვევარამში დგოდა ანთებული პაპი-
როსის თუთუნნი. რატომ წუხდებოდიოთ,
უთხრა დედას, საბნები ჩამოართვა და
ბნელში გაუჩინარდა, პაპიროსის ნამწვიც
მიასრისა იქვე, იმ ალაგას.

ყოველ კვირას ჩამოდებოდა ვალელი
ქალი მეუღლესთან. ვახშობის შემდეგ
მეორდებოდა ერთი და იგივე, უხერხუ-
ლი სცენა, მხოლოდ ცისფერთვალეზიანი
ქალი, მოჩითულყვავილებიანი სრული
ქაბა რომ ეცვა, წინანდებურად აღარ
წითლდებოდა და ფრთხვებოდა.

ორი თვის შემდეგ დამთავრდა ხის სა-
მუშაოები ჩვენს სახლში. პატარა ფიც-
რულსაც გადახურვის მეტი აღარაფერი
სჭირდებოდა და დათიკომ სხვა ობიექტ-
ზე გადაინაცვლა, იქვე, იმ უბანში და-
იწყო მუშაობა. ოჯახის წევრივით ახლო-

ბელი და შინაური ადამიანის წყველად
გული დამწყვიტა. ვიცოდი, სახლს მსმსა-
ობდა და ვინახულე კიდევ. საერთო სა-
ცხოვრებლის ორ პატარა ოთახს ამთავ-
რებდა ხარაზოვის ბალთან. პირდაპირ
ეზოში მუშაობდა და სამთიობო კი არა,
დასასვენებელი ოთახიც არ ჰქონია, არც
მოზინადრებთან ყოფილა ახლო ურთი-
ერთობაში. ცოლი რომ ჩამოუვა გალი-
დან, სად უნდა წაიყვანოს-მეთქი, გავი-
ფიქრე და გუნებანაქცივე ჩამოვბრუნდი
უკან. კარგა ხანი მახსენდებოდა და მა-
წუხებდა ცოლ-ქმრის, ვალელი ქალისა
და დურგალი დათიკოს შეხვედრებისა
და ლამისთევის ბედი.

სად უნდა დაწვენე-მეთქი, ვფიქრობ-
დი.

ვინ მეკითხებოდა, ნეტავი ვიცოდე!

მე, სითბო და ჩრდილი უნდოდა ვასო

რეზონანს ყველაფერი, სახლიც მთავ-
რდებოდა და არც მთავრდებოდა.

სახელდახელოდ შელესეს და შეღებეს
კედლები, ჩასვეს შუშები და შესახლდ-
ნენ კიდევ მოიჯარადენი ზევით და ქვე-
ვით. ერთ მესამედში ჩვენ დავრჩით,
ორში — სხვები. ფიცრული ოთახის გა-
დასახურავი კრამიტიც აზიდეს სხვენზე
და იმ ფიცრულით მთავრდებოდა მშენ-
ებლობის პირველი რიგი. მდგმურების
წასვლის შემდეგ კი ყველაფერი გამო-
საცვლელი და გადასაკეთებელი შეიქ-
მნებოდა უთუოდ და ბოლოს ასეც მოხ-
ბდა.

მაინცადაამინც კვირა დღით მოინდო-
მა დედაჩემმა ფიცრული ოთახისა და
აივნის დაკრამიტება. გამოცდილებით
ვიცოდით, რომ ხურო და ნამდვილი ოს-
ტატი, საერთოდ, კვირა-აუქმებულს არა-
ფრით სამუშაოს არ მოჰკიდებდა ხელს,
მაგრამ რაღაი ასეთი გადაუდებელი და
საშუბრი საქმე იყო და უეჭველად იმ და-
მით მოვიდოდა თქემი წვიმა, ვილაც
არაოსტატი უნდა მოგვეძებნა. ბოლოს
და ბოლოს, რა უნდოდა სახურავზე კრა-
მიტების დაწყობას და დალაგებას.

ჩვენ სასურსათო მალაზიაში, სადაც
პური იყიდებოდა (წიგნაკები ჯერჯერო-
ბით წიგნაკობდა), დამხმარე მუშად მი-
იღეს ჩრდილოეთის რომელიღაც ქალა-
ქიდან მზესა და სითბოს გამოყოლილი
ხანში შესული კაცი, სახელად ვასო.
დილდილობით მზეს ეფიცებოდა, შუა-
დღით ჩრდილში იყო მორთხმული ეს
ვასო. საქმეც ბევრი არა ჰქონდა რა.
პურის მანქანას დაცლიდა და თუ რაიმე
წვრილიმანი, გადაუდებელი საქმე არ გა-
მოუჩნდებოდა, იჯდა და იყო თავსთვის.
მთელი ცხოვრება ყინვაში გავატარეო,
უთქვამს. ახლა ძვლებს ვითბობო, თუ
აქაც აცივდება, როგორც ამბობენო
(ვერ წარმოედგინა, ჩვენთანაც თუ იყო
ზამთარი), უკიდურეს სამხრეთს მივა-
შურებო. ჩვენგან სამხრეთით, სანამდი-
საც წასვლა შეიძლებოდა, გაცილებით
უფრო ციოდა და ვასო ალბათ შემოდ-
გომის პირას სამხრეთ-დასავლეთისაკენ
აიღებდა გეზს.

არავის ეს ვასო არ აწუხებდა. იჯდა,
თვლემდა, თავის წილ მზეს და სითბოს
არ იკლებდა. მცირედითაც კმაყოფილი
ბედს ემდურებოდა თუ არა, არ ვიცი, მაგ-

რამ რომ არ უჩიოდა — გხედავდი. ყოველნაირი საქმე ემარჯვებო, ამბობდნენ მეზობლები. გაფუჭებულ უთოს გამართავდა, ელექტროგაყვანილობას გასწორებდა და განაკუთრებით წყალსადენის მილბის გადაბმა-შეკეთების უნარს ამყვანებდა. რკინებთან, ქანჩებთან და ჰანჭიკებთან ახლო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ერთ დროს. თუ მოასვენებდით და თუ არ შეაწუხებდით, მთლად კარგი, თუ არა და, ხელის წაყვრას, მცირეოდენი სახლაურის ფასად, არასოდეს დაგზარდებოდათ.

სწორედ ის ვასო მოიყვანა მეკრამიტედ მამაჩემმა. ზანტად ავიდა ვასო ხის ვიწრო კიბეზე. დინჯად შეათვალეირა გაურანდავი ბარტყები, მენჩზე დალაგებული კრამიტები და იქვე მიწყობილი ლარტყები. თვალდათვალ აზომა, ავეგმა იქაურობა, თავი მოიფხანა და გადავხურავო, თქვა. ცალი კრამიტი დაიჭირა ხელში, ზომა აიღო და ერთი ლარტყი დააჭედა.

ცალი კრამიტით დადიოდა იგი, ზომავედა და ჰედავდა აიენისა და სახლის სახურავს. ვადალარტყა მკვიდრად, საფუძვლიანად, ვადახურვაც დაიწყო, ერთ მწკრივად გაფინა კიდეც კრამიტები. მეორე მწკრივს მიადგა, მაგრამ კრამიტი ლარტყიდან ლარტყს აღარ გადაწვდა, ჰაერში დაეკიდა საცოდავად. დაფიქრდა ვასო. აქი კრამიტის ზომის მიხედვით გადაჭედა იქაურობა. თუკი ერთ მწკრივად გაიწყო და გაიშალა, მეორე რიგს რალა უნდა დამართნოდა. დიდხანს დასჩერებოდა იგი კრამიტებსა და ლარტყებს გასიებული ცხვირით და ვიწრო, მონღოლური თვალებით. ქვემოდან უნდა დაგეწყო, უთხრა მამაჩემმა. მართალი ხარო, უპასუხა ვასომ, ამ სიმართლეში ძალიან დაჭევებულმა. ქვევით სარტყლამდე ჩაბობლდა და საღვარსადენე ადგილიდან დაიწყო მუშაობა. გააწყო ერთ რიგად კრამიტი, გადავიდა მეორეზე, მაგრამ კრამიტზე შემოდებული კრამიტი ლარტყს აღარ გაწვდა, ისევ ჰაერში აქანავდა. ალბათ ზომა შეემშალაო, იფიქრა ვასომ. ადგა და მისხალ-მისხალ გა-

დაზრმა ყველაფერი. ყველაგან თანაბარი, და ზუსტი ინტერვალები იყო დაცული. წითელი ცხვირითა და ვიწრო თვალებით დაჩერებოდა. ვასო თავის ნახელავს, თითქოს თვლემდა, თითქოს რული ედებოდა.

ეზოში დეიდას ქმარი, დედის სიძე, ბიძია არსენი შემოვიდა. მაღალი, ბრგე, წვერგაუპარსავი, საგარეოდ გამოწყობილი კაცი ცოტა შეზარხოშებულიც უნდა ყოფილიყო. მეზობელი გარდაცვლიდა სოფელში და საყიდლებზე ჩამოსულიყო. მწიფე მაცვალევით შავი წვერიც ასოცი წლის თანასოფელის საპატივცემოდ ჰქონდა მოშვებული. არ მცალია, ვერ გავჩერდებიო. ამასო, ფუთა ეპირა ხელში, დავტოვებ, გიმოვიარ და წავიღებ, დღესვე სოფელში უნდა ვებრუნდეთო. არასოდეს გასაჩერებლად არ ეცალა, მაგრამ იმ დღეს ნამეტანი იჩქაროდა. ხვალ ასვენებენ იმ კაცს, ათასი საქმეა, უჩემოდ ვერაფერს თავს ვერ დაადგამენო. დაიცადე, რას გარბიხარ, რა წესი გაქვს ასეთი, ერთი წუთით რომ არ გაჩერდებიო, უსაყვედურა დეიდა. ერთი აღი ზევიდ, ხანცე, რა კეთდება, კრამიტები ვერ ვაღვეს ფინებზეო. არსენმა დიდი ფუთა შემოდო მოაჯირზე, კიბეს ხელი მოჰკიდა, ოდნავ შებანცალდა, მაშინდა შეეტყო სიმთვრალე, მაგრამ ჩვენი შემოთებისდამიუხედავად, მსუბუქად და სწრაფად ავარდა სახურავზე. თვალი გადაავლო იქაურობას და იმწამსვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ლარტყიო, კრამიტი გამოართვა გაშტერებულ ვასოს, აქ რომ დავიკედებია და კრამიტით რომ ვადავიზომია, ვასაგებია, მაგრამ ამ კრამიტს რომ ამ კრამიტზე ვადააგებ, კრამიტი ხომ თავისთავად დამოკლდებო, თავი სადღა წაიღოს, ან სად ჩამოდოსო, დაიწყო ყვირილი რომელიღაც სლაფურ, ვასოსათვის გაუგებარ ენაზე. ესო, ორი კრამიტი შეაერთა მან, ასე უნდა ვადაედოს ამასო. ჯერ ერთი, ზემოდან უნდა დაგეწყო დახურვაო. შეხე-

რამომ ვიწვილი
მისხალ მარში



დე კარგადო. ეს ერთი დაჯდა ხომ, ახლა მეორე აქ მოვიდა, ხომ, ეს ორი. მაშასადამე ლარტყიც აქ უნდა იყოს, ასე ხომ? კარგი ბატონო, ახლა შეხედე, მეორეს და მესამეს რომ გადაადებ, სად წავა თუ იციო?.. რა გიკეთებია, რა გიკედებია, შენ გამომგზავნის რა ვუთხარი, უნდა დიგარტყას ეს კრამიტი კაცმა თავშიო.

ვასომ იფიქრა, ნაღდად გადამაგდებს აქედანო და უსიტყვოდ ჩავიდა ძირს.

— თანაც რამხელა ლურსმებით უქედებია, რა უქნია, ნაღდად უნდა გადაიქედნო ძირს, სად ნახეთ, საიდან მოიყვანეთ... ამის აძრობა არ გინდა, იმ გავტრევებულს რამდენი უწვალაია! — ბურღულუნებდა არსენი.

ვასო კი უკანმოუხედავად მიდიოდა ქიშკრისაკენ. მამაჩემი მიპყვებოდა და ფულს აძლევდა, დაბირებული გასამრჯელოს ნახევარს სთავაზობდა. ვასო ფულს

არ იღებდა. მაშინ არაყი დადიოდა სთხოვდა მამა. დღისით არ ვსჭამ; მტრს მოვალთ, უარობდა ვასო; ერთი სული ჰქონდა, როდის გაეცლებოდა იქაურობას.

ხენწით, ბურტყუნით, ლანძღვით (გინება არ იცოდა, უშვერ სიტყვას არ ამოუშვებდა პირიდან) აძრობდა და ხელახლა აქედებდა ლარტყებს არსენი.

ვასო უკვე მალაზის წინ, კედელთან პირდაპირ მიწახე, ჩრდილში იჯდა და თელემდა. რა გინდათ, დამაყენეთ, გამაჩერეთ აცივებამდეო, ამბობდა თითქოს და ვიწრო, მონღოლური თვალები ებლიტებოდა. მზით გადაშარული, გადაამხარი მიწა და სილის დიუნებით გაწყობილი უდაბნო ელანდებოდა; აქლემების ზანზალაკების შორეული ხმა ესმოდა ნანასავით.

არსენი

არსენმა მთელი ევროპა მოიარა ომის დროს. იტალიის ტყეებში დათარეშობდა პარტიზანად. იტალიურიც ვიცოთ ამბობდა კიდევ რა ენას ფლობდა იტალიურის გარდა, არ უთქვამს, მაგრამ იმ დღეს რომ ვასოსთან ჩხუბში ბევრი ვერადგერი ლინგვისტური ცოდნა გაამქლავნა, ჩემი ყურით გავიგონე.

ომიდან დაბრუნებულმა მოხუცებულნი, დაუძღურებელი მამისამარა დარჩენილი, ერთ დროს დიდი და ძლიერი, მაგრამ ომის დროს დაქვეითებული ოჯახი ააღორძინა. სამეგრელოდან კვარაცხელიას წიქარა მოზვრები ჩამოიყვანა. უხარო, უცხენო ოჯახი გლეხის ოჯახი არ არისო, უთქვამს მრავალჯერ. თავმოყვარე კაცს, ყველას მფარველს და შემწეს, ჰირსა და ლხინში გამოსადგეს, თავდაუზოგავი შრომა შეეძლო. მარტო ყურებით დაიღლებოდით მისი მუშაობის შემხედვარე. მოლხენაც იცოდა და გავლავამოვლაც. თავზე ბუზს არ აიდგრენდა და თუ დავუმატებთ იმასაც, რომ იტალიურიც იცოდა, მართალია, შემდეგ იტალიურიც დაავიწყდა და ისიც დაა-

ვიწყდა, რა იცოდა და რა არა, და მანც, პატივსა და სახელს მოკლებული რომ არ იქნებოდა, თავადვე მიხედვით.

მაღალმთიანი, მწირი სოფელი, სადაც არსენი ცხოვრობდა, თანდათან ცარიელდებოდა. ახალგაზრდები იოლ სამუშაოს ეძებდნენ, თვალი გზისკენ ეჭირათ, მშობლიურ ადგილებს მოხუცების ანაბარა ტოვებდნენ და თანდათან აუკაცრიელებდნენ იქაურობას. არსენი კი, სოფლის თავკაცი და ავანჩავანი, ერთგულად წევდა გლეხის ჭაპანს. ხანდახან შემოვარდებოდა ქალაქში, მივიღ-მოვიღიოდა ნათესავებს, მიიკითხ-მოიკითხავდა მტერს და მოყვარეს და ისევ უკან ბრუნდებოდა იმავე დღეს. რა გინდა, რა დაგრჩენია მაგ გატყაულ სოფელშიო, ეუბნებოდნენ. ქალაქში გადმოდი, შვილებთან იცხოვრეო, ავულოანებდნენ. მე თუ ცხენზე არ შევჯექი, ჩვენი სოფლის ვიწროებს, დელის პირებს თუ არ ავყვევი და ჩავყვევი, ტყიდან ურმით შეშათუ არ მოვიტანე, კაცად არ ვივარგებ და რად გინდივართო. აქ დაეზადებულვარ, აქ დავიმარხები, რა უნდა ვქნათ, ჩაილაპარაკებ-



და, მოიწყენდა. სასოება ელვოდა ამ აუცილებელი თუ დროებითი პროცესის (სოფლის დაცარიელების) მოწმეს და შემხედვარეს. ხალხის, მათ შორის საკუთარი ოჯახის წევრების, გულვრილობა უკლავდა გულს.

იმ დღეს, აივანი და ოთახი რომ გადახურა კრამიტით, ამ საკითხებზეც ილაპარაკა გულსტიკივლით. იტალიაც გაიხსენა ბოლოს. გაიხსენა რაღაც მკრთალად, ბუნდოვნად. თითქოს დიდი დრო და ხანი იყო გასული მისი იქ ყოფნიდან. მოიგონა ომი, დაღუპული მეგობრები და ამხანაგები აღდგურებულნი.

— ... ბევრი ჩაწვა, ბევრი, უცხო მიწაში. ბევრი ველარ დაბრუნდა. გაიზრდები, ბიძია, კაცი გახდები და ყველაფერი რომ დაგავიწყდეს, ომში დაღუპული, სხვის მიწაში ჩაწოლილი ხალხის ხსოვნის სადღეგრძელო არ დაგავიწყდეს!..

არ დამვიწყებია. არც მისი ერთადერთი თხოვნა.

ამ ამბიდან კარგა ხნის შემდეგ, როცა ქალაქი გადასხვაფერდა, გაიზარდა, აჭრელდა, ახმაურდა, როცა ხალხის შეგნება კიდევ უფრო გაიზარდა და ტროლეიბუსებში, საერთოდ, მუნიციპალიტეტის ტრანსპორტში კონდუქტორების შტატი გაუქმდა, არსენი ისევ შემოვარდა ქალაქში იმ შემოდგომის პირს. გარდაცვლილი მეზობლის საპატივცემოდ წვერ-მოწვებული სადგურიდან ბაზრისაკენ

მოშავალ ტროლეიბუსში ჩამჯდარა. კონდუქტორი ვერსად დაუნახავს, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. თავადვე მომაკითხავს, სადაც იქნებაო და უკან გაჩერებულა დაფიქრებული, გასვენების თადარიგზე ფიქრით შექირვებული.

ტროლეიბუსში რეიდის მონაწილენი შემოსულან, უბილეთო მგზავრებს რომ ეძებენ, ისინი. რეიდის ერთ-ერთ აქტიურ აქტივისტს, არსენს რომ ადევნებდა მაღულად თვალს, სურათი გადაულია.

არსენს შეუმჩნევია კიდევ სურათს რომ უღებდნენ. რაღა ასეა, ბარემ წესიერად გადამიღონო, გაუფიქრია. რა დასამალია და, გასწორებულა, გამართულა, გლახად არ გამოვიდეთ. ალბათ ჩემი აღნაგობა, წვერი და გამოხედვა მოეწონათო. რაც მე მოიმი, მიპარტიზანია, კოლმეურნეობაში ოფლი მიღვრია, კერა არ გამიცვივებია, ქართველი გლეხის სახელი შეურცხვენლად მიტარებია, დამიფასდა, ვატყობო

მეორე დღეს სტენდზე, თვალსაჩინო ალაგას ზულივანებთან და სპეკულანტებთან ერთად არსენის სურათიც გამოაკრეს. სტენდს ასეთი სათაური ჰქონდა: **აი, ვინ გვარცხვენს ჩვენი!**

კიდევ კარგი, ისე ჩავიდა სამარეში, ის სტენდი და ის სურათი არ უნახავს.

გულუ ოგოლი

სადღეშის ზემოთ, საკირის ქუჩაზე შუშის ქარხნის შებოლილი მილები იყო აშვერილი. ქარხანა დღე და ღამე, სამ ცვლად მუშაობდა. თუ რამდენიმე ძველ ოსტატს არ ჩავაგდებდით სათვალავში, პატარა საწარმო მთლიანად ქალებით იყო დაკომპლექტებული. წელ-ზევით შიშველ, გაოფლილ, ტანაელვარებულ ოსტატებს, მათ შორის ობოლ ბუდუს აგიზვიზებული ღუმელის წინ დაინახავდით შუშეზამბტრეული ფანჯრიდან. გამხდარი, ვავეებული ქალებიც შეშლილფებულნი მუშაობდნენ.

ოსტატებს გრძელი მილებით ღუმელიდან გამოჰქონდათ მოკაშკაშე, ცეცხლოვანი ბურთები; მილში უბერავდნენ მძლავრად და გაჩახჩახებულ, დეფორმირებულ ვარსკვლავებს ზედსადგარებზე ავუნდავებდნენ. ჯერ ყალიბებში ფლავდნენ, შემდეგ წყალში ამიშხინებდნენ. იქიდან კი ნივთებად და საგნებად ამოჰქონდათ. წუნდებულ შუშებს უკანვე, წყლით სავსე რკინის

რაყო ზიიზილი
მუსია აპარვი

ავში აბრუნებდნენ. ავში დღემორეული წყალი ბუყბუყებდა. ღუმელში ცეცხლი ფეთქავდა. წითლად და ყვითლად გავარვარებული ენები ირწყოდა სარკმელთან. ურიკებს დაახრივინებდნენ წინ და უკან. სადღაც რაღაცას ყრიდნენ ხრიალით, სადღაც რაღაცას აჩხარუნებდნენ. საშინელ გნისას კიდევ ათასი უცხო და უცნაური ხმა უფრთღებოდა.

ამ ჯოჯოხეთში მუშაობდა ბუღუ წიქარაშვილი ერთი დღე და ერთი ღამე. ორი დღე და ორი ღამე თავისუფალი იყო და როგორ იყენებდა ამ თავისუფლებას, ქვემოთ დაგინახავთ.

აკლებული ჰყავდა მთელი უბანი ბუღუ ობოლს, მამისთვალის ძე წიქარაშვილს. ომს ჩამორჩენილი, დაჯავშნულ ქარხანს თავშეფარებული და გალადებული თითქოს თავისი პროფესიითაც იწონებდა თავს. ობოლი მუშა ვარო, მამისთვალისშვილიო, იძახოდა, ვის დასცინოდა, ძნელი გასაგები იყო. გრძელი მკლავებისა და მოკლე ფეხების პატრონს დიდი ყბები, დაბალი, ორნაოჭიანი შუბლი და ჯაგარივით მოკლე და ხეშეში თმა ამშვენებდა. დანახვა მეშინოდა იმ შავი კაცის და თვალს ვერ ვაშორებდი, თუ ვერ მხედავდი. რამდენჯერ შორიასლო გაეყოლივარ, ვინ იცის. მაინტერესებდა, რას ჩაიდენდა, რას მოიმოქმედებდა ბუღუ წიქარაშვილი. პირველ ხანს ერთ მენავთეს ვამსგავსებდი და ვერ ვამეგა, შუშის ქარხანაშიც მუშაობდა და ნავთსაც ყიდდა თუ მენავთე სხვა იყო და ბუღუ წიქარაშვილი სხვა. ერთხელ ეს ჩვენი ობოლი ბუღუ ორმა ბიჭმა მიაყენა სადგურის გალავანს, პირი კედლისაყენ აქნევიანეს და ზურგში და წელზე ურტყეს ფიცარი. ბუღუ კბილებს აღრქიალებდა და უკან არ იხედებოდა. სანამ მუხლებში არ ჩაიკეცა, ხმაც არ გაუღია. ის ორი ბიჭი კი, რიგრიგობითა და ერთგულეობით რომ უზაპუნებდა ზურგში ფიცარს, ორი დღის შემდეგ ბუღუსთან ერთად ვნახე სადგურში. დამნაშავე იყო ბუღუ ობოლი და ხე-

ლის განძრევის უფლება არ ჰქონდათ, თქვეს შემდეგ და ბუღუს ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა ჩემს თვალში.

ჩვენი კარის მეზობელს ზესტაფონიდან ჩამოუვიდა ძმისშვილი ლამარა, რომელიც პედინსტიტუტში მოეწყო იმავე წელიწადს. მეზობელი კარგად ცხოვრობდა და, როგორც ჩანდა, ლამარას მშობლებიც არ უჩიოდნენ სიღუბს. ვერხობროვანი ლამარა მკიდროდ შემოტმასნილი, მოკლე (მხოლოდ ერთი ხელის დადებით მუხლჩაცილებული) კაბით, მაღალი მკერდით, სავსე თეძოებით მიაღრვევდა ქუჩას და ტროტუარს და გამვლელ-გამომვლელს უყენებდა თვალს. სწორედ ამ ლამარას გადაეცა ბუღუ წიქარაშვილი. გასაქანი აღარ მისცა. დამკვრელები მოჰყავდა და დლოისა და აკორდიონის ხმაზე ვაჰკიოდა მთვარიან ღამით „კარგი იყო, არ გამეცან თავიდან, შუა წყალში გადამაგდე ნავიდან“ მეზობლები ნერვებმოშლილი უსმენდნენ ბუღუს ბაიათებს და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. მუშა ვარ, ობოლი, მამისთვალის შვილი, სახელად მქვია ბუღუ წიქარაშვილი! იყვირებდა ბოლოს ბუღუ და სერენადაც მთავრდებოდა, სამარისებური სიწყნარე ისადგურებდა ჩანებლებულ ქუჩაში, სამხედრო გზაზე. ლამარა კი შებინდების შემდეგ გარეთ ვეღარ გამოდიოდა. დღისით ბუღუს არც კი ეპუებოდა მაინცადამაინც, მკერდით და თეძოებით მიაღრვევდა კვლავინდებურად ქუჩებს, მაგრამ რად გინდა, მამრობითი სქესის ადამიანი აღარ ელაპარაკებოდა წიქარაშვილის შვილს.

ლამარა აწითლებული და განერვიულებული ბრუნდებოდა ხშირად ინსტიტუტიდან. რა უნდაო?... ეკითხებოდნენ ცნობისმოყვარე მეზობლის ქალები.

— მიყვარხარო... — გოცებული სახით ამბობდა ლამარა.

— უყურე შენ! — წამოიძახებდნენ არანაკლებ გოცებული ქალები,

როგორ გაბედა, მაგ სასიყვედილემ შენი შეყვარებო, ამდაგვარ გულწრფელ-საყვედილურს ამოკითხავდით მათ მზერაში და ხმის კილოში. თვითონ ლამაზაც ამაზე არ იცლავდა თავს? ვუყვარვარ, ვუყვარვარ, მაგრამ რატომ, რა უფლებით შემეყვარაო. რალა დაგიმალოთ და, ამდაგვარი ბნელი აზრები მიტრიალებდა მეც თავში სახეგულმკერდადელვარებული ლამარას დანახვაზე. შესაყვარებელი სხვა, თავის ტოლი ვერ ნახა-მეთქი, ვბრაზობდი წიქარაშვილზე.

ავგისტო იწურებოდა. სიცხეები არ ნელდებოდა. აღმოსავლეთიდან ცხელი ქარები უბერავდნენ. კაკლის ხეზე გაწყობილ ნარზე ვიწეკი უკვე ღამითაც. თავდაპირველად მეშინოდა, მაგრამ საკუთარ თავს გულადობაში ვარწმუნებდი, განსაცდელის წინაშე ვაყენებდი. ისე, კაცმა რომ თქვას, რისი უნდა მშინებოდა, ჭიშკარი საიმედოდ იკეტებოდა, საქურდლად კი (მოსაპარავი არაფერი გვქონდა) ჩვენთან არავინ შემოდებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვემოდან არ ვჩანდი და ბანგლაუელივით ვიძინებდი დაღამების-თანავე. იმ ღამით კი ნამეტანი შემეაწუხა ქარის გრიალმა, კაკლის დიდრონი ტოტების ჭრიალმა და ოხვრამ. ტოტებში გაჩრილ ნარის ფიცრებს ქარი ისე აქანებდა, როგორც, ალბათ, ტივის აღელვებული წყალი. საღაც თითქოს ბუღუ წიქარაშვილი მღეროდა ჩახლეჩილი ხმით: „კარგი იყო, არ გამეცან თავიდან. შუა წყალში ვაღამავდე ნავიდან“. საღაც კლარნეტი კვენსოდა და დროისა და აკორდეონის ხმას აბურთავებდა ცხელი ქარაშობტი. კლარნეტი ქვიჩინებდა. ქარი წიოდა და სისინებდა. ტოტებში გრიალებდა, სახურავის ღვარსადენებს ეხეთქებოდა, სულს ჩაითქვამდა და „კარგი იყო, არ გამეცან თავიდანო“, ატირდებოდა ვიღაცა იმ ცხელქარიან ღამეში. მეჩვენებოდა თუ მართლა უკრავდნენ, ქვიჩინებდნენ თუ მღეროდნენ, ვერ გამეგო.

ძილს თავი წავართვი და გამოვფიხილდი, როგორც იქნა. თვლებდაქყეტილი წამოვჯექი აქანავებულ ტივნარზე. გადაბერებული მთვარის ნათელი დაძვენოდა ეზოს და სახლს. ქარი მიერეკებოდა კლარნეტისა და აკორდეონის უკანასკნელ აკორდეებს დასავლეთისაკენ, უმუსიკოდ დარჩენილი ბრუნდებოდა უკან და ისევ ხის ტოტებს ასკდებოდა გაავებული. საღაც იყო ჩამომსვამდა კიდევ ნარიან-ფიცრებიანად. შინ შესვლა დავაპირე, მაგრამ ტანსაცმელი ვერსად მოვიძიე. შარვალი და ხალათი, საგულდაგულოდ რომ ამოვდევი სასთუმალქვეშ, აღარსად ჩანდა, ქარმა ჩაყარა ძირს, აშკარად. ჩამოვედი, მკრთალად განათებულ, მოქანავე შეუქრდილებით აქრლებულ ეზოში ვიბოდილე, ტანსაცმელი ვერ ვნახე. ჩაყვევი ეზოს, ჩავეუარე სახლს. ჭიშკარიც მოტრეტილი და მოლიავებული დამიხვდა. სამხედრო გზაზე ქარი ფოთლებს მიაფრიალებდა და ძირს დაცვენის უღლეურ ვაშლებს მიაგორებდა. ელექტრონის ბოძზე მოკლე ჩართვა ხდებოდა, მსხვილ-მსხვილი ნაპერწყლები ცვიოდა დროდადრო. ლამარას სახლისაკენ ვავაპარე თვალი. დამკვრელები კი არა, ძეხორციელი არ ქაქანებდა იმ ახლო-მახლო. ვინ გაჩრდებოდა, თუნდაც სატრფოს ფანჯრის წინ ასეთ ამინდში, გადავკერი სამხედრო ქუჩა და გადავიხედე ღვარსადენში. ჩემი შარვალ-ხალათიც იქვე იყო მიკუპული ამომშრალ-ამომხმარ ნარვალში. რამდენი ხანი უნდა ეჩოჩებინა და ეტრიალებინა ქარს, აქამდე რომ ჩამოეტანა. დავიხარე, ავიღე, ვაფერთხე. ნახვის სიხარულით კი არა, ჩემი გამბედაობით და სიყოხალით ავცერცეტიდი და ვიღაცის ხრინწიანი ხმავე ვავიგონე:

— მოდი აქ!

აზნო ბიფვილი
მუსიკა პარში



ქარის წივილი მივამგვანე ადამიანის
ლაპარაკ-მეთქი, გავიფიქრე გულაძვე-
რებულმა. როგორ მინდოდა, რომ ქარს
შეძლებოდა ამდაგვარი ხრინწიანი, დანა-
წევრებული ბგერების გადმოცემა. ხმა
ქარის ქროლვის მხრიდან კი არ მოდი-
ოდა, ხმალაძის ღობემორღვეული, მოღ-
ნითშებული ეხოლან ისმოდა. უნაბის
ძირას სკამლოგინზე ჩქემებიანი ალიგა-
ტორი იყო გაწოლილი. შარვალ-ხალათ
გულზე ახტებულნი, ტრუსებისამარა
დარჩენილი, შიშით აძაგაძებული მივე-
ლურსმე მიწას. არა ძალას ჩემი ადგილი-
დან დამერა აღარ შეეძლო იმ წუთას. ჩქე-
მებიანი-ბოხობიანი წიქარაშვილი სკამ-
ლოგინიდან წამოდგა. უნაბის ჩრდილს
გამოშორდა, ბოხობი ყურებადმდე ჩა-
მოიწია და შეშლილ ქარს ზურგი შეა-
ქცია ერთი წამით გალიფეს შარვლის
ჯიბიდან პაპიროსი ამოაძვრინა და რა-
ღაც სასწაულით ასანთი აანთო, მოუ-
კიდა კიდევ როგორ აანთო ამ ქარ-
ბორბალაში-მეთქი, გავიფიქრე ძალაუ-
ნებურად. გადაშვებულო, მუქი ლურჯი,
გვერდზე საყელოჩახსნილი ხალა-
თი ეცვა და წვრილი, ვერცხლით მო-
სავადებული, ბალთებიანი-კოპებიანი ქა-
მარი ჰქონდა შემორტყმული.

რატომ გული არ გამისკდა იმ ღამით,
ახლაც მიკვირს.

— აქ ცხოვრობ, იმ სახლში? —
მკითხა წიქარაშვილმა.

კი-მეთქი, ამოვიკნავლე.

— ლამარას იცნობ?

ვიცნობ, არ ვიცნობ, რომლის თქმა
სჯობს?.. ელვის სისწრაფით ამუშავდა
გონება. არ ვიცნობ, აშკარა ტყუილს
ჰგავს. ვიცნობ! რაც არი, არი.

ვიცნობ-მეთქი, ვუთხარი.

— წადი, გამომიყვანე!

ლამარას მე კი არა, პოლკი ვერ გი-
მოიყვანდა იმ შეჯავშნული სახლიდან,
მაგრამ ოღონდ წასვლა ეთქვა, ოღონდ
სადმე გავეგზავნე და იქაურობას გავე-
შორებინე, ყველაფერზე თანახმა ვი-

ყავი. შევეტრიალდი და ლამარას გამო-
საყვანად გავეშურე.

— დაიცა! — შემაჩერა წიქარაშვი-
ლმა.

გავჩერდი, მობრუნება ვერ გავბედე.

— რისი გამოიყვანი ხარ, ზედ არ გე-
ტყობა? მოდი, აქ დაჯექი!

მივედი. დაჯექი.

— პაპიროსი გინდა?

— არა.

კარგია, რომ არ ეწვივო, მომიწონა
საქციელი, მეც გვიან დავიწყე შენსა-
ვითო. რომელ კლასში ხარ, რა ნიშნე-
ბი გყავსო, დაინტერესდა. რატომ ხარ
ასე დედაშობილა და რას დაბოდი-
ლობ ამ შუალამისასო, არ უკითხავს.

... უბედურთა კაცი ვარო, მითხრა წი-
ქარაშვილმა. სამ ღამეში ერთხელ მძი-
ნავსო. ერთი ღამე ცვლაში ვარ, ერთ
ღამეს აქ ვითენებო, შენს მოსვლამდე
ცხარე ცრემლით ვტიროდიო.

მალულად ავხედე. ნამტიროლევს არა,
მაგრამ ახალგამოღვიძებულს კი ჰგავ-
და. შეიძლება ქარი უბურბუსალებდა
სახეს. ჯიბეში ხელი ჩაიყო. პაპიროსი
არ დამაძალოს-მეთქი, შემეშინდა, ბუ-
ღემ კი ორი სამელნე ამოიღო და მა-
ჩუქა. ჩვენი ქარხნის ნუ გგონია, ფაი-
ფურია, წარმოებაში დასანერგად მი-
მქონდა, მაგრამ შენ გქონდესო. თეთ-
რი და მძიმე, თავზე იისფერკანტმოყო-
ლებული სამელნეები იყო. ერთი სკო-
ლაში დაკვარე. მეორე კი კარგა ხანი
იღო ჩვენს საწერ მაგიდაზე. ხვალ ქარ-
ხანაში მოდი, ლამპის შუშებს გამო-
გატენეო, დამპირდა და გახარებული
გამომიშვა.

მომდევნო გაზაფხულს შეირთო ბუ-
ღე წიქარაშვილმა ლამარა. ოთხი შვი-
ლი ეყოლათ მოკლე ხანში — ორი ბიჭი
და ორი გოგო შეეძინათ. ბიჭები დედას
დაემსგავსნენ, გოგონები — მამას.
ქვეყანა არც ამით დაქცეულა, მაგ-
რამ პირიქით რომ მომხდარიყო, ალბათ
მაინც უკეთესი იქნებოდა.

სად არის გეგელიძე

ქვეყნის მრავალრიცხოვან ლაბირინთებს გასცდებოდა რიონი, გაიმდორებდა და ის უცნაური ლოდები, ნაწისქვილარიდან რომ იწყება და ახალ ხილამდე არ თავდება, ქრება მხედველობიდან. ვიწროთ კალაპოტი კი თეთრი ხიდიდან ფართოვდება და ქვეების უკანასკნელ გროვასთან, კოკის ჩქერებთან იშლება საბოლოოდ. გვერდებიდან დახრამული და დაკბილული, ზემოდან გლუვი, მაგრამ უსწორმასწორო ქვეები მეტად რთული ბარიერია გამოუცდელი მოცურავისათვის, განსაკუთრებით გაზაფხულს მიწურულს, წყალდიდობის დასასრულს.

როცა წყალი აიჭორბოდა, აიფოფრებოდა, როცა მთლიანად გადასილისფერდებოდა, ყველა ქვეასა და ლოდს რომ გადაფარავდა, მაშინაც კი შევდიოდი შიგ და თავისუფლად მიცურავდი სახიფათო გასაძრომ-გასასვლელელებში და მოხერხებულად ავუვლიდი ხოლმე გვერდს კლდის შენიღბულ ქიმებს. ყველაფერი მიჩვევაზეა, თანდათანობით, ცოტაცოტაობით ყოველივეს შევგუება, დიდი სირთულე დიდ საზრიანობას, სიმარჯვეს გამოგაჩენინებს. კოკი კი ალბათ მდორე წყალში, დამშრალ კალაპოტში დაიხრჩო, დაიხრჩო მაშინ, როცა სააღდგომოდ გადარჩენილ გოჭს საპნით ბანდნენ შუა მდინარეში.

ყველაფერს ბედი უნდა. იმ დღეს სახიფათო მოსახვევიდან მარტოდმარტო დაუწყევი კოკის ჩქერებს, ქვეებსა და ქვეებსშუა გავივლიე გზა, გავყევი გადარეულ მდინარეებსა და აღტაცებული შევძვერი გადაბრუნებული გობის მსგავს სპონდიოზე. შევძვერი და ვილაც ბიჭიც ამოფოფხდა, გახურებულ, იმეამად ჩემს მიერ დასველებულ გობზე. გამიკვირდა, წყლის ხმაურში არც გამიგია თუ უკან ვინმე მომყვებოდა. ლოდს ჩაფრენილი, მზისგან განარინჯისფერებული ბიჭი მიცინოდა, ჩამოშლილი თმოდან ჩამო-

დვრილი წყლის იქიდან აელვარებდა ჯანმრთელ კბილებს.

— ვახ, გიგლა!
ჩემი ძველი სკოლის ამხანაგის უმცროსი ძმა ვიციანი. იმ ადგილებში ადრე არ შემინიშნავს და საიდან გამომეცხადა, რა ჩქერს და წყალს ჩამოყვავ, ვერ გავიგე. ვაზრდლიყო, კიდევ უფრო ჩასუქებულ-ჩამრგვალებულიყო უმცროსობას ველარც კი დასწამებდი ეგრე იოლად. როგორ ხარო, მკითხა სერიოზულად. კარგად-მეთქი. თვითონ კითხვა აღარ ჭირდებოდა.

— სად არის შენი ძმა?
— მოკვდა. — მითხრა გიგლამ და უცხად მოიწყინა, მწუხარების ჩრდილმა გადაუარა მრგვალ სახეზე.

— მოკვდა? — გავიმეორე მე და ეს სიტყვა საშინლად მეუცხოვა.

უმცროსი გეგელიძე ხმას აღარ იღებდა. არ იცოდით, მეკითხებოდა ვაოცებული მზერით.

— როდის მოკვდა?
— წლისთავი გადაეუხადეთ.

წლისთავი?... როგორ, საიდან? რამდენიმე თვის წინ არ ვნახე გეგელიძე? ჩაკეტილ ოთახში არ მივაკითხე ამ გაზაფხულს? თუმცა ბოლო ერთი წელი გეგელიძეს სკოლაში აღარ უვლია, წლის ბოლოს კი მე თვითონ გადავედი სხვა სკოლაში. ერთი წელი, სრული ერთი წელი გასულიყო მართლაც. ერთი წლის წინათ გარდაცვლილა ჩემი სკოლის ამხანაგი გეგელიძე. სად არის ახლა ნეტავი? სად უნდა იყოს? მიწაში. ვერ ისწავლის, ვერ ითამაშებს, ფერად ქალაღებს ვეღარ დააწეებს ერთმანეთს, მუყაოსაგან ვეღარ გამოჭრის უცნაურ სათამაშოებს. რა უაზრობაა.

— და! — თქვა ჩემი თანაგრძნობით მადლიერმა ბიჭმა, წყალში ჩასრიალდა და ნაპირისაკენ გაცურა.

დღიდან სკოლაში მოსვლისა ავადყოფობდა გეგელიძე. გაკვეთილებს აც-

რეზო მთიუნჯიძე
მუსიკა ქაჯში



დენდა ხშირად. მასწავლებლები არ ურტყამდნენ. სწავლასაც არ სთხოვდნენ ჩვენსავით, თუმცა სხვაზე მეტად მონდომებული და მეცადინი ბავშვი იყო. გულკეთილს და მოსიყვარულეს მოყვითალო ფერი ედო მუდამ სახეზე. ყვრიმალეებზე ღინღლი ჰქონდა წამოზრდილი. ეს ღინღლი კიდევ უფრო უგრძელდება ისედაც მოგრძო, გამხდარ სახეს. რა უნდა გეთხოვა, რომ არ მოეცა ან არ ენათხოვრებინა. გულკეთილი იყო ძალიან. მამა ომში ჰყავდა უგზო-უქვლოდ დაკარგული. დედა, ტანდაბალი, ჩემი შეტყობითაც კი, ნერვიული ქალი, ფაბრიკაში მუშაობდა. ხან დღე ვადიოდა ცვლაში, ხან ღამე. ბიჭები კი ნახევრად ბნელ ოთახში ჰყავდა ამ დროს გამოძწყვედელი. ოთახში ისხდნენ ძმები ზაფხულობითაც. გარედან გადაკეტილ კარს ვერ მიღებდნენ და ფანჯრიდან ველაპარაკებოდი ერთმანეთს. ფანჯარაზე ვერ ვადმოვალ, ავდა ვარ, არ შეიძლება, დედაჩემი მომკლავსო, მეუბნებოდა გეგელიძე. დედამისის შიშით ვერც მე შევდოდი შიგ. გეგელიძე გარეთ ვერ გამოდიოდა და ფანჯარასთან ვიდექით. ზოგჯერ, მართალი გითხრათ, გული მომდიოდა გეგელიძეზე. სულ სახლში რა აჩერებს, ავადმყოფობა როგორ არ სწყინდება, ამნარი მოურჩენელი არ მინახავს არაფერი-მეთქი, ვბრაზობდი. ზამთარში ფანჯარასაც ვერ აღებდა და, თუკი დედამისიც შინ არ იყო, ვიდექი სარკმელთან და ვხედავდი, როგორ ჭრიდა გეგელიძე მაკრატლით ფერად ქალღლებს, აწებებდა ერთმანეთზე და რალაც უცნაური ფიგურები გამოჰყავ-

და. ძმა ხელს უშლიდა, აწვავდა მუშევარს უფუჭებდა, სცემდა კიდევ ხანდახან. ამის დანახაზე ვგრედებოდი, უმცროს გეგელიძეს ვემუქრებოდი გარედან. ჩემი ამხანაგე ოთახიდან მიღიმოდა, მანდ თუ იდექი, რატომ არ გამაგებინე, ამას ნუ უყურებ, გიყიანო. სულ ერთია ვცემ, გარეთ რომ გამოვავთქვა, ვანიშნებდი ფანჯრიდან. გიგლა კი ოთახიდან მეჰყანებოდა, ცხვირზე გაშლილ თითებს იდებდა და კიდევ უფრო მაცოფებდა. გნახავ ხვალ სკოლაში-მეთქი, ვეძახოდი და გუნებაში ვანგარიზობდი, რამდენჯერ წავუთაქებდი მეორე დღეს. მარტო ამის წარმოდგენაზე ვწყნარდებოდი და მინც შეწუხებული მივდიოდი შინ. ვდარდობდი. ალბათ საჭმელსაც გიგლაია უჭამს, იმიტომ არის ავადმყოფი და გამხდარი-მეთქი. უმცროსი გეგელიძის ცემას ვაპირებდი გადაწყვეტილად, მაგრამ მეორე დღეს სკოლაში ერთად მოსულ ძმებს რომ დავინახავდი, როცა შევხედავდი, როგორ ფრთხილად, მზრუნველობით მოჰყავდა უფროს ძმას მამა აბრამის ბატკანივით გალურსული უმცროსი, ყველაფერი მავიწყდებოდა. ასეთი საყვარელი ძმა როგორ უნდა გამელახა-მეთქი, ვუბრაზდებოდი საკუთარ თავს.

მომკვდარიყო საწყალი გეგელიძე. სად არის ახლა-მეთქი, ვფიქრობდი მაშინ, გახურებულ, გაქუჩმულებულ ლოდზე მარტოდ დარჩენილი. სად უნდა ყოფილიყო? ანდა ახლა სად არის გულკეთილი, წყნარი, მოგრძო სახის, ყვრიმალეებზე ღინღლდაჩენილი ბიჭი, ჩემი ამხანაგი გეგელიძე?

ორი პარობატი

მრთ დღეს ჩემი ახალი სკოლელი ბერძენაძე წავიყვანე კოკის ჩქერებში საბანაოდ. ბერძენაძეს ცურვა არ სკოდა. იმოდენა წყლის დანახვაზე თვალები ვაუფართოვდა და თავთხელში შესვლაც ვერ გაბედა. ნაპირზე დარ-

ჩა, აქ ვიქნები, დიგელოდებიო. ტანზე მაინც ვაიხადე, მზეზე გაშავდები-მეთქი, ვეხვეწე, არ ქნა, არ ვაიხადა. ჯვალოს ახალი ტომრის შარვალი ეცვა, ცალ ტოტზე ნაკერის გასწვრივ მსხვილი ასოებით ეწერა „ზაგოტხერნო“. ტა-

საცემელს მინც მიმიხედვ, მალე გამოვალ-მეთქი, დაეუბარე ბერძენაძეს და წყალში შევედი.

ორი აკრობატი ჩამოვიდა რიონზე ამ დროს. ახალი შემოსული უზარმაზარი საზამთრო მოიტანეს, ტანთ გაიხადეს და ნაპირზე დასხდნენ. ორთავეს ვიცნობდი შორიდან. ეს თეთმანსწაველი აკრობატები, ნახევრად არტისტები, ნახევრად სპორტმენები მთელი ომის განმავლობაში კონცერტებზე გამოდიოდნენ. სხვადასხვა საზეიმო საღამოებში იღებდნენ მონაწილეობას. რამდენიმე ნომერს ასრულებდნენ საქმაოდ ეფექტურად; ხშირად მარტონი მუშაობდნენ. ზოგჯერ ვიღაცებს ეწყვილებოდნენ. მგონი, საღდაც სწავლობდნენ, საღდაც მუშაობდნენ.

კარგა ხანი ისხდნენ აკრობატები მდინარის პირას. მოთენთილი მზერით ათვალეერებდნენ სანაპიროს და მობანავე ბავშვებს; საზამთროს გაჭრაც ეზარებოდათ, ბანაობაც, ტანმორჩილ, ბობრ, მოკლეჭოჩიან ბიჭს ზომიერად დაკუნთული მკლავები, წერილი წელი და განიერი ბეჭები ჰქონდა. ვრძელი კისრისა და სწორი ცხვირის პატრონს მოკლე ქოჩორი უხდებოდა აშკარად. მეორე გაბანჭვალული, საშინლად დაკუნთული, დასვირინებული გოლიათიც მოხდენილი და ეშხიანი მამაკაცი უნდა ყოფილიყო. უხეშ, მოქუფრულ სახეს ოჭროს ორი კბილი უნათებდა დიმილის დროს.

როდის-როდის შემოვიდნენ მდინარეში აკრობატები. ტანმორჩილმა კატასავით ფრთხილად შეაბიჯა კოჭებამდე წყალში, რიყის ქვებზე აკვანძალდა, ხელები დაისველა, მკერდზე და მხრებზე მისივ-მისივა, ქვაზე შედგა და ცოტა ხნის ფიჭრის შემდეგ უცნაური სალტოთი შეყირავდა ჩქერში, ათიოდე მეტრის იქით ამოყვინთა, ერთ ალაგას დატრიალდა რამდენჯერმე, ნაპირს შეაპირდაპირა და კბოღესთან მიიჭრა რამდენიმე წამში. მეორე კი დგაფუნით შევარდა მორევში, ვეშაპისებური ქშენითა და ფაქტუნით გადა-

სერა ჩქერი, აქაჟა და ამღვრია ისედაც ამღვრელი, სილითა და შლამით შედღელებული მდინარე; მეორე ნაპირს მიასკდა, უკანვე გამობრუნდა, ავარდა ნაპირზე და იმწამსვე მზეზე აელვარდა წყლით გადალუმპული, ბანჯგელიანი, დაკუნთული ტანი. წინანდელ ადგილზე დასხდნენ ორთავენი. წყალში ჩაიციებულნი საზამთრო დაითრიეს, გაჭრეს და ხრამხარუშით შეუღდნენ ჭამას. ამ ათლებების საქციელითა და აღნაგობით მოხიბლულმა და გაბრუებულმა თავის გამოჩენა, რაღაცით ყურადღების მიპყრობა დავაპირე. ვიწრო კალაპოტს მივაშურე, სახიფათო მოსახვევიდან დაეუყვიე კოკის ჩქერებს, მოხერხებულად აუშარე გვერდი კლდის ქიმებს, გავძევი, და გამოძევი, შუა ჩქერში შევეცურე და გადავხედე ბერძენაძეს, ზედაც რომ არ მიყურებდა. რას მიჩერებოდა, ვერ გავარკვიე, მაგრამ აკრობატები რომ ჩემკენ იხედებოდნენ, აშკარად გავარჩიე. მეც ხომ ჩემი გავაკეთე, გავაოცე თუ არა გამოჩენილი ადამიანები! თუ ვერავინ გადავრე, თავი მინც ხომ არ შევირცხვინე. სპორტში ალბათ ცურვა და აკრობატობა ჯობია ყველაფერს. მეც აკრობატი გამოვალ. ვისთან უნდა ვივარჯიშო, რომ არ ვიცი. სად უნდა მივიდე ნეტავი, სააკრობატო სად არის? გავიგებ, რა უნდა მაგის გაგებას... ვფიქრობდი მე გახურებულ ლოდზე წამოწოლილი, ჩემი საქციელთ კმაყოფილი და აღტაცებული. მზეზე გავხურდი, დაღლილმა და გალურჯებულმა შევება და ნეტარება ვიგრძენი, მაგრამ ბერძენაძის ხათრით წამოვდექი მალევე, გადავცურე მორევი, გავედი ნაპირზე და ველარც ჩემით მოხიბლული აკრობატები დავინახე, ველარც გერმანიიდან გამოგზავნილი, მოკლესახელოდანი, მოსირმული ჰერანგი მოვიძიე. რას ეძებო, სხვათა შორის მკითხა ბერძენაძემ, „ზაგოტურნო“ რომ ეწერა

რეზო ბიწვილი
მუსიკა მარში



შარვალზე. ჩემი პერანგი სად წავიღამეთქი?

- წაიღეს.
- ვინ წაიღო?

— აქ რომ ბიჭები ისხდნენ, საზამთროს რომ ჰამდნენ, იმათ წაიღეს...

შენ რას აკეთებდი-მეთქი, გადავირიე.

— შენი საროჩკის გულისათვის ვერ მოვაკვლევინებდი თავს... თუ გინდა, გაყუვი, ასე წავიდნენ პირდაპირ და ისე აუხვიეს, ელექტრონის ბოძს ხედვ, აი იქ! — ზეზა მასწავლა „ზაგოტ-ზერნომ“ და შორს ვერ წავიდოდნენო, დამამიგედა კიდევ.

როცა კოკის ჩქერობები ვიზრიალებდი, ჩემი ოსტატობის უპირატესობას რომ ვამტკიცებდი, სწორედ მაშინ მოეპარათ აკრობატებს პერანგი და ჩემი ვარაუდით (ვინ იყო დამდეგებელი,

მაგრამ მაინც) უკვე სამშვედროს და ყოფილიყვნენ გასულნი. ჩემი პერანგი „ზაგოტზერნოს“ თვალწინ, ოქროსკილიან გოლიათს ამოდოო იღლიაში. ტანმორჩილ პარტნიორს ეთქვა: გაუშვი, გადააშენე, ან გინდაო, მაგრამ დიდს თავისი არ დავშალა და როგორც ჩანდა, აღარც პატარას მოუკლავს თავი ხვეწნა-მუდარით.

ის ტანმორჩილი აკრობატი შემდგომში არსად შემხვედრია. ტანდილი კი ბაზარში, საწვერილმანო დუქნის დახლში იდგა და ქალის ნიფხვებს ყიდდა.

ცოტა ზედმეტი მომივიდა. მთლად ასეც არ იყო. ათასგვარ საგოლანტერიო საქონელს ასაღებდა, მათ შორის ბავშვის მოკლესახელოებიან პერანგებსაც და ქალის ნიფხვებთაც ვაჭრობდა, რაღა თქმა უნდა.

გზა

წალმირის ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის საგზური მოიტანეს. წალღერის გაგონება არ მინდოდა, სოფელში წასვლა მერჩია, მაგრამ ანეტა ბიცოლამ თქვა, მეც იქ ვიქნები, მივხედავ, სასმელ-საჭმელს არ მოვაკლებ, ერთად ვიმგზავრებთ საბავშვო ბაღის ინვენტარისათვის დაჭირავებული საბარგო ვაგონითო. საბარგო ვაგონით მოგზაურობამ, რომელიც სამ-ოთხ დღეს უნდა გაგრძელებულიყო, გადაწყვიტა ჩემი წალღერში წასვლა. თანაცო, თქვა ანეტა ბიცოლამ, ჩვენ თანამშრომელს ამისი ტოლი ბავშვი მოჰყავს, თავს შეიქცევენ, გაერთობიან, არ მოიწყენენ მაინცო. გამეხარდა, თანამგზავრიც გამოჩნდა და უცნაური, ოთხდღიანი, მოგზაურობაც ვავინაღდე. ვაგონშივე ვითამაშებდით ალბათ, ვავერთობოდით და რაიმე საფათერაყო თავგადასავალსაც შეიძლებოდა გადავწყლომოდით წალღერში ჩასვლამდე.

დღი, საბარგო ვაგონი ბაღის ბავშვების ქვეშაევებით, დაშლილი საწოლებით, ყუთებით, პატარა მაგიდებითა

და სკამებით იყო გატენილი. სადაც გინდოდა დაწვებოდი, სადაც გინდოდა დაჯდებოდი. თუ იკარებდი, ათანაირი კუბებითა და გეომეტრიული ფიგურებით, გროვა-გროვა რომ ეყარა ყუთებში, ვოჯილაო სახლებს ააშენებდი და დაანგრევდი.

საბავშვო ბაღის მეორე თანამშრომელი ქალიც მალე გამოცხადდა და ჩემი თანატოლი გოგონა მოიყვანა თან. გულს შემომეყარა. არაფერი ბიცოლაჩემს არ დაეჯერებოდა. ეს არის, ზეზაში ამხანაგი და ხმის გამცემი გეყოლებათ? რა ჩემი ამხანაგი და თანამოგზაური უნდა გამხდარიყო ეს გამეტინარებული გოგო, უტეხად რომ მომჩერებოდა და თვალს არ მაცილებდა!

ისე, რას ვერჩოდი, კაცმა რომ თქვას, ანეტას. შენი ტოლი ბავშვი მოდისო, მითხრა, მაგრამ არც ბიჭი უხსენებია და არც გოგო. მე მგონი, არც ახსოვდა, ვაჟი ჰყავდა თუ ქალი მის თანამშრომელს. რატომ მგვონა, რომ მაინცადამაინც ბიჭი შემომემგზავრებოდა, არ ვიცი, მაგრამ თუ გოგო-

ნასთან ერთად მომიხდებოდა ვაგონში ცხოვრება, ეკვიადაც არ გამივლია გუნებაში. ხათაბალა თუ გინდა, ეს იყო. ლია ერქვა. გულგრილად მათვალეობდა დროდადრო, თუმცა ჩემნაირი გაღიზიანებული მზერა არ შემინიშნავს და ზედმეტ ცნობისმოყვარეობას თუ სიგლახედ არ ჩავუთვლით, სხვა უსაქციელობა, რაც ვაგონში ყოფნაზე საბოლოოდ ამოღებინებდა ხელს, არ შემინიშნავს. პირიქით, მალე ქალებს მიუსკუბდა, უფროსების საუბარში გაერია დიდივით და, საბედნიეროდ, ჩემკენ კარგა ხანს არ გამოუხედავს.

ღია სარკმელთან ვიდექი, დაცარიელებულ, მკრთალად განათებულ ბაქანს ვათვალეობდი. ბიცოლაჩემის ქაქანი მესმოდა უკნიდან. რას ლაპარაკობდა, რას დავობდა ეს დევივით ქალი? მატარებლის აძვრამდე რომ ამ ყოფაში იყო, შემდეგ რას იზამდა. ანეტას ომის დროს არ გავხსენებდით, ომის შემდეგ მოგვაკითხა მხოლოდ. ხომ არაფერი გიჭირთო, დანიტერესდა მაშინ, როცა წესით აღარაფერი უნდა გავგვირეებოდა. რაც თავი მახსოვდა, სამწეო ნაწილის გამგედ მუშაობდა საზავშვო ბაღში. რამდენჯერ წავსწრებოვარ, როგორ მიდიხანად ნთქავდა ბავშვების ულუფას. როგორ ერგებოდა და ასუქებდა საჭმელს დანატრებული ბავშვების არჩივი, ნეტავი ვიცოდე. არადა, რა სხემელი ეყოფოდა იმოდენა ქალს. უშვილძირის სხრჩენი არავინ ჰყავდა, თორემ მთელ ბაღს გადატკვირავდა.

მატარებლის აძვრამდე მინდოდა მიმეხუტა თვალი, მაგრამ ვერ გავძელი. ძილბურანში ვგრძნობდი, როგორ ჯახუნებდა ბუფერები და ტრიალებდა მავთულიანი შპალები. ძილში მატარებლის განუწყვეტელ რახრახს ვგრძნობდი და ახალგათენებულს სადღაც ხაშურის მისადგომებთან ვიდექით, მეგონა. სარკმელში გადავიხედე და თქაუნობა მეცნაურა ნამეტანი. უკაცრიელ ბაქანზე ქამარშეხსნილი

სამხედრო ცარიელ ჩაიდანს მოაპორწილებდა და ჩემის ნახევრად ამძვრალი ნალის რაწყუნით და მთქნარებით მიდიოდა მოკირწყულულ გზაზე. წინ ბეტონის ჩამოქმედილი ყორე და ბრკვილებშენგრეული მოაჯირი ჩანდა. რაღა დიდი მიხვედრა და მარჩიელობა უნდოდა, ჩვენი სადგურის საბარგო ბაქანზე ვიდექით და ეს იყო. სადგურის ერთი მხრიდან მეორეზე გადმოვბარგებულვართ.

ახალი ვადვიებული ქალები თმას ივარცხნიდნენ და ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს წინა დღით დაწყებულ საუბარს განავრძობდნენ. ლია თვალების ფშვენებით ადგა, სარკმელში გადაიხედა და სადა ვართო, იკითხა ხმაძალა.

— სადა ხარ და იერუსალიმში! — გავიფიქრე მე.

ბაქანი თანდათან ახმაურდა. ცარიელმა ჯავგემაც ჩაიარა შესალტული თვლების რახარუხით. იმ ადგილას სათამაშოდ გამოვიდიოდი ხოლმე და თავი შინ მეგონა. სადაც იყო ამხანაგებიც შემინიშნავდნენ. იმ ძველთაძველ, მე მგონა, ომში ნამყოფ ვაგონში გამომწყვდეულმა ნათლად ვიგრძენი ჩემი ყოფის არასერიოზულობა და მატარებელიც შექანდა მოულოდნელად: ვილაც კაცის ყვირილისა და სასტეგენის ხმაზე დაიძრა კიდეც. ცოტა ხნის შემდეგ შევდექით, კვლავ დავიძარით და ზესტაფონამდე აღარ შევჩერებულვართ.

მთელი დღე ვიდექით სიცხით გადაბუგულ ზესტაფონის სადგურში. ჰაერში ჰვარტლისა და დამწვარი ქვანახშირის ბოლის სუნი იდგა. ლია მანიკიურებს იკეთებდა მარცხენა ხელზე.

— რა არის, გოგო, ეს? — ეკითხებოდა ანეტა ბიცოლა.

— მოვიშორებ, ასე კი არ დავიტოვებ... — თითები გამალა ლიამ და ვარდისფერ ფრჩხილებს დააჩერდა.

ის ღამე ზესტაფონში გავითენეთ.

რეზო მიწვილი
მუსიკა ჰარში



მზე ანალი ამოსული იყო, როცა რომელიღაც შემადგენლობას გამოგებას, შევქანდით და დავიძარიო.

ლიამ ჩემს სარკმელში გადმოყო თავი უბოდიშოდ. მანიკიურის ლაქის სუნი მეცა ცხვირში იმწამსვე.

— დედა, ეს წყალი რატომ არის შავი? — დაიძახა მან.

— რა ვიცი, გაშავდა ალბათ. — უყურადღებოდ უპასუხა ლაპარაკში გართულმა დედამ.

მე ვუთხარი, რომ ეს წყალი მდინარე ყვირილა იყო; მოთმინებით ავუხსენი, რატომ და რისგან შევდებოდა იგი.

— თქვენი ფიზკულტურის მასწავლებელი ქალია თუ კაცი? — მკითხა ლიამ ჩემი ახსნა-განმარტების საბასუხოდ.

— კაცი.

— ჩვენი ქალია.

იმწამსვე მივხვდი, რომელ ქალთა სკოლაშიც სწავლობდა იგი.

— საიდან გაიგე? — გაუკვირდა ლიას.

ვასაკვირი არაფერი იყო. მხოლოდ ერთ სკოლაში მოღვაწეობდა ვაჟურად თმაშეკრეპილი ქალი, რომელიც პარადებისა და დემონსტრაციების დროს მყავდა შენიშნული. მამაკაცურად დაბიჯებდა, ვაჟკაცური ხმით მბრძანებლობდა და ძალაუფლებურად იპყრობდა ყველას ყურადღებას.

— უხაზო რვეულში წერა შეგიძლია?

უხაზოში წერაც შემეძლო ალბათ, თუმცა ვეღარც კი გავიხსენე, ვწერდი თუ არა ოდესმე იმდაგვარ რვეულში. სწორად თუ დაწერო, აინტერესებდა ლიას, ამ გვერდიდან იმ გვერდამდე გაუხრელად თუ გაიტან სტრიქონსო. ალბათ ვერა-მეთქი, ვუბასუხე. ჩემი მეზობელი მწერალი ეფრემიძე წერს უხაზო ფურცლებზეო და იმიტომ შეგკითხეო.

მწერალი ეფრემიძე უარესსაც აკეთებდა შეიძლება, მაგრამ მე ნაღდად ვერ დავეწერიდი, რადგან ხაზიან რვეულშიც ვერ ვიცავდი სისწორეს, შავით თეთრზე დაჩენილ ხაზსაც ვერ მიყვებოდი წესიერად, აღმა-დღმა მიმდიოდა სტრიქონები.

— ჩვენი რუსულის მასწავლებელს შეყვარებული ჰყავს... — მერე რა მოხდა?

— არაფერი, მხოლოდ ქმარიც ჰყავს...

— გოგო, გაჩუმიდი, რას ბოლავ! — გაუჯავრდა დედა. ანეტამ კი სთამოვნებით ჩაიხვიხვინა.

— ის მწერალი ეფრემიძე, — ვკითხე ლიას ბორჯომში. — უხაზო რვეულებში წერს თუ ცარიელ ფურცლებზე?

— ცარიელ ფურცლებზე. ძნელი გგონია ძალიან? არაფერი არაა... ცარიელ ფურცელს ქვემოდან ამოუდებ ცალხაზიან ქალაღს, მსხვილი შავი ხაზები რომა აქვს — ისეთს. ეს ხაზები საწერ ფურცლებში ილანდნა გარკვევით, უყურებ ამ ხაზებს და წერ ჩვეულებრივად, როგორც ცალხაზიან რვეულში..

მასე მეც დაწერ-მეთქი, გამეფინა. რა გაციენებსო, მითხრა ლიამ. მწერალი ეფრემიძე ხაზიან ქალაღს საერთოდ არ ხმარობს, პირდაპირ წერს. ხაზიანი ქალაღის ხმარების წესი ჩემმა კლასელმა ცილა ნიკურაძემ მასწავლა. ერთ კვირაში გავიარეთ ერთი დღის გზა.

აღრე ჩასვლის მაგივრად დამავინადა.

ლიამ დაიქინა, მეც ბანაკში გადამიყვანეთო, საბავშვო ბაღში არაფრით არ გავჩერდებიო. განერვიულდა და ატირდა. დედა ეფერებოდა, აწყნარებდა. ესო, ჩემზე ეუბნებოდა, ყოველდღე ივლის ჩვენთანო, იმ პირობით წამოიყვანა ანეტამო.

—... ეს რა შუაშია, მე დიდებში მინდა ყოფნა. თანაც არ ივლის ყოველდღე! — ამოისლუქუნა მან.

ყოველდღე ვივლი-მეთქი, ვუთხარი.

ლიამ ცრემლი მოიწმინდა და გაჩუმიდა.

სამბახური

ჩამოდბა პირველი სექტემბერი. ჩემი მეშვიდე სასკოლო სექტემბერი. დიდი აღფრთოვანებით არასოდეს ვეგებებოდი ამ თვის კალანდებს, მაგრამ, გინდოდა, არ გინდოდა, მორალურად და მატერიალურად მომზადება იყო საჭირო, მე კი მაინცდამაინც იმ დღით გამავზავნეს ნავთზე უანგაინი ბილონით. ტანში მაქრეოლებდა თანაც, თავი მიბრუნოდა, თითქოს პირიც მქონდა გამშრალი. ფეხები ნუ გწყდება, ყველაფერი ნუ გეზარებაო, მითხრეს. დავუყუყუე თავდაღმართს, მიუუახლოვდი ქალთა სკოლის შენობას და შეეჩერდი. სწორედ ამ სკოლაში ასწავლიდა ფიზკულტურას თამაშეკრეპილი ქალი, მამაკაცურად რომ დადიოდა დემონსტრაციების დროს. ფანჯრებში თეთრფორმიანი გოგონები იყვნენ ვადმომღვარნი. ალბათ შესვენება იყო. სადღაც ნაცნობ სახესაც მოვკარი თითქოს თვალი. შეიძლება მეშვიდე კლასს დალიდანვე დაეწყო სწავლა: შეიძლება. შეუძლებელი რა იყო. არა, ნავთის ამ ძველი ჭურჭლით და ქუსლებმოქცეული ფეხსაცმელებით ამ შენობის წინ ვერ გავიარ, მთლად უნაფთოდ რომ დავრჩით მთელი წელიწადი. როგორ შეიძლება ამ ფეხსაცმელებით სკოლაში მისვლა, ქალთა სკოლის წინ გავლა და საერთოდ ქუჩაში სიარული. თავის ავდებაა და მეტი არაფერი. შენ თავს თუ არა, სხვას მაინც უნდა სცე პატივი. თანაც კარგად არ უნდა ვიყო, თავი მიბრუნის, გულსაც მეზიდება.

— არ იყო ნათი. — ვამბობ და ხმაურით ვდგამ ბილონს კუთხეში.

— არ იყო?

— არა და ამ ფეხსაცმელები; დღეს სკოლაში არ წავალ... თანაც ავდა ვარ...

— ხედავ, რა მოიგონა!.. — ბრაზობს დედა. — ავად ვარო, რა თქვა. შეიძლება პირველ სექტემბერს, პირველ დღეს ბავშვი სკოლაში არ წავი-

დეს... სად იყავი აქამდე. ახლა საიდან მოგიტანო ფეხსაცმელები. რატომ არ შეიძლება ამ ფეხსაცმელებით სკოლაში სიარული? ასე არ დადიოდი სულ? დღეს რა დაგემართა, აღრე მაინც გეთქვა. ავად ვარო, რას ლაპარაკობს!..

არადა, მართლაც ავად ვარ. თან ვიგონებ და თანაც ავად ვარ. რა ხდება, ვერ გავიგე.

— რატომ არ წავიდა ეს ბავშვი სკოლაში? — კითხულობს სამსახურიდან დაბრუნებული მამა. მისი ხმა მეორე ოთახიდან მესმის. დედა რაღაცას ეჩურჩულება, მამა ხმამაღლა ბრაზობს მაინც. დედაც უწევს ხმას:

— გაიზარდა, ის აღარ არის, რაც შარშან იყო... უკვე დიდი, მეშვიდე კლასშია... თავმოყვარეობა აწუხებს...

თანაც ავად ვარ, ვუმატებ გუნებაში და თვალეზზე ცრემლები მადგება. მამაც აღარ იღებს ხმას. ეტყობა, საქმელს ჭამს.

— ეს ბავშვი მართლა ავად არის. — ამბობს დედა დაძინების წინ.

ახლაც არ დაიჭერებო, რომ არ ვარ კარგად? მიხარია მე.

მთელი ღამე ვბორავ. გაოფლილი ვიღვიძებ. დედა ოფლს მიმშრალებს, სასთუმალს მისწორებს, რა დაგემართაო, მეკითხებიან.

— ფილტვების ანთება მაქვს.

იციინან შეშფოთებულები. რა იცო შენ, რა გაქვსო.

სიცხის საზოგადოებრივი ანგენებს.

ნაშუადღევს მოვიდა ბავშვთა ცნობილი ექიმი შიოლა საყვარელიძე. მაღალი, სქელი, სერიოზული, უხეში გამომეტყველების კაცი.

— რა დაგემართა? — ცივად მეკითხება იგი. სკამზე ჯდება და რატომღაც ოთახს ათვალერებს.

— ფილტვების ანთება მაქვსო, და იყინა... — ნაძალადევად იცინის მამა-

რამო მინივილი

მშენიან პარტი

ჩემი, ელოდება, როდის ეტყვის შიო-
ლა საყვარელიძე, სისულელეა, არაფე-
რი მაგდაგვარიო.

— აბა ვნახოთ, რა გაქვს... — ილი-
მება შიოლა, უცბად ეხსენება მოქუფ-
რული სახე. ფენენდოსკოპს იმარჯვებს
და ისევ ოთახის კედლებს მისჩერებია.
რას აკვირდება, გაუგებარია. დიდხანს,
გულდასმით მსინჯავს და მათვლიე-
რებს; ზურგზე უზარმაზარ თითებს
მიკაკუნებს; ისევ ექუფრება და ექ-
მუხნება სახე. დუმს. ფიქრობს, ხელ-
ახლა მსინჯავს. ფენენდოსკოპს კე-
ცავს, ახვევს, ინახავს.

— ფილტვების ორმხრივი, მწვავე
ანთება! — ამბობს იგი.

— მერე რა მოხდა, არაფერი არ არ-
ის მაგი... — ისე ამბობს ფერდაკარ-
გული მამა, თითქოს ორმხრივი რომ
არის და თანაც მწვავე, გაცილებით
უკეთესია.

ერთ საათში მოაქვთ სულფიდინის
ფხვნილები და შინდისფერი, ბზია-
ლა, უცხოური ფეხსაცმელები. გემოს
ვერ ვიტყვი, მაგრამ სულფიდინზე გა-
ცილებით უკეთესი სუნი ასდის ახალ-
თახალ ფეხსაცმელებს. წამლებით სა-
ესე სკამთან ვაწყობ. ვვობრავ. აღარც
ფეხსაცმელების ყურება მიხარია, აღ-
არც ჩემი ავადმყოფობა მომწონს.
როგორც ჩანს, მართლა ავადა ვარ.

—... მთავარია ეს ორი-სამი დღე,
კრიზისი უნდა გადაიტანოს როგორ-
მე... — მესმის ვილაცის ჩურჩული ჩაბ-
ნელებულ ოთახში. თენდება, ღამდე-
ბა, შუალამეა? რა დროა, რა დღეა,
ნეტავი? რატომ არ წვება ეს ხალხი?..
რა უნდათ, რას წუხან, რას მაშინე-
ბენ? მეორე ოთახში ჩემი და-ძმა
ჩხუბობს. არ ძინავთ, არ დაწოლიან.
ახალი დაღამებული ყოფილა. შეიძ-
ლება გათენდა კიდეც და სინათლეს
ვერ ვხედავ. ღამურები დაფრინავენ.
შეუძლებელია, ღამურები ოთახში არ
ფრენენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ
სახლში ღამურა არასოდეს დამინახავს.
თანაც ფანჯრებიც დახურულია. ოთახ-
შიც აღარავინაა. ვილაცას გაუხნდე-

ლად ძინავს ტანტზე. ეკლესიის სა-
რეკლოს ზარები რეკავს. შეიძლება
მალეობარა საათია და ნემსის გაკეთე-
ბის დრო დადგა. შუალამეა ეტყობა.
ამ ზაფხულს ზარები აღარც კი ევიდა
მოწამეთის ეკლესიის სამრევლოში.
შეიძლება ევიდა, შეიძლება — არა. ბავ-
შვები ჩურჩულებენ. ამხანაგებია.
ძველი სკოლელები. ეშინიათ, არ გა-
მეღვიძოს. რა იციან, რომ არ ძინავს
და ყველაფერი მესმის. ლურჯი ფრი-
ნველი აკეთებს ირას გორაზე,
ფრთებმეურხველად მილივილებს
პაერში, ეშვება თავდაღმა, ოღნავ შე-
ატოკებს ფრთებს და ისევ მზეში აიჭ-
რება, ერთ ალაგას შეშდება, ბრუნ-
დება და მოდის პირდაპირ ჩემკენ.
ხასხასა ბალახიან გორაზე კი მისი
ჩრდილი დაფარატებს.

ჩემი ამხანაგი და მე ვზივართ ცა-
რიელ ოთახში. გეგელიძეს ღინლი
ატყვია ყვრიმალეზზე. ჩემზე ბევრად
უფრო უფროსი და სერიოზული ჩანს.
ჩვენ ხომ ერთ კლასში ვსწავლობდით.
რატომ არის ჩემზე ბევრად უფროსი,
ბევრად ჰკვიანი და დინჯი. მოკვდა და
ალბათ იმიტომ. ბავშვები ხომ სიკვდი-
ლის შემდეგ სწრაფად იზრდებიან და
ჰკვიანდებიან. საკუთარმა ძმამ მოკლა
იგი. საქმელს უჭამდა, აწვალებდა, გაკ-
ვეთილების დამზადებას არ აცლიდა.
სცემდა კიდეც. როგორ ერეოდა უფ-
როს ძმას? ღონიერი სუსტს და ავად-
მყოფს მოერეოდა, აბა რას იზამდა.
თანაც საქმელს უჭამდა. გეგელიძეს
კვება აკლდა, თორემ ბარე ორი ვერ
გალახავდა ჩვენ სკოლაში. იმიტომ კი
არ მიჭამდა ჩემი ძმა საქმელს, რომ
არ ვუყვარდიო, მითხრა გეგელიძემ,
ძალიან ვუყვარდიო, მაგრამ ჩვენ ორ-
ში ერთ-ერთს უნდა გვეცოცხლო, მე-
ტის საშუალება არ იყო იმ დროსო.

შუადღეა. მზით და სინათლით არის
გავსებული ოთახი.

— არაფერია, იძინოს. ყველაფერმა
გაიარა. ერთი ორი კვირა იწვეს მა-
ინც... — ამბობს შიოლა საყვარელიძე.



— არანოდენ ავად არ ყოფილა, — უმტრციებს მამა.

ლია ფანჯარასთან სხედან.

მე არ მიძინავს. თვალებიცი დახუჭული მაქვს. ჩემკენ არც იხედებიან, თორემ მიხვდებიან, რომ არ მიძინავს. რამდენი დღე გამიცდა ნეტავი სკოლაში. სისულელეა საწოლში ყოფნა. ერთი მხრივ, კარგიცაა, ფეხსაცმელები შემუნახება. ახლა, ავად რომ არ გავმხდარიყავი, სულ ვადაღლეტილი მექნებოდა კაუჩუკის ბურთისაგან წვეგრები, ქუსლიცი მოექციეოდა და იარე მერე ქუსლმოქციული და ვადატყავული. ფეხზეცი ვერ გაიხდი ბურთის თამაშის დროს. სხვის იმედზე ვერ დატოვებ ჩანთებთან ერთად. ვილაცი ავაციანცილის თვალდახელშეუა. რატომ უნდა მომპარონ ახალი ფეხსაცმელები, რომლებიცი ჭერ ფეხზე არ მცმია. ორი კვირა კიდეც უნდა იწვესო, ორი კვირაცი შემენახება, ძალიან კარგი.

—... ესე ოგი, სახლის ის ნაწილი ავტოქარხანამ მოამთავრა? — მერამდენედ კითხულობს შიოლა საყვარელიცი.

— კი ბატონო, ორი წელი იქნებიან კიდეც, მე მგონი, ადრე წავლენ...

— გაყიდვას ხომ არ აპირებ?

— რისახ?

— სახლის. როცა დაცლიან, იმ ნაწილისახ.

— აჰ, არა. — ცივად უთრობს მამა.

— არა, ისე ვამბობ, რომ რამე იყოს. ღუმეცა რატომ გაყიდი, საცოლე ბიცი გყავს ავერ... — ჩემკენ იხედება და ილიმება შიოლა. — ჩაიდვეი აბა სიციხის საზომი.

...თანაცი მალე დაზამთრდება. სიცივეში ბურთის ვინლა თამაშობს. სულ არ ვითამაშებ ბოლოს და ბოლოს. ძველ ფეხსაცმელებს ჩავიცივამ. არა, იმ ფეხსაცმელებით ვარეთ აღარ გავალ, ქალთა სკოლის წინ ცარიელი ბიდონით არ ჩავიცილი...

შიოლა სიციხას საზომს ფერთხავს უყურადღებოდ. ერთი ორი კვირა იწვესო და მიდის. ერთი კვირა უნდა ვიწვე თუ ორი, ველარ გავიგე. ისე ორი ჯობია, ფეხსაცმელები აღარ დამეხება. ორი კვირის შემდეგ კი ახალი ფეხსაცმელებით ჩავიარ ქალთა სკოლის წინ. შენ ისა თქვი, ფეხზე თუ არ ჩამეტი. ძალიან კი დამიწვრილდა ფეხები. საწყალი გეგელიცი. ახლა საჭმელიცი იზოგება; სულფიდინიცი და ფეხსაცმელებიცი, რომელსაცი ახალუხლად შეინახავ თუ ბურთის არ ითამაშებ და ფეხზეცი არ ჩაიცივე. ერთი ორი წელი რომ ეციოცხლა გეგელიცი, იქნებ რამე შევლებოდა. მერე რა სათამაშო ამინდია, რამდენი მზეა და სითბო. სად არის ნეტავი ახლა ჩემი სკოლის ამხანაგი გეგელიცი?

მეხანვე ბოლოკიცი

ბოლოკიციმ ორჯერ იყო დარჩენილი. ერთხელ მეექვსეში, მეორეხელ მეშვიდეში. სწავლით არც სხვა იკლავდა თავს, მაგრამ ის ობოლი ბიცი აშკარად მოვალეობის მოხდის მიზნით დადიოდა სკოლაში. ამხანავს ყურს არ უგდებდა, მასწავლებლებს არ უსმენდა და სახლში წიგნს არ კითხულობდა, თუმეცა სად ჰქონდა ამის დრო და საშუალება. დღენიდავ ხან ერთ საყვავილეში, უფრო სწორედ, „სავენოკეში“ იჯდა, ხან — მეორეში. ამნაირი

სავენოკე-საყვავილეები კი საკმარისზე მეტი იყო მაშინ ჩვენ ქალაქში. ყვავილეებს ტოლივით ელლაბუციებოდა, ოინახობდა, უქმად კლავდა დროს, მაგრამ ფულსაცი აკეთებდა შეძლებისდამავვარად. ხან ყვავილებს ეზიდებოდა. ხან — სავეირგვინე ნედლ ჯოხებს. ტყეში გჭრი და ვამზადებო, ამბობდა. მაგრამ სინამდვილეში პირდაპირ სასაფლაოდან

რამო ვიიხვილი
მუსიკა მარვი



ორაქედღა. ყვაილებს საღ შოულობ-
და, არ ვიცი, რადგან პროცესის მო-
ნაწილენი, ჩვეულებისამებრ, ყვაილებს
გზაშივე ყრიდნენ და აფუტებდნენ, საფ-
ლავამდე გვირგვინების ჩონჩხები და
წარწერები მიჰქონდათ მხოლოდ. ბე-
დუიქი ამ წარწერებს, მაშინდელი ტერ-
მინით, „დაუეწყარებს“. აცლიდა
გაპუტულ გვირგვინებს, ლამაზად და-
ალაგებდა ახლად მოსწორებულ საფ-
ლავზე, ჯოხებს გამართავდა, გუდუ-
რად შეკრავდა და უკანე, საყვაილე-
ებისაკენ მიაქანებდა. დღესასწაულე-
ბზე, როცა ქალაქი საზეიმოდ ირთვე-
ბოდა, გარეუბნებიდან ბზის ტოტებს
მოათრევდა. კეთდებოდაო, ვერ იტ-
ყოდი, მაგრამ თავის სამყოფ ფულს
რომ დაუმადლებლად შოულობდა,
ყველა ხელავდა. არსებობისათვის
ბროლის, ცხოვრებასთან შეგუების
საოცარ უნარს ამჟღავნებდა, თუმცა
მისი ნიჭი და შესაძლებლობა, სამწუ-
ხაროდ, ამ მასშტაბებს შემდგომშიაც
აღარ ვასცილებია.

ერთ დღეს ბოდოკიემ მითხრა:
ხვალ დილით ადრე თუ ადგები, გოდო-
განში წავიყვან, ხავსის შეგროვებაში
მომეხმარე და საინტერესო ადგილებს
გაჩვენებ: კლდში ერთი გამოქვაბუ-
ლია, სადაც პირველყოფილი ადამიან-
ის სადგომი აღმოაჩინეს, ქვის სავარ-
ცხლები და დანები ნახესო.

ტყავზე დაწერილი წიგნები ხომ არ
უპოვიათ-მეთქი. ტყავი არ ვიციო, მაგ-
რამ რაღაც ქალაღდებს და გაზეთებს
შიაგნესო. წიგნებიც უნახავთ, მხო-
ლოდ ძველ ენაზე ყოფილა დაწერი-
ლიო. წაგყვები-მეთქი, დავბირდი. გუ-
ლი კი მეთანაღრებოდა, ისედაც სწავ-
ლას ჩამორჩენილს ერთი დღეც უნე-
ზართოდ უნდა ვამეცდინა, მაგრამ გო-
დოგნის გამოქვაბულში შეიძლებოდა
საინტერესო რამეს გადავწყდომოდი
და ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება
არ ღირდა. შეიძლება ეფუთიც კი მე-
პოვნა. ყველაფერი ხდებოდა ამ ქვეყ-
ანაზე და ეს სასწაულიც ხომ შეიძლე-
ბოდა აღსრულებულიყო. ეფუთზე

ფიქრში ჩაძინებულმა წრიანმა
ბორგვით გავათენე ის ღამე, ალიონზე
გავახილე თვალი და წასასვლელად გა-
ვემზადე.

ასე ადრე საღ მიდიხარო, გაუკვირ-
ლათ შინ, ჩემმა სულსწრაფობამ გამცა
კინალამ. წინასაშვიდნომებრო ვარჯი-
ში გვაქვს, პარადისათვის ვემზადებით
და ადრე დაგვიბარეს ამიტომ-მეთქი.
დამიჯერეს. ამაქარეს კიდეც და ერთი
საათი ველოდე ბოდოკიეს სადგურში.

— შენ თუ ხავსსაც აგროვებდი, არ
ვიციოდი, — ეუთხარი ბოდოკიეს მოწა-
მეთის ბაქანთან. ცოტა ციოდა. დილის
სუსხი იდგა, მაგრამ ახლად ამოწვე-
რილ მზეს უკვე გაეთბო ნაცრისფერი
ქვები. ძირდაცვენილ, დანამულ, ყვი-
თელ ნეშოს გამჭვირვალე ორთქლი ას-
დიოდა აქა-იქ. შაშვები ფრთხილგზ-
დნენ ყორზე ამოსულ ბროწულებში.
წყალწითელას გადმა-გამოღმა ალაგ
ყვითლად, ალაგ ყავისფრად მოარშიე-
ბული ტყე ჩანდა.

ხავსის სეზონია ახლათ, მითხრა ბო-
დოკიემ. დღესასწაული მოდის; ვიტ-
რინებს, კალათებს, თაიგულებს; საპა-
რადო მანქანებს სულ ხავსით აწყობენ
და ალამაზებენო; ყვაილებს; ფოთ-
ლებს და ბზის ტოტებს სხვაც იშოვ-
ნის, ხავსი კი ჩემიაო, ხავსით მხო-
ლოდ მე ვამარაგებ მთელ ქალაქსო.
დღე-მამა რომ ცოცხალი მყოლოდა,
შეიძლებოდა მეხავსეობისათვის არც
კი მომეკიდა ხელი, თუმცა, ვინ იცის,
რა გელის კაცს ცხოვრებაშიო. საგრო-
თოდ კი, მიყვარს ტყე-ტყე სიარული,
ეს ახალი ფეხსაცმელები არ უნდა ჩა-
გეცვა, თანაც გიჭერს, ვატყობო. არ მი-
ქერს-მეთქი (არადა მიჭერდა), მხო-
ლოდ ნამზე ცურავს, კლდეზე ალბათ
ვერ ავალთქვა, ეუთხარო. კალთებს
გათხოვებ, ნუ გეშინიაო, დამაიმედა და
დაწინაურდა; ვალავანთან შეჩერდა,
ნაცრისფერ კლდეს და ქვებს გადაავ-
ლო თვალი და ეს ადგილები სულ მო-
ძოვილი მაქვსო, მითხრა.

გავედით წყალგაღმა. აფუყვეით
წყალწითელას, ვიარეთ, ვიარეთ და

მივადექით წყალში ჩახერგილ, უზარმაზარ, ხავსმოღებულ ლოდებს, დამშრალი და დაღუღული მდინარე მოღვანდალობდა ტყეებითა და კლდეებით დაჩრდილულ ლოდებს შორის.

ბოდოკიძემ მღვიმის პირი და რამდენიმე ნაპრალი დამანახა ბუნებრივი კარნიზის ზევით და ქვევით. ადი შენო, მითხრა. მე ნამყოფი ვარ, ვერაფერს მივაგენი, მაგრამ თუ რამე ნახო, არ დამიმალო, მანამდე ხავსის შეგროვებას დავიწყებო. მისაგნებს მიუგნებლად არ დატოვებდა ბოდოკიძე და მისმა ნათქვამმა შემაბეჭვა მაინც. მღვიმეებსა და ნაპრალებში ნაძრომი-აღს არ ჰგავდა, უმიზნოდ ხეტიალის კაცი არ იყო და არც მთამსვლელობა აინტერესებდა მაინცადამაინც.

ცოტა სრული მომივიდა ბოდოკიძის წითელსაჩრუიანი ახალი კალოშები, მაგრამ ხავსი ჩავაფინე და ფეხზე რბილად და მარჯვედ მოვირგე, სიმსუბუქედ და სიმხნევედ ვიგრძენი. გუნება ვამომიკეთდა, გავთბი კიდევ და უხალისოდ მომავალმა ხტუნაობაც კი წამოვიწყე.

კალოშების ხაოიანი ძირი მაგნიტივით ეკვროდა კლდეს, ასვლას მიიოლებდა და მაინც, რის ვაი-ვაგლახით (რამდენჯერმე უკან კინალამ ჩამოგბრუნდი) მივალწიე გამოქვაბულს.

ფრინველების ნაკრტენია და სკორეს დახუთული სუნი იდგა მღვიმეში. სტგრძით და სიგანით იგი ვერ დაიკვირნიდა, მაგრამ სიმადლით, კამარების სიმსუბუქით და მოყვანილობით მოგხობლავდათ უქმველად. ეს იყო და ეს. სხვა რამე საინტერესო არაფერი შემინიშნავს. კაეის ნარჩენები და ნაფხვენები მოვიძიე, მაგრამ ქვის სავარცხლებზე რომ არაფერი ვთქვათ, დანი-სპირისნაირიც კი არაფერი დამინახავს. ეფუთი, რასაკვირველია, არ იყო. ვგრძნობდი, რომ არ იქნებოდა და მაინც ვეჭებდი. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ვერასოდეს რომ ვერ ვიპოვიდი სიბრძნისა და კემბარიტების წიგნს. ვიკეი ნახევრად ბნელ, სიცარიელეში,

ვფიქრობდი. ვუყურებდი წიდასფერ ტინებს. მღვიმის ერთი მხარე ბოლით იყო გაშავებული. ვილაცხებ (არა მგონია, პირველყოფილ აღამინებზე) ცეცხლი უნდა ნთებოდათ შიგ. ქვემო-დან ბოდოკიძე სტვენდა, მეხმინანებოდა, აქ ვარ, არ შეგეშინდეს, თუ რამე ნახო, არ დამიმალო. სტვენა სიცარიელეში და სიყრუეში ამოდიოდა. წიდასფერი ტინის კედლების სუსტი ექო ეხმინანებოდა ბოდოკიძეს და სიცარიელეს ამძაფრებდა. მზე გადახრილიყო და რამდენიმე სხვის გარდიგარდმო გადაეკვეთა მღვიმის ბაქანი. შორს, ნახევარკუნძულად შემოჭრილ კლდეზე მოწამეთის ეკლესია ელაგდა აშუად-ღებული მზის შუქში. სტვენა მიწყდა, წყალწითელას დახშული ღულუნა ამოვიდა ზევით და მისუსტებული ფუტკარიც აზუზუნდა ჩემს წინ. მოულოდნელად უცნაური სიწყნარე ჩამოწვა. აღარც ბოდოკიძე სტვენდა, აღარც ფუტკარი ბზუთდა, მდინარის ხმაც მიილია და მიიკარგა საღდაც. ამ სიჩუმეში და უძრაობაში რაღაც ჩრდილმა გადაიფარფატა ხევში და ფუტკრების ზანტი ზუზუნეი მოსწვდა კვლავ ჩემ სმენას. ათბა. შემოდგომის სუნი და სითბოთი გაღიზიანებული ფუტკრები ნაპრალებს ტოვებდნენ, მღვიმის შესასვლელს უტრიალებდნენ და მაშინდა მიგხვდი, რომ მარტო ცნობისმოყვარეობის მიზნით არ მოიწვედნენ ჩემკენ.

ვიკადრე წამოდგომა, ხელების ქნევასა და ფართხალს თუ არ მოყვებოდი, იქნებ მშვიდობიანადაც კი გავცლოდი იქაურობას. შემოდგომის მთვლემარებაში წასულ ფუტკრებს წინანდელი ძალა და ენერგია აღარ ჰქონდათ შერჩენილი, თორემ ეგრე იოლადაც ვერ გადავრჩებოდი. ამდენი მაშინ, ცხადია, არ ვიცოდი. წარმოდგენა არ მქონდა მათ აქტიურობაზე, შემოდგომის სითბოს ძალაზე. როდის ინესტრებოდნენ და როდის უთმობდნენ

აზოი პიროვილი
მუსიკა მარში



სტუმრებს თავზიანად გზას, არც ეს გაემგებოდა და მიანიც არ შემშინებია. ფუტკრებში გახვეული, თვალდაბნელებული, გაბმული და გაუწყვეტელი ბდგულით გაბრუებული, თითქმის ბრმაღ ჩამოვედი ძირს. მიწას ვუახლოვდებოდი, ფუტკრები თანდათან მშროდებოდნენ. სამშვიდობოს ჩავდგი ფეხი და უკანასკნელმა ფუტკარამაც მიმატოვა.

ბოდოკიძეს კარგად მოებალახებინა და მოეპოტნა ამასობაში იაქურობა. ერთი ამოღლიაგება ხავსი მიეყარა მზის ყურში. წინდებისამარა დაბლოტილობდა კლდიდან კლდზე, ქვიდან ქვაზე და სხვას აღარაფერს უყურებდა. მზის ჩასვლამდე ვეხმარებოდი ბოდოკიძეს. პირველად და უკანასკნელად ჩემს ცხოვრებაში, ვაგროვებდი ხავსს.

ეს იყო აქ, გაშრეს და გაფუცდესო, მითხრა ბოდოკიძემ, როცა მუშაობას მოვრჩით, ხვალ ტომრები ამოვიტანოთ და წავიდეთო.

მეორე დღეს არც ხავსი გამხსენებია, არც ტომრები და არც ბოდოკიძე. წინასაღღესასწაულო დღე იყო და სკოლიდანაც ადრე გამოგვიშვეს. ნელა მივაბიჯებდი მზით განათებულ ქუჩე-

ბში. ქალაქს საღღესასწაულოდ ვდენენ; ლოზუნგებს, პლაკატებს, სურათებს აკრავდნენ კედლებზე, ბზის გირლიანდებს აყოლებდნენ სახლის ფასადებს.

ქუჩაში მომავალი ბოდოკიძე დავინახე. ორი, ერთმანეთზე თოკით გადაბმული, სახსვ ტომარი ჩამოედო ბეჭზე და თავწახრილი მოდიოდა. კალოშებით, დასვრილი შარავალ-ხალათით და დამონძილი ტომრებით ძალაუნებურად იქცევდა გამველ-გამომვლელის ყურადღებას. სატელოფონო სახლის წინ შეგროვილ ხალხში შეიბურდა. ხან ერთ მოქალაქეს გაედო, ხან მეორეს. ერთმა მამაკაცმა ჩაილაპარაკა, პატრონი არ ჰყავს ამ ბავშვს ნეტავი? ბოდოკიძეს უკან არ მოუხედია; თავწაღუნული, დოინჯშემოყრილი, დაღლილი და დამტკვრილი მიაბოტებდა ტროტუარზე. გვერდით ჩამიარა და ვერ დამინახა. უნივერსიტეტის ვიტრინასთან ვიდექი და ვუყურებდი ბოდოკიძეს. ჩემს მეტმა ალბათ კაცი-შვილმა არ იცოდა, რომ იმ ბავშვს მიჰქონდა ხავსი, ჩვეულებრივი ხავსი, დაეანგულ ქვებს და ლოდებს რომ ედებო.

აღმირალი

მხოვნი, სადაც ორი დიდი ცაცხვი და გაფუჭებული საბარგო მანქანა იდგა, ერთი გაურკვეველი ასაკის კაცი გადმოსახლდა. ნაადრევად უნდა ყოფილიყო პენსიაში გასული, რადგან ოფიციალურად არსად არ მსახურობდა. რით ირჩენდა თავს, რით ცხოვრობდა, არავინ იცოდა. აღმირალის ძველ, ნახმარ ქუდს იხურავდა და ისე გამოდიოდა მაღაზიის წინ დილაადრეიანად. ჩვეულებრივი შავი კოსტიუმი, სუფთა, თეთრი პერანგი ეცვა ყოველთვის და აღმირალის ქუდი ეხურა. უცნაურ ამბებს მოუთხრობდა რძის და მამყენის რიგში გაჩერებულ, შეწუხებულ ხალხს.

...ამა და ამ წელსო ქვეყანა ისევ დაიმშვეაო, ამა და ამ წელს დაიწყებს ომს ყავისფერი ხალხი უმიზეზოდო. კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდება თუ არა, დედამიწის დიდს და ხანგრძლივ აცივებას დაედება სათავეო და სხვა. ჩვენო, ამბობდა იგი, ატმოსფეროს ფსკერზე ვცხოვრობთო, ჩვენს ზემოთ ატმოსფეროს ოკეანეაო. როგორც ჩვენ არ ვიცით, რა ხდება ოკეანის ფსკერზეო, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია იქ ჩასვლა და იმათ, ვინც იქ არიან, ზემოთ ამოსვლა, ისევე ჩვენ ვერ ავალოთ ატმოსფეროს ოკეანის ზედაპირზე და იგნებ ჩვენთან ვერ ჩამოვლენ, დაიხრ-

ჩვენთან, სანამ კომუნეციაციებისა და მისკლა-მოსკლის სხვა, უფრო ეფექტური და რაციონალური საშუალებები არ აღმოჩნდება. ამ საქმეში კი ჯერჯერობით ივენი ვვისწრებენო. ვინ „იგენიო“, არ ამბობდა და, საერთოდ კი, ვამოუძინებელ ხალხზე რადიკალიზირ დაძალონებელ ზემოქმედებას ახდენდა. აღმირალის ქუდიც მატებდა ავტორიტეტს, თორემ ამღვრეული და შეშინებული თვალების პატრონი ამდენს ვერ მოახერხებდა.

ნახალწლევს აღმირალისქუდიანი კაცი გაქრა. წაიყვანეს თუ წავიდა არ მიკითხავს. მაშინ კი ძლიერ მიკვირდა, საიღან იცოდა იმ კაცმა ყველაფერი. ეფუთი ხომ არა აქვს სახლში გადაძალოული-მეთქი, ვფიქრობდი, ჩემი ეჭვის გამხელას ვაპირებდი და ვერ ვბედავდი. ერთმა მეზობელმა თქვა: მაგას, ბიძია, ფლოტიდან ყველა ტალღმჭერი საზღვაო რადიომიმღები აქვს ჩამოტანილი, მთელი დამე უცხოეთის გადაცემებს უსმენსო. ყველა ტალღმჭერი რადიომიმღები ჰქონდა თუ არა, არ ვიცი; რას უსმენდა და რას არა, არც ის, მაგრამ, როგორც გვიან ვამოიკვავ, ფლოტში არ უმსახურია და გემი თვალით არ ჰყოლია ნანახი.

მათემატიკის ფაკულტეტის ერთმა სტუდენტმა, ზამთარში პიჯაკისამარა რომ დადიოდა და ამტიციებდა, არ მცივაო, თქვა: მაგ კაცს ხმები კოსმოსიდან ესმისო, ასეთი რამ ადრეც მომხდარა და შემდეგშიაც მოხდებაო. სპექტრულ სინათლესთან ერთად აღიქვამს ვარსკვლავების ფეთქვას და ხმეჭსაცო, რასაც ლაპარაკობს ნახევარი მართალიაო. როგორ ისმენდა აღმირალის-ქუდიანი კაცი ვარსკვლავებიდან წამოსულ ხმებს, თანაც ნახევარ მართალს და ნახევარ ტყუილს, ჩემთვის, პირადად, გაუგებარი იყო.

ერთხელ აღმირალმა თქვა: სულ ახლახან საზღვარგარეთ ექსპერიმენტულად დამტიციეს, რომ აღამიანი დაპროგრამებული გენებით იბადება და მისი გზა და ცხოვრება (შემთხვევითო-

ბას არ გამორიცხავდა) ბიოლოგიურად და სულიერად წინასწარვე გარკვეული და გადაწყვეტილიაო; იგიო, ე. ი. აღამიანი რომ ხელახლა დაიბადოს, ისევ იმ გზას გაიარს, რაც გაიარა, ისევ ისე იცხოვრებს, როგორც იცხოვრობო. შეიძლება ჩვენ მრავალგზის ვართ დაბადებული, მაგრამ მეორედ მოსვლას სწორედ იმ იტომ ვერ გვებულობთ, რომ მუდამ ერთი და იგივე ცხოვრებით ვცხოვრობთო.



...დრო კი მიდიოდა, ყველაფერი ჩვეულებისამებრ, ბუნებრივად იცვლებოდა და სხვაფერდებოდა. სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის შემდეგ ჩამოლა ფიცრული ოთახი და აიგანი. ისევ მოზიდეს სილა და აგური. ხის კედლების ქვიტიკით შეცვლა გადაწყვიტეს. სათვალისმა კალატოზმა, რომელიც კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელს ჰგავდა, კედლის ამოყვანა დაიწყო.

რიგრიგობით და ერთმანეთის მიყოლებით მოდიოდნენ სხვადასხვა ინსტანციებიდან და უწყებებიდან, რატომ აშენებთ, რა უფლებით და ვისი ნებართვითო. ყველამ რომ თვითნებურად მიაშენოს სახლს სახლი, ქალაქი დაუშნოვდება, გვემართმერ სახეს დაკარგავსო. ჩვენი პატარა ოთახი, ეზოს მხრიდან რომ ვაშენებდით, ქუჩიდან არ ჩანდა, ქალაქს არც აუშნოვებდა, არც ალამაზებდა, თანაც ნებართვაც გვექონდა და გეგმაც. ოფიციალური წარმომადგენლები გულდაწყვეტილი მიდიოდნენ, უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ, ყველაფერი რომ რიგისა და წესის მიხედვით კეთდებოდა.

შენებას სახლისას კი დასასრული არ უჩანდა. ეზოდან ვიწყებდით, ქუჩიდან ინგრეოდა ერთ დროს დიდი და ახლა პატარა სახლი. ადრეც პატარა ყოფილა და გვიან კი ვეებერთელა კერძო

რეზონანსი
მუსიკა პარტი



შენობებმა დააჩივია. მორჩილი ეზო, მე რომ უკიდვანო მეგონა, ტანმალმა კაკალმა გადაჩრდილა. კაკალი დაბელეს და სიცოცხლის ხე, მიუხედავად ჩემი თხოვნა-მუდარისა, ძირში მოჭრილი დამახვედრეს ერთ გაზაფხულს. გახმაო, იფიცებოდნენ. გახმა, ცხადია. შეუწყალებლად გადაბელილ კაკალი ხმება ხოლმე. კაკლის მონაცრისფრო, მწვანედ და თეთრად დაფორაქებული ტანი კარგა ხანი ეგდო ეზოს კუთხეში და სტუმრად ჩამოსული ზედ ვედებოდი ხოლმე. ქარი უბერავდა წინანდებურად. სადღაც როიასს უკრავდნენ. მაღალი სახლის მოლიავებული ფანჯრის მოცისფრო გამჭვირვალე ფარდას აწვებოდა ქარაშოშინი და როიასის აკორდებს არწევდა ზეფირში.

ბოლოს კაკლის ის მორიცი გაქრა. კაკალმა, ჩემთან ერთად რომ იზრდებოდა, ჩანდა, მოიხადა უკანასკნელი ვალი, ფერფლად და ნაცრად მოეყარა იზაბელას ძირებს, ბოლი მისი კი სამუდამოდ შეუერთდა მარადისობას. სახლი თავისთავად, შეუხმჩნევლად

იცვლიდა ფერს და იერს. ხელნაწილის კედლებისა და კარ-ფანჯრების საღებავები. ზედიზედ ქრებოდა ომისდროინდელი ნივთები, საგნები, სათამაშოები. ქრებოდა, როგორც სიზმრები გათენებისას და ბუნდოვან მოგონებად გროვდებოდა მესიერების რომელიღაც კუნჭულში. ის დღეები კი, ომის, ნგრევის, გაჭირვების, ადამიანთა აღზევების და სულმოკლეობის დღეები, ჩემი ყველაზე დიდი, თბილი და სანეტარო ზმანება იყო. როცა ეს უთავბოლო სიზმარიც დამთავრდება, გაღვიძების ეამს, ქარში დაფანტული მუსიკის ხმა რომ მოწვდება სმენას, როცა ლურჯი ფრინველი გააკეთებს ირაოს გლუვი გორის ზედაპირზე, ყორღანთან განთავისუფლებული ჩრდილი როცა დაეცემა მიწას, მაშინაც მხოლოდ იმ დღეებს მოვიგონებ, გავხსენებ მუდართ ჩემკენ მზირალ, ყელმოღრეცილ თეთრ თიკანს, მშვიდი, ნათელი სახის ცისფეროვალება ბიჭს, ხელში რომ სურათებიანი, გადაშლილი წიგნი ეჭირა.



იზა ორჯონიკიძე

სასწაულია
შეხვედრა ჩვენი!
მე ხომ დიდი ხნის
გახლავართ მკვდარი...
შენ სიჭაბუკის
პერანგი გშვეენის
და მკერდში გიდგას
მკათათვის ქარი...
მე საუკუნე
დაგყავ შენამდე,
მე მზეც მაკლია
და ნათესავიც,
და თუ ვრია
ჩემს შავს ფერადი,
ისიც დაღამდა
ყრმობის მშესავით.
დაბადებიდან
სიკვდილის დღემდე,
ქართლის გულიდან
მიწამდე ქართლის

მიყვარდა მხოლოდ,
და ვენდე, ვენდე,
და აქამომდე
ვიარე სანთლით...
დღეს შენ ამხადე
კუბოს სარქმელი!
არ გეშინია
რაც მიწად ვფლა, —
მას საუკუნის
წინეთ აღთქმული
შეგზოს სიით
და იქცეხ ფერფლად?
არ გეშინია
ცხოვრების ხაფისს,
ნასამარევი გულის წყველადის,
თუ ბროლის სახმისს
იმიტომ ავსებ
რომ შიგ ჩააწო
ლურჯი სმიადი?..

უფრო ჩაბნეულდენ
ჯურღმულნი სცენის,
(დარბაზში სხედან
ჩვენი ამქრებიც!).
ვიღაცა ელის
ჩემს გამოჩენას,
ვიღაცა იცდის
როდის ჩავქრები...
მე კი ამ წუთას
მიყვარსართ ყველა,
მებრალებით და
სიკვდილს ვახანებ,

რადგან დარბაზში
ტალიან ბნელა,
და სადღაც
ტყვიის ისმის ჭახანიც...
რადგან მე ვიცი
ბრბოს ერთი ჩვევაც, —
ნათელს ჩააქრობს
და მინც ელტვის...
მაწამეთ ცოტაც,
მიწად რომ შევალ,
სხვა რა დამხვდება
სიჩუმის მეტი...

ჯარიაშენი...
ახალუბანი...
ჩვენი ძველების
კაბა-ჯუბანი,
მუშარადი და
ქამარ-ხანჯალი
დიდი დედების
ოქრო, მარჯანი
აქა მარხია,
გალმა გამოღმა,
ჯგარი დაიმსხვრა,
სურო გამოხმა...
მხოლოდ ლოდები,
მზისგან ნაკაწრი,
გზად შეგაჩერებს,
ცრემლისაც დაგაცდის...
ახალუბანი,
ჯარიაშენი,
აქ ბროლის კოშკი
ყრმობას აშენე,
აქ ისევ მოქაქუსს
შლევდი აძურა და
წყალში საგსე
მთვარე დაცურავს.

შენ შეაჩვიე
ჩემს ანრდილს თვალი,
მე ველარ მხედავ,
გაფხიზლებს აღარ
წკრიალი ზღურბლთან
გალეულ ნალის,
რომლითაც ჟამი
ჩემს დღეებს დაღავს.
აგურ, მზე მოდის
და კიდევ ორი
ვინც არაფერი
არ უწყის ხვალის...
მიხვალ და ეტყვი,
რომ დღეს ჩვენს შორის
მხოლოდ სადავო

შენ კი ვით მაშინ,
შენ კი ვით უწინ,
ჩამოწყვეტილი
ვარსკვლავის ყუნწით
გსურს ყოფა შენი
მიაბა წარსულს,
ო, შენ არაფრის
დათმობა არ გსურს...
მაგრამ ყოველი,
რაც შენ იცანი,
ზამთრები — თმაში
რომ ჩაიწანი,
მოგდევენ,
უხმოდ გიდგანან კვალში,
გითლიან ფიცარს,
გიშლიან არშინს...
შენ კი მეორე
სიცოცხლე გინდა!
მზე ჩადის, ჩადის
და მწიფე შეინდთან
წრიალებს გაღმით
მოსული სიო...
ვიხი სული გსურს
პატარა შიო?

აგდინ შეალი?
მიხვალ და ეტყვი,
რომ თბილი ხელი,
რომელიც იმ ბიჭს
სუსტ მხარზე უდევს,
არის მარჯვენა
მომავალ მკვლელის
და სამერმისო
სიცრუის ბუდე?
ვინ დაგიჯერებს,
ან რას გაბედავ!
ეს გზა ყველასთვის
ღმერთმა ინება...
არც უმიზეზო, არც ახალბედა
ცრემლი წამწამებს
ეპოტინება...

ჩამოჰყვა თოვლი
დღეებს დათვლილებს
და ჩემს
სარკმელშიც შემოიხედა.
შენ აღარ გახსოვს,
არ ახსოვთ შვილებს
სასურველი და
ლამაზი დედა.
შენ აღარ გახსოვს
თოვლი გამლხვალი,
და გადავლილი
მკერდზე ქარები,
ვარდები,
ძვირფას წიგნში ჩამხმარი,
რომლებს დღეს ვეღარ

მივეკარები...
შენ აღარ გახსოვს
ქვის ყურთბალიში,
მიტოვებული ქაჯეთს ნესტანი,
ოქრო, რომლითაც
ლექსზე დამნიშნეს
და მეტს ვერაფერს
ვერ მოვესწარი...
შენ აღარ გახსოვს
ცხოვრება წყნარი
და სამაისო
თეთრი ბაფთები...
ადექ, გამოიღე
ვგ მიმივე კარი,
გადიმებული მივემართები...

შენს თვალში
იქნებ წაგაგე ბრძოლა,
შენს თვალში იქნებ
დაკარგა ფასი,
მზისა და მთვარის
ერთ ცაზე წოლამ
და მიწამ ცოდვის
ნათელით საესემ...
იქნებ დუმილი
სჯობია ხოლმე
კუშტი სიმართლის
შემართულ ჩახმახს,
გაბმული ძაფის
კვანძსა და ტოლმეტს
სიცოცხლე მაინც
ცხოვრებას ახმარს!
და გული,

როგორც მეცხვარის ძაღლი,
ძილშიაც ფხიზლობს
გარს უგლის ფარებს...
და სიყვარულიც,
ვიდრე სისხლს დაღვრის,
უკანასკნელად
მიგზავნის მარისხს...
მოვდივარ, მოვალ,
რადგან შენ გსურდა
არც მეცოცხლა და
არც მოგეკალი,
რადგან გადარგულს
სამარის ყურთან
ჩემს ვარდს
სხვაც ბევრი
შვენის ეკალი...

სულ სხვა
მიდის და სხვა მოდის,
წვიმს...
შეშლილია ამინდი,
წვიმს,
შეშლილია გზები,

კედლიდან მიმზერს
მწუხარე
სანჩო და
მისი რაინდი.
ვწვალობ,
ვწვალობ და

გველები.

„ხე წაქცეულა მაღალი!“

სწუხდა ობობა ჭალარა.

სწუხდა ჯაგნარი კუტი.

წვიმს...

ტოტმა ტოტი დახარა,

წვიმს...

თაფზე გადასაყარი

თაფთავი ყრთა ფშუტე.

ვიღაც კიბეზე მოცოცავს,

ვერ ასწრებს

ცხვირის მოხოცვას

უცებ —

დაფნა და ბუკი!

წვიმს...

დამთავრდება როგორღაც,

ჰო, დამთავრდება როგორღაც

წვიმს...

დამთავრდება თუკი.

უცებ შეშლილა

აჭამდე მშვიდი

დღე დაწმენდილი

და მოცინარი,

რომელსაც გუშინ

შეწონდა ბინდი,

ლეგა ღრუბელი,

წვიმა, ჩინარი...

უცებ... არც უცებ,

სცრუობს ამინდი!

სიკვდილიც ჩემი

ნაბიჯით მოდის...

შენ განა ვინმე

უცებ დაინდე?!

ეს დღეც დაიწყო

ვინ იცის როდის...

აზიდავ, ეს კაცი

ითხოვს დიდებას,

ნეტავ რად უნდა,

რამი სჭირდება?!

უფსკრულზე

ხიდად არ გაიდება,

წყალწაღებულად

ხაფსს ეჭიდება...

ვხედავ, ეს კაცი

სხვის აბჯარს ისხამს,

სხვის ცხენზე ჯდება,

მიათრევს სხვის ხმალს,

ნუთუ ამ ჩემმა

ხორცმა და სისხლმა

შთამომავალთა

არ უწყის რისხვა?!

უპოვარი ეპსაროვტი

რომელი ერთი

ინაღვლოს კაცმა,

სიხარულისგან

სიცოცხლის დაცლა,

მეგობრის გაცლა,

სატრფოსგან გაცვლა,

სიტყვა, რომელიც

ღალატით გაცვდა...

რამდენი ერთი

ინაღვლოს კაცმა?!

ვინ დაიტირებს
ამ სახლის პატრონს?
ატყდება ისევ
ბეჭეში ჩამჯდარი
ტყვია, რომელსაც
მე შენთვის ვნატრობ,
რომ წამოგტკივდეს
სადმე საჯაროდ...

აქ ვინ დახვდება
უცნობს და ნაცნობს
დაძრულს რიკოთით,
ჯვრითა და ლიხით?
შენ გვეითხები,
ყმაწვილო კაცო,
მზამზარეულზე
მოსული რიხით!

ეს ხეივანი...
მერხი სოველი
წინ ლოკოკინას
ბილიკი ბრწყინავს...
ო, ერთხელ უკვე
ოყო ყოველი,
თუმც აქ არასდროს
ვეყოფილვარ წინათ!
კითხვა,
პასუხი,

უესტი,
მიმიგა,
აშკარად მახსოვს,
მაგრამ სად?
როდის?
მითხარით,
იქნებ რამე მიმიგავს
იმ ქალს,
ვისიღ დღეს
არის ეს ლოდი...

ამოვიდა
ნაგერალა ფიქრი,
გაოვირტა,
გამისწორა თვალი,
მე ვახარე,
მე დავეუსხი იქნებ
უნებურად
უკვდავების წყალი...
ახლა მტანჯავს

გამოზრდილი ჩემი,
პასუხს ითხოვს,
ნამდვილს,
განა ხურდაბ,
მტკივა შუბლი,
საფეთქლები,
თხემი...
ვის მივუგდო,
მე ხომ თავად მსურდა.

დღეს მარტი
ბოლო ფანტელებს ბარდნის
და უკანასკნელ წამს
ვეღარ ითმენს...
მე მინდა ლექსში
ვახსენო ვარდი,
მე აღარ ვეძებ

უნაკლო რითმებს...
ეჯაჯგურება კარებს ვიღაცა,
მოსწყურდა სითბო
და საუბარი,
ალბათ გაბეზრდა
და მიიქანცა
და ცხოვრებასთან

არის უბარი.
კარგახანია მიმხედარა ურჩი,
რომ ლუკმა ხვალის,
ცრემლით ნალესი,
მზე მომავალი
და დილა ლურჯი
უფრო ტკბილია
და... უმწარესიც.

მე შინდა
უცებ გამოვხსნა კარი
და შემოვუშვა
ბოლო ფანტელი,
და შემოვუშვა
შინ ცოცხალმკვდარი
იმედი, ვარდი,
და ჟრუანტელი.

დაღებდა დღე და
გაშენებდა აღარ,
სტვერზე წაწერილს
გადაშლის ჩვარი,
ახლა ვი,
როგორც მაკმადხან ალა,
აწვდები ჩემს კარს,
ღია კარი!
ო, შემოდგომის

დღეები ნაფი,
მზე მატყუარა,
მოლი ნაჯგვი...
დადგება დღე და —
არაფრით მსგავსი...
მიხურე კარი,
მოდი,
დაჯგვი.

ხომ არის სადმე
ცხოვრება კიდევ,
ეზო და ყურე,
სახლი,
საყვანე,
ჩელტის —
პატარა ღელეზე ხიდი,
ვენახი —
ახლადამონაყარი,
ქალწული,
ძველებრ
ზღაპრით გაზრდილი,
ცხენი,
მხედარი,
გული ფიცხელი,
სიკვდილ-სიცოცხლის
ზღვარი ნამდვილი,
ყვავილი,
ფერი აღურიცხველი...
ჩვენ კი ნასწავლნი,
მედიდურები,
ვცხოვრობთ,

ვჯახირობთ,
ერთურთს ვაწყდებით,
ერთმანეთისკენ არ ვიყურებით,
თუ შევიყრებით,
ვცრუობთ საწყლები.
და თავკომბალა
ჩვენი ქალაქი,
ასფალტი,
ბული,
ხე გადმორგული,
უშნო ქილიკი და ლაპარაკი,
ბევრი ორპირი,
ბევრი ორგული
როდი გვეთმობა!
დიდების ლანდი
აქ დაძრწის,
მაცდურს
ვერაფერს უზამ...
და ასე ჩვენი
სიცოცხლე გადის,
თურმე დიდი ხნის
მკვდარია მუხაც.

მე მარტო დავრჩი,
სამუდამოდ!
გადაუარა ოქროს ჩიტმა
ცხოვრების მესერს.
ახლა ვიღაცა
ლურჯ ნისკარტში
სატყუარს აჩრის,
გამოსათხოვარს
ვიდრემდე შენთან
მე ვწერდი ლექსებს...
რა სულელები ვართ ქალები,
თავი კი მოგვაქვს!
წარსულის მიწებს
ვინ დაგიბრუნებს?!
წყაროზე,
წყაროზე გამტყდარა კოკა,
კაბის კალთაზე
ჯაჭვებით რომ გვეგონა
მიბმული...
შენც მარტო დარჩი,
სამუდამოდ!
აღარ მოფრინდება ფასკუნჯი,
შემოგაშველებს ფრთებსაც აღარავინ,
მაისს კი, ვინ ეტყვის,

ვინ უბრძანებს დამუნჯდეს?!
სალამობიც მაგისია,
კონცაც მაგისია ნაპარავი...
ყველა სიმწარეს, თურმე,
წვეთი ურევია ტკბილი,
უცვებ შევამჩნიე, —
წელში გავიმართე
ნაწვიმარზე მარტოდ მიმავალი,
ჩემსკენ მოვიწიე ტოტი,
სიმძიმისგან ჩამოხრილი,
ნაყოფი მომცა და
ცრემლი დამაყარა მრავალი.
მერე მზეც გამოჩნდა,
სათითოდ წამოკრიფა
კამკამა კურცხალი,
გზა გადაირბინა გოგო-ბიჭმა,
სხივები გამოუდგენენ ორთავებს,
მე კვლავ წამომტკივდა
ჩვენი სიყმაწვილის
გული დაუმცხრალი,
და წლები, რომლებიც
მშვიდი მარტობის
სანახებს მორთავენ.



ნაცნობმა სიტყვამ შემომღიმა უცებ ბალღევით
და შემოდგომის მისადგომთან გამაიპარია;
მას შემდეგ მინდა სულ ვეხეტო ამ ზღვის ნაპირას,
მზემ დამაცხუნოს და უწყალოდ დამწვას ბეჭები,
მინდა —

ვაგროვო აქ სიტყვების სველი კენჭები,
ჩემი გელათი მოვაოჭვო ამ მოზაიკით,
ლექსის დედოფლად აღვაზევო სიტყვის პაიკი,
და ვიღალადო, რისიც ქვეყნად მუდამ მჯეროდა;
მინდა —

საჩემოდ გამოვთალო ლერწმის ღერო და
ძველი კელტების მენესტრელებს გავეშაირო,
მინდა დროდადრო ვეპაექრო ლორდ ჯორჯ ბაირონს
და შენი მადლით ნირწამხდარი არვის ვენახო,
ქართულთ სიტყვაგ, —

მსხმოიარე მარად ვენახო...

სხვა შენს სიმაღლეს რუსთაველის ძალით შეამკობს,
შენ კიდევ ნახავ დმერთთან მებრძოლ ახალ იაკობს
და შენს ამირანს გაუტოლებ სხვათა პრომეთეს,
მე კი ერთსა გთხოვ, —

მხოლოდ იმის ნება მომეცეს,
რომ მარად შენი გარდუსდელი ხარკი შევალოს,
რომ შენს ფერხთა მტვერს ხან ვეყვო და ხან ვემხევალო.

უჩინარი უცხო თბალისთვის

მე შენ მესიზმრე, —

მიდიოდი თაკარა მზეში,

ხრიოკ ფერდობზე,

კაბას ვახევედა

და გაწრავდა გაბორტებით

ტოტები ძეძვის;

ლამაზ სახეზე მათრახს გცემდა

ხორშაკი ქარი

და წარბების შესაყართან ტოვებდა ღარებს,

როგორც მინდორში

ნიაღვრისგან გათხრილ ღარტაფებს.

და ღრუბლის ჩრდილიც, —

ერთადერთი თავშესაფარი თაკარა მზისგან,

ვისწრებდა წინ და

გარბოდა განზე.

შენ მიდიოდი ხრიოკ ფერდობზე —

ტვირთის სიმძიმით დაზნექილი,

მხრებში მოხრილი...

მაინც ამაყად გეჭირა თავი,

და აკვირებდა სოფელ-ქვეყანას

შენი სიკერპე.

უბით მიგყავდა

მტრედის ბარტყი, წამოჩიტული,

იმედივით ნასაზრდოები,

და მიდიოდი

ქარში და მზეში,

ქაცვში და ძეძვში...

მერე დროებით

გავიწყდებოდა
გზების სიძნელე,
ტვირთის სიმძიმე, —
მტრედს უბიდან წამოაფრენდი,
და გულის შორი კუნჭულიდან გაიეღვებდა
შიგ დანთებული სიხარული
შენს დიდ თვალებში.

.....
ასე მესიზმრე

.....
ცხადში კი...
იყავ ისეთივე,
როგორც სხვა ბევრი, —

ახალმოდური თმის ვარცხნილობით,
ქალაქელი ქალის გრაციით;
მიიჩქაროდი შენს საქმეზე,
შინ ბრუნდებოდი
ქუჩის სწორი ქვაფენილებით,
და არ იქცევდი ყურადღებას
ვინმე გამგელის.
ირგვლივ ყველაფერს
პქონდა სახე ჩვეულებრივი
და არ გამოსავდა
ლეგენდის და სიზმრის გროტესკი.
მხრებით მიგქონდა ბედი ტვირთმძიმე, —
უნიწარი უცხო თვალისთვის.

●
ხალხში დახვალ და
ხალხში ტრიალებ,
და როგორც წმინდა სებასტიანეს —
ტანი გვესება ისრების გესლით,
ყურშიაც ისრის შხუილი ვესმის.

არც ტკივილს იმჩნევ,
არც წმინდანს გაეხარ,
და მაინც ითმუნ,
და მაინც დგახარ;

დგახარ და უძლებ
ათასგვარ მაცილს, —
რამეთუ გქვდა
სახელად — კაცი.

●
როცა დღეების სიმკაცრე და აურზაური
წელში გატეხას დამიპირებს მოურიდებლივ,
გამოვალვიძებ ჭავჭავიანთის ზღაპრებს,
ხსოვნაში რომ მაქვს დამარხული,
როგორც ხის ნერგი —
მოშარიშურე ფოთლებით და ჩიტების სტვენით;
და მის გარშემო თვით რომ ვიზრდები
და ვისალტები, როგორც მუხა წლების რგოლებით;

.....
მე იმ ჩიტების იმედითა ვარ,
ძალის იმედად ნუ გგონებთ.

უნდა ვიჩქარო ძლიერ,
უნდა ვიჩქარო, თორემ,
კოლოს ოდენად დანდა
ცაზე ღრუბელი მდორე;

უნდა მოვასწრო გულის
ყველა კუნჭულში შევლა,
ვიდრე ყვაავილი ტყემლის —
გადაიქცევა ტყემლად.

რამდენი ქარი და ავდარი,
რამდენი ღორღი და შლამია
და დროის ბორბლებით ასსლეტილი
ტალახის შეფუები
იმ დლიდან, — პირველად რომ შევხვდით,
იმ დღემდე —
ბოლოს რომ შევხვდებით.

და მაინც ნათელი სხივია
და მაინც ცრემლია ნათელი
და მოგონებებით გახანგრძლივებული
წამები მარადი,

იმ სიხარულიდან —
პირველად რომ უღევი გვეგონა,
იმ სიხარულამდე —
ნამცეცობით დღეებს რომ ვპარავდით.



ბანკეულის გუგაბი

მუზეუმების შემოვლის შემდეგ ექვთიმე ბინაში მივიდა, ზემელზე, ვერის ბაზრის პირდაპირ რომ მდებარეობდა, მათე სხირტლაძის სახლში. ამ სახლში ექვთიმეს რვა ოთახი ეჭირა.

ნინო ივანეს ასული პოლტორაკაია — ექვთიმეს მეუღლე — გუმანით გრძნობდა, რაღაც დიდი ამბები რომ ტრიალებდა ქალაქში, მაგრამ არავის არაფერს ეუბნებოდა. ამჯერად კი ექვთიმეს რომ შეხედა, დალილ-დაქანცულსა და სახემოლუშულს, ველარ მოითმინა და თავის ერთგულ, სათაყვანებელ მეუღლეს ხმამაღლა შეჰკადრა:

— რა ხდება, ადამიანო, ჩვენს თავზე, რატომ არაფერს მეუბნები? თუ ღირსად არ მთვლი საქვეყნო საქმეებში გამრიო?

— რა ხდება და ვილუბებით. სამუდამოდ ვემშვიდობებით ჩვენს თბილისს, ოქროყანას, მთაწმინდის ბაღებს და მივდივართ!

— სად ჯანდაბაში? ნუთუ ჩვენ ვემძიმებით თბილისის მიწას?

— არავინ უწყის სად მივდივართ, ან რა დღე გველოდება. ნოე ჟორდანიას და მისი მთავრობა გაქცევაში ხედავენ შველას. ზეგ ქუთაისში იგზავნება ზაზინა და სამუზეუმო განძეული, მას ზეგ ალბათ ჩვენც მიყვებით უკან.

— კი მაგრამ, ვის ვუტოვებთ სახლ-კარს, ქონებას?

— ამაზე ფიქრის დრო ახლა აღარ არის. ახლა მთავარია თავის გადარჩენა და წაღება მხოლოდ და მხოლოდ იმი-სა, რაც ხურჯინსა და ჩემოდანში ჩაეტევა. მე არც ერთი წუთით დრო არა მაქვს, ჩემოდანში ჩაალაგე ტანისამოსი, ჩემი ხელნაწერები, ნუმისმატიკური ერთეულები, გადაპირჩიე ჩემთვის აუცილებელი წიგნები და აქედანვე დაიჭირე წასვლის თადარიგი.

— არ ვისადილოთ? მე შენ გელო-ღებო დი.

— უჩემოდ ისადილე, მე ცოტა ზეზეურად წავიხემსე და არ მშია. თუ დრო გამოვანახე, მერე შემოვივლი, მოგვიანებით. ახლა კი ივანე ჯავახიშვილთან უნდა წავიდე. ალბათ ლექციებიდან დაბრუნებული იქნება, ხვალ კი ვინ იცის, ვნახავ თუ არა, — ექვთიმე კოკლობით მივიდა საწერ მაგიდასთან, შუათანა უჯრიდან ამოიღო „საქართველოს სიძველენის“ მეოთხე წიგნის საკორექტურო ანაბეჭდები, პორტფელში ჩაიღო და კარში გავიდა.

ივანე და ექვთიმე დიდი მეგობრები იყვნენ. საქართველოს ისტორიული წარსულის ეს უბადლო მკვლევარები და ისტორიკოსები ერთმანეთის ნიჭსა და ამბავს დიდად აფასებდნენ. ამიტომ ივანეს ძალიან გაუხარდა ექვთიმეს სტუმრობა. იმხანად ივანე „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე ტომზე მუშაობდა. საწერ მაგიდასა და ხელმისაწვდომ ადგილას, წიგნის კარადაზე ეყუო ექვთიმეს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3.



და განძეულობის მდგომარეობის კერ-
სში გამოყოფებთ. ვიმედოვნებ, თქვენც
თბილისურ ამბებს არ მოგვაკლებთ და
ზოგიერთ ჩემთვის საინტერესო წიგ-
ნების გამოგზავნას არ დაიშურებთ.
ახლა კი ერთი თხოვნა უნდა შემისრუ-
ლოთ; უკანასკნელად მე ვმუშაობდი
„საქართველოს სიძველენის“ მეოთხე
წიგნის გამოსაცემად მომზადებაზე.
ამ წიგნის პირველი თაბახი აწეობილია
და კორექტურაც გასწორებული. იქ-
ნებ ეს ანაწეობი თქვენი მიმდინარე
შრომისათვის გამოგადგეთ და შემდეგ
დროს თუ გამონახავთ და ამ ტომს გა-
მოსცემთ, დაუფასებელ სამსახურს გაუ-
წევთ, ჩვენს საისტორიო მეცნიერებას.
ვის უნდა ვანდო ეს დიდზე დიდი საქ-
მე, თუ არა თქვენ, — ქართველი ერის
ისტორიის დიდ და საიმედო მოჭირნა-
ხელს.

ექვთიმე პორტველი გახსნა და სარ-
ქებით ავინძული ანაბეჭდი მასპინძელს
გაუწოდა...

●
ბანიკით მოცული ქალაქის მუზეუმები
ყუთებში ალაგებდნენ საქართველოს
მთელ ავლა-დიდებას და უცხოეთში
გასაგზავნად ამზადებდნენ.

გამთენიის ხანს, როცა ექვთიმე თა-
ყაიშვილი გაფითრებული, დაღლილ-
დაქანცული და წელში გატეხილი მივი-
და საქართველოს მუზეუმში, მას
დაახვედრეს ყუთებში ჩალაგებული გა-
ნძეულობა.

ექვთიმე ჯერ ის ყუთები დაათვალიე-
რა, სადაც ძველი ქართული ხელნაწე-
რები ეწყო. პირველად ხელში მოხვდა
ქსნის, ურბნისისა და ქვათახევის ოთ-
ხთავეები ეტრატის ფურცლებზე ლამა-
ზი კალიგრაფიით გადაწერილი და მი-
ნაწერთა და ძვირფასი თვალ-მარგალი-
ტებით შემკული. მერე თვალი მოა-
ვლო ყანჩაეთის, ქვევის და ალავერ-
დის ოთხთავებს ასომთავრული, მრგ-
ლოვანი და ნუსხა-ხუცურით რომ იყო
ჩავერისტიებული. კარგა ხანს ათვა-
ლიერებდა ვერცხლისა და ოქროს
ყდებში ჩასმულ ამ ძვირფას მატია-

ნეებს, მერე მოდიოდა მეთექვსმეტე
საუკუნით დათარიღებული „ვეფხისტყაოსნის“
რამდენიმე ხელნაწერი, ჩა-
სმული ოქროთი ტვიფრულ ყდებში,
მიქელ მოდრეკილის საგალობელთა
კრებული მეთერთმეტე საუკუნის დამ-
დეგს კონსტანტინეპოლში ეტრატზე გა-
დაწერილი; ქართული სვინაქსარი შე-
მკული სამოცდათვრამეტი მინიატურ-
ით, „კავშირი ღმრთისმეტყველებით-
ნი“ პროკლე დიაღოზოსისა, ეფრემ
მცირეს თარგმანთა კრებული, მიქე-
სე მსოფლიო კრების სჯულის კანონი
თარგმნილი ექვთიმე მთაწმინდელისა,
„თეთროსანული“ დავითნი, ნუსხურით
გადაწერილი აკათისტო ორმოცდათო-
რმეტი მინიატურით, ილუსტრირებუ-
ლი ჟამნ-გულანი, დიდი სჯულის კა-
ნონი, ვახტანგ მეექვსის კანონთა კრე-
ბული, სახარების საკითხავები მთავარ
საეკლესიო დღესასწაულზე, ჩასმული
ქვებით მოჭედილ და ოქროცურავებულ
ვერცხლის ყდამი, ეტრატის ფურცლებ-
ზე გადაწერილი ჟამისწირვების გრაფ-
ნილი...

ყველა ამ ხელნაწერს ისე ათვალიე-
რებდა ექვთიმე, თითქმის პირველად და
უკანასკნელად ხედავდა მათ.

მერე ნოე ყიფიანმა და იონა თომა-
შვილმა არქეოლოგიური კოლექციების
ყუთები უჩვენეს, სადაც ეწყო ოქროს
სამაჯურები, დიდი ოქროს უზალთუნე-
ბი, გრებილი ოქროს გვერგვები, ოქროს
მძივები და ყელსაბამი საკიდები, ოქ-
როს ბეჭდები და საყურეები გრიფო-
ნისა და სფინქსის გამოსახულებებით,
ოქროს ბალთები ბრტყელი, სამკუთხა
და რომბის ფორმისა ურჩხულის გა-
მოსახულებით, ოქროს ქამრები, კი-
ლიტები და ზანზალაკები. ვერცხლის
თასები და ფიალები, ვერცხლისავე
დისკოები, ბრინჯაოს ბუნიკები ჯიხვის-
თავის გამოსახულებით, ბრინჯაოს ფი-
ბულები, ქარვის ასხმულები, გავარსით
შემკული ოქროს საყურეები, სარდო-

ელიზბარ უხილავა
ბანძეშლის გუზავი



ნის მიძივის ყელსაბამები, თეთრი და ლურჯი სმალტის მიძივები, რკინის ისრისპირები, ტაბულები ოქროს ნატიფი სამკაულებით, ოქროს მედალიონები, ზღვის ნიჭარებით შემკული მიძივები, ცხენის რახტის ვერცხლის ბალთები. მომდევნო ყუთი გაჭედილი იყო ქართული, სპარსული, ბიზანტიური, სელჩუკური, კილიკური, რომაული, ჩინური, ელინური, სასანური, პართული, ჰულაგულიდური ოქროსა და ვერცხლის მონეტებით, არაბული ვერცხლის დირჰემით და კოლხური დიდრაჰმით...

საეკლესიო მუზეუმიდან მოტანილ ყუთებში ეწყო ოქროს ჯვრები, მინაქრით და ძვირფასი თვალმარგალიტებით მოთქვილი ღვთისმშობლის ხატები, ოქროცურვებული ვერცხლის ბარძიმები, მღვდელმთავრის კვერთხის ოქროს ბუნიკები, ვერცხლის ფეშხუმები, ვერცხლის შანდლები, საცეცხლურები და ოლარები. მერე მოდიოდა მარგალიტებით მორთული კოლექცია მიტრებისა, ფარჩის სადიაკვნო კვართებისა, საკოსებისა, ხატის მანდილებისა, ეპიტრაქილებისა, ენქერებისა, დაფარებისა და ქერუბინებისა.

ყველაფერ ამას ავგირგვინებდა მემორიალური ნივთებისა და სურათების ყუთები, სადაც ეწყო ერეკლეს ხმალი, სოლომონ იმერთა მეფის თოფი, აკაკი წერეთლის ჯოხი, ეკატერინე დიანის ოქროს დიადემა, ოქროს აზარფეშები, ფილები და ლარნაკები, ვერცხლის სირჩები, ინკრუსტირებული დამბაჩები, სამკაულები, რემბრანტის, კრანახის, პრუდონის ფერწერული პოტირეტები და ვინ მოსთვლის, რამდენი რამ ეწყო საევაკუაციოდ გამზადებულ ყუთებში...

ექვთიმემ ყველა ყუთი სათითაოდ შეამოწმა. მერე თითოეულ მათგანს საგულდაგულოდ თავები მოუჭედეს, დალუქეს და, როგორც კი სატვირთო ავტომანქანამ ჩამოიარა, ქუთაისის ხაზინაში გააგზავნეს. თან გააყოლეს იონა თომასვილი და რამდენიმე მცველი თბილისში დარჩა გამოცარიელებუ-

ლი მუზეუმები და ეკლესია-მონასტრები. მრევლს უხმობდა ქაშუტეხანა და სიონის ზარები, ოღონდ იქ აღარ ესვენა ღვთისმშობლის მომინაქრული ხატები ჯვარცმის გამოსახულებით, უკვე მოეწროთ წაღება საკულტო და საეკლესიო დანიშნულების უძვირფასესი ნივთებისა.

თბილისელებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ მთელი მათი განძეული საევაკუაციო მარშრუტით გაიგზავნა.

— ყველაფერი გაზიდეს, რითაც თავი მოგვეონდა, ხალხო, რაღას გაჩუმებულხართ, მომყევით სანამ გვიანი არ არის! — იყვირა ვილაცამ მუზეუმის გამოცარიელებულ დარბაზში და გარეთ გამოვარდა.

ყველამ მისკენ მიიხედა. იცნეს მუზეუმის დარაჯი ოტია გავაშელი. წისქვილის ვირთხასავეთ მას წვერულვაში თეთრი ფქვილისფერი მტვრით ჰქონდა ამოვანგლული. დამენათევი მოშლილი იყო.

— საით გაიწვევა, ოტია, ვინ გეგულე? თბილისში სიმართლის გამკითხავი? — მიაძახეს აქეთ-იქიდან წელმოწყვეტილმა მუზეუმის თანამშრომლებმა, რეტდასხმულები უღიმღამოდ რომ დაბორიალობდნენ წაღმა-უკულმა.

— მომყევით, ვიპოვი სამართალს, ქვიცანა ჩალით არაა გადახურული, რას გაჩუმებულხართ! — ბლუქუნ-ბლუქუნით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ოტია და სახეგაფითრებული გაურკვეველი მიმართულებით ვარბოდა.

●
თბილისი, რტიშევის ქუჩა. საბჭოთა რუსეთის საელჩოს შენობა. შესასვლელთან ორი შეიარაღებული წითელარმიელი პატრული დგას. მეორე სათულის მომცრო დარბაზში, ელჩის კაბინეტის მოსაცდელში უამრავი ხალხი იცდის. მომცდელთა შორის არიან ვლადიკავკავიდან, ბაქოდან, ასტრახანიდან თუ ერევნიდან ჩამოსული კურიერები, ლტოლვილები, მენშევიკური არმიიდან წითლების მხარეზე გადმოსული ჯარის-



კაცები, კედიას დამსჯელი რაზმებისა-
გან აწიოკებული და ნაცემ-ნაგვემი მო-
ქალაქეები, სხვადასხვა ეროვნებისა და
სარწმუნოების ადამიანები. ჩოჩქოლსა
და ღრიანცელში კანტი-კუნტად მოის-
მის კაბინეტში მყოფთა ხმაშალალი საუ-
ბარი.

საელჩოს მრჩვეელი, ამჯერად ელჩის
მოვალეობის შემსრულებელი, სერგო
ქავთარაძე, მაღლ-მაღალი, თეთრი, სა-
ხეგაბადრული, შუახნის კაცი მოსკოვი-
დან დილით ჩამოსულ საბჭოთა რუსე-
თის წარმომადგენელ მოახსენებს საქ-
მის ვითარებას, აღშფოთებას გამოთ-
ქვამს შეინძანის დაპატიმრებაზე. ქავ-
თარაძის ნათქვამს გაფაციცებით უგდე-
ბენ ყურს საელჩოს პასუხისმგებელი
მუშაეები იურევიჩი და ლებედევი.

— ქართველ მენშევიკებს მასობრივად
აუჩანყდა მშვიდობიანი მოსახლეობა.
თებერვლის შუა რიცხვებში ქვემო ქა-
რთლში დაწყებული აჯანყება ელვისე-
ბური სისწრაფით მოედო საქართველოს.
ბორჩალოში ფილიზე მახარაძის თავმჯ-
დომარეობით შექმნილმა რევკომმა დი-
დი მუშაობა გაშალა ადგილებზე. რევ-
კომის წევრები მამია ორახელაშვილი,
შალვა ელიავე, საშა გეგეჭკორი ადგი-
ლებზე რაზმავენ მასებს მენშევიკური
ხელისუფლების დასამხობად.

კავკასიის ფრონტის სარდლობამ შე-
იმუშავა საქართველოს მშრომელთა და-
სახმარებლად სამხედრო ობერაციების
გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია
მეთერთმეტე და მეცხრე არმიების და
თერგის ჯგუფის თანამოქმედება საქა-
რთველოს მშრომელთა აჯანყებულ რა-
ზმებთან ერთად.

ფრონტის სარდლობა გადამწყვეტ
მნიშვნელობას ანიჭებს თბილისის დაკა-
ვებას. ამიტომ ძირითად მიმართულებად
არჩეულია ბაქო-თბილისის რკინიგზის
ხაზის გასწვრივ მდებარე გზატკეცილი.
ამ მიმართულებით დარტყმისათვის შე-
იქმნა მძლავრი ჯგუფი, რომელშიც შე-
დის მეოცე, ოცდამეთორმეტე, მეცხრე
ქვეითი დივიზიები, მეთორმეტე საკავა-

ლერიო დივიზია, ზუთი ჯავშნოსანი მა-
ტარებელი, ოთხი ტანკი და თექვსმეტ
თვითმფრინავი. დაჯგუფებას ნაბრძანე-
ბი აქვს თხუთმეტ თებერვალს დაეუფ-
ლოს წითელ ხიდს საქართველო-აზერბა-
იჯანის საზღვართან და მდინარეების:
მტკერისა და ხრამის გადალახვის შემ-
დეგ დაიწყოს შეტევა თბილისის გასა-
თავისუფლებლად.

მენშევიკური არმიის სარდლობამ გა-
ითვალისწინა, რომ წითელი არმიის შე-
ტევის მთავარი მიმართულება თბილის-
ზე იქნებოდა, მოაწყო ქალაქის ირგვლივ
სიმაღლეების დაცვა. კოჯორთან და სო-
ღანლულთან მენშევიკებმა განალაგეს
შედარებით მტკიცე და საგანგებოდ შე-
რჩეული ნაწილები — იუნკრები და
„სახალხო გვარდია“.

უცებ კარი გაიღო. შემოვიდა მდივანი
ჯარისკაცის ფორმაში და ქავთარაძეს
გამოეჭიმა.

— ფრონტიდან მეკავშირე კურიერი
გეახლათ. სასწრაფოდ ითხოვს თქვენს
ნახვას, — მოახსენა წარბშეკრულ ქავ-
თარაძეს მდივანმა.

— შემოვიდეს!
ქავთარაძემ დროებით შეწყვიტა მო-
ხსენება. ოთახში შემოვიდა ოფლში გა-
დვრილი კურიერი და დალუქული პაკე-
ტი ელჩის მოვალეობის შემსრულებელს
გაუწოდა.

ქავთარაძემ პაკეტი სწრაფად გახსნა.
წერილი სერგო ორჯონიკიძისაგან იყო.

— მენშევიკებმა ააფეთქეს ფოილოს
ხიდი, რის გამოც შეფერხდა ჯავშნო-
სანი მატარებლების წინსვლა თბილისის
მიმართულებით. წითელი არმიის საველე
შტაბი ამასთან დაკავშირებით აწყობს
გადაჯგუფებებს, ცალკეულ ნაწილებს
შორის აყარებს კავშირს, ავსებს დამკვ-
რელ ჯგუფებს. დაუყოვნებლივ მოგვაშ-
ველეთ აჯანყებული პარტიზანები და
მოხალისეები, რაც შეიძლება დიდი რა-
ოდენობით!

ქავთარაძემ ქაღალდი მოსკოველ

ელიზბარ უაილვაკა
ბანაძის ბუხარი



სტუმარს გაუწოდა და ლებედევს დაავალა — ერთ საათში უზრუნველყო ჯარის მეთაურთა სახელდახელო თათბირი, ხოლო მდივანს მითითება მისცა სასწრაფოდ შეედგინა ორჯონიკიძისა და კიროვისადმი ფრონტზე გასავზავნი წერილის პროექტი. კურიერს უბრძანა, დასასვენებლად წასულიყო სასტუმროში, სანამ სავანგებო მითითებას არ მიიღებდა. როცა ყველა მათგანი ოთახიდან გავიდა, კვლავ შემოვიდა მდივანი და ქავეთარაძეს მოახსენა:

— კავკასიის მუზეუმის თანამშრომელი ითხოვს მიღებას.

— რაღა დროს მუზეუმი, როცა ვუღკანზე ვზივართ!

— მეც ეგ ვუთხარი, არ გამიგონა, დაბეჯითებით მოითხოვს შემოსვლას!

— შემოღე!

ოთახში შემოვიდა ოტია გავაშელი, თეთრწვერულვაშიანი, დაბალ-დაბალი მოხუცი, რომელიც მღელვარებისაგან ძლივს ითქვამდა სულს.

— მენშევიკებმა ჩვენი ავლა-დიდება გაზიდეს, მუზეუმები და ეკლესიები გაძარცვეს, ნუთუ თქვენ დღემდე არაფერი გავიგიათ, ან იქნებ ეს თქვენთვის საინტერესო არ არის? — გავაშელის მღელვარება მაშინვე გადაედო ყველა იქ მყოფს.

— უკვე წაიღეს?! — მოუთმენლად წამოიყვირა ქავთარაძემ.

— დიახ, წაიღეს. წუხელის მთელი დამე ყუთებში ლავდებოდა თბილისის განძეული. ახლახან სატვირთო ავტომანქანამ ჩამოიარა და ყველაფერი ეს გაურკვეველდ მიმართულებით გაუყენეს ვზას. კატეგორიულად მოვითხოვთ, ხალხის განძეული ხალხსვე დაუბრუნდეს!

ქავთარაძემ და მისკოველმა სტუმარმა გაცვირვებით შეხედეს ერთმანეთს.

— ენით უთქმელი თავხედობა!

— გაუგონარი ბარბაროსობა! — აღმოხდა ორთავეს.

ქავთარაძემ საგარეო საქმეთა სამინისტროში დარეკა, ევგენი გეგეჭკორთან. მინისტრი ადგილზე არ აღმოჩნდა. მდი-

ვანმა უბასუხა, მინისტრები ყორდანიასთან თათბირობენ და მინისტრის, გილეს ქარცივაძეს დაგალამბარაკებთო.

— რა იცით სამუზეუმო განძეულის გატაცებაზე?

— გატაცებისა არაფერი და გახიზნა ჩვენი სანქციით მოხდა. როცა თბილისის საშიშროება დაემუქრა, სახელმწიფო ქონება და სამუზეუმო განძეული ქუთაისში გაიგზავნა, შედარებით უშიშარ ადგილას.

— ქუთაისსაც რომ საშიშროება დაემუქროს?

— მდგომარეობა გვიჩვენებს. მთავრობას უფლება არა აქვს სახელმწიფო ხაზინისა და მუზეუმის ქონება უბატრონოდ დატოვოს. სანამ ძალაუფლება ჩვენს ხელთაა, ქონებასაც ჩვენ უნდა ვუჭირისუფლოთ. სხვა გამოსავალს ჩვენ ვერ ვხედავთ.

— საბჭოთა რუსეთის, საელჩოს ადრეც ჰქონდა სიგნალები, რომ ამ განძეულობით დაინტერესებულთა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი.

— შევალე?

— დიახ, აბელ შევალე!

— ჩვენ მადლობის მეტი არა გვეთქმის რა საფრანგეთის მთავრობისადმი. მათ გარდა დახმარებისა და ძმური ხელგაწოდებისა, არც ჩვენთვის და არც ჩვენი ხალხისათვის არაფერი დაუშავებიათ.

— საფრანგეთმა, როგორც ანტანტის სახელმწიფომ, იცის რასაც აკეთებს. ის დაინტერესებულთა საქართველოს განძეულით, რომელიც მის წარმომადგენელს ჩამოსვლისთანავე მიართვით. შევალეის ტყუილა კი არ ჩამოჰყოლია აღმირალი დიუმენინი, რომელიც ამჟამად ბათუმში ნებეგრობს; არც მისი კრეისერები და ხომალდები დგანან რეიდზე უსაქმურობის გამო. მათ, შესაძლოა, ვაჭირვების ეპოს მფარველობის კალთა ვადაგვადარონ, მაგრამ თქვენ არა გაქვთ იურიდიული უფლება, ხალხის ქონება უცხოეთის კაპიტალს ჩაუგდოთ ხელში.



— ჩვენს განმეულს საიმედო ჭირისუფალი ჰყავს პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის სახით.

— თაყაიშვილი კეთილსინდისიერი მეცნიერია, მაგრამ მართლ ის რაღას ვახდება, თუ თქვენ არ მიეშველებით?

— რატომ გგონიათ არ მიეშველებით? ჩვენ სულ მალე დავიბრუნებთ ხელისუფლებას, თუკი ეს ხელისუფლება მართლა დავთვით.

— ოპტიმიზმი საძრახისი არ არის, მაგრამ საფუძველი?

— საფუძველი ჩვენი დარაზმულობა და ერთიანობაა. ღრმად ვართ დარწმუნებული ჩვენ ვავიმარჯვებთ ამ უთანასწორო ბრძოლაში. ევროპისა და ამერიკის უძლეველი არმია ბოლომდე დაიცავს ჩვენს ინტერესებს.

— შე ჩემი მთავრობის სახელით დღესვე წარვუდგენ ნოტის საქარხველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, მის აღმატებულეებს გეგეჰკორს, რომ დაუყოვნებლივ დაუბრუნოს თბილისის მუზეუმებსა და ეკლესია-მონასტრებს თავიანთი ქონება.

— ნება თქვენია.

ქავთარაძემ, როგორც კი ყურმილი დაკიდა, მაშინვე დაავალა მდივანს შეედგინა საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე საგანგებო ნოტის პროექტი.

მდივანი ოთახიდან გავიდა და ფიცხლად შეუდგა დავალების შესრულებას. ქავთარაძემ ნაჩქარევად რამდენიმე მთხოვნელი მიიღო და, როცა მდივანი ნოტის ტექსტის გასაცნობად მასთან შემობრუნდა, ტელეფონმა დარეკა. სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის თბილისური წარმომადგენლობიდან იტყობინებოდნენ, რომ ისინი სრულიად უსახსროდ დარჩნენ და იქნებ დროებით ესესხებიანთ მათთვის განსაზღვრული თანხა.

ქავთარაძე, სანამ ნოტის ტექსტს გაეცნობოდა, ფინანსისტებს მოეთათბირა და რაკი მათგან თანხმობა მიიღო, ტელეფონით შეატყობინა სომხეთის წარმომადგენლობას, გამოეგზავნათ რომელიმე ოფიციალური პირი.

— ჩვენი წარმომადგენლობა მენშევიკური მთავრობის აშკარა თუ ფარულ მეთვალყურეობის ქსელითაა გარემოცული და საეჭვოა, რომ თქვენამდე მოვალწით. ერთადერთი გამოსავალია, იქნებ ფული გამოგზავნოთ ისეთი პირის ხელით, რომელიც დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობს.

— ასეთი პირი ამჟამად მხოლოდ მე ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მცალია!

— ავტომობილით ჩვენს რეზიდენციაში, სოლოლაკში მოსვლა სულ რამდენიმე წუთის საქმეა. გთხოვთ როგორმე მოგვეშველოთ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს.

უხუცესო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქავთარაძემ დროებით დატოვა საეღო, მიატოვა სტუმარ-მასპინძელი და თავისი შავი მერსედესით წავიდა სომხეთის წარმომადგენლობაში.

რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობის ალყაფის კარიდან გამოვიდა თუ არა ავტომანქანა, უკან ფარული მსტოვრები მიჰყვნენ მოტოციკლით. ორიოდე კვარტალის გაღლის შემდეგ ქავთარაძის მერსედესი დააკვეს. ამჯერად ქავთარაძემ, როგორც იქნა; დააღწია თავი პატრულებს, მაგრამ მეორე ადგილას, განსაკუთრებული რაზმის ჯგუფმა, დოკუმენტების გასინჯვაზე არ დააჯერა, გაჩხრიკეს და რაკი დიდძალი თანხა აღმოაჩნდა, პირდაპირ სოლოლაკში, განსაკუთრებული რაზმის შტაბში წაიყვანეს. შტაბის უფროსმა კედლიამ დაუყოვნებლივ ჩამოართვა ქავთარაძეს თანხა. მის პროტესტსა და მოთხოვნას — დაებრუნებინათ თანხა, კედლიამ ცივი უარით უპასუხა და გასცა ვანკარგულება, სასწრაფოდ წაეყვანათ იგი რკინიგზის სადგურში გაძლიერებული კანკით.

ქავთარაძე იმ ღამეს რკინიგზის სადგურის რომელიღაც სარდაფში დაამწყვდიეს, ხოლო მეორე დღეს, ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ვადაიყვანეს.

ელიზბარ უხილავა
ბანამშლის გუზავი

ქავთარაძის დაპატიმრებიდან ორი საათიც არ იყო გასული, როცა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობის მისაღებ ოთახში ჩოჩქოლი ატყდა. ის იყო, მოსკოვის წარმომადგენელი წამოღდა და კარისკენ ნაბიჯი გადადგა, როცა ოთახში შემოვიდა ოთხი პოლიციელი. ერთი მთვანი, პოლკოვნიკის ჩინით, მოსკოვის წარმომადგენელს გამოეჭიმა და პატიმრობის ორდერი გაუწოდა, თან მოახსენა:

— თბილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით თქვენი საელჩოს პასუხისმგებელი პირები იურევიჩი და ლებედევი დაპატიმრებული არიან!

მოულოდნელი თავდასხმით შეშფოთებულმა მოსკოველმა რევოლვერზე გაიკრა ხელი, მაგრამ პოლიციელებმა გააკავეს. სათითაოდ შეიპყრეს ყველა იქ მყოფი. საელჩო განხრეკეს, გადააქოთეს, შენობა დალუქეს და დაპატიმრებულნი საპყრობილეში წაიყვანეს.

მეთერთმეტე არმიის ტრიუმფალური სვლა, რომელიც ფოილოს ხიდთან დროებით შეჩერდა, კვლავ განახლდა. ჯარის გადაჯგუფებისა და დამკვრელი ჯგუფების შევსების შემდეგ წითელმა არმიამ ახალი ძალით განაახლა შეტევა კოჯორსა და სოღანლუღზე. მთავარ დამრტყმელ ძალებს მალე ჯავშნოსანი მატარებლებიც წამოეშველა. ოცდასამ-ოცდაოთხ თებერვალს, როცა ქალაქის სიმაღლეებთან ბრძოლაში საბჭოთა ნაწილებმა გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწიეს, ეორდანიამ ფიცხლად გამართა თავისი კაბინეტის საგანგებო სხდომა, სადაც მხოლოდ ერთი საკითხი იდგა — მთავრობის ევაკუაცია!

გადამწყვეტ მთავრობა დროებით გადასულიყო ჯერ ხაშურში, მერე ქუთაისში, მოგვიანებით ბათუმში, ხოლო თუ ბათუმსაც საშიშროება დაემუქრებოდა, საფრანგეთში გახიზნულიყო.

ოცდაოთხ თებერვალს მენშევიკურმა მთავრობამ ღამით მოხსნა თბილისის

თავდაცვა და საგანგებო მატარებლებით ხაშურისაკენ დაიხია იმ ვარაუდით, რომ მდგომარეობა თუ გართულდებოდა, ქუთაისში გადასულიყო. თან გაიყოლა გვარდიელთა მცირე ჯგუფი. ოცდახუთ თებერვალს წითელმა არმიამ სერგო ორჯონიკიძის წინამძღოლობით თბილისი დაიკავა. ოცდაექვს თებერვალს რევოლუციურმა კომიტეტმა მამია ორახენლაშვილის ხელმოწერით გამოსცა ბრძანება თავის ხელში მთელი სახელმწიფო ძალაუფლების აღების შესახებ. მოგვიანებით გამოქვეყნდა რევკომის დეკრეტი მენშევიკური არმიისა და მენშევიკური გვარდიის საერთო დემობილიზაციისა და დაშლის თაობაზე.

თბილისიდან ლტოლვილმა მენშევიკურმა მთავრობამ ოცდახუთ თებერვალს ქუთაისს მიაშურა. აქვე ჩავიდა დამფუძნებელი კრების ყველა წევრი და მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილიც. ქუთაისში ჩასვლისთანავე ექვთიმე თაყაიშვილი და იოსებ ელიგულაშვილი სახელმწიფო ხაზინაში მივიდნენ, სადაც ეგულეზობდათ თბილისიდან გამოგზავნილი განძეული. ექვთიმემ გულდაგულ დაათვალიერა ყველა სამუზეუმო ყუთი, ხოლო ელიგულაშვილმა სახაზინო ქონება მოიკითხა. როცა ისინი ამ საქმის თადარიგში იყვნენ გართული, მათთან მივიდა ფინანსთა მინისტრი კოწია კანდელაკი, რომელსაც თან ახლდა ბეკი — თბილისის ხაზინის გამგე. ქუთაისის ხაზინის გამგემ მათ უჩვენა რამდენიმე ყუთი და უთხრა:

— გელათის მონასტრიდან გაახლეს, მიტროპოლიტ ნაზარის მიერ დანიშნულმა ეკლესიის წარმომადგენლებმა მოიტანეს ამ რამდენიმე ღლის წინათ. ველით თქვენს განკარგულებას!

— ხომ არ გადავიჩვენებთ?

— ვერ მოვასწარი, აქ იმდენმა სამუშაომ მოიყარა თავი, ვერ ავუთავდით. კანდელაკმა ექვთიმეს გახედა, სამუ-



ზეუმო განძეულის დათვალიერებით
რომ იყო გართული.

— ბატონო ექვთიმე, ისევ თქვენ უნდა შეგაწუხოთ, სხვა გზა არა მაქვს.

— რა გნებავეთ?

— უნდა დაგვეხმარო გელათის მონასტრის ნივთების გადარჩევაში. რაც სამუზეუმოა, წასაღებად გავამზადოთ, ხოლო, რაც საეკლესიოა, სიით ჩავაბაროთ ეკლესიის წარმომადგენლებს.

ექვთიმე უყოყმანოდ შეუდგა მუშაობას. პროფესორს უარესად მომქანცველი სამუშაოები ელოდა წინ. ქუთაისის ხაზინაში დიდძალი ქონება იყო დაგროვილი, — ხაზინისა, მუზეუმებისა და ეკლესიებისა.

ექვთიმემ ხაზინის მოხელეებთან და ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად რამდენიმე დღე დაძაბულად იმუშავა, ვადაარჩია და დაახარისხა როგორც სამუზეუმო, ისე საეკლესიო განძეული და ცხრა მარტს, როცა გადარჩეულ ნივთებს ყუთებში ალაგებდნენ და ბეჭდავდნენ, ხაზინაში კოწია კანდელაკი შემოიჭრა.

— ახალი ამბავი უნდა გაუწყოთ! მეტერთმეტე არმიის ნაწილებმა მამისონის უღელტეხილი გადმოლახეს და რაჰის გზით ქუთაისისაკენ მოიწევეს; თბილისიდან წამოსული წითელარმიელთა დაჯგუფება კი წიფის გვირაბს გამოსცდა. ასე, რომ სულ მალე ქუთაისი წითლების ხელში იქნება. ნაბრძანებია ხვალვე დაგტოვოთ ქუთაისი და ბათუმის მიმართულებით დაეხიოთ. ხაზინის მთელი ქონება და სამუზეუმო განძეული ამაღამვე უნდა გადავიტანოთ რკინიგზის სადგურზე, რომ ხვალ გამთენიისას ბათუმისაკენ დავიძრაო!

— ხომ არ მოასწავებს ეს ემიგრაციაში წასვლის დასაწყისს? — იკითხა ყუთზე ჩამომჯდარმა და ყურებჩამოყრილმა ექვთიმემ, რომელსაც რომელიღაც ძველი ხელნაწერი ნუსხა ეჭირა ხელში და ჩვრით მტვერს აცლიდა.

— არ არის გამორიცხული, ისე ჩანს, ბრძოლა წავაგეთ.

— ბრძოლა თუ წავაგეთ, სად მივავაქნეს ქონება, ვინ ნოუელის მას ქართულ ხალხზე უკეთესად?

— არავენ, მაგრამ რაღას იზამ, სხვა გამოსავალი არ არის. ახლა მენშევიკური მთავრობა წითელი არმიის ნაწილებს ხელთ რომ ჩაუვარდეს, ლუკმა-ლუკმად აქნის.

— მთავრობა წაბრძანდეს, ბატონო, მაგრამ განძეულს რაღას ემართლებიან, იყოს აქ, სახელმწიფო ხაზინის შენობაში.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს მენშევიკურ მთავრობასთან არაფერი გქონდეთ საერთო! მაშინ რაღას მოდიოდი ქუთაისში, დარჩენილიყავი იქ, თბილისში, სადაც ახლა საბჭოთა ხელისუფლების დროა ფრიალებს.

— მე ქუთაისში არც მენშევიკების სიყვარულს ჩამოუწყვანივარ და არც ბოლშევიკებისას, როგორც არქეოლოგი, წამოსული ვარ საქართველოს განძეულის დარაჯად.

— დიახ, ამ განძეულს სჭირდება ახლა ყველაზე მეტი პატრონობა და ვინ უნდა უპატრონოს მას თუ არა ისევ თქვენ?!

— მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ხმ განძეულს ბოლომდე შევინარჩუნებთ, ამიტომ ნუ დავძრავთ მას ადგილიდან.

— განძეულის ევაკუაცია დამფუძნებელი კრების დადგენილებაა, რომლის წევრებიც ჩვენ ორივენი ვართ. ერთი-ორვენულად ამ დადგენილების შეცვლა არც ერთ ჩვენგანს არ ძალუძს. მაშ ასე, მოგწონთ თუ არ მოგწონთ ეს დადგენილება, სხვა გზა არ არსებობს, ბრძანება უნდა შესრულდეს. ხვალ დილით ხაზინით და განძეულით დატვირთული მატარებელი დაიძრება ბათუმის მიმართულებით. შესრულებას ვავალბ ჩემს თანაშემწეს იოსებ ელიგულაშვილს და პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილს!

ელიზბარ უნილავა
ბანძეულის ზუსაბი



და ოთხმოცდამეთვრამეტე ბრიგადის შეესება და მისი მომარაგება

მეთერთმეტე არმიის ნაწილებს რთულ პირობებში მოუხდათ მამისონის უღელტეხილის გადალახვა. სერგეი მირონის ძე კიროვმა სამ მეტრამდე სიღრმის თოვლში მოაწყო აჯანყებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად მამისონის უღელტეხილით მეთერთმეტე არმიის ოცდამეცამეტე მსროლელი დივიზიის ოთხმოცდამეთვრამეტე ცხენოსანი ბრიგადის ლაშქრობა.

ჩრდილოეთ კავკასიის ქედის გადმოლახვის გეგმა გულდასმით და ორგანიზებულად მომზადდა. შეიქმნა სპეციალური სამხედრო ჯგუფი, რომელშიც შედიოდა მეთერთმეტე არმიის ოცდამეცამეტე მსროლელი დივიზიის ოთხმოცდამეთვრამეტე მსროლელი ბრიგადის ოთხი ლეგიონი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის და რაჭა-ლეჩხუმის პარტიზანული რაზმები. ეს სამხედრო ჯგუფი უნდა გადასულიყო კავკასიის ქედზე რაჭა-ლეჩხუმის მხრიდან და ზურგიდან მოულოდნელად უნდა დაერთა ქუთაისში განლაგებული მენშევიკების ჯარის ნაწილებისათვის, რათა აეძღლებინა ქუთაისში გადასული მენშევიკების მთავრობა და მისი შეიარაღებული ძალები შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და მოეხდინათ კაპიტულაცია.

მამისონის უღელტეხილზე ვასაგზაენი სამხედრო ნაწილები და პარტიზანული რაზმები თერგის ოლქის სამხედრო სარდალ სმირნოვთან და მეთერთმეტე არმიის ოცდამეცამეტე დივიზიის მეთაურ მუსენლიკოვთან ერთად დაკომპლექტდა.

ქლუხორში შეიკრიბა მამისონის უღელტეხილის აზლო-მასლო მდებარე რაიონების პარტიული აქტივი. მათ წინასწარ დაათვალიერეს გზები, სადაც უნდა გაეგლო სამხედრო ნაწილებს და პარტიზანულ რაზმებს.

ოთხმოცდამეთვრამეტე ბრიგადა თვრამეტე თებერვალს ალაგირის რაიონში შევიდა, სადაც მას შეუერთდნენ როგორც წითელი არმიის ნაწილები, ისე პარტიზანული რაზმები. აქვე დამთავრ-

ოცდაოთხ თებერვალს მეთერთმეტე არმიის ოთხმოცდამეთვრამეტე ბრიგადის ნაწილებმა პარტიზანულ რაზმებთან ერთად დაიწყეს ლაშქრობა მამისონის უღელტეხილზე გადასასვლელად. მათ გზების გაწმენდაში, კავშირგაბმულობის მოწყობაში, სურსათით მომარაგებაში, ბინების გამოყოფაში და მეგზურობით სისტემატურ დახმარებას უწევდა ადგილობრივი მოსახლეობა.

ოცდაექვს თებერვალს, თოვსა და ყინვაში ოთხმოცდამეთვრამეტე ბრიგადის ნაწილებმა და პარტიზანულმა რაზმებმა გადალახეს მამისონის უღელტეხილი და სოფელ გლოლაში დაბანაკდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა მათ. შეიქმნა რეკომი, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა ქვემო რაჭის სოფლებში.

წითელი არმიის მებრძოლები მამისონის უღელტეხილის გმირული დალაშქვრით დაეხმარნენ რაჭა-ლეჩხუმის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში და იეროშით დაიძრნენ ქუთაისისაკენ, სადაც თბილისიდან გაქცეული მენშევიკური მთავრობა აფარებდა თავს.

ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან წითელი არმიის ნაწილების ლეგენდარული ლაშქრობით თავზარდაცემული მენშევიკების მთავრობა იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ქუთაისი და ბათუმში გაქცეულიყო.

ქუთაისიდან გაქცევის წინ მენშევიკებმა ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან ბათუმის ციხეში გაგზავნეს ბოლშევიკების ერთი ჯგუფი სამასი კაცის რაოდენობით. ამ ჯგუფს მიჰყვებოდა სერგო ქავთარაძე და შეინმანი — საბჭოთა რუსეთის საქართველოს საელჩოს ყოფილი მესვეურები. თბილისის მილიციის ყოფილმა უფროსმა ვლადიმერ სულაქველიძემ, სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა პლატონ ფაჩულიამ, თბილი-



სის ყოფილმა ქალაქისთავმა, ამჯერად შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბენიამინ ჩხიკვიშვილმა კედიას რაზმებთან ერთად სასტიკად აწამეს ის ბოლშევიკები, რომლებმაც უარი თქვეს ბათუმში წასვლაზე. ამ წამების მსხვერპლი შეიქნა პროფესიონალური რევოლუციონერები პავლე მარდალავიშვილი და ნიკოლოზ ივანოვი. ეს ორი რევოლუციონერი ცხრაასთვრამეტ წელს ბოლშევიკების მებრძოლ ჯგუფში მუშაობის დროს დამეგობრებულნიყვნენ. მენშევიკების მთავრობის ევაკუაციის დროს მეტეხის ციხეში ეტაპით ქუთაისში გადმოყვანილები საგუბერნიო ციხის საკანშიც ერთად მოხვდნენ. როცა ევაკუაცია დაიწყო, მარდალავიშვილმა განაცხადა:

— მე არსად წამსვლელი არა ვარ. თქვენ გინდათ საზღვარგარეთ გაიპაროთ ქურდულად, ხოლო ჩვენი თავი თურქ ასკერებს მიუვდოთ საჯიჯნად. იცოდეთ, ეს ვერაგობა არ შეგარჩებათ!

— შენს თავს თურქ ასკერებს კი არ მიუვადებთ, აქვე ავაგებთ ხიშტზე და მერე ცეცხლს წაუეციდებთ!

— ვინ მოგცათ ამის ძალა და გამბედაობა თქვე ლაჩრებო, მთხოვრებო, სამშობლოს გამყიდველებო! — ძალას იკრებდა მარდალავიშვილი, რომელსაც ორი პოლიციელი ბორკილს უყრიდა ხელ-ფეხზე.

— მოშორდით აქაურობას, თქვე არამხადებო და ძალთაპირებო! — ამაზრუნენ ხმით იყვირა ივანოვმა და ერთ-ერთ პოლიციელს წიხლი ჰკრა მუცელში. პოლიციელმა წაიბორძიკა, მაგრამ როგორც იყო, თავი შეიმაგრა, ფიცხლად შემობრუნდა ივანოვისაკენ და ზედიზედ ორჯერ თოფის კონდახი ჩასცხო გადაპარსულ თავში. ივანოვს თავის ქალა ჩაუტყდა და გასისხლიანებული ქვის ტალანზე ჩაიეცეკა.

— ფუი შენს კაცობას, უიარაღო კაცზე ძალას რამ ხმარობ! — მთელი ხმით იყვირა ოფლში გაღვართულმა მარდალავიშვილმა და თმაგაბურძგენილ მილი-

ციელს სახეში შეაფურთხა, ხელბეგა კოკილმა რაკი სხვა ვერაფერი მოახერხა. ერთ მთაგანსაც კარგა ღონიერად მოქნეული პანდური ამოჰკრა.

შემობრუნდა პოლიციელი, წირპლიანი თვალები დაუბრიალა და ცემით სულმიხდილ მარდალავიშვილს გულმკერდის არეში ხიშტი გაუყარა. მენშევიკების შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის უფროსმა კედიამ ფიცხელი განკარგულება გასცა ობერჯალთებს — ქუთაისის სისხლის სამართლის უფროსს ვალერიან ფიხნაიას და ქუთაისის მილიციის უფროსს სილიბისტრო მანდარაძეს მკვდრები დაუყოვნებლივ წაეღოთ სალორიას ტყეში, დაესხათ ბენზინი და დაეწვათ.

ფიხნაიამ და მანდარაძემ ამ ორი რევოლუციონერის, როგორც მხეცურ წამებაში, ისე მათი ნეშტის დაწვაში დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს.

ასე ცეცხლითა და მახვილით მიიწვედნენ დამარცხებული მენშევიკები ბათუმისაკენ, უკან მიჰყვებოდნენ ხალხის რისხვა და წყევლა-კრულვა...



პატიმრები, რომლებიც პოლიციელთა ხიშტებს გადაურჩნენ, გამოიყვანეს ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან და ალყაშემორტყმული წაიყვანეს რკინიგზის ვაგზალში ბათუმის მიმართულებით საევაკუაციოდ. პატიმართა ამ ჯგუფში იყო სერგო ქავთარაძე. სულ რამდენიმე დღის წინათ მასთან საკანში გამოცხადდა მენშევიკების სამხედრო შტაბის წარმომადგენელი ჭუმბურიძე და აუწყა:

— თქვენ დაპატიმრებული ხართ ფრონტის განკარგულებით. ფრონტი კი დაიხრებით მოითხოვს სასამართლოში თქვენს გადაცემას. თუ თქვენ დანაშაულს გულწრფელად არ აღიარებთ, გაუსამართლებლად დაიხვრიტებით!

— მე არავითარი დანაშაული არ მი-

ელიზბარ შვილაძე
ბაქოშილის გზაგამი



მიძღვის, — უპასუხა ქავთარაძემ, — გარდა იმისა, რომ თანაუგრძნობ მუშათა კლასს და გლეხობას, ვარ დამშეული ხალხის ქომავი. რაც შეეხება ჩემს დახვრეტას, თქვენ თუ ამას სისრულეში მოიყვანთ, ჩემი მეგობრები მენშევიკების წარმომადგენელს მოსკოვში, გერასიმე მახარაძეს, არ მოეფერებიან.

ჭუმბურიძემ მუქარით გადააქნია თავი და გაშორდა. ამ ინციდენტს შედეგად ის მოჰყვა, რომ ქავთარაძე განცალკევებულ საკანში ჩასვეს, სადაც ძალიან ციოდა და საგანგებო დაცვა მიუჩინეს. სამხედრო შტაბმა ვერ მოასწრო ქავთარაძის მიმართ თავისი შთანაფიქრის განხორციელება და აი, ასობით სხვა პატიმართან ერთად ისიც სპეციალური მატარებლით ბათუმის გზას გაუყენეს.

ბათუმის ციხე პატარა აღმოჩნდა, იქ ყველა ვერ დაეტია, ნაწილი ფორტებზე გაგზავნეს, საიდანაც იმ დამესვე დაიწყეს პატიმრებმა გაქცევა. ქალაქში არ იყო სინათლე, სათბობი, სანოვავე, ქუჩები სიბინძურისაგან ყარდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ლტოლვილთა ტალღა მიედინებოდა ბათუმისაკენ. რეიდზე დომხალივით ერთმანეთში ირეოდნენ საზღვარგარეთის გემები და კრეისერები.

ქავთარაძეს საკანიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა. ამხანაგებისაგან გაიგო, რომ მას კითხულობდა ვინმე ტერგაბრიელიანი, რომელსაც თავი ბოლშევიკად მოჰქონდა და ქავთარაძეს იმოწმებდა.

ქავთარაძე მართლაც იცნობდა ტერგაბრიელიანს. ის გამოგზავნილი იყო მოსკოვიდან, საგარეო საქმეთა კომისარიატისაგან თბილისში — საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მითითებით — გამოეჩინათ მისდამი განსაკუთრებული მზრუნველობა და შეექმნათ ყველა პირობა დასვენებისათვის. საელჩოს წარმომადგენლებმა იგი მოათავსეს სასტუმრო „ორიანტი“¹, საუკეთესო ნომერში. გამოირკვა, რომ ტერ-

გაბრიელიანი იყო ჯაშუში, ინგლისის დაზვერვის აგენტი, რომელიც უკუშესლოდ იყო დაკავშირებული ამერიკის კონსულთან თბილისში პოლკოვნიკ სმიტთან და იგი საქართველოში ჩამოსულიყო არა ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად, ვადმოყვანილი იყო ახალ უბანზე დაზვერვის საგანგებო დავალებით.

ქავთარაძემ და მისმა მეგობრებმა მოგვიანებით ყველაფერი ეს გაიგეს, მაგრამ ვერ მოხერხდა ტერგაბრიელიანის ხელში ჩაგდება. ამჯერად ქავთარაძემ არ ისურვა ამ ბნელ პიროვნებასთან შეხვედრა.

ციხე დელავდა. დღე ერთი იყო და ათასგვარი ჭორი ვრცელდებოდა. ზოგი ამბობდა, რომ პატიმრებიდან თუ ყველას არა, ნაწილს მაინც წაიყვანენო სტამბოლში. ხანაც ამბობდნენ ციხეში მოხვედრილ ხელმძღვანელ ბოლშევიკებს გაიყვანენ ბარჯით ზღვაში და იქ დახვრეტენო, პატიმრებს საველე სასამართლო სახელდახელოდ გაუსწორდებო. დამით ციხემდე აღწევდა თოფის ხმა ზღვის მხრიდან, ვილცას ხერცტდნენ.



ბათუმისკენ მიმავალ ექვთიმეს დარდად მიჰყვებოდა ის ერთი ყუთი — სად უნდა დაკარგულიყო, რა უნდა მოსვლიდა, ვინ უზიანდრა! ხაზინაში ვინ იყო ისეთი ნაშუსტე ხელაღებული, რომ ასეთი სისაძაგლე ჩაიდინა? ან რა გამართლება აქვს ამ სიშორეზე ჩემს წასვლას, თუ ყოველ სადგურზე თითო ყუთი დავკარგე? — ფიქრობდა ექვთიმე. მას ხან მეუღლე, ხანაც თანმსლები პირები ანუგეშებდნენ, ადრე თუ გვიან, მოინახება ის ნივთებიო, მაგრამ ექვთიმეს არავისი არ სჯეროდა.

ღრმად ჩაფიქრებული ექვთიმე კაემნიანი თვალებით გაჰყურებდა გურჩის მთებს, ბავშვობიდან თვალნაჩვევ მდინარეებსა და ქალა-მინდვრებს. სადღაც შორს, თოვლიან მთაგორებს გადაღმა ილანდებოდა მისი მშობლიური სოფელი ლიხაური.



მშობლიური მიდამოების ხილვამ, ბავშვობის მოგონებამ ექვთიმეს დროებით გადაავიწყა ის წყეული ყუთი და ყველა იქ მყოფი ოზურგეთისაკენ გაახედა, სადაც გორაკებს შორის მისი მშობლიური სოფლის ოდასახლებები ჩნდებოდა და თვალს ეფარებოდა.

— უთუოდ გაგვგონებთ აჭისწყალი? — ჰკითხა ექვთიმემ ელიგულაშვილს.

— აჭისწყალი? მსმენია, როგორ არა!

— აქამდე წელიწადში ერთხელ მაინც ჩავდიოდი, დღეიდან კი არ ვიცი, საერთოდ, მეღირსება თუ არა ჩემი სოფლის ხილვა?!

— ახლობლები გყავთ?

— მხოლოდ შორეული ნათესაეები, ადრე დავობლდი. სულ პატარას გარდამეცვალა მამა — ჩოლოქის საზღვრის მცველი — რუსეთის არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი ზფიცერი. ოჯახის მთელი სიმძიმე დედაჩემს — მკავანეთელი ნაკაშიძის ქალს დააწვა მხრებზე. ჯერ კიდევ ყმაწვილობაში დაქვრივებული დედა დიდ მზრუნველობას იჩენდა ოჯახისა და შვილებისადმი. მე, როგორც დაძმებში ყველაზე უმცროსს და ფეხმტკივანს, დედა განსაკუთრებული მზრუნველობით მეპყრობოდა. ხშირად მეტყობდნენ ხოლმე, დედა რომ ცოცხალი გყოლოდა, უსწავლელი დარჩებოდიო, ისე უყვარდი, ერთ წუთს თვალებიდან არ გიშორებდაო. ხუთიოდე წლისა ძლივს ვიქნებოდი, როცა დედა გარდამეცვალა. ახლაც მახსოვს შემოდგომის ის ავღრიანი ღამე, როცა ვილაყეებმა გამაღვიძეს, ძალით მომაშორეს დედას მტირალი და ანთებული ბუხრის წინ დამსვეს.

გარეთ ქალები გაჰკიოდნენ. ზოგიერთი მათგანი თმაგაშლილი, სახედაკაწრული შემოვარდებოდა და მოსთქვამდა — ვაი, უბედურებო, დედა აღარა გყავთ, ობლებად დარჩით, რა გეშველებათო!

ერთი ძალი გვყავდა, „ვარღიას“ ექდახდით, ის ჩვენთან იჯდა ბუხრის წინ, როდესაც ავღებოდით და აივანზე გა-

მოვიდოდით ხოლმე, ისიც გამოგვეყვებოდა, შემოვიდოდით, შემოგვეყვებოდა. ტირილი რომ მინელდა, მე ბებიაჩემმა მომიალერსა, წამიყვანა თავის სახლში და თავისსავე ლოგინში დამაწვინა.

დედის სიკვდილის შემდეგ ბებიასთან ვიზრდებოდი. ბებია საჯავახოელი შარაშიძის ქალი, ჩემი დაობლების დროს ღრმად მოხუცებული იყო, მაგრამ მაინც დიდ მზრუნველობას იჩენდა ჩემზე.

სამი წლისა არ ვიქნებოდი, როცა ფეხი მოვიტეხე, ხიდან ჩამოვარდი, დროულად კარგი ექიმობა ვერ ჩამიტარეს და სამუდამოდ დავკოჭლდი. როდესაც თანატოლებს გაეჯავრებდი, ისინი კოჭლაბუხას მეძახდნენ. ხშირად დავყვებოდი უფროსებს აჭისწყალზე სათევზაოდ, სადაც უხვად ვიპყრდიო კალმახებს. შვიდი წლისა ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შემიყვანეს. ეს დღე განსაკუთრებით საზეიმო იყო ჩემს ცხოვრებაში. მაშინვე შემიკერა ახალუხი, მაუდის ჩოხა, მიყიდა წალები, ჩოხისათვის საქლე არ გაუყეტებიათ და ხუმრობით დიაკვანს მეძახდნენ.

ამ სკოლაში მაშინ მასწავლებლობდა დეკანოზი სიმონ ქიქოძე — გაბრიელ ებისკოპოზის ძმა, რომელიც საღმრთო სჯულს გვასწავლიდა. დღესაც მახსოვს კირილე ლორთქიფანიძის თაოსნობით გამოცემული მშვენიერი კრებული „ჩონგური“, საიდანაც სიმონ ქიქოძე გვასწავლიდა ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა ქართველ კლასიკოსთა ლექსებს. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ჩინებულმა პედაგოგმა იოსებ თაყაიშვილმა.

სწორედ ოზურგეთის სასწავლებელში, ჯერ კიდევ პატარები დავუახლოვდით ერთმანეთს მე და ნიკო მარი. შემდეგ კი ეს ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. ჩვენ ერთად ვსწავლობდით ქუთაისის გიმნაზიაში და აქვე გა-

ელიზაბა უხილავა
განმეულის გუშაგი



გვიტაცა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა იდეებმა.

შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტი. ცნობილი მეცნიერების: ლამანსკის, ვასილევსკისა და ვესელოვსკის ლექციები. აქვე გავეცანი ვაჟა-ფშაველას — უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელს. იგი ქართველ სტუდენტთა სათვისტომო სხდომებზეც მრავალჯერ შემხვედრია. ვაჟამ ზეპირად იცოდა თითქმის მთელი ფშავ-ხევსურული ხალხური პოეზია, ამას მიმატებული მის მიერ შეთხზული ლექსები. ვაჟასთან სიახლოვე მუდამ დიდ სულიერ და მორალურ კმაყოფილებას მაგრძნობინებდა.

პეტერბურგიდან ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით გამოვწიე საქართველოსკენ.

სამშობლოში დაბრუნებულს, ხან მასწავლებელს, ხან უნივერსიტეტის ლექტორს, უდიდესი სიხარული მარგუნა პროფესორ დიმიტრი ბაქრაძის ახლო გაცნობამ, რომლის წინამძღოლობითაც შევეუდექი საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შეკრება-დამუშავებას და გამოქვეყნებას. პირველად დიმიტრი ბაქრაძესთან და თედო ჟორდანიასთან ერთად, ხოლო შემდეგ თითქმის მარტო, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ვეწეოდი დიდ შრომას ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიძველეთა შესწავლის და მათი თბილისში ჩამოტანა-დაბინავებისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ თქვენ, ალბათ მიიხედვებით, რა გუნებაზე ვიქნები მე, როცა ასე წვითა და დაგვით შეგროვილ განძეულს საშიშროება დაემუქრა. მე ერთგვარ კმაყოფილებას მგვრის ამ ნივთებთან ახლო ყოფნა. ამ ნივთებთან ერთად ჯანდაბაში რომ ვამგზავნონ, უარს არ ვიტყვი, ოღონდ ვიღაც სულმდაბალმა სიგლახე ჩაიდინა, ძვირფასი ნივთები მოგვპარა. ამის შერიგება შეუძლებელია! ქურდი უნდა მოინახოს! — ექვთიმეს კვლავ მღელვარება დაეუფლა. კუპეში უხერხული დუმილი ჩამოვარდა...

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაადრწმუნებულ ვიქნა. თუმში. ოთხი დღე ვაგონში ცნობილნი დნენ და განძეულს ცლიდნენ. მხოლოდ მეხუთე დღეს მიეცათ საშუალება მთელი ეს ნივთები ბორჯომიდან, დიდი მთავრების სასახლიდან, სულ ბოლო დროს ჩამოტანილ ნივთებთან ერთად სამხედრო კრეისერ „ერნესტ რენანში“ გადაეტანათ. კრეისერზე თაყაიშვილი და ელიგულაშვილი არ აუშვეს, რადგან კაპიტნის თქმით, გემს შავი ზღვის რაიონში უხდებოდა სამხედრო ოპერაციები და იქ სამოქალაქო პირების ყოფნა არ შეიძლებოდა.

ექვთიმემ ნოე ჟორდანიას მიმართა. მან თავის მხრივ შევალის თხოვა ელიგულაშვილისა და თაყაიშვილისათვის სამხედრო კრეისერით მგზავრობის ნება დაერთოთ. შევალზე დახმარებას დაპირდა განძეულის მეგზურებს. თაყაიშვილი და ელიგულაშვილი კმაყოფილნი დაბრუნდნენ სასტუმროში და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად მოსვენების ადამიანურად.



რა ხდებოდა ამ დროს თბილისში? ოცდაოთხ თებერვალს, როცა მენშევიკური მთავრობა თბილისიდან გაიქცა, წითელი არმიის ნაწილები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ ახლომახლო. ქალაქი უხელი-სუფლებლოდ დარჩა. ნაციონალისტ-ფედერალისტთა მემარცხენე ფრთის წარმომადგენელმა ლევან მეტრეველმა, პრეტმა პაოლო იაშვილმა და ბოლშევიკმა გიორგი ვაშაძემ შეადგინეს წესრიგის კომიტეტი. ამ კომიტეტის წევრები, მშრომელებთან ერთად, პირველნი მიგსალმნენ მეორე დღეს თბილისში ტრიუმფალური მარშით შემოსილ წითელ არმიას და აჯანყებულთა რაზმებს. თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა. ეს სასიხარულო ცნობა იმავე დღეს სერგო ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა მოსკოვში ლენინსა და სტალინს.

არ გამართლდა მენშევიკების აგიტა-

ცია, თითქოს ბოლშევიკების ჯარი იყო ბარბაროსული, მშვიერი, ტიტველი. ხალხმა სრულიად საწინააღმდეგო დანახა. თუ რამდენად ჰუმანური იყო ბოლშევიკების ახალი მთავრობა, ნათელი გახდა საქართველოს რევკომის პირველი დეკრეტიდან ამნისტიის შესახებ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღესვე რომ გამოქვეყნდა მამია ორახელაშვილის ხელმოწერით.

„საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური მთავრობა, — იუწყებოდა დეკრეტი, — მოკლებული შურისძიების ყოველგვარ გრძნობას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელნიც თითქმის სამი წლის განმავლობაში ახშობდნენ მშრომელთა ყოველივე მისწრაფებას, მიმართულს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ და რომელნიც გააფთვრებით სდევნიდნენ მუშებისა და გლეხების კომუნისტურ პარტიას ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის ხელისუფლების მთელი აპარატის საშუალებით — ადგენს: გამოცხადდეს ამნისტია ყველა იმ პოლიტიკური პარტიისა, ჯგუფისა და პირისა, რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

დეკრეტი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა“.

დასავლეთ საქართველოში გადახვეწილმა მენშევიკურმა მთავრობამ ეს ამნისტია ხალხს დაუშალა. ვინაიდან მენშევიკური მთავრობა იარაღს არ ჰყრიდა და კვლავ გააფთვებული ებრძოდა ბოლშევიკების ჯარებს, საქართველოს რევკომი იძულებული გახდა მშრომელებისათვის მოეწოდებინა: „ბრძოლა ჩამოვდებულნი, მაგრამ არ დამორჩილებული საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ უნდა გაგრძელდეს შეუუსტებელი ენერჯით“. და მართლაც, ხალხმა ერთიანად აუბა მხარი რევკომსა და წითელ არმიას — მენშევიკური მთავრობის საბოლოო ლი-

კვიდაციისათვის ბრძოლაში. ძველის დრომოკმულის აღგვისა და ახალის, პროგრესულის დამკვიდრებისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში ბოლშევიკებს მხარში ამოუდგა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მემარცხენე ფრთა და მისი დროებითი მთავარი კომიტეტი თედო ღლონტის, შალვა ნუცუბიძის და სხვა პროგრესული მოღვაწეების შემადგენლობით. რევკომისა და დროებითი კომიტეტის შეერთებული ძალებით გაჩაღდა მუშაობა რესპუბლიკის საბჭოურ ყაიდაზე ვარდაქმნისა და საბჭოთა რუსეთთან კავშირის განმტკიცებისათვის. სადღესო ამოცანად იქნა მიჩნეული ბათუმში საგანგებო დელეგაციის გაგზავნა, რათა დაშინებული და კონსტანტინეპოლში გასაქცევად გამზადებული ხალხისათვის განემართა საქართველოს რევკომის ამნისტია და იგი დაუყოვნებლივ უკან დაებრუნებინათ.

დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა თედო ღლონტი და გერონტი ქიქოძე, ორ მარტს თბილისიდან გავიდა. ვინაიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყვეტილი იყო, დელეგაციას ძირითადად ქვეითად მოუხდა მოგზაურობა. აფეთქებული ხიდები, ყუმბარებით გადათხრილი შარა-გზები, იავარქმნილი სოფლები, — აი როგორი, ნახევრად მტრული, ხიფათიანი და გარსხრებულ-გაჩანაგებული ტრასის გადალახვა მოუხდა დელეგაციას მარტის ქირვეულ ამინდში. ამიტომაც თბილისიდან ბათუმამდე მგზავრობას დელეგაცია თითქმის ორი კვირა მოუხდა. ორ მარტს თბილისიდან გასულები თოთხმეტ მარტს ჩავიდნენ ბათუმში.

ბათუმი — ერთ დროს შავი ზღვის სანაპიროს მშვენიება და სიამაყე, ბაბილონის გოდოლს დამსგავსებოდა. რომ იტყვიან, ძალი პატრონს არ სცნობს, სწორედ ახლანდელ ბათუმზე შეიძლება ოდა თქმულიყო. ტალახით მოსვრილ

ელიზაბა უხილავა
ბანძოლის ბუზაბი



ბნელ ქუჩებში უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა ლტოლვილთა დამშულო ბრბო. ნავსადგურზე ბუზებივით ირეოდნენ საქართველოსა და საზღვარგარეთის გემები, სამხედრო კრეისერები, ტყვიამფრქვევებიანი ნაგები თუ კატერები. მეწვევიკური მთავრობის ნებართვით თურქეთიდან შემოსული და მისი თბილი მოპყრობით განებივრებული ქემალისტები აბუჩად იგდებდნენ ისედაც გაწამებულ და დაშინებულ მოსახლეობას. გენერალი ქიაზიმ-ბეი თავისი ადიუტანტებით თამამად დააბიჯებდა ქალაქში და ოცნებობდა იმ დღეზე, როცა აჭარა მის დიქტატს დაემორჩილებოდა. თურქ ასკერებსა და ბოლშევიკურად განწყობილ ჯარებს შორის ხან აქ, ხან იქ, იმართებოდა შეტაკებები, იყო სროლა, უაზროდ იხოცებოდა ახალგაზრდობი. გამკითხავი კი არავინ იყო!..

ექვთიმე თაყაიშვილს შიშის კანკალი ჰქონდა ავარდნილი, ამ არეულობაში განძეული თურქ ასკერებს არ გაეტაცნათ და თბილისიდან დელეგაციის ჩამოსვლა რომ გაიგო, იმედი მიეცა, იქნებ ნოე ჟორდანიას და მის თანამზრახველებს ახლა მაინც დაებრუნებინათ უკან ეს სიმდიდრე. ექვთიმე კარგად იცნობდა ღლონტსაც და ქიქოძესაც, იცოდა ისიც, რომ ისინი ისევე, როგორც ბევრი წინდახედული ქართველი, წინააღმდეგნი იყვნენ განძეულის თბილისიდან წამოღებისა. ექვთიმემ გადაწყვიტა ერჩია დელეგაციისათვის განძეულის თბილისში დაბრუნების საკითხზე მოლაპარაკებოდა ჟორდანიას მთავრობას, მაგრამ თავისი ჩანაფიქრი ელიგულაშვილს რომ გაუზიარა, მან უარი თქვა. ჯერ ერთი, — უთხრა ელიგულაშვილმა, — დელეგაცია სულ სხვა საკითხზეა ჩამოსული და განძეულის დაბრუნებაზე მოლაპარაკება რომ დაიწყოს, ყველა მიხვდება, რომ ამაში ჩვენი ხელი ურევია. ამათ კი, შესაძლოა, ჟორდანიას მთავრობა ჩვენს წინააღმდეგ განაწყოს და განძეულის მეგზურობას ჩამოგვაშორონ. მაშინ კი მშვიდობით განძეულო, მართლა არ არ-

ის გამორიცხული, სამუდამოდ დანგრეობის ჩვენი ერის მთელი ეს ავლა-დიდება!

ექვთიმეს ენიშნა ელიგულაშვილის ნათქვამი და ქართველი დელეგაციისათვის განძეულის თაობაზე გარდა სინანულისა, ოფიციალურად არაფერი უთქვამს.

დელეგაცია შეხვდა ჟორდანიას და მისი მთავრობის წევრებს მატარებლის სალონ-ვაგონში. მათ ერთობლივად შეიმუშავეს ლტოლვილთა უკან დაბრუნების ზოგიერთი ღონისძიება.

როცა ღლონტმა და ქიქოძემ გაკვირვება გამოსთქვეს ქემალისტების ჯარის სიმრავლეზე, ჟორდანიამ პორტფელში რაღაც ქაღალდები მოჩხრიკა და ერთი მათგანი მათ წინ დაუდო. ეს იყო რვა მარტის თარიღით თბილისიდან გამოგზავნილი საქართველოს რევკომის რადიოგრამა, რომელიც იუწყებოდა: „ახლა, როდესაც საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ჯარებმა გადალახეს სურამის ქედი, მამისონის უღელტეხილი, სამურზაყანოს საზღვარი და მიუახლოვდნენ ქუთაისს — თქვენს უკანასკნელ თავშესაფარს, აშკარა უნდა იყოს თქვენთვის, რომ თქვენი საქმე წაგებულა. ომის გაგრძელებას არა აქვს არავითარი მიზანი... წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ საომარი მოქმედება...“

ჩაიკითხა თუ არა რადიოგრამა ბლომდე, ღლონტმა ჟორდანიას შეხვდა. ის კი სალონ-ვაგონის ფანჯრიდან სევდიანად გააჟურებდა მარტის ჭირვეულობით აფორიაქებულ ქალაქს. სალონ-ვაგონში მყოფთაგან კარგახანს არავის ხმა არ ამოუღია. სიჩუმე კვლავ ჟორდანიამ დაარღვია.

— ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, — ძალისთვის ძალა უნდა დაგვეპირისპირებინა... ახლა კი, როცა კედელზე მიგვაყენეს, შესაძლოა მართლაც დადგადრო მოლაპარაკებისა და საომარი მოქმედების შეწყვეტისა... ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე...



— თანახმანი ვართ, ოღონდ როდის?
 — რაც შეიძლება ჩქარა, თუნდაც...

მომდევნო დღეებში მოვლენათა განვითარება სწრაფად წარიმართა. თბილისამდე აღწევდა ახალ-ახალი ცნობები ბათუმში თურქეთის დაპყრობითს გეგმებზე და ქართველი მენშევიკების ხან ორჟოფულ, ხანაც აშკარა გამცემლურ პოლიტიკაზე. მამია ორახელაშვილი, ფილიპე მახარაძე და საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის მესვეურები კატეგორიულად აფრთხილებდნენ ჟორდანის მთავრობას ბათუმში არამც და არამც არ დაეთმო თურქეთისათვის. თუ ამის მაგვარი რამ მოხდებოდა, დამნაშავენი საბჭოთა კანონიერების მთელი სიმკაცრით დაისჯებოდნენ.

თექვსმეტ მარტს, ღამის თორმეტი საათიდან დილის რვა საათამდე, პირდაპირი მავთულით სწარმოებდა მოლაპარაკება ბათუმ-თბილისს შორის; ხაზზე იყო ჟორდანის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე და საქართველოს რევკომის თავმჯდომარე მამია ორახელაშვილი.

რამდენიმე დღით ადრე ამ მოლაპარაკებამდე პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს რევკომის პროტესტი მამია ორახელაშვილის ხელმოწერით. ამ პროტესტში ნათქვამი იყო: „საქართველოს ნავსადგური ბათუმში გახდა სავნად არა მარტო ინტრიგებისა, არამედ პირდაპირ დაპყრობითი სურვილებისა...“

ამჯერად კი ორახელაშვილი ეკითხებოდა ლორთქიფანიძეს:

— მართალია თუ არა ყარა-ბეჭირის ცნობა, რომ თქვენმა მთავრობამ გადასცა მის ჯარებს ბათუმში?

— არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ბათუმში, მართალია, არის ანგორის ჯარის პატარა ჯგუფი, მაგრამ ის საოკუპაციო ძალა არაა.

— თქვენ თანახმა ხართ თუ არა, გაიმართოს მოლაპარაკება ჩვენი ორივე მთავრობის წარმომადგენლებს შორის?

— საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

— ხომ არ იქნებით წინააღმდეგი ჩვენი წარმომადგენლები ერთმანეთს შეხედნენ ქუთაისში?

ბვალ.

და მართლაც ამ ორი მთავრობის წარმომადგენლებმა — მამია ორახელაშვილმა და გრიგოლ ლორთქიფანიძემ, მარტის შუა რიცხვებში, მოლაპარაკება გამართეს ქუთაისში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით. ისინი შეთანხმდნენ დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო საომარი მოქმედება. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ მენშევიკური მთავრობა „აუქმებს თავის ფრონტს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ათავისუფლებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და ხელს უწყობს რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარების ბათუმის ოლქში შესვლას, ამ ოლქის დასაქურად და დასაცავად გარეშე მტრების შემოსევისაგან“.

ბათუმის საპყრობილე, რომელშიც ბოლშევიკი პატიმრები იყვნენ გამოწყვედულნი, პანიკას მოეცვა. ყოველი პატიმარი დახვრეტას ან უსაშველო რაღაცას მოელოდა. პოლიციელთა ფეხის ხმაზე, საეჭრის გაჩახაყუნებაზე, ყოველი მათგანი ფეხზლობდა. დღე შედარებით იოლად მიდიოდნენ, დამე იყო უძილო და კოშმარებით სავსე. ზღვის მხრიდან დამე კვლავ ისმოდა სროლა. ვიღაცას კვლავ უმოწყალოდ უსწორდებოდნენ. ერთ-ერთ ასეთ ჯოჯოხეთურ ღამეს, თექვსმეტ მარტს, სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე და კარბე მოდებამდე ციხის კანცელარიაში გამოიძახეს. მოდებამდე ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო საწოლიდან წამოდგომა, ხოლო ქავთარაძე და ტოროშელიძე წავიდნენ. ციხის უფროსის კანტორაში მათ დახვდა მენშევიკების ყოფილი სამხედრო მინისტრი, ბათუმის ოლქის საგანგებო რწმუნებული, გენერალ-გუბერნატორი გრიგოლ გიორგაძე.

ელიზაბარ უპილავა
 გაწმფლის ბუხავი



— შენ, როგორც ვხედავ, ჯალათის ხელობა ამჯობინე იუბრისტის პროფესიას, — გადაკვრით უთხრა ქავთარაძემ.

— არა... ოჯახს გეფიცებო... არა!

— მაშ რაშია საქმე? რისთვის გამოგვათორიეთ საკანდიდან ღამით?

— ნოე ნიკოლოზის ძეს სურს თქვენ ორთან საუბარი, — უპასუხა მან.

— იცოდეთ, თუ ეს პროვოკაციაა და დასახვრეტად გინდათ გაგვიტყუოთ, უბრალოდ არ ჩაგივლით... ამხანაგები შურს იძიებენ! — თქვა ქავთარაძემ და ტოროშელიძემაც დაუდასტურა.

— გეფიცებით ჩემს შვილებს, ნამდვილად გეუბნებით, პირადად ქორდანიამ დამავალა თქვენი გამოძახება.

ქავთარაძე და ტოროშელიძე ჩასვეს ავტომანქანაში, წაიყვანეს ჩაბნელებული ქუჩებით და ცუდ გზებზე კარავანის ჭაყყაყის შემდეგ მიიყვანეს აზიზიეს მოედანზე, სადაც იდგა პულმანის ვაგონი.

ქავთარაძე და ტოროშელიძე, როგორც კი ვაგონში ავიდნენ, ღამის ნათურის მბეჭუტავ სინათლეზე დაინახეს ქორდანი, რომელიც ტყავის დივანზე იჯდა. იქვე ახლო-მახლო იდგნენ მისი მთავრობისა და სახალხო გვარდიის შტაბის ზოგიერთი წევრი — გიგეჭკორი, ლორთქიფანიძე, ჯუღელი, დგებუაძე.

ქორდანიამ წინადადება მისცა ახალშემოსულებს დამსხდარიყვენ.

— ჩვენი მთავრობა იძულებულია დატოვოს საქართველო. ჩვენ ვერ გავუძლებთ აჯანყებულ ხალხს და საბჭოთა ჯარების შემოტევას, განთიადზე გადავალთ კრეისერზე, რომელიც გვიცდის რეიდზე. მე მოგმართავთ თქვენ, როგორც პასუხისმგებელ პარტიულ პირებს... მიიღეთ ზომები, რომ თქვენმა ჯარებმა არ დაარბიონ ხალხი და ქვეყანა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი აქ ამ მიზნით მოდიან?

— არა, მე ამას არ ვფიქრობ, რომ ისინი აქ ამ მიზნით მოდიან, მაგრამ ოპიომია, ვინც არ უნდა აწარმოებდეს მას. ის საზოგადოდ ვერ ეგუება კანონიერ-

ბას და წესრიგს. იგი ყოველთვის მტკიცედ აღიზნება და მას მუდამ უბედურება მოაქვს ხალხისათვის, ქვეყნისათვის. ჩვენ გადაწყვიტეთ ბათუმი უეჭველად შევუნარჩუნოთ საქართველოს, როგორც უნდა იყოს იგი — იქნება ის ბოლშევიკური თუ მენშევიკური. ბათუმის დაპყრობის საშინაობა არსებობს. ქემალისტების პატრულები უკვე ქალაქში დადიან და ამას ალბათ თქვენც დაინახავთ, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება საქმე გამოსწორდეს, თუ საბჭოთა ჯარები მალე შემოვლენ აქ; ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვსა და ანგორას შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელსაც მიხა ცხაკაია აწერს ხელს და რომლის ძალით ბათუმი უნდა დარჩეს საბჭოთა საქართველოს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქემალისტები ვერ გაბედავენ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ გამოსვლას. ამგვარად, ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ საბჭოთა ჯარები რაც შეიძლება ჩქარა მოვიდნენ აქ. ამისათვის საქირია, რომ სერიაოჟა ქავთარაძეც პარლამენტიორად წავიდეს საბჭოთა ჯარებისაკენ, რომლებიც აქეთ მოიწევენ, შეატყობინოს მათ აქაური საქმის მდგომარეობა და დააჩქაროს მათი აქ მოსვლა. ჩვენ ბრძანებას ვავცემთ, რომ ქართულმა ჯარებმა დაუბრკოლებლად გამოატარონ საბჭოთა ჯარები. უკვე გაგზავნეთ ლანჩხუთისაკენ ცარიელი ვაგონები წითელარმიელებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ჯარები უახლოვდებიან ბათუმს ქედას მხრიდანაც, მაგრამ ამათ შეიძლება დააგვიანდეთ, რადგან ცუდი გზები აქეთ გამოსავლელი და გარდა ამისა, ამ რაიონში თურმე ქემალისტების ნაწილები მოქმედებენ. ეს ჩვენ არ ვიცოდით და პირველად ამის თაობაზე გეკერმა შეგვატყობინა, რომელიც პირდაპირი მავთულით შეგვეკითხა, — ეს ვისი ჯარებიაო. ეტყობა, საბჭოთა კონტრდაზვერვა ჩვენზე უკეთ მუშაობს. ქემალისტების რიცხვი ქალაქში ათასხუთას კაცს არ აღემატება, ისინი შეიძლება გაძლიერდნენ, თუ არ დავასწარით...



ქავთარაძე და ტრორშელიძე, მართალია, ასობით სხვა ბოლშევიკთან ერთად კარგა ხანია ციხეში იყვნენ გამოწყვედული, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ ქემალისტები ბათუმში თვითნებურად არ შემოსულან, რომ ისინი სწორედ ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ მოიწვია ბოლშევიკური ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ როცა გენერალმა ქიაზიმ-ბეიმ მენშევიკების ჩანაფიქრს ცფვი წყალი გადასხა, ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა და დიდი ხნის წინათ განზრახული ბათუმის დაპყრობის განხორციელებას შეუდგა, განარისხდა „ქართველი ერის მამა“ და შურისძიებით აღზეგებულმა თვით ბოლშევიკებს უხმო მოლაპატე თურქების დასათრგუნავად. ამით ჟორდანიას სურდა მოლაპატე თურქეთიც დაესაჯა და ახალი ხელისუფლების შესვეურთა გულიც მოეგო. გარდა ამისა, ჟორდანიამ თქვა — ბათუმს იხსნის საბჭოთა ჯარით, მაგრამ მან ის არ თქვა, რომ ბათუმის გადასარჩენად აგრეთვე საჭიროა საბჭოთა ხელისუფლება თვით ბათუმში. ისე გამოვიდა, რომ საბჭოთა-ჯარების მოსვლამდე ბათუმის სრულუფლებიან პატრონად მენშევიკური მთავრობა უნდა დარჩენილიყო, ხოლო ტუსაღობიდან-განთავისუფლებულ ბოლშევიკებს შეეძლოთ ბათუმიდან გასულიყვნენ, გაეწიათ აგიტაცია ლტოლვილთა შორის და ყოფილიყვნენ პარლამენტორებად. მშვენიერად გრძნობდნენ ყველაფერ ამას ქავთარაძე და ტრორშელიძე, მაგრამ, ჯერ კიდევ ტუსაღებს, კამათის თავი არა ჰქონდათ და ამჯერად დუმილი არჩიეს.

შემდეგ ჟორდანია სხვა სადღეისო საკითხებს შეეხო და აღნიშნა:

— ჩვენ შევეუთანხმდით თბილისის მთავრობას ტუსაღი ბოლშევიკების ევაკუაციაზე. სერიოზი დანიშნულია საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულად და მას აქვს დავალებული, ჩაატაროს ეს ევაკუაცია. თუმცა გზა ძალიან გადატვირთულია, მაგრამ შეიძ-

ლება ხვალ საღამოსათვის მომზადდეს რამდენიმე ვაგონი.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო კიდევ ერთ საკითხს: ბათუმში ჩამოვიდა ბევრი ლტოლვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ისინი ძალიან შეშინებულნი არიან და ყველა მათგანი კონსტანტინოპოლში აპირებს გაქცევას. უნდა დააწყნაროთ ეს ხალხი, უნდა დაარწმუნოთ, რომ არავითარი საშიშროება არ მოელოთ, თუ აქ დარჩებიან. ჩვენ ვეხვეწებით, რომ დარჩნენ, მაგრამ იმდენად შეშინებული არიან, რომ არ გვიჯერო-იან.

შეშინებულ ხალხსა და საერთოდ ლტოლვილებზე, როცა ასე დაწერილებით ლაპარაკობდა ჟორდანია, ერთმანეთის დამოუკიდებლად, ერთიდაიგივეს ფიქრობდა ორივე ტუსაღი: „განა სამი წელიწადი თქვენ არ აშინებდით ხალხს ბოლშევიკური საფრთხობელათი? თქვენ არ ავრცელებდით ხმებს ბოლშევიკების ვერავობასა და ბარბაროსობაზე?“

ტრორშელიძემ ვეღარ მოითმინა ჟორდანიას ამდენი მკრებელობა და არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ უთხრა:

— ძნელია ერთი და ორი დღე ხალხი დააჯერო ბოლშევიკების სიკარგეში, როცა მენშევიკურ აგიტაციას მთელი სამი წელი მათი გინების გარდა სხვა არაფერი უკეთებია.

ქავთარაძემ კი დასძინა:

— წლობით გულდაგულ ნათესმა შხამის თესლმა თავთავები გამოისხა.

ჟორდანიას, რომელიც დივანზე ზურგით იყო მიყრდნობილი თვალდახუჭული, ტყვიასავით მოხვდა გულში ეს სიტყვები, მაგრამ ვითომ არც გაუგონია, კარგა ხანს ხმა არ ამოუღია.

სიჩუმით დრო იხელთა ჯულელმა და ქავთარაძეს ირონიულად გაეხმაურა:

— ვახსოვთ, საბჭოთა რუსეთის მისიის შენობაში ბანკეტი რომ გაუმართა შეინიშნა ჩვენს სახალხო გვარდას, ხოლო

ელიზაბარ უაილავა
ბანაძის ბუხარა

ერთი კვირის შემდეგ ეს ომი დაგვატეხა?!

ქორდანიამ უადგილოდ ჩათვალა ჯუღელის ეს „ხუმრობა“ და უხერხულობის გასაფანტავად, სენტიმენტალური ფრაზა წამოისროლა:

— იქნებ, ჩვენ აქ უკანასკნელად ველაპარაკებით ერთმანეთს, — მერე მან საუბარი გადაიტანა კრონშტადტის ამბებზე, — ბოლშევიკების საქმე ვერაა მაინცდამაინც კარგად, ტროცკი არსად ჩანს, თუმცა მისი დატყვევების შესახებ დანამდვილებით არაფერი ისმის. სამხედრო ბრძანებებს აკლია ბოლშევიკებისათვის ჩვეული რიხიანი კილო, რუსეთის დებეშების მიხედვით აჯანყებულები უკვე მოსკოვის გუბერნიაში შეიჭრნენ. თუ შავმა რეაქციამ გაიმარჯვა, — ნახევრად ხუმრობის კილოთი თქვა ქორდანიამ, — საქართველო ისევ ჩვენ უნდა გადმოგვცენ.

— თუ შავმა რეაქციამ გაიმარჯვა, მაშინ უნდა გამოეთხოვოთ საქართველოზე ოცნებასაც კი, — ისეთი კატეგორიული ტონით და რიხით თქვა ქავთარაძემ, მერე ამ თემაზე საუბარი არ გაგრძელებულა. ქორდანიას სახეზე რაღაც საოცარი გაფითრება დაეტყო. მცირეოდენი პაუზის შემდეგ მან თქვა:

— ესაა და ეს. აი, ყველაფერი ის, რაც მინდოდა მეთქვა თქვენთვის. ქორდანიას წინ გამოეჭიმა იგივე გიოჩაძე და ჰკითხა:

— სად გვიბრძანებთ წაყვანას?!

მან პატიმრებს რაღაც ცალყბად და მწარე ღიმილით შეხედა.

— ახლა იქვე, სადაც იყვნენ, ხვდებიან ეს ვაგონიც და საერთოდ ყველაფერი მათს განკარგულებაში იქნება.

ქავთარაძე და ტრორშელიძე კვლავ ციხეში დაბრუნდნენ, სადაც არავის არ ეძინა. ახალმოსულებმა პატიმრებს ახარეს რამდენიმე საათის შემდეგ თავისუფალი ვიქნებითო.

● გამთენიის ხანს მენშევიკური მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელები იტალიის ფირმის გემ „ფერენც-ჟოზეფ-მარილიში“ გადასხდნენ და საფრანგეთში გაიქცნენ. საქართველოს განძეულით დატვირთული სამხედრო კრეისერი „ერნესტ რენანი“ უფრო მოგვიანებით უნდა გასულიყო. შევლიეს პირობის თანახმად კრეისერის ეკიპაჟი თითქოს დათანხმდა ექვთიმე თაყაიშვილისა და იოსებ ელიგულაშვილის მითთან ერთად მგზავრობას, მაგრამ ეს თვალთმაქცობა აღმოჩნდა.

განძეულის მგზავრები დათქმულ დროზე ერთი საათით ადრე გამოცხადდნენ რეიდზე. კრეისერი კი კარგა ხანია გასულიყო და ზღვის ჰორიზონტზე წერტილივით მოჩანდა.

უსახლცრო იყო ექვთიმესა და მისი თანმხლები პირების აღშფოთება. მათ ერთხანს ნავსადგურის ხელისუფლებასთან იღავეს, მაგრამ რაკი არაფერი გამოუვიდათ, სცადეს კერძო გემის დაჭირავენა, რათა განძეულს უკან გამოსდგომოდნენ! როგორც იქნა, გემი მართლაც დაიჭირავეს, რომელმაც კონსტანტინოპოლისკენ აიღო კურსი.

გაგრძელება იქნება



აკრძის ცა

... მერე იდგნენ და
გელოდნენ დიდხანს,
ცა იყო სახე მზით და ხელებით,
და განათებულ სივრცეებს მიღმა
არ ჩანდა, მაგრამ
ლურჯი დღეები
გინებდნენ სანთლებს,
სანთლებს და ლოდინს
ემატებოდა თანდათან ფასი.
შენ იჯექ ყველას გულში და თრთოდი,
შენ იყავ ყველას ფიქრში და თვალწინ.
გელოდნენ ასე,
და სახელს შენსას
ხმამალა რეგდნენ მზეში და ქარში,

და შენი სუნთქვით გამთბარი ზეცა
გადადიოდა ხალხიდან ხალხში
არ გაუვლია
იმ თრთოლვას ჯერაც
და გუგუნებენ
ძლიერ და თამამ
სახელს,
რომელიც უყვართ და სჯერათ,
და ექოსავით ედება მთა-ბარს.
გელოდნენ ასე
და სახელს შენსას
იმეორებდნენ მზეში და ქარში
და შენი სუნთქვით გამთბარი ზეცა
მიირწეოდა ხალხიდან ხალხში.

ზურაბ ქართლელი

ღათა თუთაშხია

საბრალო,
როგორც თბოლი ბავშვი,
უმწუო,
როგორც კაცი შიშველი...
მიდიხარ —
ტყვიით დაჭრილი თავში
და ვერაფერი
ვეღარ
გიშველის!

ზღვისკენ!
ფსკერისკენ! —
მთელი არსებით. —
არ დაიჩაგროს
თვით მამის მკვლელი!..
და მარად,
მარად შენთან დარჩება,
ძალა —
წყვილიადის შემანგრეველი!

საუკუნოვან ქარვაში მწერი
არ იცვლის იერს.
შემოსწვევითობის ადევს ელფერი
ზღაპარს მიწიერ, —

წამმა აჩუქა უკვდავება
სუსტ ეფემერიდს,
წამმა... რომელსაც ეჩქარება —
გაგაცამტვეროს!

საქართველო

ანდრეი ბიტოვი

ს ა რ ი

ბიჭი გაითრია თაღქვეშ. უკვე ნახევარ საათზე მეტი გავიდა. ცხადია, რაკი ამდენი დღიგვიანა, ალბათ, აქ აღარ შემოვა. უცებ გაივლის იმ სადარბაზოს. იქნებ გაიარა კიდევ, მესამე სართულზეც ავიდა, კარიც გაუღეს და შიგ შევიდა... შეიძლება, რაკი დაუგვიანდა, იფიქრა, ამ ყინვაში, ამდენხანს არ დამელოდებო. და ალბათ, უკვე იქ ზის... ეს კი რა დღეშია?.. იქნებ, სულაც იფიქრა, ზემოთ ამომაკითხავსო. და ელოდება, მესამე სართულზე... მაგრამ იქ როგორ ავა, როცა ერთხელ ძლივს გაბედა მოსვლა და მაშინაც დამხვდურმა კაცებმა მასხრად აივღეს. თან, შეძლება ჯერ არც იყო მისული.

ბიჭი თალიდან გამოვიდა და თვალის ცეცებით გაიარა სადარბაზომდე, საიდანმე არ გამეპაროსო. შევიდა სადარბაზოში. აქედან ვეღარსად წაუვა...

აქ შედარებით თბილა. რაც მთავარია, არ უბერავს. ბიჭმა მოისრისა ცხვირი, ლოყები, შუბლი. სახეზე აღმური მოედო. უცბად წარმოიდგინა თავისი აჭარხლებული სახე და ეუხერხულა, საცაა ის უნდა მოსულიყო. ბიჭს ერცხვინებოდა ლაფლაფა ლოყები, არც თავისი ასაკით იყო წელგამართული. და იმის ვაფიქრებდაზე, რომ უბრალოდ ლაწირაკია, კიდევ უფრო მოერიდა სიწითლე.

ის კიდევ არ ჩანს. ბიჭი გულის ფან-

ცქალით შესცქერის კარს, ჰგონია, პადაპა, შემოაღებსო. მაგრამ ხან ვილაც სხვა შემოდიოდა. ხან, სულაც, ელანდებოდა. ის კი არ ჩანდა.

ბიჭი ეგვემა შეიპყრო, ამასობაში, იქნებ სადარბაზოს ჩაუარა და თაღქვეშ მელოდებო. ეს კი აქ ჩათბუნებულა. უცებ გამოვარდა სადარბაზოდან და თაღთან მიიბრინა. არავინ დახვდა. ისევ ახალი ეჭვი მრეძალა. ხომ შეიძლება, სწორედ ამ წუთას შესულიყო სადარბაზოში, ერთმანეთს აცდენოდნენ... სასწრაფოდ გატრიალდა უკან. სადარბაზოშიც არავინ დახვედრია. ბიჭი დადგა სადარბაზოს შუშვიანი კარის უკან და იქით მიიპყრო მზერა, საიდანაც ის უნდა გამოჩენილიყო, თან თაღის შესასვლელიც მოჩანდა აქედან. წამით კობისკენ მიიხედა, ვილაც ჩამოდიოდა. ისევ მოეჩვენა, თითქოს სწორედ ამ მომენტში ჩაუარა მან სადარბაზოს. ნუთუ გამოეპარა? კიბეზე ზონზროხა ბერიკაცი მობაჯბაჯებდა. შუშვიანი კართან რომ ვილაცამ გაიეღვა, ნამდვილად ის იყო. ბიჭმა ისევ მიიბრინა თაღთან. კვლავ არავინ დახვდა. და კვლავ იმედგაცრუებული დაბრუნდა უკან.

არა. ასეთი ბავშვური საქციელი არ მეპატიება, ფიქრობდა ბიჭი. კაცმა წინასწარ უნდა მოისაზროს ყველაფერი, აწონ-დაწონოს, ასე კი არ უნდა აცებ-



დეს და გადაირიოს. ორმოცი წუთი გავიდა. ცხადია, თაღთან უკვე აღარ მოვა. ანდა ორში ერთი: შესაძლოა, სანამ მე აქ დავეწინწალებ, უკვე მოვიდა და ოთახში ზის, მესამე სართულზე, ან იქნებ ჯერაც არ მოსულა. თუ ასეა, მაშინ ისევ აქ უნდა დაელოდოს, კიბესთან. რომ ვთქვათ, რა აუცილებელია, მაინცდამაინც სადარბაზოს კართან ყურყუტი. ასე გვიან თაღისკენ აღარც წავა. ჯობს ისევ მესამე სართულზე ავიდეს და ბატარეასთან ვათბეს. რა თქმა უნდა, ასე აჯობებს.

ბიჭი რიხით ავიდა მესამე სართულზე. ბატარეაზე ხელები ვაითბო. დანჯარის მინაში თავისთავი შენიშნა. ქული მოიხადა, თმა გადაიფარცხნა და ისევ დაუხურა ქული. კაშნეც გაისწორა. სახე აღარ უხურდა. ბატარეაზე ჩამოვდა. ჩიბიდან დინჯად ამოიღო სიგარეტი და მოუკიდა. თავბრუ დაეხვა. ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა. სულ ცოტა ხანია, რაც სიგარეტის მოწვევა ისწავლა. თამბაქოს ბოლს ხან ნესტოებიდან უშვებს, ხან პირიდან. თან აკვირდება, როგორებიც გამოშვება სწავლია...

ქვემოთ, სადარბაზოს კარი გაჯახუნდა. ბიჭი შეერთა. ისევ შეისწორა კაშნე. ისევ წამოწითლდა, სრულიად უადგილოდ. გულმა ბაგაბუგი დაუწყო. უმაღლესი შეიცნო, ფეხის ხმით, რომ ის არ იყო. ვიღაც მოხუცი ქალი შემოვიდა. ბიჭს რაღაცნაირად შემოუარა, თავით ფეხამდე შეათვალიერა და თვალმოუშორებლად განაგრძო გზა. თან, როგორც კი დროს იხელთებდა, მაშინვე მოტრიალდებოდა, გვეგონებოდა საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნავსო. ამასობაში ზურგით მიადგა ერთ-ერთ კარს, რომელიც ბიჭის სათვალთვალ კარს ემიჯნებოდა. თვალაცეცებულმა დედაბერმა გასაღები გადაატრიალა და ოდნავ შეაღო კარი, ისე რომ ძლივს გაძვრა ღრიჭოში. შესვლისთანავე მოიჯახუნა კარი და შიგნიდან ჯაჭვი და რაზა აჩხაკუნდა.

ბიჭმა საათს დახედა. ათის ოცი წუთია. საათი და ოცი წუთია, უცდის. საკმაოდ გვიანია. რაღაც არ უნდა დაუჯ-

დეს, უნდა ნახოს ის, შინაც დროზე მოაგონებულა, ასე რომ დაიგვიანა. ჰგონია, მოპირდაპირე სახლში მეგობართან გადავიდა ფარგლისთვის. შინიდან გამოსვლისას ერთი კი დატუქსა დედამ, ახალ პერანგსა და ფეხსაცმელში გამოწყობილი რომ დაინახა, — მალე ამასაც ბოლოს მოულებო. ცხადია, დედა კარვა ხნის წინ დარეკავდა მეგობართან. შეიძლება ახლაც ერთმანეთს ელაპარაკება ორი დედა. ბიჭი დაბლა ჩავიდა. ჯერ თავისი ნომერი აკრიფა, მერე — მეგობრის. დიახ, ზუსტად ასეა: იქაც და იქაც წვეტილი ზარია. კიდევ გაუხარდა ტელეფონები რომ დაკავებული აღმოჩნდა. შინ ხომ ისედაც მალე წავა და რალა საქირთა ამაზე ტელეფონით ლაპარაკი...

უკვე ორი საათი გავიდა. კი, ნამდვილად მოვიდოდა, — დაასვენა ბიჭმა. უთუოდ ავცილით ერთმანეთს. მაგრამ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გაიგოს, იქ არის თუ არა. განა ამდენ ხანს ტყუილად უნდა იცადოს?!

ბიჭი ფეხაკრფით აუყვა კიბეს. ოი, ის კარი. ისევ გაისწორა ქული და კაშნე. ზარისკენ ხელი ვაიწოდა. შეიყოყმანდა: ის ლამაზი ყმაწვილი ვაახსენდა, ლოყაზე ხელს რომ უთათუნებდა და აგდებულად ხითითებდა. ისიც კისკისებდა მაშინ. არა, დარეკვა მაინც საქირთა, ფიქრობდა ბიჭი, ბოლოს და ბოლოს, სიმაართლე ხომ უნდა გაირკვეს! როგორც იქნა, ღილაკს თითი მიაჭირა და იმავე წამს, მეტი მხნეობა და გამბედაობა იგრძნო.

ბიჭმა გაიგონა კარს მიღმა როგორ გაიღო შიდა კარი, საიდანაც ბუნდოვანი ხმები გამოიჭრა. შემდეგ კარს ნაბიჯები მოუახლოვდა და გასაღები აჩხაკუნდა...

კარი იმის მეგობარმა ქალმა გააღო.

ხმაური უკვე მკაფიოდ გამოიჭრა. ისე ნათლად და გარკვევით, რომ ბიჭმა, მუსიკისა და ადამიანთა ხმების გარდა, მა-

ანდრეი ბიბოვი
აპრი

გიდაზე გაწყობილი ბოთლებიც შენიშნა და თამბაქოს კვამლიც შეიგრძნო.

— ა-ა-ა, შენ ხარ, ბიჭი?... — თქვა ქალმა და წარბები აზიდა.

— მე ვარ. — მიუგო ბიჭმა.

— ჯერ არ მოსულა, — უთხრა ქალმა.

ბიჭი ქალს თვალბეჭდით მიაჩერდა, უნდოდა გამოეცნო, ხომ არ მატყუებდნენ: იმ ხმაურში ის ერთი ხმა აკი ვარკვევით ესმოდა... აი, ახლაც ესმის.

ეს ქალი დიდ, ლამაზ თევზს ავონებდა მუღამ და იმის გამო, რომ იმ ხმაურთან და იმ ერთადერთი გამოკვეთილი ხმა გაუჭდა ყურში, კიდევ უფრო შეზიზღდა ეს ქალი, რომელიც კიდევ უფრო დაემსგავსა თევზს. მაგრამ ამჯერად, უწონო თევზს. ო, რა ძნელი იყო ასეთი თევზის დიდრონ, ნაცრისფერ, გადმოკარკულულ თვალბეჭდში ცქერა, რომლისთვისაც როგორც არ უნდა შეგეხედნა, მანაც სადაც, ცხვირის ფუძეზე მოგიხვდებოდა თვალი. ეს თევზი განუწყვეტლივ ეფერება თავის სავსე, მოქნილ თქმობებს, თითქოს ზედ ოფლიან ხელებს იმშრალდებოდა...

თევზი პირს აღებს და ხურავს.

კარი რომ დაიკეტა და თევზი თვალს მოეფარა, ბიჭმა მისი ტუჩების მოძრაობით ამოიცნო:

ალბათ იგი დღეს აღარ მოვა.

„აქი გავიგონე, ნამდვილად გავიგონე მისი ხმა, — ფიქრობდა ბიჭი, — კი, იმ ხმაურში! ესე იგი ჩემი ნახვა არ უნდოდა, უთუოდ იქ არის, იმათთან, ალბათ, იმასთან... ჰო, იმასთან, მაშინ ლოყაზე რომ ხელი მოუთათუნა ეს დამდგარა აქ კიბეზე... და მან იცის ეს. მანვე დავავლა მეგობარს ბიჭის გავდება...“

— საძაგელი, — თქვა ბიჭმა. — საძაგელი, — გაიმეორა უფრო ხმამაღლა. — საძაგელი! — დასძინა ერთხელაც და კიბეზე დაეშვა.

იქნებ მართლა არ იყო იქ. — მსჯელობდა თავისთვის ბიჭი, — იქნებ მე, ტუტუცი ეპვიანს, მომეყურა მისი ხმა... ასე უტიფრად, აბა, როგორ მომატყუებდა!

— ტუტუცი, ეპვიანი, — ჩაეღვინებოდა ბიჭმა, — ტუტუცი, ეპვიანი. ამ ფიქრებში რალაცნაირად დამშვიდდა. იქნებ სულაც იმ ქალმა მოატყუა ესეც და ისიც... იქნებ არც გაავებინა, ბიჭი რომ მოვიდა.

— საზიზღარი, საზიზღარი, საზიზღარი! — იძახდა ბიჭი.

გაოგნებული იდგა და ვერ გაეგო, რაში იყო საქმე. სამიდან ხომ ერთი დამნაშავეა... ყველაფერი რომ გაირკვეს ერთ-ერთი ჩვენგანი ხომ ტყუის.

ტელეფონით დარეკვა აუცილებელია. ბიჭი ერიდებოდა დარეკვას, რადგან ის საყვედურობდა — ტელეფონის გამო ბევრი უსიამოვნება მხვდებაო, ხშირად ნუ დამირეკავთ. ახლა უშიშვლოდ ხომ არ რეკავს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაარკვიოს რაშია საქმე. იქნებ მართლა შინ არის და არც აპირებს გარეთ გამოსვლას... მაშინ მორჩება ესეც ეპვიანობას და შინ წავა.

ბიჭმა მონეტა ჩაავლო. ნომერი აკრიფა. გული აუფანცქალდა. საკმაოდ უხეშად უპასუხეს: შინ არ არის. ჰო. დიდი ხანია. ჰო. არ ვიცი.

ყოველი შემთხვევისათვის ერთხანს კიდევ დაეცდო, გაუეღო ბიჭს. იქნებ გზაშია და საცაა მოვა.

ბიჭმა ისევ თავის ბატარეას მიაშურა და სიგარეტი გააბოლა.

დინჯ და ასაკოვან კაცად მიაჩნდა თავი. მკაცრი გამომეტყველების მისაღებად ტუჩებს ნერვიულად კუმშავდა. ფანჯრის მინაში თავის გამოსახულებას უშერდა და უცხო თვალით ამოწმებდა, როგორ აბოლებდა და ფერფლავდა სიგარეტს.

ის კი არ ჩანს.

ბიჭი ახლა მართლა შეწუხდა: კარაქიც ხომ საყიდელი აქვს, დედამ დააბარა. ოხ, ეს დედა... ნერვიულობა... ჩხუბი... საცაა მალაზიებიც დაიკეტება.

ეს რა სისულელე ჩაიდინა... შინიდან რომ გამოვიდა, კარაქი მაშინვე უნდა ეყიდა, თუნდაც დაეგვიანა თაღთან, ის ხომ მანაც არ მოსულა. შეცდა, მაგრამ



რალა დროსია... ახლა რომ წავიდეს, უმეპველად ასცდება.

ის მაინც არ ჩანს. იქნებ არც მოჩვენებია მისი ხმა. ან ვინ იცის, იქნებ მართლა იქ არის. იქნებ მართლა მოატყუეს.

ბოლოს და ბოლოს, არც ასე შეიძლება, — თავისთვის თქვა ბიჭმა, — უკვე ორი საათია ველოდები, რა მოხდება, წამით რომ გადავირბინო პირდაპირ მალაზიაში, ვიყიდი კარაქს და უკანვე მოვბრუნდები, ეს წუთის საქმეა... რალა ახლა გამომეპარება. ალბათობის თეორიის თანახმად, ყოველად შეუძლებელია იფიქრო, რომ ის სწორედ იმ წუთს მოვა, როგორც კი აქაურობას მოვცილდები. ეს ხომ ბოღვია. მოკლედ, კაცს კაცობა მართებს! მართლა და მართლა...

ამგვარი გადაწყვეტილებით ბიჭი გაბედულად გავარდა ქუჩაში და მალაზიასთან მიიღრინა. შესასვლელში ძლივს გაუსხლტა ქალს, რომელიც უკვე კარებს კეტავდა.

კარაქის საქმე, როგორც იყო მოაგვარა. სწრაფადვე გადმოსჭრა ქუჩა, ისევ სადარბაზოში შევარდა და კიბე აირბინა... იქნებ წუთით შეასწრო, იქნებ დაეწიოს კიდეც... თითქმის კარს მიადგა. მაგრამ არაფერს ჩანდა.

ბიჭი თავის ბატარეაზე ჩამოჯდა. ცხადია, — ფიქრობდა იგი, — ამგვარი შემთხვევითობა, რომ ის ზუსტად მაშინ მოსულიყო, როცა მე წამით გავვარდი კარაქისთვის, ამგვარი შემთხვევითობა ყოველად დაუშვებელია. თანაც ჯადოქარით სწრაფად დაგებრუნდი.

ესე იგი, იქ არის და მომატყუეს. იმ მეგობარ ქალთან მისვლას აზრი არა აქვს. მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, მართლა საქმე გამოთხდა და გაფრთხილება ვერ მოახერხა. ანდა სულაც არ გამოსულა გარეთ. და მომატყუეს შინ არ არისო.

რა გეწყობა, ისევ შინ უნდა წავიდეს. ახლა იქაც ჩხუბი... გინდ მართლა საქმეზე წასულიყო, თუნდაც შინ იყოს

და იმალებოდეს — ბიჭი ყოველ მიზეზს გარეშე შინ უნდა გავარდეს.

მაგრამ, თუკი არ მოსჩვენებია და ნამდვილად იცნო მისი ხმა... აი იქ, იმ ოთახში, ბოთლები რომ ეწყო და თამბაქოს ბული იდგა. როგორ დარწმუნდეს? როგორ გაიგოს სიმართლე? ახლა უეჭველად უნდა დაიცადოს, ვიდრე იქიდან არ გამოვა. თუ იქ არის, სად აორთქლდება... ჰოდა, როცა გამოვა, ყველაფერი ნათელი გახდება.

ქვემოთ ვილცამ რაზმა გააჩხაკუნა, მაგრამ კარი არ გაღებულა. ეტყობა საყეტო შეამოწმეს, ალბათ აღარაფერს დარჩა მოსასვლელი. უცებ მთელ სადარბაზოში, თითქმის ერთდროულად აფლარუნდა რაზმები და საყეტები. ლამისთვის ყველამ საგულდაგულოდ ჩარაზა კარი. ეს უღარუნი მთელ კიბეზე გაისმა.

ბიჭს გაახსენდა, რომ ღამით დედაც რაზავდა კარს. ასე რომ თავისი გასაღებით შინ ვერ შევა. ერთი ესენიც არიან, რალა, ფიქრობდა ბიჭი, ნეტა ვის რად სჭირდება ამათი გაქურდვა...

ყოველი გაჩხაკუნება აკრთობდა ბიჭს. წინასწარ კრთოდა, ვიდრე გაარკვევდა, რომ ეს მისი სათვალთვალო კარი კი არა, სულ სხვა იყო.

ბოლოს იმ კარსაც მიუახლოვდა ველაც. ბიჭმა ფეხის ხმა გაიგონა.

აი ახლა... კარი გაიღება — და ის გამოვა...

ისევ ისე, მხოლოდ უფრო უხეშად გაჩხაკუნდა რაზმა.

ესე იგი, ამალამ ყველანი იქ რჩებიან. ნუთუ ისიც?..

უცებ ბიჭს სურვილი აღეძრა დასტაკებოდა კარს, შეენგრია და შევარდნილიყო შიგ, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით ეხილა.

როდის, როდის ჩარაზულ კართან ფეხის ხმა მიწყდა.

...და აი, შევარდა იგი კარებში. ის იქ დახვდა.

ბიჭი თვლებში ჩასცქერის და ამა-

ანდრეი ზიგონოვი
კარი



ყად ესერის მკაცრი სიმატლით აღსავსე უხეშ სიტყვებს. ის კი ქვეთინებს, პატიებას სთხოვს, მუხლებზე დაჩოქილი ფეხებში უფარდება. ბიჭი დგას ფერმიხდილი, ლამაზი, და არავის ძალუძს მისი გულის მოღობა. უკვე აღარაფერი სჯერა და მიდის. ის კი, გულამოძღარი ტირის, ქვეთინებს...

ტირის... ბიჭმა ერთხელაც ნახა იგი ატირებული. მაშინაც დაიგვიანა, და თვალკრემლიანი მოვიდა. ასე თქვა, — ძმამ მაწყენინაო. ჩემო ბიჭუნავ, შენს გარდა ქვეყნად არავინ გამაჩნიაო... — ბიჭს მოაგონდა ეს და ძალიან შეებრაღლა იგი. ცხვირი აეწვა...

მაგრამ ბიჭმა უმალ მოიშორა ეს ფიქრი და ისევ იმას დაუბრუნდა, რაზედაც წუთის წინ ფიქრობდა. გაეცინა. ბავშვობაა, სისულელეა... დაუშვათ შევარდის... და ვთქვათ, იქ არ დახვდეს. რა უთხრას მაშინ იმ გაოცებულ ადამიანებს? სადღა წავიდეს? ისე ნათლად წარმოუდგა ეს სურათი, რომ ბიჭს სირცხვილისაგან სახე აეფაკლა.

ან კი როგორ შეუვარდება?!
ჰო... მაგრამ რაღაც უნდა მოიფიქროს... რამე უნდა იღონოს... დარეკვა უხერხულია, ახლა გვიანაა... აბა როგორ გაიგოს? ბიჭი ისევ დაბლა ჩავიდა, ტელეფონთან. კარგი, ახლავე დარეკავს. თუ ის უბასუხებდა, ყველაფერი რიგზე იქნება, თუ არა და... მაშინვე დაკიდებს ყურმილს, ისევ ის უხეში ხმა გაეპასუხა. ბიჭმა ყურმილი დაავდო. გული თითქოს ამოუვარდა და საღდაც სივრცეში აძგერდა.

ბატარეასთან თბილა. შინ ამაზე მეტი უსიამოვნება რაღა უნდა მოხდეს. დედა ელოდება... ეს ამავეი პატარა, მშისწარა, რუხი მხეცივით უტრიალებს თავში, და უმაღლე ქრება. ბიჭი ჩათბუნდა. ტანში სასიამოვნო ქრუნატელი უვლის. ყველაფერი ყრუდ გუგუნებს. ვანძრევის სურვილიც არა აქვს. თვალეები მოჭუტა და — სიბნელეში შავ ფონზე ათამაშდა კიბის ნათურის ღია მწვანე, მიღეული წერტილი...

აი, ლოტინად ჩაეარდა ბიჭი, გამხდარია, ფერმიხდილი... როგორც იქნება მოავნებს ასე ინახულებს. ატირდება. „რუ გატირებს, მე ხომ სულ მიყვარდი. შენ რა შუაში ხარ“. ის კი ტირის, ეხეეწება: მაპატიე, ყველაფერი თავიდან დაიწყეთო... „არა ჩემთვის უკვე ყველაფერი გათავდა“...

...გაღიან წლები. ბიჭი მასთან მიდის. ვაქცაქურ სახეზე გადატანილი ჭირ-ვარამისა და თავგადასავლების დალი ამჩნევია. შუბლზე ჩამოშლილი გრუხა ქოჩორი ვერ უფარავს ღრმა ნაიარეს. ქოჩორი მთლად გაქალაქავებულია. ასე ახალგაზრდა და ქალარა... „მორჩა, გვიანია, ყველაფერი დამთავრდა“, — ამბობს იგი. და მიდის. ის კი ქვეთინებს, დარბაზიდან დარბაზში გადის, ალებს კარებს, კარებს...

ბიჭს ეღვიძება და აქრეოლებს. ციოდა. კი არ ციოდა, შეამცივნა. რამდენჯერმე გაივარჯიშა, სისხლი ამოძრავა, რა სისულელე ჩავიდინე, — ფიქრობდა იგი, — უშეკვლად უნდა გამეფრთხილებინა დედა. საერთოდ, საღამოხანს კი არა, ამ დროს მოსვლა ჯობია. ის აქამდეც არ ჩანს და მე ტყუილად უნდა ვიყურეყო. სხვა დროს ცოტა მოგვიანებით მოვა და დაუცდის. დედას ეტყვის რომ... რამე ისეთს ეტყვის. სისულელეს. არა, მაშინვე უნდა წასულეყო შინ. ახლა კი?.. ახლა ღამის ორი საათია, სამიცი დაიწყო. ჰოდა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს ყველაფერი.

ბიჭი მობუხული იჯდა ბატარეაზე, ცხვირი სვიტრში ჩაერგო და ორთქლით თბებოდა.

უკვე აღარაფერზე ფიქრობდა. ღამის სამი საათია. ოთხი.

ბიჭი უაზროდ იცდის. დროდადრო ჩასვლემს და შემცივნულს უმალ ეღვიძება.

უკვე ყველაფერი შეისწავლა, რაც ამ კიბესთანაა დაკავშირებული: კედლის ბზარები — ერთი ხარს რომ წაავას, მეორე კი მარია სტეფანოვანას; ისიც შეი-



ტყო, რომ მინკა ხოჭო ყოფილა, ვალია კი ყყყეჩი; თავისი სათვალთვალო კარიც საგულდაგულოდ შეისწავლა, ზედ რანაირი ზარებია მიმაგრებული, მარჯვენა კუთხეში ქეჩაც რომ აქვს აგლეჯილი...

და სწორედ ამ კართან ვაისმა — ფეხის ხმა, ლაპარაკი, ორი ხმა, საყეტის ჩხაყუნა.

კარი ოდნავ გაიღო.

ჰო, ის არის!

ბიჭი ბატარეიდან ჩამოხტა. მან ერთი კი შეავლო თვალი ბიჭს და უკან დაიხია. კარი მიჯახუნდა. ყოველივე ელვისებური სისწრაფით მოხდა: გაიღვია და გაქრა.

ბიჭი გაშტერდა. საშინლად უცემდა გული ამ მოულოდნელობისაგან, თან იმის გამოც, რომ უცებ წამოიჭრა ფეხზე. კარს უკან ხმები ისმის. ბიჭი ცდილობს სიტყვები გაარჩიოს. ესმის კაცისა და ქალის ხმა. იმის ხმა. რწმუნდება, რომ ეს ორი ხმა მათი ხმებია. თან რა გარკვევით ისმის... რა ხმამდღა! სიტყვები ფართოვდებიან, იზრდებიან, მერმე ბიჭს აღოლდებიან...

საყეტი ისევ გაჩხაკუნდა და კარი გაიღო.

სწორედ ის ყმაწვილი გამოჩნდა. ფეხი უკან რჩება. ვილაცას რალაცას უბარებს. ჰო, მას! ბიჭი ბატარეასთან დგას, მიჩერდება. ყმაწვილი მოტრიალდა. წავიდა. კარი დაიხურა. ბიჭს მოეჩვენა, რომ ისევ გაიღვია მისმა ფიგურამ. რაზა გაჩხაკუნდა. ყმაწვილი კიბეზე დაეშვა. ბიჭს მიუახლოვდა, მიუახლოვდა, გაუპირდაპირდა, შეხედა. რა იგულისხმებოდა ამ მხერაში! ბიჭი ადგილზე გაიყინა: რა არ განიცადა... ყმაწვილი კი ნებანება ჩადიოდა ქვემოთ. ბიჭმა თვალი გააყოლა. ამასობაში ყმაწვილმა ერთი კიბე ჩაათავა და მოუხვია. ბიჭს ცნობისმოყვარე თვალებით ახედა.

ყმაწვილის ფეხის ხმა სიღრმეში ინთქმებოდა.

ბიჭი ისევ ბატარეაზე მოკალათდა. ზის ტუჩაკვეტილი. ახლა, რაღა თქმა უნდა, დაელოდება. უკვე იცის, ის რომ

იქ არის. დაუტდის და ყველაფერს ეტყვის.

— მოვკლავ იმას, მოვკლავ! მოვკლავ! — იმეორებდა თავისთვის.

ექვსის ნახევარზე აჭრიალდა პირველი კარი. ვილაც კიბეზე დაეშვა. თან ვხადავა ტანსაცმელს ისწორებს. მერე გახშირდა კარების ჯახუნი, ზემოთ და ქვემოთ, ზემოთ და ქვემოთ. თითოეული კარი რამდენიმეჯერ იღებოდა და იხურებოდა.

ყველაზე მეტად მუშები იჩქარიან. საქმიანი, შეუვალი სახეებით ჩაუარეს მას და ბიჭიც მაღლიერია დარჩა.

შემდეგ მოსამსახურე ხალხი გამოლავდა: ხელჩანთიანი ქალები, პორტფელიანი მამაკაცები. ესენი თვალის ცეცებით მიდიან. ხან მოტრიალდებიან და უკან იხედებიან. ბიჭი ზოგ მათგანს სახით უკვე იცნობს. გუშინ სადამოსაც ხომ ასეთივე ცნობისმოყვარეობით ათვალაიერებდნენ მას, ვიდრე სახლებში შეიკეტებოდნენ. ახლაც, მათ სახეზე ცნობისმოყვარე კითხვები აღბეჭდილიყო.

„მოვკლავ!“

ბიჭი აიძაგრა. რა არ იღონა, გულგრილი და მშვიდი იერი რომ მიეღო. რაც მთავარია, ვაყვაცურად კი იდგა. ტუჩჩაკვეტილი.

კარები ეხეთქებოდა დროის განსაზღვრულ კანონებს, ეხეთქებოდა ტალღობრივად, ნახევარგულშაგებისა და გულშაგების მიჯნაზე. ტალღები თანდათან იზრდებოდა და შემდეგ სრულიად ინთქმებოდა იქ, სადაც მიჰქროდა პირში ლუქმაგაჩრილი ადამიანების ბოლო ნაკადი. მერე, ცოტა ხნით, შესვენების წუთები დადგა. და ქანცმილეული ბიჭი უზომო დაღლილობას გრძობდა.

მისი კარი ორჯერ გაჯახუნდა, მაგრამ ის მაინც არ ჩანდა. მეზობლები გამოვიდნენ. ბიჭი შიშობდა, არ მიცნონო. ჯერ, ფანჯრისკენ შეტრიალდა, ვითომ არხეი-

ანდრეი ბიძოვი
აბანი



ნად სტვენდა. მერე ისე დადგა, თითქოს ეს-ესაა რომელიღაც ბინიდან გამოვიდა და დაბლა კიბეზე ჩადისო.

ცხრას რომ ათი წუთი აკლდა, მობინადრეთა კიდევ ერთი ტალღა წამოვიდა.

ათის ნახევარზე კი დიასახლისები გამოლაგდნენ ხელჩანთებით, ბოთლებით, ბიღონებით... ბიჭი უსაშველოდ დაღალა დაძაბულობამ. ბოლოს ხელი ჩაიქნია და გულგრილი მხერით აცილებდა თვითეულს.

„ბოლოს და ბოლოს, ის როდისღა გამოვა?“ — უგონოდ იმეორებდა გულში. უკვე ისე ტანჯულივით აღარ ელოდა ოღონდაც მალე დამთავრებულიყო ყოველივე. მაგრამ, რა თქმა უნდა, წასვლა აზრადაც არ მოსვლია.

ახლა დიასახლისების ტალღაც დაიძრა:

კიდევ ორი საათი რომ მომიხდეს აქ დგომა, ესენი ხომ უკან დაბრუნდებიან, — ფიქრობდა ბიჭი.

და მოულოდნელად მისი კარიც ახმაურდა.

როგორც იქნა, გამოვიდა.

დამშვიდებული და ლამაზი... მერეღა რა ლამაზი!

კიბეზე დაეშვა. ბიჭი შენიშნა. იცნო. გაუღიმა. რა საოცრად გაუღიმა! მაგრამ არა, მას ვეღარ მოატყუებს...

— ა-ა, შენა ხარ, ჩემო ბიჭუნა! — თქვა მან, — ჩემო კარგო, ამდენ ხანს მიცდიდი?

— ჰო. — მიუგო ბიჭმა. ხმა უთრთოდა. სპაზმები ახრჩობდა. — ჰო. შენ ხომ მთელი ღამე იქ იყავი. მე კი თალქმეშ გელოდი, შენ არ მოხვედი. მერე დაერეკე და შენ ათქმევიანი, შინ არ არისო. შენ იცოდი, აქ რომ ვიცდიდი... ღამის ოთხ საათზე კარი გამოაღე, დამინახე და დაიმაღე. ის ყმაწვილი გამობრძანდა. მე ყველაფერი ვიცო!.. — აიწყვიტა ბიჭმა.

— ჩემო კარგო, — უთხრა მან წყნარად და აღერსიანად, — ეგრე არ არის, როგორც შენ ამბობ. სულ სხვა რამ მო-

ხდა. თალთან დროზე ვერ მოვედით ვერ მოვახერხე. არაფრით არ შემემლო. აბა, როგორ შემეტყობინებინა შენთვის. აქ ძალიან გვიან მოვედი, შენ რომ მიკითხე, მოსული არ ვიყავი. კიბეზე რომ ამოვედი, არც აქ იდექი. მეგონა, აღარ დამიცდიდი.

— მე კიბეზე ვიდექი სულ!

— არა, ჩემო კარგო, არ იდექი! არა, ჩემო მშვენიერო.

— მაგრე ნუ მეძახი. იქ შენ მთელი ღამე გაატარე. იმ ყმაწვილთან.

— სულელო... ახლა მართლა გავჯავრდები. სულელო. უბრალოდ, გვიანი შეიქნა და მეგობართან გავათიე ღამე. გესმის? ის ყმაწვილი კი მისი ძმაა. ერთად ესწავლობდით. წუხელ გაემგზავრა, ძალიან შორს.

— არა. — თქვა ბიჭმა.

— ჩემო კარგო, მშვენიერო... რასაც გეუბნები, ასეა. კარგო, აქ რაღას ვდგავართ, წავიდეთ. შენ რა, მთელი ღამე აქ იჯექი? ალბათ, შენ სახლში რა ამბავია?!

— არა უშვებს, — მიუგო ბიჭმა.

ქალს გაეცინა.

ქუჩაში გავიდნენ.

— წადი, — უთხრა მან, — ახლა წადი, ჩემო ბიჭო. ხვალ...

ბიჭი შინ წავიდა. ბევრი აღარ ჰქონდა გასაცვლელი. თბილი, მოქუფრული დღე იყო. ბურუსში ყოველივე საოცრად გაყალბებულიყო. წამით აღმოცენდებოდა სახლები, მანქანები, ადამიანები და უმაღლე ქრებოდა. ყოველივე მსუბუქი და უწონადო ჩანდა, როგორ სიზმარშია ხოლმე.

და ასევე მსუბუქი და უწონადო იყო თვით სხეულიც. ფიქრებიც.

საამო გუგუნი ისმოდა სხეულში. სადღაც იქ, სიზმარი თვლემდა...

მაშ ასე, მიბიჯებდა ბიჭი, მაშ ასე. და მართლა ასე იყო, როგორც მან სთქვა. მე კი ღორი ვარ. ყველას წინაშე დამნაშავე ვარ. შინაც, მასთანაც. ღორი ვარ. ღორი. ყველაფერი მართლა ასე იყო.

50

მუხრან მაჭავარიანი

50



მუხრანის მოსვლა მახსოვს უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში. არავინ იცნობდა წესიერად მაშინ. მოვიდა მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, გრძელთმიანი და ჭკვიანთვალეებიანი ბიჭი. იჯდა უხმოდ. სიტყვა ითხოვა ბოლოს.

გვეგონა ლექსს წაიკითხავდა — არაფერიც. მარტივით მგზნებარე სიტყვა თქვა, ბოხი და ზარჩადგმული ხმით.

ის სიტყვა ახლა ზუსტად არ მახსოვს. არც მას ახსოვს ალბათ.

დაახლოებით ასე ილაპარაკა:

— მე მჯერა, მოვა კაცი, პოეტი! დაანთებს ხანძარს, შეაზანზარებს მთებს, რომლებიც დგანან და ელიან. მის ხმაზე დაიძრებიან მყინვარები, მდინარეები, აღმოსავლეთიდან ზერები, დასავლეთიდან ჩაის ბურქები, და მის სმენად მოვიდიან კაცნი და მხეცნი... — მე მჯერა!

და რა იცოდა მაშინ მუხრანმა, ან მე რა ვიცოდი, რომ ეს კაცი თვითონ იქნებოდა.

ანიკოს შემდეგ ასე პოეზიაში კაცის მოსვლა მე არ მახსოვს.

უფრო გვიან ლექსები წაგვიკითხა, რუსთაველზე, საბაზე, ორბელიანზე...

მე მომისმენია მოწმენდილ ცაზე ტექა-ქუსილი — იმას ჰგავდა.

პატარა ლექსი გამოატყვევს. ასე იწყებოდა.

„ამ ვიწრო ქუჩაში კომუნიზმი ვერ შემოეტევა...“

ბევრს მაშინ ეს ლექსი მშენებლობაზე დაწერილი ლექსი ეგონა.

ეს იყო მისი შემოქმედებითი კრედიო და ფორმულა.

იგი ფართე ბეჭებითა და ღონიერი მკლავებით შემოვიდა პოეზიაში. მისწი-მოსწი-წა კედლები, დარიალის სეობაში თერგივით იღრიალა და ქვეყანას გააგონა თავისი მქუხარე ხმა.

მუხრან, შენ ახლა 50 წლისა ხარ, — მეც. ცოტათო რომ გითხრა, სხვამ რომ დაგვიჯეროს, შვილიშვილები არ დაგვიჯერებენ, მაგრამ ხომ გიჭრის ისევე მუხლი ვა-ქურად?!

ჰო და იცოცხლე, ვიდრე შენს ხალხს ეყვარები, ვიდრე არ დაშრება შენი იზვარა და ლაშურა, მერე არც ღირს სიცოცხლე.

შენი ახალი ლექსები მიდევს წინ. კვითხულობ და ბედნიერი ვარ.

მაგ ჯიგრიანი კალმის მოსმა ნუ მოგიშალის ბუნებამ, ჩემო დიდებულო ძმაო.

ნოდარ დუმბაძე

პი. შენც მიაღწევი ნახევარი საუკუნის მიჯნას, 50 წლისა მოიყარე. თავბრუდამხვევია ეს სიმბოლე. თვალსაწიერზე ძლივსღა მოჩანს შენი ბავშვობა და სიჭაბუკე, პირველი ლექსები, უნივერსიტეტის ბაღში რომ გვეკითხავდი, პირველი სიყვარული და პირველი აღიარება....

მეგობრებმა შემახსენეს, მუხრან მაჭავარიანს 50 წელი შეუსრულდაო და ვიდრე ამ პაწაწინა მოსალოცი სიტყვის დასაწერად მაგიდას მივუჯდებოდი, რათა შენდამი სიყვარული და შენი ხალასი პოეტური ნიჭის ღრმა პატივისცემა ერთხელ კიდევ საჭკვეუნოდ გამომეხატა, თაროსთან მივედი და შენი ლექსების ბოლოდროინდელი კრებული გადმოვიღე.

ეს კრებული, 1976 წელს „მერანმა“ რომ გამოსცა, ის წიგნია, რომელიც ტრუმარიტ პოეზიას მოწყურებული ათეული ათასობით მკითხველისათვის სანატრელი გამხდარა, რომელსაც შენი თანამემამულენი თვალზე კურცხალმომდგარი კითხულობენ და გულის სიმებით შენს ფიქრსა და ზრახვას ეხმარებიან.

მე უმალ წიგნს მივმართე, ვინაიდან ეს წიგნი თვით შენა ხარ, შენი სიბრძნითა და შენივე გულბრწყინობით, შენი შიშველი ნერვით და უსამართლობასთან შეურიგებლობით, შენი სინაზითა და შენივე ომანხანი ყოფინით.

რალა დაგიმალო, ორ დღესა და დამეს თავი აღარ ამიწვივა. ვინ იცის, რამდენჯერ წაკითხულ ლექსებს ხელახლა ვკითხულობდი, კიდევ და კიდევ სტრიქონ-სტრიქონ ვებრუნდებოდი და მათ წიადში ვპოულობდი ღვთაებრივ საიდუმლოს, რომელმაც პოეტური სიტყვა შთაგავონა და ერის გულისთქმის გამომხატველ ერთ-ერთ უპირველეს მამულიშვილად გაქცია.

შენ იმთავითვე დაადექი ერის პოეტის ძნელ გზას და ამ გზიდან არასოდეს გადაგიხვევია, მუდამ გწამდა და დღესაც გწამს, რომ საერო საქმის გაკეთება, დიდი იყოს, გინდ მცირე, მარტოოდენ უანგარო გულს და პატიოსან ხელებს შეუძლია. შენი მარჯვენა პატიოსანია და ამიტომაც გინთია ზედ მამულის სადიდებელი წმინდა სანთელი.

სხვაც რომ არაფერი დაგეწერა, ძვირფასო მუხრან, შენს გულის თრთოლვას ჯადოსნური ყალბით შექმნილ იმერულ პეიზაჟებში და ჟანრულ ჩანახატებშიაც ამოვიკითხავდით. იქ შენცა ხარ და შენი მშობელი მიწაც, ის ადამიანებიც, რომელთა გვერდით ენა ამოიდგი და სამშობლოს უკვდავების შეურყვეველი იმედიც ხელის გაუნძრევლად რომ არ განხორციილდება.

პოეტს, ვით წყაროს წმინდა წყალი და მთის გამჭირვალე ჰაერი, სჭირდება გამხნელება და შემოძახება, რომ ამაოდ არ დამშვრალა, რომ მისი ცეცხლოვანი სიტყვა სჭირდებოდა და სჭირდება ადამიანებს, ხალხს, ყველა იმას, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო და მშობელი ხალხის ინტერესები. და აი. მეც, შენი ძველი მეგობარი და თანამოკალმე, გითვლი გამამხნეველ სიტყვას. მთელი შეგნებული სიცოცხლე პირნათლად გიმსახურა და მომავალშიაც, ძველიღბის თქმისა არ იყოს, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! მაღალ კვარცხლბეკზე დგახარ და გამლეული თუ გამომლეული თვალს გადავებებს. ნუ გაიოცებ და ნურც გაშინაურდები. ისტორია გვასწავლის, რომ რჩეულთა ხვედრი ბუნების დიდი ჯილდოცაა და დიდი ტვირთიც.

50 წელი კაცის ცხოვრებაში არც ისე ბევრია. წინ კიდევ ვრცელი გზა გიდევს და კიდევ ბევრ სიხარულს უნდა გვაზიარო.

მამ, ბურთი და მამ, მოედანი!

რეზა ჯაფარიძე



ნამდვილი პოეტი ისაა, ვინც „ერთი მერცხლისგან“ განსხვავებით თვითონ მოიყვანს გაზაფხულს...

მუხრან მაჭავარიანმა შეძლო, თავისი გაზაფხული მოეყვანა ქართულ პოეზიაში. არა მგონია, ომის შემდეგ ვინმეს მისამართით უფრო ხშირად გასხვებოდეთ სიტყვა „ნოვატორი“.

მე თვითონ ერთი პირველ „მუხრანოლოგთაგანი“ ვარ და ზოგიერთი რამ დამეყვრება. მისი სახელი კი პირველად 1954 წელს გავიგონე, შუა რუსეთში... მურმან ლებანიძემ მომახარა. ზეპირად წამიგითხა მოსკოვიდან თბილისისკენ მომავალ მატარებელში მისი „საბა“ და „ვახტანგ მეფის ნანადირევია“.

ახლა ამ ლექსებს უკვე შეეწვია ქართველი მკითხველის სმენა. მაშინ სხვა იყო ყოველი სიტყვა უჩვეულოდ ჟღერდა. განსაკუთრებით კი — ინტონაცია.

უცნაური „ნოვატორი“ გამოდგა მუხრამ მაჭავარიანი. თითქოს ყველაფერი არივ-დარია, მაგრამ, როცა გამოვერკვეით, აღმოჩნდა, რომ ერთი წუთითაც არ მოუწყვებია თვალი წარსულისთვის, ტრადიციულისთვის, „მარად ქართულისთვის“.

მასსოვს მასთან პირველი ნაცნობობა. ნელი სეირნობა და უფრო ნელი საუბრები ელბაქიდის დაღმართზე; დიდხანს, ზოგჯერ დილის ცისკრამდე (ჩვენი „ცისკარიც“ მაშინ ამოდიოდა).

როგორც პოეტების უმრავლესობა, ისიც გამოუსწორებელი ეგოცენტრიკოსია. ზოგს ასეთი რამ აღიზიანებს, მაგრამ პოეტმა რომ თავის თავს ყურადღება დააკლოს, რა გამოვა? როგორღა გაიგონებს იმ ხმებს, რომლებიც მისი სულის სიღრმეში იბადებიან? ეგოცენტრიკოში მუხრან მაჭავარიანს ხელს არ უშლის ადამიანებისადმი, საერთოდ ცოცხალი არსებებისადმი ღრმა და კეთილ სიყვარულში.

ცხოვრებაშიც დაახლოებით ისეთია, როგორც პოეზიაში. საოცრად რბილი, ბავშვური გაღიზიება იცის. სულგრედლობის მაღლი გადაეფინება ხოლმე სახეზე.

მე ის იმთავითვე ძალიან ჯამრთელ კაცად მომიჩვენა და ახლაც ასე ვფიქრობ. სხვას რომ თავი დავანებოთ, მისი სიცილის გამი.

ვისაც ეს სიცილი ერთხელ მაინც სმენია, უთუოდ დამეთანხმება: ასე ჩვენს დროში, ჩვენს გარემოში აღარავინ იცინის. ამგვარ ხმებს ალბათ ჩვენი პლანეტის უძველესი მკვიდრნი — ბავშვებივით უწყინარი ვეებერთელა არსებები გამოსცემდნენ. მზის, ლორთქო ბალახის, ცისარტყელას, ან რაიმე სხვა საამო სანახაობის ხილვისას.

მუხრამ მაჭავარიანის სიკეთე არც ისე უწყინარია, როგორც ადრე გვეგონა.

მან იცის მედღარი, თავდავიწყებული ბრძოლა იმისთვის, რაც სწამს და არ ემეტება.

ახალგაზრდობას შეუძლია ზოგიერთი რამ ისწავლოს მისგან. ფორმალურ მიზანდასრულებას არა აქვს. ის ისეთი ყალიბის შემოქმედთა რიგიდანაა, რომლებიც თავისთავადობით, ერთადერთობით ჩანან და ბრწყინავენ. არც მისი თეორიული მოსაზრებები გამოდგება ნორმატიული პოეტის კურსისათვის. საერთოდ თეორია ასეთი პოეტების სტიქია არ არის. „საბას“ ავტორისაგან მომდევნოებმა, ჩემი აზრით, საკუთარი ბუნებისადმი უტყუი ერთგულების მაგალითი უნდა გადმოიღონ და, არა ნაკლებ, შინაგანი, თანდაყოლილი რწმენაც, რომ პოეზიაში მთავარია არა იმის დაუფლება, რაც უკვე დამკვიდრდა და სრულიყო, არამედ იმაზე ზრუნვა, რაც ჯერ მუნჯია, უენოა და სწორედ შენგან, მაინცდამაინც შენგან მოელის ამეტყველებას.

ამას დიდი გაბედულება ჭირდება და დიდი გულისხმიერებაც.

მუხრან მაჭავარიანი პოეტების ძლიერ ჯიშს ეკუთვნის. მისი ძლიერება რამდენიმე ნიშნით განისაზღვრება. ჯერ ერთი, ძლიერი მუსლით. ეს ის ძალაა, რომელიც, გაქანებული მატარებლიდან გადმოიხტარს. ფესზე გაჩერების საშუალებას გვაძლევს — ინერციის დამძლვეი ძალა.



ასე „მიჭროდა“ ქართული პოეზია თავისი გზით, როცა ახალგაზრდა მუსრანმა მატავარიანმა მოულოდნელი ნახტომი გააკეთა. ეს მოხდა 50-იან წლებში.

მეორე: ძლიერი, ურყვევი ხასიათით. ძლიერი პიროვნება იმარჯვებს ან მარცხდება. მხოლოდ ერთი რამ არ ძალუძს: დანებება. სამაგიეროდ გამარჯვებაც მისია და მარცხიც, — მისი პიროვნული ნიშნით აღბეჭდილი.

მესამე: ძლიერი ხმით.

ისე, რისი თქმაც მან შეძლო, სხვებმაც სცადეს, მაგრამ მხოლოდ მან მოახერხა ასე გარკვევით, შთამბეჭდავად, ყველასათვის გასაგონად ეთქვა, საგულისხმოა ისიც, რომ მას განგებ არ დაუბოხებია ხმა. ასეთი გრგვინვა მუსრანის ლექსს თვით ბუნებამ მისცა.

ორმოცდაათი წელი საიუბილეო ასაკი არ არის. აკაკი წერეთელმა თავისი უძლიერესი ლექსები ამის შემდეგ დაწერა. იუბილეც გაცოლებით გვიან გადაუხადეს. ღმერთმა ქნას, საწერეთლოდან მოვლენილ მეორე პოეტსაც ასეთი ხვედრი ჰქონდეს გამზადებული.

იშვიათია მწერალი, რომლის სიტყვასაც ასე მოუთმენლად მოელოდნენ და ასეთი გულისყურით უსმენდნენ მთელ საქართველოში.

ვიცი, ბევრია დაგუბებული, ბევრი დადუღდა, ბევრი რამ გადადნა და დაკრისტალდა შენი გულის საკირეში, ძვირფასო მუსრან!

„თქვი!“ — კიდევ ერთხელ, კიდევ მრავალჯერ, მხოლოდ შენი სათქმელი, შენი ხალხის, შენი ნაპერწკლიანი, შენი ბოხი სიტყვა.

გზარამ ასათიანი

ბაშარჯობა მუსრან, ძმავ საყვარელო!

ყველაზე უკეთ შენ უწყვი, რა ვიჭნებოდით უდიდწინაპრებოდ.

და არავინ ისე არ ჰგავს ჩვენს ძვირფას წინაპრებს, — როგორც შენ.

ხვალ-ზევაც ვინმე ხომ უნდა იქცეს წინაპრად. და ერთი ასეთი კაცი უკვე შენა ხარ...

კეთილი იყოს შენი მგზავრობა ამ მარადიულ სინამდვილეში, — ჩემო საუკუნეების წინანდელო და საუკუნეების მერმინდელო ორმოცდაათი წლის წინაპარო.

იორამ ჯამერტალიძე

ჭრილობა — ჯილდოზე მეტი

ომის დროს მეომრები, ორდენებისა და მედლების გვერდით, იკეთებდნენ ნიშნებს, თუ ვინ რამდენჯერ იყო დაჭრილი, რამდენი ჭრილობა ჰქონდა მიღებული. მახსოვს, ჯილდოებზე უფრო ხალხი ჭრილობებს აფასებდა — შვიძლებოდა ცხრა ორდენი გქონოდა, მაგრამ ცხრა ჭრილობის ნიშანი ვისაც ეკეთა მკერდზე, იმას მეტი რიდით ეპყრობოდნენ. პოეტებსაც, ჯილდოებზე უფრო, ჭრილობებით აფასებს ხალხი, და ეს ბუნებრივია, რადგან პოეტებიც ომში არიან, და იქ დაღვრილ სისხლს ჯილდოებზე უკეთ მიღებული ჭრილობები გამოხატავენ.

დღეს მუსრანმა მატავარიანის ჭრილობებს ვესალმებო! მისი ბოლო წიგნი, როგორც ჭრილობების ნიშანი, ისე აქვს მკერდზე აფარებული ყველა იმ ბედნიერ მკითხველს, ვინც ეს წიგნი იშოვა! ამაზე დიდი სიხარული პოეტისთვის არ არსებობს! სიტყვა უკვდავებას რატომღაც მხოლოდ მკვდრებისთვის ვიმეტებთ. თუ ამ ტრადიციას დავარღვევთ, მაშინ უფლებამო მთხევმა თამამად გითხრათ: მუსრანის წიგნში,

ისევე, როგორც ზოგიერთი ჩემი მეგობრის ზოგიერთ სხვა წიგნშიაც, ბევრი უკვდავი ლექსი და სიტყვა მეგულებმა ვიცი, ამაზე ზოგს გულში გაელიმება, ბევრიც მეზობელს მუხლუგუნს წაყრავს და გადაულაპარაკებს, რომ ეს ჰიპერბოლაა, რომ „ასეც არ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს“, მაგრამ ამას ჭეშმარიტებისთვის, ეტყობა, მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ერთი ჭკვიანი კაცი წერდა: ჩემს რწმენას ვერ შეარყევს ადამიანის უჩვეულოდ დაბალი მდგომარეობა, რადგან ჩემი რწმენა ემყარება არა იმას, თუ რას ფიქრობს ადამიანზე ადამიანი, არამედ იმას, თუ რას ფიქრობს ადამიანზე ღმერთით. პოეტებშიც, ჩემი ფიქრით, ასეა საქმე: მთავარი ის კი არაა, თუ რას ფიქრობს ამ პოეტზე ის პოეტი, არამედ ის, თუ რას ფიქრობს ამ პოეტებზე ღმერთი (ღმერთი, სხვათა შორის, და არა კრიტიკოსი!). ცდება და ტდება, თუ ვინმეს ჰგონია, რომ დღეს საქართველოს ან არ ჰყავს ასეთი ღვთით კურთხეული პოეტები, ან, თუ ჰყავს, ჰყავს ნაკლები, ვიდრე ოდესმე ჰყოლია. მუხრან მაჭავარიანი თავდადებულთა ამ რაზმის ერთი სასიკადალო მეწინავეა. დღეს მისი დღეა, და მე ისევე ვამაყობ მისი 50 მძიმე ჭრილობით, როგორც ამ ოცდახუთმეტე წლის წინ ვამაყობდი ნომარანი და ორდენების გარეშე დარჩენილი მამის ჭრილობებით!

ძმაო მუხრან! შენი საძმო შენი დაბადების დღეს ტრადიციულად წითელ ხიდათა იხდის, იქ, სადაც საქართველო თავდება! და მე თითქოს ახლაც ყურში ჩამხმის შენი სუფრების უცვლელი თამადის ბატონი ელგუჯას მჭევრი სიტყვა და ძმები ნადირაძეების წამოკრული:

მრავალჟამიერ,
მრავალჟამიერ,
მრავალჟამიერ,
შენი სიცოცხლე!

ტარიელ პანტურია

მუხრან მაჭავარიანი რატომღაც ასაკით ყოველთვის უფროსი მეგონა... ასე ეგონა იმ კაცსაც, შემოდგომის ერთ საღამოს მას ჩემს თავს რომ აბარებდა, როგორც შეგირდეს მიხარებენ ოსტატს, ან გრძელ გზაზე დამდგარ გამოცდილ მგზავრს უბირ ყმაწვილს გააყოლებენ... მე დღეს უკვე ვიცი, რატომ ეგონა იმ კაცს ასე — მუხრანის შინაგანი უპირატესობის, ადრე მიღწეული სულიერი და ზნეობრივი მოწიფულობის გამო.

„პოეზია ბედისწერაა!“ — და თუ ვინმესთვის ეს ასეა, მუხრან მაჭავარიანისთვის უპირველეს ყოვლისა.

იქნებ ვცდები, მაგრამ ჩემთვის პოეზია ყოველთვის ასე განიყოფებოდა — ლიტერატურულ დილექტანტთა სანუკველი „სიახლენი“ და საერთოდ პოეზია — მარადიული, იდუმალი, აუხსნელი და ღვთაებრივი... ჩემდაუნებურად პოეტებსაც ამის მიხედვით ვაჯგუფებდი... ეს არ გახლავთ ლიტერატურული კლასიფიკაციის გულუბრყვილო სურვილი, — ესაა რწმენა ჭეშმარიტი პოეზიისა და ჭეშმარიტი პოეტებისა; ამ რწმენას ჩემში რჩეულთა შორის მუხრან მაჭავარიანი განამტკიცებდა.

არსებობს მეგობრობა — ყოველდღიური, აქტიურად გამოხატული, იქნებ დამქანცველიც; არსებობს მეგობრობა — თან რომ დაგაქვს, როგორც მწირს წმინდა ნაწილები და მას არ სჭირდება გარეგნული დადასტურება, იგი არ არის შენი პირადი საქმე, შენი საიდუმლო... აქვს ასეთ მეგობრობას ერთი თვისება — მეტ დროს გიტოვებს მეგობარზე დასაფიქრებლად, მის დასანახად.

მე მიფიქრია მუხრან მაჭავარიანის მოწამებრივი მსახურების, მარტვილობისა და მარტოობის გამო... ოღონდ ეს მარტოობა არ იყო მხოლოდ სულიერი თბლობა, ასე

იგი შემოქმედის მარტოობა არც იქნებოდა; ეს იყო ეული ფიქრი. ამ გზაზე იგი ყოველთვის და ამ გზაზე ნახა ყველა გამარჯვება და ყველა მარცხი; ამ გზაზე სჭირდებოდა მას აზრის სიმარტოვის მძაფრი შეგრძნება.

ჩინებულ დეკლამატორს არ უყვარს ლექსების საჯაროდ კითხვა, მიუხედავად იმისა, რომ იცის, ეს ყოველთვის წარმატებას მოუტანს... არ უყვარს, რადგან ერთგულია იმ საერთო სტილისა, ადრევე რომ აირჩია... დარწმუნებული ვარ, მას აქვს შინაგანი მოთხოვნილება დეკლამაციისა, რადგან არა მარტო ლექსის კარგად წაკითხვის უნარი, თვით მისი ლექსის ბუნება, არტიკულაცია, ის ფაქტი, რომ მას ყოველთვის „ესმის“ საკუთარი ლექსი, მეტყველებს ამას. მაგრამ იგი ადამიანებზე შემოქმედების ერთხელ არჩეული ფორმების ერთგულია, უმჯობესად მიაჩნია მაღალი „დუმილის“ გზით შეაღწიოს მათ გულებამდე; თვითგანსაზღვრითა და კაცური თვისების შეცნობითა აქვს მოპოვებული ადამიანებთან ლაპარაკისა და წინადგომის უფლება. იგი ყოველთვის ახლოს დგას ხალხის კულტურული არსებობის მარადმფეთქავ ძარღვთან; ამით ცხოვრობს, ასე სურს ცხოვრება.

ორმოცდაათი წელი ცოტა როდია (ამის თაობაზე ზოგი რამ მეც ვიცი): წინააღმდეგობების, ძიებათა, პოეტური აქტივობისა და შემოქმედებითი კრიზისის, ჭაბუკური აღტაცებისა და ადრე მოსული სიბრძნის, მოზღვავებული ენერჯიისა და მოულოდნელი დაღლილობის ნახევარი საუკუნე... მაგრამ ორმოცდაათი წელი არც ისე ბევრია.

არსებობს მოვალეობა, რომელსაც თვითონ ირჩევ, თვითვე დაუსახავ თავს და არსებობს მოვალეობა — გარემოება, დრო, ხალხი რომ გატვირთებინებს; აი, ამ მოვალეობის ღრმა შვენიებით, მისი განუხრელი ერთგულებით სიცოცხლეს ვუსურვებ დიდხანს მუხრან მაჭავარიანს.

ოტია პაპოკორია





განსულ ღვინეობის

მანძილი უპარტოზო და თვითგანათლებლად შორის

ჩემი წერილის სათაურად „შეგუება და-
ლატია“ („ცისკარი“, ნ. 1978 წ.) შემთხვევით
არ შემირჩევია. იგი ყველაზე სრულად გა-
მოსატყვევებელი მტკივნეული პრობლემებისადმი
ჩემს დამოკიდებულებას.

როდესაც ამა თუ იმ საკითხის გარშემო
შექმნილ საერთო მდგომარეობას ვუღიარებ-
ს მით გაცნობი, აღმოჩნდება, რომ რიგი კო-
ნკრეტული შემთხვევებისა საფუძველს იძი-
ლევ კმაყოფილებისათვის. კარგ გუნებაზე
გაუფიქრებ ამ კონკრეტული შემთხვევების ში-
ნაარსი. თითქოს უნადავგო ხდება უკმაყოფი-
ლება, უკმაყოფილება, უშეფოთება და მწვაფე
კრიტიკა. გონებაში ვაირბინებ ი. მანდელშტა-
მის, მ. ცვეტაევის, ბ. პანტერნაის, ნ. ზაბოლო-
ცის, ნ. ტიხონოვის, ა. ტარკოვსკის, ა. მუჟი-
როვის, ბ. ახმადულიანის, ე. ევტუშენკოს... სა-
ხელები. არც ქართველი მთარგმნელები და-
მაშვრალან მთლად უბრალოდ. მათაც მოა-
ხერხეს რიგ შემთხვევებში კარგად ეთარგმნათ
რუსულ ენაზე მშობლიური ლიტერატურის ნი-
მუშები.

მაგრამ როგორც კი შეეცდები გაისივრებ-
ვანო უმთავრესი რამ, კერძოდ, ქართული
ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნის
პროცესი კანონზომიერება თუ არა, იმ დო-
ნეზე მიმდინარეობს, ქართულ მწერლობას
რომ შეხვედრის და ესპირიტუა თუ არა, მა-
შინვე ცხადი გახდება, რამდენად დიდი მი-
ზენი გვაქვს უკმაყოფილებისათვის, უშეფოთები-
სათვის, ბრძოლის სურვილისათვის. არაფე-
რია გასაკვირი იმაში, რომ საუკუნის უზარ-
მაზარ დროში თითო-ორი და დიდი მთარგმნე-
ლი მოგვლენოს ქართულ ლიტერატურას და
ისიც ჩვენი სასიამაღლო მამულიშვილების

ეპიზოდური მცდელობით, ე. ი. არა თავის-
თავად, არამედ დეაწლითა და ოფლის ღვრით.
მაგრამ ამ მცდელობას არ მქონია უწყვეტი,
კანონზომიერი პროცესის ხასიათი, არც დი-
დი, შესაფერისი მასშტაბი. რამდენიმე კაცი-
საგან ერთნეული ლიტერატურის ოკეანის
დაძლევა არც იყო მოსალოდნელი. პარალე-
ლურად კი თვითღიწობით თარგმნილი კლას-
იკური ლიტერატურის რამდენი ნიმუში მი-
იღო საქვეშრო მკითხველმა ხუროგატის სა-
ხით, საამისოდ შორს წახვლა არ მოგვიხდე-
ბა. კარგად შევისწავლოთ თარგმნელები ჩამ-
წყვიტებული წიგნები და სურათიც ნათელი
იქნება. ხოლო თუ შესწავლაზე უარს ვიტ-
ყვით, მთარგმნელთა უანგარო შრომის და-
ფასების სურვილის კარნახით, მაშინ მართ-
ლა არ უნდა წარმოვიდგინოთ იდეალური
სურათი, ჩვენთვის მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ
უამრავი რამ ხელახლა არის სათარგმნი.

ქართული მწერლობის ნიმუშების კარგად
თარგმნის შემთხვევა აქამდე გამოცხადების ხა-
სიათა ატარებდა. მე ვიცი, რომ ცდა არ დაუ-
კლიათ, იყო მოსდომება, მაგრამ კარგად თარგმ-
ნის შემთხვევებზე მანც გამოცხადისია. სრულ-
ყოფილად, უნაკლოდ თარგმნის შემთხვევები კი
კიდევ უფრო იშვიათი ხლია. ამიტომ, თი-
თო-ორი და სასიხარულო ფაქტით მოგვიჩილი
სიამოვნება თვითკმაყოფილების წყაროდ არ
შეიძლება იქნეს. მით უმეტეს, რომ ჩვენთ-
ვის ცალკე-ცალკე ყველამ მშვენივრად ვუწყით,
რომ საქმეს ვეღვა უნდა. ამიტომ შექმნილი
ვითარება მოითხოვს გარკვეულ დამოკიდებუ-
ლებას, მას ან უნდა ეგუებოდეთ, ან არა.

ქართული ლიტერატურის თარგმნის პრო-
ბლემით არათუ ყოველი მწერალი, ყოველი



შეგნებული მამულიშვილი არის დანტერტ-სებული. ამ საქმის მოგვარება არც მხოლოდ ერთი რომელიმე ორგანიზაციის კომპეტენციაში შედის. ყველა ორგანიზაცია, ვისაც კი უშუალოდ ეხება ქართული მწერლობის, ამ შემთხვევაში, რუსულ ენაზე თარგმნის და გატანის მნიშვნელოვანი საქმე, თვით ექვემდებარება საზოგადოებრივ აზრს მთელი თავისი საქმიანობით. ამ საქმეში უშუალოდ მონაწილეობს ყველა ჩვენთაგანის აზრი და დამოკიდებულება. ამაზე უფრო პირველხარისხიანი საქმე ქართველი მწერლისათვის, კერძოდ, ქართველი კრიტიკოსისათვის არც შეიძლება არსებობდეს. მასზე ფიქრი საზოგადოებრივ მოთხოვნებზეა და რეაგირებას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ ბევრი საკამათო დებულება გამოითქვა თარგმნის პრობლემებთან დაკავშირებით (გ. შიტინი — „სწავრდის ეპოქა“, „ცისკარი“ მე-მ ნომერი) და ზოგი ჩემი მოსაზრებაც არასწორად იქნა წაკითხული (ო. ნოდია — „მხატვრული თარგმანის პრობლემები“, „ცისკარი“ მე-მ ნომერი).

უპირველეს ყოვლისა, სახანოვანა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარქაქციო კოლეგიის საქმიანობა გავეცანო კოლეგიის თავმჯდომარემ ოთარ ნოდიაშ. ჩემს წერილში აღძრულა ზოგიერთი საკითხის განხილვას მან დაუკავშირა მთავარი სარქაქციო კოლეგიის მიერ გავრეული შრომის დასასიათებაც. ეს კი მკითხველისათვის, ლიტერატურული საზოგადოებრიობისათვის საინტერესო გამოდგა. მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ-ურთიერთობათა მთავარი სარქაქციო კოლეგია, უკვე რამდენიმე წელიწადია ჩამოყალიბდა და ძლიერ ორგანიზაციად იქცა. გამოიკვეთა მისი მუშაობის ფორმები და შინაარსი, ხოლო თავის წერილში ო. ნოდიაშ მოგვითხრო იმ კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელთა აღსრულებისათვის იბრძვის კოლეგია.

ო. ნოდიაშ წერილში ბევრი საგულისხმო მოსაზრებაა გამოქმნილი. მე მათ ქვემოთ საგანგებოდ შევეხები, რადგან არ შეიძლება ისინი არ ჩაითვალოს სწორი ორიენტაციის უტალონებად და საგანგებოდ არ გამაზვიანდეს მათზე ყურადღება.

მანამ კი რამდენიმე ჩემთვის მიუღებელ შეხედულებასზე უნდა ითქვას. ო. ნოდიაშ, როგორც ჩანს, შედეგტად გაუწია ანგარიში ჩვენში გავრცელებულ ერთ ავადმყოფურ ჩვენას, რადგან მისი ვარაუდით (ეს ვარაუდი და მერყეობა წერილში ადვილად ილანდება) ამასთან შეკეთრი დაპირისპირება რაღაცას აცნებდა ამ დიდ საქმეს. ეს შიში გახლავთ სრული სი-

მართლის ნიღლიწმად მონათლის შიში. ჩვენ დავრჩევთ რამდენიმე კარგი ფაქტის გახვიადებას და წყალწყალა ოპტიმიზმით ერთმანეთის სულის გამოკვებას. მხოლოდ ბრმა ვერ დანახავს და ვერ შეაფასებს სწორად დიდებულ რუსი მწერლებსა და მთარგმნელებს მიერ გაკეთებულ საქმეს, მაგრამ ისევ იგრძნობს თუ ვერ დანახავს, რომ უჭარბაზარი საქმე მომავალშია გასაკეთებელი.

გინდა თუ არ გინდა, გახვიადებულ ფაქტებზე და უსაფუძვლო ოპტიმიზმზე დამყარებულ შეხედულებებს ანგარიში უნდა გაუწიო, ფრთხილად ისახურო მტკივნეულ თემაზე, ან ამითაიფრე შეურაცხველ უსამართლო რეაქციებს. მაგრამ, საბედნიეროდ, ბოლოს და ბოლოს, დღესაც ხოლმე დრო, როდესაც უქმნალო ვითარების მეტი მოთმენა აღარ შეიძლება და გარკვევით უნდა ითქვას ყველაფერი. თარგმანის სტიქიურმა, თვითდინებითმა პროცესმა იმდენად მახინჯი სახე მიიღო, რომ საგანგებოდ ჩააფიქრა როგორც ჩვენში, ასევე სხვაგან ყველა, ვისაც კი შეტყაობდად ეტებოდა იგი, თარგმნის პრობლემა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად იქცა. საკავშირო და რესპუბლიკურ ყურნალ-გაზეთებში სერიოზული დისკუსია დაიწყო ამ თემის გარშემო. „კობრიანი ლიტერატურის“ რედაქცია ამ დისკუსიისა შექარებასაც კი შეუდგა. სრული სიმართლის თქმა საქმის შინაარსმა მოითხოვა და მისი კარნახით არ შემიძლია ო. ნოდიაშ რამდენიმე მოსაზრება არ განვიხილო.

მე და ო. ნოდიაშ სახეობით ერთ პოზიციაზე ვდგავართ, როდესაც იგი გულწრფელად აცხადებს: „ამათს არ იწვევს ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში ქართული ლიტერატურის ნაწარმოებები რუსულ ენაზე მხატვრულად დაბალ დონეზეა თარგმნილი, ერთფეროვანია, დაკარგული აქვთ სტილური მხატვრული თავისებურებანი, ზოგ შემთხვევაში კი არაფერი აქვთ საერთო თვით ორიგინალთანაც. ისე, რომ ავტორი ვერც კი სცნობს საკუთარ ნაწარმოებს“. ეს სინამდვილეა. სწორია ისიც, რომ ცალკეული კარგი თარგმანების არსებობა არ უნდა ნიშნავდეს საქმის საერთო სავალლო ვითარებაზე თვალის დახუჭვას. მაგრამ საოცრად ვწორდებით ერთმანეთს, როდესაც აქ მოტანილი ციტატის ავტორი ცოტა ქვემოთ ამბობს: „მთავარია შედეგი. და თუ საკითხის გადაწყვეტას ამ თვალსაზრისით მივუდგებით, უნდა ვთქვათ, რომ ცალკეული ნაკლოვანებების, კურორტის გამოჩნრება დიდს არ-

აუტრის მოგვეცემს. არ არის სწორი, საკითხის გადაწყვეტა ნეგატიური კუთხიდან ვცადოთ. გარდა ამისა, ასეთ გზას საბოლოო ჯამში, თუ უსაფუძვლო კამათამდე თუ კინკლაობამდე არ მივყავართ, ფაქტების უბრალო აღმსუბხველიის როლიში მაინც გამოვყავართ, ეს კი მუდამ დაგვიანებული რეაქციაა." თუ ერთ შემთხვევაში ვაღიარებთ „საქმის საერთო სავალალო მდგომარეობას“, შეიძლება შემთხვევაში „საქმის საერთო სავალალო მდგომარეობაზე“ საუბარს „ცალკეული ნაკლოვანებების, კურორტის გამოჩხრეკა“ არ უნდა ვუწოდოთ. ო. ნოდია დამემოწმება, ალბათ, რომ „ცალკეული ნაკლოვანებების, კურორტის“ გამოსწორებულად არც სპეცვიროს მასტაბიით ატყდებოდა დავა და არც მთარგმნელთა მთავარ სარედაქციო კოლეგიის ჩამოყალიბება გახდებოდა საჭირო. ამ კოლეგიის დაარსების საჭიროება სტრუქტურობასთან, „საერთო სავალალო ვითარებასთან“ დაპირისპირებაში წარმოშვა. „საერთო სავალალო ვითარების“ გამოსწორების მიზნით მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილებაც საჭირო შეიქნა. მაშასადამე სრული სიმართლის თქმა აუცილებელი, წყვეტ სიმართლის შერბილიება კი მომდევნო აბსტრაქცი აბსტრაქციანებს დამოკიდებულებას, აღუწებს ყურადღებას. მთარგმნელთა მიერ გაწეული შრომის დაფასებას ჰეგმონიზმით არ უნდა შევიწროოთ. შრომის დაფასება ტაქტიკ არის და მაღლიც. მაგრამ ტაქტიკათვის ნათქვამი სიტყვა ჩვენზე არ უნდა მივიღოთ სიმართლედ, რადგან სიმართლედ სულ სხვას გვეუბნება. ჩვენ შრომა უნდა დაფუძნდეთ ადამიანებს. მაგრამ ის, რის თარგმნაშიც დიდი შრომაა ჩადებული, როგორც ვხედავთ, არ არის სასურველ დონეზე თარგმნილი, — ხელახლა მოითხოვს თარგმნას, შესაფერისად თარგმნას. სხვაგვარად ქართული შერლომის აუტაცხელი სიმდიდრე დაკარგულია სპეცვიროს მკითხველისათვის. ო. ნოდია მაშინ არის მართალი, როდესაც თვალს არ ზუჭავს საქმის „საერთო სავალალო მდგომარეობაზე“, როდესაც აღიარებთ ამ სინამდვილეს. მხატვრული სარედაქციო კოლეგიაც ამ სინამდვილის სრულად გააზრებით არის ჩამოყალიბებული, მას დიდი და ძნელი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. „ცალკეული ნაკლოვანებები და კურორტები“ თვით მთავარი სარედაქციო კოლეგიის მომავალი მუშაობის თანამდგომე შეიძლება იყოს; და ეს საგნებით მოხატონი და ბუნებრივი იქნება „საერთო სავალალო მდგომარეობის“ დამატარებლად შეცვლის ძნელ გზაზე. მთავარ სარედაქციო კოლეგიას მიზნად სწორედ ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორება და თარგმნის მნიშვნელოვანი პროცესისათვის კანონზომიერი სახის მინიჭება აქვს დასახული. დღემდე მის მიერ გაწეული შრომისდა კვლად ჩვენ სწორედ ეს იმედი გვიჩნდება.

ჩემი წერილი დღემდე არსებულ ვითარებასთან შეუარებლობის პათოსით არის ნაქარნახვი. სიმართლისათვის თვალის გასწორების გარეშე კი ნათელ მიზანს ვერაფერს დაიხსნავს. ჰერ სწორ დიაგნოსს ვსაშენ, მეტიც არ შეპარება, რომ მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, რომელსაც ო. ნოდია ხელმძღვანელობს, იცის ამ სიმართლის შინაარსი და ოპონენტმა ზემოთ ჩემს მიერ რამდენჯერმე ხაზგასმულ სიტყვებში გავიმიჯნა, რომ მშვენივრად უწყის ყოველივე. მაგრამ აუხსნელია, ჩემი მკეთრი ფორმულირებები რატომ მოინათლა ოპონენტის თვალში თუ ნილიზმად არა, პეისინიზმად მაინც. ჩემი წერილი სწორედ იმთ უპირისპირდება, ვისაც მოიცავს განწყობილება „ამ საქმეს მაინც არაფერი, ეშვებება“. ეს სიტყვები ჩემი პოზიციის და განწყობილების გამოხატვლად არ არის წერილში ჩასმული მთელი წერილი სწორედ ასეთი მდგომარეობისადმი შეგუების წინააღმდეგ არის მიმართული. ამაზე მეტი ოპტიმიზმი შეიძლება წარმოვიდგინოთ? ოპტიმიზტი კაცის მეტი მსგავს განწყობილებას ბრძოლას ვინ გამოუცხადებდა.

და კიდევ, რაკი სიმართლის აღიარებას მივსდევთ, რაკი ნაკლი საშეკაროზე გამოგვაქვს, ეს განა იმას ნიშნავს, საკითხის გადაწყვეტის ნეგატიური კუთხიდან ვცდილობდეთ. ეს უბრალოდ ნეგატიურისადმი დაპირისპირებაა. ამასთან, საჭირო და აუცილებელი კამათი რატომ გვესახება „უსაფუძვლო კამათად და კინკლაობად“? ჩემთვის ნათელია ო. ნოდის პოზიცია, — ჩვენში მართლაც ხშირად იქცევა ლიტერატურული ბრძოლის, დისკუსიის საგანი უსაფუძვლო კინკლაობისა და კამათის სახაბად. მაგრამ ვინა რიდით და როდემდე ვარდით თავი ესოდენ ცხოველყოფილ ლიტერატურულ დისკუსიას, კამათს, თუნდაც მწვავეს. ვისი შიშით და როდემდე. მოდუნდა ქართული კრიტიკული აზროვნების და ლიტერატურის ძარღვები, რადგან სწორედ ამ ნამდვილ შერლომს პეტრობას არის მოკლებული! პეტრობა (ლიტერატურული, ამ-

ჯანსუღ დონეჯილია
მხნერილი უპარობასა და
თვითმკაცყოფილებას შორის



აღლებული) მწერლობის შინაგანი განახლებების წყაროა.

ოპონენტის წერილს, ცოტა არ იყოს, უსაფუძვლო შიშის კვალი ატყვია. კოლეგიის სეროზული საქმიანობა იქნებ ვინმემ ვერ დინახოს და ვერ დააფასოსო, თარგმანის პრობლემებსა და ამ საქმის ნაკლებ საუბარი „დაგვიანებული რეაქცია“ არც მაშინ იქნება, როდესაც ჩვენი სახელმწიფო მიზნები ასრულდება. როდესაც სტიქიური პროცესი, ეპიზოდური წარმატებანი კანონზომიერის კალაპოტში მოქცევა, როდესაც ეროვნული მწერლობის საუცხოო ნაწილები შეხვედრისად იქნება თარგმნილი... არ იქნება დაგვიანებული რეაქცია, რადგან დიდ საქმეს ნაკლი ყოველთვის ახლავს და თვალის დახუჭვა არასოდეს არ გვეპატიება. ახლა კი მით უმეტეს: მთავარი სარედაქციო კოლეგია მხოლოდ პირველ ნახევარ დგამს და როგორი სეროზული მითაც არ უნდა ეკიდებოდეს თავის საქმეს, ჯერ შედეგი მაინც შორს არის, შედეგი მომავალშია. გაკეთებული ჯერ ხომ ნაწილობრივ თუა დღის სინათლეზე გამოტანილი. ის, რაც კოლეგიის პირთფელში დევს, როგორცო. ნოღას წერილობრივ ირვევა, არ შეიძლება ლიტერატურულ ფაქტად ჩაითვალოს გამოქვეყნებამდე. შეუძლებელიცაა და არც არავინ მოითხოვს ახლად დაარსებული ორგანიზაციისაგან იდეალური სურათის შექმნას. ჯერ ყველაფერს მხოლოდ საფუძველი ეყრება — ამ უზარმაზარი მიზნის გასრულება კი თაობების საქმეა. ხვალ თუ ზეც კოლეგიის მუშაობის შედეგი გამოჩნდება და როცა თაროებს შეემატება ქართული მწერლობის საუცხოო თარგმანები რუსულ ენაზე, ჩვენ ყველანი მივინახებებით მას. კრიტიკის მხოლოდ ლიტერატურულ ფაქტებზე შეუძლია მსჯელობა, კლასიკებში ვაქრულ სამხედროებან ავის თქმა, ან კარგისა — მკრებლობაა. მთავარი სარედაქციო კოლეგიის იმედი კი ამ სტიქიონების ავტორს, მუდამ ჰქონდა და როდესაც კი თარგმანის პრობლემაზე სიტყვა დაუძრავს, ეს იმედიც უხსენებია.

ოპონენტის ერთი დებულებაც არის ჩემთვის მიუღებელი: „თუკი ქართველი მწერალი რუს მწერალს მხოლოდ იმიტომ ხვდება, რომ საკუთარი ნაწარმოებები ათარგმნისოს, ამაში თავისთავად ცუდი არაფერი არ არის, ამ შეხვედრების შინაშეულობა ცალკეული კონკრეტული შემთხვევითი განისაზღვრება, კარგის მომასწავებელია და ნაყოფიერ მუშაობას უწყობს ხელს, ასეთი შეხვედრები მუდამ იქნება, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი მაგისტრალური ხაზი ლიტერატურული ურთიერთობისა და მთარგმნელობითი მოღვაწეობისა, ძირითადი მისია ლიტერატურულ ორგანიზაციებსა და გამოცემლობებს აკისრიათ“.

ავტორებისათვის შეურაცხყოფის მიყენება არც მე მაქვს მიწინააღმდეგარ და სახელმწიფო ვთვლი, უკიდული ავტორი იმიტომ აწერს ნაწარმოებს სახელსა და გვარს, რომ მოსწონს იგი, სხვისაზე ნაკლებად არ მითრწნის, ამიტომაც მართალი გულით და სუფთა სინდისით ეწერაფვის საკავშირო, არჩნას. ამიტომ არ გულისხმობს ჩემი „უღონლობა“ ავტორთა შეურაცხყოფას. მაგრამ მიაპიტობა ფიქტივმაზე, თითქოს „ამ შეხვედრების შინაშეულობა ცალკეული კონკრეტული შემთხვევებით განისაზღვრებოდეს“. მე მინდა შევინშნო, ო. ნოღას, თუცა ვეჭვობ იგი ანე გულუბრყვილოდ ფაქობდეს, რომ ისეც წყუული ტაქტი არ უღობადებს სრული სიპართლის თქმას გზას; მინდა შევინშნო, რომ რუს მწერალთან დაახლოვებას ცდილობენ ანა ცალკეული ავტორები, არამედ თითქმის ყველა ქართველი მწერალი, თითქმის იმდენი, რამდენი ავტორიცაა საქართველოში, კავშირის წივრიცა და არა წივრიც, ახალბედაც და ძველი თაობის წარმომადგენელიც. ვიფიქრობ, მართალი გულითა და სუფთა სინდისით ცდილობენ ავტორებს ვერაფერ ვერ მოთხოვს თავისი შემოქმედების ღირსება-ნაკლფანებებში ისე გარკვევას, რომ საკავშირო არენაზე გასვლის უფლება აუკრძალონ თავიანთ თავს. მით უმეტეს, რომ უამრავი ცოდა და ბრძოდა შევი და ფრანა „თუ ის ითარგმნა, მე რატომ არა“ სასამართლოს ჰუმანური განჩინებით უღამის ზეციდან.

ჩვენ რამდენიმე დიდებულ ქართველი მწერლის ურთიერთობა გვახსოვს რუს მწერლებთან. და აი, ამ შეხვედრებისა და ურთიერთობის დადებით მხარეებზე სულ ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ს. ჩიქოვანის, ბ. პასტიკინაის, ნ. ზაილოციის, ვ. გოლციის მაგალითებით ვეჭმენა თუ ვეწმინდება განწყობილება. ასეთი მაღალი დონის შეხვედრათა მაგალითებს რამდენიმე თანამედროვე ქართველი მწერალიც იძლევა, მაგრამ ამ კანონზომიერი პროცესისათვის სათავის დასაღებად შექმნილ ორგანიზაციას განა იმის მტკიცება სჭირდება, რომ „მაგისტრალური ხაზი ლიტერატურული ურთიერთობისა“ აქამდე დაუკრძალი აქვს ისეთ პირად შეხვედრებს, რომელთა მომხრე არა და არ შეიძლება ვიყოთ? ამ პირადი ურთიერთობების დამახინჯებული ფორმა კოლეგიის მუშაობის შემკრასაც ეტდება. ამ შეხვედრებით დამიგობრებულ მწერალს კოლეგიასაც მოახვევს მეგობრად მავანი და მავანი. ყოველ შემთხვევაში, ცდას არ დააღებს, იპოვის სუსტი ადგილი. ასე აკეთებდა წინათ, ასე წყუებდა დიდ არენაზე თავისი გახვლის საკითხს მწერალთა კავშირში თუ თბილისისა და მოსკოვის გამოცემლობებში. ახლა შეიცდება კოლეგია-

შიც მოკიდოს ფეხი, როგორი დიდი წინააღმდეგობაც არ უნდა შეხედეს იქ, რადგან ვაქტიურად, და ეს ნურავის ეწყინება, მთარგმნელთა მხატვრული სარქდაქციო კოლექცია ერთი ისეთივე ორგანიზაციაა, როგორიცაა მწერალთა კავშირი, „მერიანოს“ რუსულ გამოცემათა რედაქცია, მოსკოვის გამოცემის ლობები და თვით აქამდე ეს ბარიერები ტალღული ორგანიზაციების სახით გადალახს იმ ავტორებმა, გადალახვენ სარქდაქციო კოლექციის წინააღმდეგობასაც. ამიტომ მიმანდა და მიმანია პირადად მე აუცილებლობად ერთიანი საზოგადოებრივი აზრის შემუშავება სწორი გზის მოსაზრების მიზნით. ამიტომ ვწერდი და ახლაც გავიმეორებ, რომ მღვრიე ნაკადისთვის გზის გადალახვა ერთ რომელიმე ორგანიზაციას არ უნდა დაეკისროს, ესოდნად დიდი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა — რუსულ ენაზე სათარგმნი კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობის ნიმუშების შერჩევა განხორცილდეს სახელმწიფოებრივ დონეზე, მკაცრად კონსპირირებული, სავანებოდ ამ საქმისათვის შექმნილი ეიურის მიერ. რათა ამ ეიურის კარების შეღდება ყველასათვის არ იყოს შესაძლებელი, მიუწვდომელი ჩრებოვან ავტორებისათვის. ხოლო კონტაქტს ავტორებთან, რომელთაც ეიური ღირსად ცნობს, ადვილად დამუშავებს ყველა ლიტერატურული ორგანიზაცია და, პირველ ყოვლისა, მთარგმნელთა სარქდაქციო კოლექცია. ცისკრის მე-5 ნომერში სავანებოდ აღწერიწე ამ პრობლის შესახებ, მხოლოდ ჩემს თავს არ მივიტოვებდი, ფორმა თვითვე შემეთავაზებინა და თუ აქ გაგებდე სიტყვის ჩამოგდება, მხოლოდ, იმიტომ, რომ ოპონენტმა არასწორად გაიგო ჩემი წინადადება. კვლავ და კვლავ მინდა გავიმეორო, რომ არ უშეძლება კოლექციის, მწერალთა კავშირის, გამოცემლობის სარქდაქციო საბჭოების ენერჯია მავანი ავტორების მოგვრების შედეგის. მათი უპირველესი ამოცანაა ზუსტი პუქარდების მომზადება, ღირსეული მთარგმნელების შემოკრება, ხელახლა სათარგმნი ნაწარმოებების დადგენა და მანამდე შრომა, სანამ კლასიკური ქართული ლიტერატურა საკადრისად თარგმნილი არ მთავაკავშიროს მკითხველამდე (უცხო ენებზე თარგმნის პრობლემა კიდევ უფრო რთული ამოცანაა, მაგრამ ჩვენი მსჯელობა რუსული ენით ისახლებრება ამ შემთხვევაში). მე ეს მხარდაჭერა მქონდა მხედველობაში, უფრო სწორად, არა მხარდაჭერა, არამედ რაღაც უფრო ზემო დგომი საშუალების გამოხატვა, რადგან არა და არ არის ეროვნული მწერლობის დიდ არენაზე გატანა იმაზე უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე რუსთაველის პრემიის მინიჭება. რუსთაველის პრემიის მინიჭება კი არ არის დამოკიდებული ერთ რომელიმე ორგანიზაციაზე, ვთქვით მწერალთა კავშირზე. ერთ ორგანიზაციას, როგორცაღაც არ უნდა მუშაობდეს იგი,

გაუქირდება ობიექტურობის დაცვა, ავტორთა პირადად კი უფულო, გადავიღებოდა და საზომებიც აირედა.

სერიოზული დისკუსია, ზემოთაში ორგანიზაციის ჩარევა რაღაც ამდაგვარი ფორმის მოსახატვა, ჩემი აზრით, ამიტომ იყო სასურველი. თორემ სხვა მხრივ კოლექცია რომ პირადი ძალების ანაზარა არ არის მიტოვებული, ეს ყველაფრიდან ჩანს. მთარგმნელთა მთავარ სარქდაქციო კოლექციას ყოველმხრივი ხელშეწყობა აქვს, რომ როგორც ძლიერი ბაზა მზად იყოს დიდი საქმეების საკეთებლად.

მე ნაკლებ მტერა, რომ კოლექცია შეძლებს იმას, რაც მწერალთა კავშირმა და გამოცემლობებმა, როგორც ორგანიზაციებმა, აქამდე ვერ შეძლეს, რადგან კოლექციაც ერთი ორგანიზაციაა, ავტორებმა კი იციან, რომ მას სწორედ აქ უწერენ ან არ უწერენ მხარის და ბრძოლას არც აქ დაერიდებიან. ამიტომ წინასწარვე განწირული მერყეება ოპონენტის ოპტიმიზმი: „აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლექციამ საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად არცთუ უმნიშვნელო მუშაობა ჩაატარა იმისათვის, რათა შეემცირებინა საკავშირო არენაზე რუსი და საკავშირო მკითხველისათვის არასაინტერესო ნაწარმოებების თარგმნა და გამოცემა. ამ მხრივ კოლექციას კომპრომიისის არც ერთი შემთხვევა არ მქონია; კოლექციაში ხდებოდა რეცენზირება იმ ნაწარმოებებისა, რომელთა გამოცემა განზრახული მქონდათ ცენტრალურ გამოცემლობებს და ელოდებოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის რეკომენდაციებს. ასეთი გამოცემების რიცხვი თითქმის „ნულიის დონეზე“ დგება“.

კოლექციამ რომ სერიოზული მუშაობა გასწია, ამაში ექვის შეტანა წარმოუდგენელია, მაგრამ განცხადება „კოლექციას კომპრომიისის არც ერთი შემთხვევა არ მქონია“ ნარწმუნებია, შესაძლოა, ამაში თავის დარწმუნებამ სიხშირედ მოგვაკლოს და თვითმყოფილები-საქენ მიგვაბრუნოს.

ო. ნოდარს წერილიდან ძალზე სასიამოვნო იყო ჩვენთვის კოლექციის მიერ ჩატარებული მუშაობის გაცნობა. აშკარაა, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში მაღალ ლიტერატურულ და მკითხველურ რეცენზირებადგება, კურსი აქეთენ არის აღებული. სადო და გასარკვევი პრობლემები კი ლიტერატურას არც უნდა დაელოდოს. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩანს კოლექციის გადაწყვეტილება, შეისწავლოს როგორც ქართულიდან სხვა ენებზე თარგმნილი ნაწარმოებების დონე და ხარისხი, ასევე ქართულად თარგმნილი ლიტერატურის ავტორი, დაწესტოს, სრულყო სია

ჯანსუღ დემურბილია
მანძილ ლემარკლასა და
თემიამაკოფილიას შორის

გ. შიტინს აწკარედის ხასარგებლოდ უამრავი მძლავრი არგუმენტი მოაქვს. და ეს არგუმენტები მის ხელში არა მარტო იცავენ აწკარედს, არამედ უპირატესობასაც ანიჭებენ ენის ცოდნასთან. კრიტიკოსი ბოლომდე მალავს იმ მთავარ არგუმენტს, რომელიც არ შეიძლება არ გადასწონდეს ორიგინალის ენის ხასარგებლოდ ხასწორს. ჩემთვის აუხსენილია, რატომ სჭირდება გ. შიტინს აწკარედის უპირატესობის მტკიცება, მაშინ როდესაც აწკარედს არავინ ებრძვის და, უზრალოდ, მისი დაცვაც კი არ არის საჭირო. აწკარედს მოაგებულნი არაა თავისი სპირიტო უფლება და მისიველი ოლიტერატურის პროცესში რა ფუფუნებასაც არ უნდა მიადღეოს მთარგმნელობით პროცესში — აწკარედის საქმიანობა მაინც იქნება და თავის კეთილშობილურ მისიის იგი მაშინაც შეასრულებს.

გ. შიტინი ერთ რამეში მართალია, და ამ მთავარ მიზეზს თუ ახსოვდებოდა მიზეზად ვცდებით მისი მოსაზრებანი შეუვალი და უაღრესად საინტერესოც ჩანს: პრაქტიკულად ორიგინალის ენის შესწავლა კარგი მთარგმნელისაგან უტოპიადაც კი აღიქმება. მართლაც ძნელია წინასწარ განჭვრიტო ვინ იქნება მთარგმნელის ნიჭით მომადლებული, ვის შევასწავლოთ ქართული ენა. მაშინ, როდესაც გაცილებით ადვილია უნიჭიერეს მთარგმნელებად აღიარებული მწერლებს დაინტერესება ქართული ლიტერატურით და ზუსტი აწკარედით მათი მომარაგება. მაგრამ რატომ აიბრუნა ჩვენს წარმოდგენებში ორიგინალის ენის მცოდნე ბრწყინვალე მთარგმნელთა არსებობა თუ მომავალში გაჩენა უტოპია? რატომ გვესახება თითქმის შეუძლებლად, რომ ახლო მომავალში მომრავლებიან რუსი მწერლები, ვისაც ქართული ენა კარგად ეცოდნებათ?

გ. შიტინი უშვებს ერთ არსებით შეცდომას, რომლისთვისაც წყარუბა არსაგზით არ ემეზბის, შეცდომა ჩვენი ლიტერატურული ურთიერთობის ქვეყნობედს ეხება. „...დარწმუნებული ვარ, რომ არ შეიძლება ჩვენს შინაგან თარგმანებს, ანუ სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან რუსულ ენაზე თარგმანებს გარეგანი თარგმანების, ანუ უცხოენოვანი დიალექტური ენებისა, აღმოხვედური თუ სამხრეთული — თარგმანების საწარმოებით ეულტვოდეთ, არ შეიძლება შინაგანი თარგმანების საქმე გარეგან თარგმანებში წავსდეთ „რელსტეზე“ გადავიყვანოთ. მაშასადამე, არ შეიძლება უარყოფით გზა, რომელმაც უკვე გვაგმა „ისტორიული მასშტაბის წარმატებანი“. (ხაზგასმა ავტორისა). გ. შიტინის აქ მოკანალი მოსაზრება, ჩემი აზრით, დიდ გუფერბროსაზე ადგილი. თუ იგი აწკარედს იცავს ან მის უპირატესობას აღიარებს, მაშინ ჭობდა გარკვევით ეთქვა, რომ გარეგანი თარგმანების ორ-

იგინალის ენის ცოდნით შესრულება შემცდარი გზა იყო, ისინიც აწკარედზე დაურდნობით უნდა გავითებულყო. მაგრამ არა გარეგანი თარგმანების მიმართ გ. შიტინი აღიარებს, რომ სჯობს ინგლისელი მწერალი ინგლისური ენის მცოდნე კარგმა მწერალმა თარგმნოს, ფრანგი მწერალი ფრანგული ენის მცოდნე კარგმა მთარგმნელმა, ესპანელი — ესპანურისამ, თურქი — თურქულიამ, გერმანელი — გერმანულიამ, ჩინელი — ჩინური ენის მცოდნე კარგმა მთარგმნელმა და ა. შ.

აქ კი, შინაგანი თარგმანები, ანუ თარგმანები სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან რუსულ ენაზე, სასურველია (შგონი აუცილებელიც!) აწკარედზე დაურდნობით განხორციელდეს. აი, ეს მოსაზრება, რომლის ბოლომდე დაცვას და არგუმენტებით საიმედოდ გამაგრებას ცდილობს გ. შიტინი, ან უბეში შეცდომაა ან იმით შეიძლება გამართდეს, რომ კრიტიკოსი საქმის გაიოდების მიხინით გვირჩევს — ნუ გამოვეკლებით „უტოპიებს“ და ვეცადოთ აწკარედით ვთარგმნოთ. მით უფლებს, რომ „ისტორიული მასშტაბის წარმატებანი“ აწკარედის წყალობით არაერთხელ იქნა მიღწეული.

რაკი გ. შიტინი დაბეჭივით იცავს აწკარედს, იძულებული ვხდებით ჩვენც გავიშოროთ სწორ-სწორად, რომ აწკარედის წინააღმდეგნი არავინ არ არის. მაგრამ საქმე ეხება თარგმანის პროცესის შემდგომი სრულყოფის საკითხს, შემდგომი სრულყოფისაგან სწრაფვა კი იმას გულისხმობს, რომ აწკარედის წყალობით მიღწეული „ისტორიული მასშტაბის წარმატებანი“ ეპოქოდური ხასიათისად გვეჩვენება დღეს და ეროვნული მწერლობის უნივერსალური ბუნების სრული წარმოჩენისთვის უფრო დიდი შედეგის მომტანი გზების ძიებას ვადგვივართ.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა გავცავს ხაზი. როდესაც გ. შიტინი საქიროდ მიიჩნევს გარეგანი ლიტერატურების ორიგინალის ენის ცოდნას და სსრ კავშირის ხალხთა ენების შეუსწავლელობას ქადაგებს, იგი უნებურად ამცირებს ქართულ თუ სომხურ, აზერბაიჯანულ თუ ებრონურ, ლიტვურ თუ მოლდავეურ ლიტერატურათა მნიშვნელობას. არ შეიძლება აწკარედი ერთხისთვის გამძლე და უნივერსალურ ხიდად ჩათვალო, ხოლო მეორეს აწკარედის ხილის გვერდით ორიგინალის ენის ცოდნის ფართო, გაჩახახებული ხიდი აუყო.

რა თქმა უნდა, გ. შიტინს აზრადაც არ ჰქონია საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის დამცირება. მან, როგორც ჩანს, რეალურ მდგომ-

ჯანსუღ ლეონილი
ბანდოლი უკმარობასა და
თვითმკაცროფილმებას შორის



მარეობას გაუწია ანგარიში და გაწარმოა პუკარედის მნიშვნელობა. ვერ ვაითვალისწინა, რომ პუკარედის იმედად მიტოვებული საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურები მეორეხარისხიანია მწერლობის ჩრდილქვეშ ამოჩნდებოდნენ, მათ უნებლოეთ ამგვარი იარაღით აეკრობოდათ.

ქართულ მწერლობას კი, ისევე როგორც ყოველ ეროვნულ მწერლობას, თავისი პრეტენზიები აქვს. რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, აკაკის, ილიას, ვჟა-ფშაველას, დ. კლდიაშვილის, ა. ყაზბეგის, გ. მთავროს, ლ. ლორთქიფანიძის, მ. ჭავჭავაძის, კ. გამსახურდიას, გ. ლერონიძის, ტ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის სახელები, მათ მიერ აშენებული გრანდიოზული ლიტერატურული სამყარო, რომელსაც დღეს ღირსეული წარმომადგენლები ამშვენებს, გვავალებს საქართველოს შემოკრები ლიტერატურული შედეგები მსოფლიო ხალხის კუთვნილებად ვაქციოთ. საიმიხოდ კი უნდა გამოიყენოთ ყველა საუფუფესო სახეალები, მათ შორის ზუსტი პუკარედით... და ახლა კი დროა ვიზრუნოთ უფრო საიმედო და სრულყოფილ ფორმებზე ორიგინალის ენის შესწავლაზე. მართო ვჟა-ფშაველას პოეტური სამყარო იკმარებს მიწზედა, რომ სხვა ერის შვილი ქართული ენის შესწავლით დაინტერესდეს, მიზნად გახადოს გრძნობისა და აზრის დვთაბრძოლა მემოქცივის ყოველი ნიუანსის წვდომას. საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობა, ვფიქრობ, უფრო უნდა აადვილებდეს დაახლოებას და ენის დაუფლებასაც. დიდმა რუსმა მწერლებმა, რომელთაც ბევრი ბრწყინვალე თარგმანით გაამდიდრეს რუსული ლიტერატურა, ვაძენეს რა ქართული მწერლობის ნიმუშები, თავიანთ ხალხს, ის აზრით დაამკვიდრეს, რომ ქართულ ლიტერატურაში ზემოთ ჩამოთვლილი რანდენიმე გენიალური შემოქმედის ხანით არსებობს მსოფლიო ლიტერატურისათვის უაღრესად საინტერესო პეტარის სამყაროები. მათ დამაჯერებლად ილპარაკეს ამის შესახებ და ნაწილობრივ, აგრძნობინეს კიდევ თავიანთი თარგმანებით ამ ქვეყნის არსებობა მკითხველს. ცხადია, ისინი ვერც ვაწვდებოდნენ ყველაფერს, მაგრამ ჩაუყარეს საფუძველი დიდ, ძალიან დიდ საქმეს. ამ დიდი საქმის ბოლომდე მიყვანა კი ორიგინალის ენის შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია.

გ. შიტინი წინამდებელია ისეთი მთარგმნელების მომზადებისა, ვისაც უნა ეცოდინება და ნიჭიც ექნება: „იძის თქმა მინდა, რომ ამ საქმეში ზიანის მომტანი გახდება კურსის აღება ისეთი მთარგმნელების მომზადებამ, ვისაც ენა ეცოდინება და ნიჭიც ექნება. რას გვიბრძანებთ ამ მთარგმნელების თაობაზე, რომელიც ენას დაუფუძნება, ხოლო ტალანტი არ ამოაჩნდება?!

ხელს მიპყროს ასეთი ვაი მთარგმნელი „ტალანტი“ ტალანტად გასაღებას და გამოაცხობს ე. წ. „წიგნიერ“ თარგმანებს“.

ვისაც კი წიგნი გამოუცია, არ შეიძლება არ დაეთანხმოს წინასიტყვაობის ავტორს. მართლაც დღესასწაულაა საკუთარი ხელნაწერების სტამბური „ხელით“ აწუობა და გამოწვევებია. იგი ხელ სხვანაირად უდერს, სხვანაირად იკითხება.

მოგახსენებთ, წიგნი წლობით ადრე ბარდება გამოცემლობას. ადრინდელი დაწერილი წინასიტყვაობაც რამდენადმე ძველდება, რადგან ორი თუ სამი წლის შემდეგ გამოსული წიგნი და მისი ავტორი ვეღარ „თანხმდებიან“ ერთმანეთს — ახალგაზრდა მწერალი გავრდილა, უფრო ადრე გაუცვინა მკითხველს. ასეთი ბედი ეწია ჯ. დავლიანის შემოქმედებასაც. მწერალი ამ წიგნის გამოსვლამდე მკითხველმა გაიცინა 1977 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებული რომანით „წონასწორობა“; შემდეგ ბევრი ითქვა თავის დროზე ახალგაზრდა მწერლის თავისებური ზედვითა და ხელწერით შექმნილ რომანზე, მაგრამ ამჯერად ისევ პირველ წიგნს დავუბრუნდეთ.

წიგნში დაბეჭდილია ჩვიდმეტი მოთხრობა. თვეები — ასე იწყება დროის აღმნიშვნელი, წელიწადის თვეების სახელით დასათაურებულ მოთხრობების ერთი ციკლი. იწყება და მკითხველის თვალწინ იშლება ის სამყარო, რომელშიც უცხოვრია, ცხოვრობს და ცხოვრებს მწერალი, მისი ქვეყანა, მისი ხალხი, სოფელი, მთა, ტყე-ველი...

კითხულობთ წიგნს და ფიქრობთ მწერლის პოეტური თხრობის მანერაზე, რომელიც თავიდან ბოლომდე გახდევს ყველა მოთხრობას, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ არც ერთ მოთხრობაში პოეტური თხრობის დონე მოშვებულა, შელანქოლიური და მშვეიდი არ არის.

„ადამიანის სულის მოძრაობის გადმოცემა იმ წვრლმანების საშუალებით ხდება, რასაც მწერალი მეხსიერებას ჰქოტად და არათანმიმდევრულად სტაცებს. სწორედ ენ განსაზღვრავს მწერლის პოეტურ ხედვას, მისი პროზის ლირიკულ პრიციპს და ნერვულ მანერას“. — ვკითხულობთ შესავალ ნაწილში.

სწორედაც რომ ასეა, ჯ. დავლიანის მოთხრობებში ერთმანეთს ენაცვლება თხრობა, წარსულში რომელიმე მომხდარი ამბიდან გადმოყოლილი მოლენარია „ყვითელი“ ფიქრის ამონაგულეტი, ავი ძაღლის ნაქმნივით მეხსიერების რომელიღაც კუნძულში შემორჩენილი ამბავი, დიალოგი, პირდაპირ მიხლელი სიტყვები, მერე ისევ ფიქრი და ფიქრის სიკეთის სამიგბლად, მერე ისევ მოლენარია სიჭიუტე, მოლლოდნელი ამბავი, ძიება...

თითქმის ყველა მოთხრობა ამ სტილითაა დაწერილი.

ფიქრობ, არ დაემდურება მკითხველი ახალგაზრდა მწერალს იმის გამო, რომ წიგნში რამდენადმე შეხვდება საკმაოდ ახალი, მაგრამ ზოგჯერ უფერული შედარებები, იქა-იქა გაბნეული ბუნდოვანი სახეები...

აქვე მინდა, გამომცემლობის მეხვეურთ ვუთხრა ის, რომ პროზაიკოსის პირველი წიგნის „საყოველთაოდ ცნობილი“, ჩარჩოში მოქცეული „დადგენილი მოცულობა“ რატომც და რისთვის შეამცირეს და განაბეჭდეს? აღბათ, ამ საკითხზე შემდგომში უფრო რეალურად იფიქრებენ გამოცემენი.

პირველი წიგნის დღესასწაული ბოლომდე გაყოლოდეს ახალგაზრდა მწერალს!

ვანა ჩორღელი



მამინ ღმერთამ, „აქტუალური ფოლკლორი“, გამოცემულა „საბჭოთა საპარტიზოლო“, რედაქტორი ჯ. ბარდავილიძე, 1978 წელი.

შეშლილი და უმდიდრესი ქართული კულტურის საგანძურის ღონიერ ფრთას წარმოადგენს აქტუალური ფოლკლორი. საქართველოს ამ კუთხეში ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს უნიკალური პოლიფონური მუსიკა, განუმეორებელი ქორეოგრაფიული ფასეულობა, ანტიკური ოვატრალურ-დრამატული ხელოვნება, ძვირფასი ზეპირსიტყვიერი სასუნჯე.

ყოველი წაგნი, გამოკვლევა თუ ნაშრომი, რომელიც აქარის კულტურულ წარსულსა და აწმყოს ასახავს, აქტუალური და მისასალმებელია.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ამ დღეებში მკითხველებს მიაწოდა ახალგაზრდა პოეტისა და მკვლევარის ემენ დავითაძის ათთაბახიანი წიგნი „აქტუალური ფოლკლორი“. იგი აქარის დედამამუხლობისთან დაბრუნების ახი წლისთავს ეძღვნება.

წიგნი ქართული ფოლკლორის ერთ-ერთ ორგანულ უბანს—შაირებს ეხება. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ავტორს აქარაში გავრცელებული შაირის ციკლის პოეტური ქმნილებანი შეუსწავლია და მეცნიერული დამაჩერებლობით გაუანალიზებია.

მთავარი, რითაც „აქტუალური ფოლკლორი“ სპეციალისტთა და მკითხველთა ყურადღებას იქცევს, მდგომარეობა შემდეგში:

1. მდიდარი მეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ნაჩვენებია უცხოური წარმომავლობის ცნებინ — „შაირის“ — საქართველოში შემოსვლის, ქართულ ლექსიკონში დამკვიდრების ისტორია. ნოცემულია საინტერესო ცდა „შაირის“ ქართულ-ეროვნული შეხატუების ძიებისა („შაირისა“ და „ლექსის“ ბადალ ცნებად ე. დავითაძე მიიჩნევს „გალობას“); გარჩეულია „შაირის“ მრავალწახანოვანი შენაარსი. ავტორი გამოჰყოფს რვა და ექვსსტროფიან ლექსებს, ურითმო რეჩიტატიულ და საფერხულ (სვანურ) შაირებს.

2. საგანგებოდა განხილული ტრადიციისა და იმპროვიზაციის მდგომარეობა აქარულ შაირებში. ხაზგასმულია შაირობის, როგორც

პოეტური შეჯიბრების ხელოვნება, რაც, ე. დავითაძის აზრით, არაერთგვაროვანია: „მიმართვენი შაი რებით შეჯიბრს; განსაკუთრებით ეფექტურია ნახევრადიმპროვიზაციული და ექსპრომტული შაირებით კამათი.“

3. ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა გაშაირება-გაღიქსებისა და გაბანების ანალიზს. დაძენილია რავი ძეგლები, რომლებიც ავლენენ სინკრეტულ ბუნებას და წარმოაჩენენ ქართული ლექსის გენეტიკურ საწყისებს. ამ მხრივ საინტერესოა უნიკალური მუსიკალურ-პოეტური თხზულებები: „ოი ნანი და ნანა“, „სტრტლის ნადა“, „ჩრჩვის ნადა“ და სხვა, რომლებიც აგებულა ქალის, ვყვის, ნახევარგულდების პოეტურ დიალოგზე და გაშაირების ძირძველი ტრადიციის გვერდით ავლენენ ქართული ხალხური დრამატული შემოქმედების სათავეებს.

4. წიგნის ორიგინალურ ნაწილად მიგვანია მენუთე თავი — „ზეპირმთარგმნელობითი იმპროვიზაციის ტრადიციები აქარული მასალების მიხედვით“. ავტორს შეუსწავლია სამხრეთ საქართველოს პოეტურ ფოლკლორში შემონახული გაშაირების ორენოვანი ტრადიცია, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ წარსულში, თურქთა სამსწლიანი ბატონობის დროს, აქარულ ფოლკლორში ქართულის გვერდით სინქრონულად დამკვიდრებულა თურქული ზეპირსიტყვიერი ნიმუშები. მსმენლისათვის თურქული ენის გაუგებრობის გამო, სახელდახელოდ ითარგმნებოდა უცხო ლექსები თურქული ენის მცოდნე ქართველი მთქმელების მიერ, რამაც, ე. დავითაძის დაკვირვებით, თანდათანობით ჩამოაყალიბა იმპროვიზაციის ახალი სახე ზეპირმთარგმნელობითი იმპროვიზაცია. ქართული ფოლკლორის აქარულ ნაკადში განნდა ორენოვანი ზეპირსიტყვიერი ძეგლები; წიგნის დასახელებულ თავეში. ავტორს გარჩეული აქვს შესაბამისი საკითხები და გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ლიტერატურულ მთარგმნელობითს პრაქტიკას წინ უძღოდ და ზეპირსიტყვიერი მთარგმნელობა. წიგნს ღირსებას მატებს ის გარემოებაც, რომ საანალიზო მასალის დიდი ნაწილი თვით ავტორის მიერვეა მოპოვებული.

ე. დავითაძის „აქტუალური ფოლკლორი“ ქართული ფოლკლორისტიკის საინტერესო შენაძენია.

გიგო ბალიძე

პუშკინა გოგონა სახანო

ჯანსუღ ჩარკვიანი. „ზღაპარი პუშკინა მზეთუნახავზე და იაღონზე“, სპ. კვ. ც. ც. -ს გამომცემლობა, „ლილას“ ბიბლიოთეკა, რედაქტორი ანზორ აბულაშვილი, 1978 წელი.

1970 წლიდან საქ. კვ. ც. -ის გამომცემლობაში გამოდის „ლილას“ ბიბლიოთეკის პანია წიგნები, რომლებიც ყლიანად 16 გვერდს არ აღემატებიან. ეს პანია წიგნები 50.000 ტირაჟით გამოდის და საგაზეთო ჯიხურებში იყიდება.

ზედმეტია ლაპარაკი იმ სარგებლობაზე ნორჩებისათვის, რაც ამ პატარა წიგნებს მოაქვთ. დღემდე გამოცემულია მშ წიგნი. გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ სულ ბოლოს „ლილას“ ბიბლიოთეკაში გამოსულ ჯანსუღ ჩარკვიანის პატარა საბავშვო პოემაზე „ზღაპარი პუშკინა მზეთუნახავზე და იაღონზე“. პოემა ჯ. ჩარკვიანისეული, პატარებისათვის მისაწვდომი ქართულია დაწერილი: „იყო ქალაქი შილდისა, ტყეები ჰქონდა შვილდისა, შიგ ერით გოგონა ცხოვრობდა — ახე, ექვსი თუ შვიდისა“. პუშკინა გოგონა მომხიბლავი სიმღერის უნარი ჰქონია, თურმე ის რომ ყელს მოიდერებდა, ისეთ ტბილ ხმებს გამოცემდა, ქურციკი რომ ქურციკია და ხოხობი რომ ხოხობია, ისინიც მოდიოდნენ და გოგონას ტბილ სიმღერებს ისმენდნენ. რაზე მღეროდა გოგონა? მღეროდა საყვარელ საქართველოზე, სიყვარულისა და სიკეთის უკვდავებაზე. იმდენად მომაძალოვებელი იყო გოგონას სიმღერა, რომ უქნარაც კი შრომის ფერხულში ებმებოდა, მისი გალობა ავადმყოფს ფეხზე აყენებდა, გლეხი გუთონს სიყვარულით ეკიდებოდა და ზღვა მოსავალი მოჰყავდა, ქვრივების ბედლებს პურით და ქვევრებს ღვინით ავსებდა, ობლებს ტბილი კვრი არ აკლდებოდათ. აი ასეთი ძალია ჰქონდა პუშკინა მზეთუნახავი გოგონა სიმღერა-გალობას, მაგრამ ქვეყნად ბოროტებას რა გამოედევს, მიეპარა ხატანა, სწორედ იმ დროს, როცა გოგონა თავდავიწყებით მღეროდა და თაფლის წვეთად აქცია არც სატანას ჰქონდა სხვა ძალი, თორემ თაფლის

წვეთად კი არ აქცევდა, უარეს უნაშაღა. გოგონას სიცოცხლე წაართვა, თაფლის წვეთად აქცია, ის თაფლის წვეთი კი გულუკვირელა იაღონს გადაუწყლაპავს და ახლაც იმ ჩიტში ბინადრობს, ხომ მოხიბლულხარო იაღონის გალობით, ეს სულ იმ მზეთუნახავი, პატარა გოგონას ხმა არის, ასე ლამაზი, ასე მწვეფარე და ასე სიცოცხლის, ხილამაზის, სინაზის დამამკვიდრებელი.

რისთვის დასჭირდა პოეტს ამ პატარა და ითქვას ნაკლებად მნიშვნელოვანი ამბის ბავშვებისათვის მოყოლა? ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ ეამბნა, პატარა ტბილხიანი გოგონა როგორ იქცა თაფლის წვეთად და მერე ის თაფლის წვეთი როგორ ჩაუღაპა გულუკვირელა იაღონმა? არა, პოეტს უფრო მეტი აქვს სათქმელი და არა გვგონია, ამას ვერ ჩასწვდნენ ამ პოემის პატარა მითხველები: „სუყველა გალამაზია, სუყველა უბედურია, ხან პაწაწინა ფრთას შლიან, ისეცის უბე სწყურიათ. ყველაში თაფლის წვეთად ზის პუშკინა მზეთუნახავი, გახსენით კარი მწეთაშის, ის თქვენს სიცოცხლეს შეგპარის. გახსენით კარი ბინდისა — შისი თვლით მოცდიმეთი და დაუბრუნეთ შილდისას ზვალის რწმენა და იმედი“.

პოეტი ძალიან უბრალოდ მიგვანიშნებს ერთ ადამიანურ უსამართლობაზე: ეს გულუკვირელა ჩიტები ბევრს საკუთარ სახლში, გალიაში ჰყავს დამწყვდეული და არასოდეს იმაზე არ დაფიქრდება რად უღირთ ამ ჩიტუნებს ეს ტყვეობა. ამ ჩიტუნებში ხომ იმ ლამაზი მზეთუნახავი პუშკინა გოგონა სულა გამოწყვდეული. გინახვთ მინდორში როგორ ნადირობენ ამ ჩიტუნებზე, როგორ ამწყვდევენ გალიაში და როგორ ყლიან ბაზარში, ამით ორიოდ არა ალღვ გროსს მოუღობენ? ნანახი გექნებთ გალიებში გამოწყვდეული ლამაზი ჩიტები ოთხ კედელს რომ ეხეთქებიან და ამაოდ ცდილობენ თავისუფლების მოპოვებას.

აი რაზე სურს დაგააფიქროს ჩვენც და ჩვენი ბავშვებიც პოეტმა.

ზულმა პანიშავილი.





ჭაბუკ კვიციანი

უიქრები გეგარეგების გეგნოლოგიაზე

დღევანდელი ფეხბურთი რომ ასეულ მილიონობით მაყურებელს იზიდავს და მაღალი კლასის ფეხბურთელები რომ მეტი პოპულარობით სარგებლობენ, ვიდრე სახელმწიველი მსახიობები, ცხადიც არის და ათასჯერ ნათქვამ-დაწერილიც. ისიც ცნობილია, რომ ფეხბურთის გაცილებით მეტი ახალგაზრდა მისდევს, ვიდრე სპორტის, რომელსაც გენბავთ, სხვა სახეობას. ყოველივე ეს, ალბათ, იმიტომაც ხდება, რომ ფეხბურთმა დიდი ხანია წმინდად სპორტული სანახაობის ფარგლები გაარღვია და ეროვნული პრესტიჟის, იდეოლოგიის სფეროში შეიჭრა. ერთობ ძნელი ასახსნელია და უფრო საინტერესოა ის, თუ ბილეთის უქონლობის გამო შინ დარჩენილ გულშემატკვარს რა აიძულებს მატჩის ტელერეპორტაჟს თვალმოუწყვეტლევ უყუროს, ანდა პრესაში, მეორე დღეს, რა აკითხებს საკუთარი თვალით ნანახი თამაშის ანოტაციას. ერთი სიტყვით, რა ავსებს ჩვენი მშვენიერი სტადიონის ტრიბუნებს? მართალია ამ კითხვზე პასუხის გაცემას საგანგებო სოციოლოგიური გამოკვლევა სჭირდება, მაგრამ ჩვენი აზრით, მთავარი მამოძრავებელი ძალა მაინც ის არის, რომ გულშემატკვარს სურს თავისი გუნდის ლამაზი, რაინდული გამარჯვების მონაწილე გახდეს. დიას, ლამაზი და რაინდული — ეს საგანგებოდ უნდა ითქვას!

პირველი ერი ისტორიულად სპორტული ერია და, საერთო აღიარებით, საქართველო დღესაც „სპორტული რესპუბლიკაა“. სპორტი ჩვენში პიროვნების დამკვიდრების საშუალებ-

ბაა — „ჩემს სახელსა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“! სახელი არა მხოლოდ ფიზიკური ძლიერებისა და მაღალი დოსტატების გამოკვლენით იხვეჭება, არამედ და უწინარეს ყოველისა, უდრეკი ხასიათით, მშვენიერებამდე დახვეწილი პლასტიკითა და მოედანზე რაინდული საქციელით. საქართველოში გულშემატკვართა დიდი ნაწილი ღირსეულ ორთაბრძოლაში დამარცხებას უფრო ეგუება, ვიდრე უხეშობით, ცბიერებითა და ვაივაგლახით გამარჯვებას და გამარჯვება — დამარცხებასთან თვით ჩვენს ფეხბურთელებსაც იგივე დამოკიდებულება აქვთ. ქართველ სპორტსმენს, გულშემატკვარსა თუ რაიგითს მაყურებელს „ბურთი და მოედანი“ ტრადიციულად შემოქმედების, ოსტატობის, სილამაზის, მაღალი სპორტული ზნეობის ასპარეზად მიაჩნია.

ასეთი გამარჯვების წყურვილი ავსებს ჩვენს ტრიბუნებს!

გამარჯვებულ პირველივე ტურიდან ლიდრობა ვერავინ ჩამოგვართვა, ჩემპიონები გავხდით მრავალჯერ ჩილდოს დავეუფლეთ, დიდოსტატურად, ლამაზად, რაინდულად გავიმარჯვეთ, მაგრამ ცენტრალურმა სპორტულმა პრესამ ჩვენს გამარჯვებას, საერთო ჯამში მაღალი შეფასება მაინც არ მისცა. ამ შეხედულებას საფუძვლად უდევს ჩვენი მუდმივი წარუშემატებლობა ევროპულ ტურნირებში და ეს, გულზე ხელი დავიდლო, ზემოაბრტეხას მოკლებული არც არის. დეკარძს ნუ შეეყვებით, დავეთანხმობ და ჩვენს საქმეს მივხედოთ. დავკვირვება ასეთ დასკ-



ბათა რაციონალური გამოყენება და ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვა იგულისხმება. ვფიქრობთ, ვერც ამ მხრე ვიპოვით სასაყვედურს. ძნელი დასახერხებელია მატჩი, რომელშიც ჩვენმა გუნდმა ყველა, ან თითქმის ყველა, მის ხელთ არსებული შესაძლებლობა ტოტალურად არ გამოიყენა, მატჩი, რომელიც მთელი გუნდით, ალტერნატივითა და ძალების მაქსიმალური დაძაბვით არ ჩატარა.

მაშ, რა ხდება, რატომ ვმარცხდებით იქ, სადაც, თითქოს, უპირატესობა ჩვენია, რა ხარვეზები გვაქვს მოგების ცოდნაში?

განსჯა ასეთ მსვლელობას იღებს: საერთაშორისო კონდიციების დონე მივადწიეთ, გუნდი დაკომპლექტირებული გვაქვს უნაღვლევი კლასის ვარსკვლავებით, ვისწავლით ტოტალური თამაში, ანუ არსენალის მაქსიმალურად გამოყენება და ევროპულ ფეხბურთში რაიმე საგრძნობ წარმატებას მაინც ვერ ვაღწევთ. დასკვნა მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: არსენალში რომელიღაც სახეობის იარაღი გვაქვს. სახელდობრ? ეს, ალბათ, ყველა სპეციალისტისა და დაკვირვებულ გულშემატკივრის მთავარი საფიქრალია და ჩვენც გავხედავთ, არსენალის წუმბირში ხარვეზის გამო ორიოდ სიტყვას ვიტყვი — იმ საჭურველს გამო ვიტყვი, ურომლისიდაც, ჩვენი აზრით, მოგების ცოდნა არ არსებობს.

ამ საუბარში, იქნებ, ევრაზიური სარგებლობა ვერ მოიტანოს. იქნებ, ყველა შენიშვნა მცდარი აღმოჩნდეს, მაგრამ, ჩვენი უღრმესი რწმენით, მაინც საჭიროა, რადგან ქართული ფეხბურთი წლებიდანღამა გამარჯვებამ, თავისი არსებობის მანძილზე უძნელესი ამოცანის წინაშე დააუენა, ჩვენ უნდა გავუძლიოთ და ვძლიოთ შინაურებს და 1978 წლის ნიშუის ევროპულ ჩემპიონებს შევებათ!

სხვინი მინდორი. ამას, რა თქმა უნდა, ყველა გუნდი უწევს ანგარიშს, უმრავლესობა დაცვის ვარიანტს გეგმავს და ასეთი მიდგომა გამართლებულიც ჩანს რამდენიმე ფაქტორის არსებობის გამო — ნამგზავრობა-დადღილობა, აკლიმატიზაციისათვის საჭიროის დროის უქონლობა, მოედნის უცნაურ-საფრთხილო, მასპინძელი გუნდის ოპტიმისტური განწყობილება და შემტევი თამაში და სხვა ასეთები, მაგრამ მთავარი ფაქტორი მაინც ტრიბუნებია. ეს სიმწეულე პროფესიული ფეხბურთის საუკეთესო გუნდებს დაძლეული აქვთ. ტელევიზიითა თუ ჩვენს საბედრონე საყოფარო თვალთ ბევრი ისეთი გუნდი გვიჩვენებს, რომლისთვისაც მასურებელი და მისი რეაქცია საერთოდ არ არსებობს. გუნდი ხედავს მხოლოდ მინდორს, მოწინააღმდეგეს და აკეთებს თამაშს მშვიდად, პროფესიულად, თავისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით. ასეთი გუნდის კალაპოტიდან ამოგდება მხოლოდ ბრწინავალი თამაშითა და მოგების ცოდნით შეიძლება. ტრიბუნებისადმი

სრული გულგრილობა მოგების ცოდნის ერთი, უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ნუ დავშალავთ, ამ მხრივ, თუმც ერთობ ბევრია გაკეთებული, მაგრამ ჯერჯერობით მაინც მოვისუსტებთ, თორემ სხვის მოვლანე მატჩი გამარჯვება გვექნებოდა და არც დაცვით ვარიანტის სწორი გამოყენება და გვექირდებოდა, ვარდა იმ შემთხვევებშია, როცა ეს სტრატეგიული მოსაზრებებით ურჩევნია გუნდის სელექციონერობას. როგორც ჩანს, ამ პრობლემის საბოლოო გადაჭრას მართა ჩვენს მწვრთნელებს ვერ დავავალებთ — ფსიქოლოგების უფრო აქტიური ჩარევა საჭირო.

მეორე მხარე კაცნი, ვისაც როგორიმე დონის ოფიციალურ სპორტულ შეხვედრებში მიუღია მონაწილეობა, კარგად იცის, თუ რა გავლენას ახდენს მსაჯობის ხარისხი მონამაშისა და, მასთანადემ, მთელი გუნდის ფსიქოლოგი. მსაჯს, სწორედ რომ, ორიოდ უსამართლო დასტვენით შეუძლია რიტმიდან ამოგდოს გამოუცდიელი, საამისოდ სპეციალურად მოუზადებული გუნდი, ჩაუშალოს აწუბობილი თამაში და წააგებინოს კიდევ თითქმის მოცებული შეხვედრა. იგულისხმება არა მხოლოდ უშეცარი, ან მით უმეტეს, უსინდისო მსაჯი, არამედ საერთოდ მსაჯი, თუნდაც იგი განხორციელებული მიუტერობლობა და პატიოსნება იყოს. ეს სპეციფიკათვის ფეხბურთის წესებსა და ამ წესებთან მთამაშის დამოკიდებულებაში დღეს, მაგალითად: საქარომოდან საქარომოდ ბურთიანი თავდამსხმელის მიმართ მცველის უხეშობას, უმრავლეს შემთხვევაში, მსაჯის სასტვენი არ მოსდევს, რადგან ასეთი ჯარიმა, როგორც წესი, მოწინააღმდეგეს აძლევს ხელს და არა დაზარალებულს. მცველი მისდევს ბურთიან თავდამსხმელს, უხეშად ეთამაშება, ეს მატჩის დაწყებიდანვე ასეა და მსაჯი კი არ უხტვენს. მცველის უხეშობის შედეგად თავდამსხმელი ბურთს სწორად ვეღარ მართავს — ვთქვათ, შორს გაიგადებს ან ცუდად გადააწოდებს და იქ ბურთს სხვა მცველი ეუფლება. ახლა უკვე მსაჯის სასტვენი უმართებულოა, რადგან იმ სხვა მცველს წესი არ დაურღვევია. დაუსტვენის კიდევ. მერე რა? წამოწყებული კომბინაცია ჩაიშალა. ახალი უნდა წამოვიწყეთ, რომელიც იმავე კანონზომიერების გამო ჩაიშლება და ასე — მატჩის ბოლომდე. უარები ხდება საქარომო მოვლანე. აქ თავდამსხმელს, სანამ მცველები მკვარესთან პირისპირ ვასულს რამდენჯერმე არ მოვლავნენ, თერთმეტმეტრისა და დანაშინება, მეტიც — საკმარისია, თავდამსხმელმა, მცველის უხეშობის გასაწეიტრალებლად, წესებით ნებადართულ ძაღლისმირი ილთვის მიმართოს, რომ ზურთს მამინვე კარიდან დაარტყამენ. ერთობ იშვიათია ისიც,

ვახუა ამირეჯიანი
ფიქრები ვაპარჯუპის ტემოლოკიანო



რომ საჭარბო მოცულობით კარსკენ დასარტყმელი გარეშა დანიშნოს — მსახი ყოველთვის კარდან დასარტყმას არჩევს. მსგავსი მავალითების მოყვანა კიდევ და კიდევ შეიძლება. ასეთ ვითარებაში თავდასხმულ გუნდს, ცხადია, ნერვები ეშლება, თამაშის ხარისხი ეცემა და... მსახი მეტოქის მეთაურზე, ყველაზე საშიში მოთამაშე ხდება. ამ ეფექტს ვერ ახალილებს ის, რომ არბიტრი ანალოგიურად რეაგირებს ჩვენი დაცვის უხეშობაზე მოწინააღმდეგის თავდასხმასთან თამაშის დროს.

მომავალი მსჭედილობისთვის აღენიშნეთ, რომ მაღალტექნიკურ ფორვარდებს უხეში დაცვის წინააღმდეგ თამაშის თავისი მეთოდოლოგია აქვთ — ილითით დასხლტომა, მოწყვეტილ გასვლა, გამოუვალ ვითარებაში მეურვის უხეშობის აქცენტირება გარემოს მოპოვების მიზნით და სხვა, მაგრამ ამტკრად ჩვენ ვსაჭედილობთ მოთამაშის დამოკიდებულებაზე მსახის მიმართ და სათქმელს მივყვით. ამ მხრივ, ფეხბურთის გუნდები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ: ერთნი წინასწარობას თავადაც კარგავენ, მსაჯს წარა-მარა ეტყვიან, ამით მას სამართლიანობის გრძობას უღელნიან და ასეთი ურთიერთობის შედეგი ადვილი წარმოადგენია. მოთამაშეების მეორე, უფრო მცირერიცხოვანი ნაწილი, გუნდში დამყარებული დისციპლინისა და იმის მუდმივი შეგონების წყალობით, რომ „მსახი ყოველთვის მართალია“, უსიტყვად ემორჩილება არბიტრის ყველა გადაწყვეტილებას, მაგრამ თავად მიიქცევიან და არამართლ მსაჯზე, არამედ და დამატებით იმსაჯეც, რომ უფლება არა აქვს აღუფოთება გამოთქვას, გული მოიფხანოს. გაიზიანებას, ხშირად, უხეში თამაში, ჯარიმები და არბიტრის მხრე სხვა, უფრო ძარბეების ამსოვლი ზომები მისდევს. გუნდის წევრებში იმ შეგონების გამომუშავებას, რომ „მსახი ყოველთვის მართალია“, მოგების ცოდნასთან საერთო არაფერი აქვს. ნერვიულობა და სათამაშო კონდიციების დაცემა კიდეც სახეზეა. პროფესიულ და უმაღლესი კლასის არაპროფესიულ მოთამაშეებს ერთი, უკიდურესად საქირთი თვისება აქვთ: ისინი მსაჯს მოწინააღმდეგე გუნდის ბუნებრივ, გარდუვალ მეთორმეტე მოთამაშედ თვლიან, იგი მათთვის მხოლოდ და მხოლოდ იმ სასრუნავს წარმოადგენს, თუ რით და როგორ გაანეიტრალონ მისი „თამაში“ და ეს მოგების ცოდნის, ალბათ, უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. ეფექტი, მართლაც, საოცარია: არავითარი მდელგარება, სრული სიმშვიდე და, აქედან, თანაბარი, სტაბილური თამაში, ჩვენი მოთამაშეების დიდ უმრავლესობას და მთლიანად გუნდსაც, რომ ეს თვისება აქვთ, ამას მტკიცება არ სჭირდება და ისიც ნათელია, რომ ამ მხრეს სასრულ და დამატებითი ზომები მისაღები, საგანგებო მუშაობა ჩასატარებელი.

ბინშური ფეხბურთი. ის კლუბი, ვინც წყვეტს თარ ბაზარე მომზადებული მოთამაშეებით ვერ უზრუნველყოფს უმაღლეს ლიგაში თავისი გუნდის წარმატებას და ვერც სხვათა ვარსკლავების გადმოზირებას ახერხებს, თავის გადასარჩენად მიმართავს მწვრთნელს, რომელიც ეგვრთწოდებული ძალისმიერი თამაშის სპეციფიკულად ითვლება. ამგვარ თამაშს წამყვან მოსწონვედ, ხანდახან, ათლეტურსაც უწოდებენ. სპორტის უკლებლივ ყველა სახე და პირველ რიგში ფეხბურთის იმ საფეხურს, როცა, ვთქვათ, ათლეტიზმს, დაოსტატებასა და შემოქმედებას თანაბარი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ხსენებულ კომპლექსში, სადღესოდ, შემადგენლებს დანაშაული ადგილები უკავიათ იმისდა მიხედვით, თუ რომელ სპორტზეა ლაპარაკი და ფიზიკური მომზადება, მძიმე ათლეტიკის შემთხვევაშიც კი, პირველ ნომრად არასოდეს გადის. პროფესიული კლუბები თამაშს სილამაზის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ეს მათ, უპირველეს მიზანს ემსახურება — დასწრებას უზრუნველყოფს. ასევეა ჩვენშიც: თამაშის ესთეტიკა არამარტო დასწრებისთვის და, აქედან, სპორტის პოპულარიზაციისთვის, მასობრიობისთვის არის აუცილებელი, არამედ ფულად შემოსავლსაც ნიშნავს, რაიც აგრეთვე აუცილებელია ჩვენი სპორტის არსებობა-განვითარებისთვის. ეს თვით გუნდისთვისაც საჭიროა — პრინციპულად თანადაც „გუნდთან ერთად“ ხომ მასურებელთა რაოდენობასაც ითვალისწინებს.

სპორტული ოსტატობა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებათა საფუძველზე შრომით, წვრთნით გამომუშავებული ჩვეების კომპლექსია. სანაზობა მათზე არის საინტერესო, როცა ხსენებულ კომპლექსი მთლიანად ვლინდება და არა მათში, როცა კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი მოქმედებს — ვთქვათ, ათლეტიკაში, დიდი ფეხბურთი ტექნიკურ დაბელოვნებას, პლასტიკის დახვეწილობას, შემოქმედებას ეყრდნობა. ძალისმიერი — ფიზიკურ კონდიციებასა და მსაჯების თვალთვან მიჩქმალულ უხეშობას, ან მათს უმწეობას წესების სპეციფიკის წინაშე. პირველი — ბელოვანია, მშვენიერების შემქმენელია, რინდია. მეორე — სილამაზის დამანგრეველი, ტლანქი და ბინშური. ერთი მოცულობისთვის გამოდის, რომ ნიჭითა და სუფთა სინდისით სძლიოს. მეორე იმისთვის, რომ სხვისი ტალანტი დატრფუნოს და როგორმე მოიგოს. ასეთი თამაში თვით სპორტის ლოგიკის, მის ბუნებასა და სულიერ დანიშნულებას ეწინააღმდეგება. მიუხედავად ამისა, ესოდენ განსხვავებული ბუნების გუნდები ერთსა და იმავე ლიგაში თამაშობენ. თამაშს ჯანი ვავარდებს, თუკი იძულებია, დათვებთან დაკნფურტებთანაც შეიძლება თამაში, მაგრამ დანაპარებებს რა უყოს კცემა — სამი დ ითხი წამყვან მოთამაშე ერთ

ტურში მთელი სეზონით რომ გამოთავისუფლდეს და გუნდსაც და ქვეყნის ნაერსსაც?!

როგორც ჩანს, ამას ჩვენი გუნდი ვერსაბოლოა ვაუწყებ, მაგრამ უუარაღებობის დიქსია ის ფაქტი, რომ დანაკლებების წიგნით პროფესიულ გუნდს დაუბლწმადგინლობაში საგანგებოდ მყავს ძალისმიერი სტილის მოთამაშეები და საჭირო შემთხვევაში მინდორზე სწორედ მათი საშუალებით იქნება საპირფონო. ლაპარაკია არა მთელს შემადგენლობაზე, არამედ რამდენიმე ისეთ ფეხბურთელზე, ვინც ტლანქ გუნდთან შეხვედრაში თავისი გუნდის თამაშს სათანადო ტონს სძენს. ვფიქრობთ, ჩვენ ასეთი რეზერვი არ გავგაჩნია და რადენი დამარცხება გვასოსოვს, იქნებ, სწორედ ამის გამოისობით. ასეთი თუ ისე, ამ პრობლემის რამენაირი გადაწყვეტა საქმენდო და საპოვნელია.

პრესინტერი მთელ მინდორზე. ეს, ალბათ, საფეხბურთო ტაქტიკის ის ელემენტი, როცა უკველი მოთამაშე, მთელი გუნდი „თავისი კაცის“ დაკეტვის, კომბინაციიდან გამოთიშვის გზით ბურთს ეუფლებოდა და საკუთარ კომბინაციას იწყებს. ამ ხერხს, ძირითადად, სხვის მინდორზე და ის გუნდები მიმართავენ, ვისაც მტრის ტექნიკური უპირატეობისა და მისი ტრბუტების შიში აქვს, ან, როცა საკუთარ მოედანზე პირველი მატჩი მოგებულია და საჭიროა, შენარჩუნებულ იქნას უპირატეობა. პრესინგის წინააღმდეგ ჩვენი გუნდი, როგორც ჩანს, ორად ირ ხერხს იყენებს: უბურთოდ თამაშის შემთხვევაში სისწრაფის ხარჯზე მოწყვეტას, გახსნას და ბურთით თამაშის დროს — მისი დამუშავების მაღალ ტექნიკას. ეს, დღევანდელ დღეებში, ეფექტურ საშუალებებად ითვლება, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, საჭირო შედეგს ვერ იძლევა, რადგან ბურთთან მოთამაშე არამარტო თავად განიცდის მეთრვის იერიშებს, არამედ ვერც მისი პარტნიორები იხსნებიან და ამიტომ ოპტიმალური გადაცემა ვერ ხერხდება. სხვა სიტუაციაში, ღია თამაშის დროს ზორცილებობა ის გადაცემა, რომელიც უკველანე პერსონალი ჩანს, მაშინ როდესაც, პრესინგის დროს მხოლოდღა ის გადაცემა ზორცილებობა, რომელიც პრაქტიკულად არის შესაძლებელი. ცხადია, ასეთ ვითარებაში, მაღალი კლასის გუნდი თავისი შესაძლებლობების ორ მესამედს მაინც კარგავს. ღია თამაშის წინააღმდეგ პრესინგით ნათამაშევი მატჩების სტატისტიკა რომ გვცოდნება, ასეთი იქნება, ასეთი რამ არის კიდევ) ვიფიქრებდით, რომ მახვილგონიერი კოლექტიური კომბინაცია, მაღალი ინტელექტუალური ტექნიკა და შემოქმედება პრესინგის წინააღმდეგ უძლეობდა, მაგრამ იმასაც დავინახავდით, რომ უმაღლესი კლასის მოთამაშეებსა თუ გუნდებსაც არ ვრცელდება.

რატომ?

ამოცანა ის არის, რომ მოწინააღმდეგე მატჩის დროს მოხსნას, თამაში გაიღოს, საშემარტულბლო ბელოცინებს გასაქანი მიეტყოს პროფესიული და, საერთოდ, ადამი კლასის გუნდები ამ მიზნის მისაღწევად თავად მიმართავენ ხოლმე დროებით, ერთჯერად საპასუხო პრესინგს მთელ მინდორზე. ასეთი ხერხის ფსიქოლოგიური ეფექტი ის არის, რომ მოწინააღმდეგე იძულებული ხდება, თვითონ შეეცადოს, მოგწყდეს, გაიხსნას, ქანგებში მოქცეული თანაგუნდელისგან პასი მიიღოს, ბურთის დაკარგვისგან იხსნას იგი, საპასუხო პრესინგით შევიწროებულა მტრის იძულებულია, დღახან ატაროს ბურთი და მეურვესთან ბრძოლაშივე თუ არ დეკარგა იგი, ზუსტად გადაცემა ხომ მაინც გაუჭირდება. ერთი სიტუაცია, დროებითი, ერთჯერადი საპასუხო პრესინგის ვითარებას საკმაოდ დიდი ხნით და დამეტარალურად სცვლის — იქამდე, სანამ მოწინააღმდეგე გონს მოეგება და კვლავ მიმართავს თავის პრესინგს... მანამდე კი, ბურთის დაუფლებას შემთხვევაში, შემტევი იმ უპირატეობას იღებს, რომ თავის დადევნებით გახსნით გაერთული მტრისგან მოწყვეტა გაცილებით იოლია, ვიდრე მაშინ, როცა თავად განიცდი პრესინგს. ჩვენი გუნდის მიერ ასეთი ხერხის გამოყენებას შეგსწრებივართ ხოლმე და დადებითი შედეგიც გვინახავს, მაგრამ მსგავსი შემთხვევების ჩამოთვლა თითქმე შეუძლება. ამდენად, ძნელი სათქმელია, ის საპასუხო პრესინგი სტიქურად განხორციელებულია თუ წინასწარ შემუშავებული ხერხის სახით გამოყენებულია. ასეთი თუ ისე, წლეულს ჩვენ ისეთ გუნდებთანაც მოგვიხდება თამაში, ვინც ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებს პრესინგს, ისეთებთანაც, ვის წინააღმდეგ თავად უნდა მივმართოთ პრესინგს და, საფიქრებელია, რომ ზემოთყვანილი ვითარება, როგორც მოგვიხდება ცოდნის ერთ-ერთი, აუცილებელი ელემენტი ანგარიშს გასაწევია.

მპირრო თამაში. ეს ტაქტიკური ელემენტი პრესინგისგან იმით განსხვავდება, რომ შეტევი სტილის მოთამაშეები შუა მინდორში ბურთის მიღებას, დამუშავებასა და გადაცემას განზრახ ახორციელებენ მტრისგან ორი, სამი ნაბიჯის მანძილზე. ეს მიზანად მისასახავს, რომ ბურთის უცაბედ ან ორთაბრძოლაში დაკარგვისთანავე მოთამაშე „თავისი კაცის“ სიახლოვეს იყოს და შეეცადოს, დაიბრუნოს დაკარგული ბურთი, წაწინააღმდეგო კომბინაციიდან გამოთიშოს მეთრვე. მჭიდრო თამაში საპასუხოდ პრესინგისგან იმით განსხვავდება, რომ იგი მთელ მინდორზე და დროებით კი არ ზორცილებლობა, არამედ — მთელი თამაშის მანძილზე, საქარშიოდან საქარშიომდე, როგორც ხერ-

ვახუა პირმეჩიმი
ფირმაში ბამარჯაძის ტიქნოლოგიაზე

ბი და ტაქტიკა. რა თქმა უნდა, ასეთი თამაში საუკეთესო ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ბურთის ფლობისა და გამოყენების უმაღლეს დახელოვნებას მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს ამის პრეტენზია, მოგვეთხოვება კიდევ და უამისოდ მომავალში ვერც რასმე გავხედობით.

რა გვაძლევს ესოდენ კატეგორიული განცხადების უფლებაში? ჩერ გავისხენოთ დიდი გუნდებისა და, მათ შორის, წარსულში ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის ერთი ტაქტიკური ხრიკი. ისინი მუდამ ინარჩუნებენ შესაძლებლობას, ჩერ კიდევ საჭარბო მოედნის მისაღვამებთან ძალიანხივრად ეთამაშონ სახიფათო კომბინაციის წამოწყებას თუ მოწაწილს, ამ საშუალებით აბრთვან ბურთი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, უხერხობას მიმართონ და მიიღონ ჯარიმა. იმართება კედელი, სრულდება დარტყმა... ხიფათი თავიდან არის აცილებული და ეს ხერხდება მხოლოდ მჭიდრო თამაშის მუშავებით, ანუ იმით, რომ მოთამაშე მეურვისგან სულ რაღაც ორიოდ ნაბიჯზე ასრულებს იდუაღს და ბურთის დაკარგვის შემთხვევაში ადვილად ეწევა თვით აბრთვის აბრთვებს თუ არა, ერთ-ერთ მტკიცეს მინაც. რა დასამალია, ამ ხრიკს ჩვენი მოთამაშეებიც მიმართავენ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ უკიდურესი ვასპირის დროს, ერთობ საშფოვარულო დონეზე, ცალკეულ შემთხვევებში და არა როგორც მუდმივ მოქმედ ტაქტიკას.

გავისხენოთ ისიც, როგორ გავვიტანეს ინგლისელებმა უამრავი ბურთი. ანგარიში იყო — ერთით ერთი. მატჩის ორიოთ ერთზე მოგების შემთხვევაში საერთო გამარჯვება ჩვენი იქნებოდა, გააფთრებოდაც ვუტყვდიოთ და მანუჩარ მაჩიხიძე კონაღმ გაიტანა კიდევ ის მეორე გოლი. მაშინ ინგლისელებმა წინასწარ შემუშავებული იდუაღს მიმართეს: ბურთს შორიდან აწოდებდნენ ჩვენი მეკარის მოედანზე, სადაც თავით თამაშ მშენიერად დაუფლებული ტანმალალი თავდახსნელები ადვილად აკვირგინებდნენ კომბინაციას. იქ შექმნილ ვითარებაში ის ბურთები ყველა გამსვლელი იყო, მაგრამ რის შედეგად? საფიქრებელია, იმის შედეგად, რომ შეტევაში გართულდეს ბურთების ჩამომწოდებელი ნეტარლიყვება მხედველობიდან გამოგვრჩა, მჭიდროდ არ ეთამაშებოდით მათ, თორემ ვერც ერთი იმ ბურთთაგანი ვერ მიადწევდა ჩვენი მეკარის მოედანს და, მით უმეტეს, საჭირო სიუსტით.

დარწმუნებული ვართ, მიუკერძოებელი ანალიზი იმ დასკვნამდე მიგვყვანს, რომ პროფესიულ, თუ საბჭოთა მოწინავე გუნდებთან ჩვენი ყველა წარუმატებლობის ერთ-ერთი, მაგრამ მთავარი მიზეზთაგანი, სწორედ მჭიდრო თამაშის ტაქტიკის აუთვისებლობაა მაშინ, როდესაც საამისოდ ყველაფერი თავსაყრელი

გვაქვს — ტექნიკა, ფიზიკური მომზადება, სისწრაფე.

ზემოაღნიშნული ხარვეზიც ახლავა მისაღები მხედველობაში.

ბრტინსტიში. ამაში, დახვეწილი პლასტიკის, ნატიფი საშემსრულებლო ტექნიკისა და შემოქმედების სინთეზი იკვლიხსხება. ელდგანტურობისა და ტექნიკის ნაკლებობას ჩვენ გუნდს ვერავინ უსაყვედურებს, მაგრამ სხვებზე არტისტული თამაში იმ სპორტსმენებს გამოუდით, ვინც ტექნიკურად უფრო სრულყოფილია. სწორედ აქ იჩენს თავს ყველა ხელოვნებისათვის გარდუვალი შემთხვევა: თუ ხელოვნის თვალრესად არ ფლობ, შედეგით ვერ შეიქმნება. ხელობა, საშემსრულებლო ტექნიკა შემოქმედის ის იარაღია, რომელიც ნიქს სილამის ძაღვს, ტალანტს საშუალებებს უქმნის, მაქსიმალურად გამოვლინდეს. ჩვენი მოპირდაკე გოგონების, მუსიკალური ახალგაზრდობის, მოყვდივეთა თუ სხვა სპორტსმენების, კინოსა და თეატრის მოღვაწეებისა და სხვათა ტალანტს უხერხულად ხელობის უღარესი ფლობა უქმნის გამოვლენისა და მსოფლიო შედეგების ხვეჭის პირობას. საფიქრებელია, რომ ფეხბურთის შემდგომი განვითარება, საშუალოდ ხელოვნებას უკეთესი პირობის, უმთავრესად ინდივიდუალური ტექნიკისა და, მათსადაღმე, მთელი კოლექტივის ტექნიკური სრულყოფის მეშვეობით განხორციელდება. ასეთი დაშვების საფუძველს ის ფაქტი იძლევა, რომ, ვთქვათ, ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე ფეხბურთის ტექნიკურმა არსენალმა, ხელობამ უზარმაზარი წინსვლა განიცადა და თამაშში დიდი თვისობრივი ცვლილებები შეტანა მაშინ, როდესაც ფიზიკური კონდიციების ამაღლების როლი შედარებით უმნიშვნელია. რა თქმა უნდა, საფეხბურთო აზროვნება, ტაქტიკური სიახლეები თვისი გვაღაწყვტ სიტუვას იტყვიან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტების ჩანაფიქრს, ტაქტიკურ მონახას სათანადო შემსრულებელი ეყულება. მეორე მხრივ, ისიც მხედველობაშია მისაღები რომ ტაქტიკა გუნდის საშემსრულებლო შესაძლებლობებს ეყრდნობა და, ამდენად, დაკვემდებარებული ფუნქონია. ამოსავალი პოზიცია, საყრდენი, მარცხ, ხელობა. თუ ეს დებულება სწორია, ან შემთხვევებისათან ახლო თუ შინც არის, მაშინ ფეხბურთის შემდგომი განვითარების გზებზე ხელობამ, ანუ წართმევა-დასაყუკურებისა და ფლობა-გამოყენების ტექნიკამ ეონგლიათის დონეს უნდა მიაღწიოს, ასეთი მიდრეკილება, სახელდობრ ქართულ ფეხბურთში, მისი პირველი ნაბიჯებიდანვე იგრძნობოდა და ჩვენს სინამდვილეშიც სრულიად აშკარაა. ბოლო ორმოცი წლის მანძილზე ათი, თხუთმეტე ისეთი ოსტატი ჩანს, რომელთა ინდივიდუალური ტექნიკა საციკო ატრაქციონს არის მიახლოებული. ეს ეთნიკური თვისებაა, ამ მი-



დრეკილებას ხელის შეწყობა წვირდება და იმიტომ მაინც, რომ სხვებს არ ჩამოვრჩეთ. ტექნიკური სრულყოფის, ხელისობის შემდგომი დახვეწის შესაძლებლობები პრაქტიკულად უსაზღვროსაა, ჩვენი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა ვიზრუნოთ წევრების - ახალ მეთოდოლოგზე, უნდა შევექმნათ ფეხბურთის ისეთი პედაგოგია, როცა ხელისობის უადრესი ფლობა, ანუ არტისტიკის გამოუმუშავება უპირატეს მონაწილე, გამარჯვების, მოგების ცოდნის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად გადაიქცევა.

საპედაგოგო, ცნობილია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოცვისათვის ურთიერთობის გარეგნულ ფორმას ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. ამ მხრივ, ცხადია, არც სპორტი შეადგენს გამონაკლისს და მით უმეტეს ტოტალური ფეხბურთი. ტოტალობა ხომ ყველა მონაცემისა და შესაძლებლობის მაქსიმალურ გამოყენებას ნიშნავს. ექვს გარეშეა, ვასკლით მატჩის შედეგზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მაგალითად, ისეთი უბრალო რამეც კი ახდენს გავლენას, თუ როგორ შთაბეჭდილებას დავტოვებთ მასპინძელი გუნდის წარმომადგენლებზე ადრეობრივად დაწყებული — სასტუმროში დაბინავებამდე. რა ამავსებითაა თვის გუნდში — როგორ გუნდებზე ვართ, როგორ გვიჭირავს თავი?.. აღარას ვამბობთ გუნდისა და ყოველი მოთამაშის ზნეობრივ ფიზიონომიაზე მსაჯების, მეთაურების, ტრიბუნების მიმართ და, თუ გნებავთ, იმაზეც, როგორ დავემშვიდობებით, ვთქვათ, დიდი ანგარიშით გამარჯვებულ, ან შედეგით უქმაყოფილო მასპინძელს. საფიქრებელია, რომ საქციელის შემუშავება ისევე საჭიროა და შესაძლებელია, როგორც სპორტული ფორმის დაუყენება, მაგრამ რისთვის და რისკენ უნდა იყოს გაბნეული საქციელი, რა მონაცემებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რას უნდა წარმოადგენდეს ურთიერთობის ფორმა — ეს ცალკე სალაპარაკოა.

ჩვენ ტოტალურ ფეხბურთზე გვაქვს საუბარი და, ცხადია, საქციელიც გამარჯვების საშუალებად უნდა იქნას გამოყენებული. ნიღაბი და ხელმოწერილი პოსა, რაინდ ბრძნულადაც უნდა იყოს შემუშავებული იგი, თუ დახვეწილი არტისტიკულობით არ სრულდება, მუდამ უაღბოა, ამდენად, წამგებინაც და თუ ჩვენ სპორტულ რაინდობაზე ვლაპარაკობთ — საერთოდ შეუფერებელი და სათაკილოა. ჩვენი გუნდის ზნეობა, საქციელის სახე პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს იმის შეგნებიდან, თუ ვინა ვართ ჩვენ, თბილისის „დინამო“. ჩვენი ვართ დიდი სპორტული და საფეხბურთო ტრადიციების მქონე ერის რჩეული მოთამაშეები, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ქვეყნის თასის ხუთგზის ფინალისტი და მსოფლიოც, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მრავალგზის მონაპოვებელი გუნდი, კოლექტივი, რომელიც

ქვეყნის ნაერბს ამარაგებს საუკეთესო ფეხბურთელებით, დიდ როლს ასრულებს სამამულო ფეხბურთის განვითარებაში და, ბოლოს, გუნდი, რომელსაც უკვე ასეაო ანგარიში უწევს ევროპელი ფეხბურთის გრანდები, მიუხედავად იმისა, რომ იმ ასპარეზზე ჯერ ბევრს ვერაფერს მივაღწიეთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ, მაგრამ პრეტენდიულ მნიშვნელოვან გამარჯვებებს. აქედან პირდაპირ, უშუალოდ გამომდინარეობს თავდაპირის, საქციელის სახე: სოლიდურობა მშვავობრობა და კუდაბეობა კი არა — დარბაისელი, კეთილმოსურენი, დიმილიანი სოლიდურობა. ასეთი საქციელი მუდამ სანდომინია და გარეთ თუ მინდორზე კეთილგანწყობას იმსახურებს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი გუნდი წორედ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს განსაზღვრებით იქმნის საქციელზე მინდორს გარეთ. რაც შეეხება მინდორს, ყველა გულმემატივარმა იცის, რომ აქ თავის ფლობის უნარის სისუსტეს, ხანდახან, ანსურდამდე მივყავართ. თავს ვერ შევიკავებთ ერთი შენიშვნისგანაც; მხედველობაში გვაქვს ის ზვევანაკოცა და ზედაბორა, რომელიც ბურთის გატანას მოჰყვება ხოლმე თუნდაც აუტსაიდერის კარში. ვიცით, მკრებელობა, დაუშალო ახალგაზრდა კაცს, თამაშის უფრო ატაცებულ, წარმატებით აღფრთოვანებულ ქაბუჯს, მთელ გუნდს, თუნდაც ზვევანაკოცინთა და ზედაბორით გამოხატოს სინარული. ისიც ვიცით, რომ ზოგჯერ ამხვე სჩადიან უძლიერესი პროფესიონალები. სწორედ მათგან ვისწავლეთ გატანილ გოლზე ამგვარი რეაგირება, თორემ რაღაც არ ვგახსოვს, ბატონ ბოისის პაპაძეს და მის ბრძენულად გუნდს, გატანილი გოლის შემდეგ მინდორზე სირბილითა და ზედაბორით აღენიშნოს თავისი სინარული. ხომ არ ამცირებებს ეს ჩვენი გუნდის ღირსებას?.. თავაწყვეტილი სინარული მტკიცეს იმაზე ხომ არ მიუთითებს, რომ მის კარში გატანილი ბურთი ჩვენთვის შემთხვევითი მიღწევა იყო? იქნებ აჯობებდა, გოლის გატანის შემდეგ მტკიცეს თავის, ვინც უნდა იყოს იგი, საქციელით გვეთქვა: გავიტანეთ, კანონზომიერი იყო, კვლავაც გავიტანთ და გავიმარჯვებთ კიდევ! ვთქვით, ასეთი საქციელით გვეთქვა ეს: გაიტანა ბურთი თავდამხმებელმა? ანუა ხელი, მორჩინა მასთან რამდენიმე თანაგუნდელმა, მხარზე ხელი დააკრეს და თავის საქმეს მიაშურეს. დანარჩენს ტრიბუნები, მაყურებელი გააკეთებს. გვგონია, ეს უფრო სოლიდური იქნება და მეტად შეესაბამება მოგების ცოდნას.

მკობველი, ალბათ მიხვდა, რომ თავდაპირა, საქციელის სახე გუნდის საერთო დისციპლინის ელემენტად კი არ მიგვაჩნია, არამედ ვიხილავთ

ვახუშტი ამირხანიძე
ფიქრები ბამარჯვანის ტანფლოზობაზე



მას, როგორც მოგების, გამარჯვების ერთ-ერთ საშუალებას, ბერებს, თუ გნებავთ, როგორც საზღვრულად ილტოს. ვისაც შემთხვევა მიეცემა, დაავიკრდეს პროფესიულ გუნდებს და დანახავს, რომ მათთვის საქციელის სახეც მოკლებას. ცოდნის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რაოდენ დიდ უპირატესობას აქცევს, რამდენ დროს უთმობს გუნდის ხელმძღვანელობა ამგვარ საკითხებს, მაგრამ, როგორც ჩანს, პრობლემა უფრო დრამა წვდომასა და ზუსტ დაშუალებას საჭიროებს.

შამარჯანი. საქმეს უჭირს, ევროპული თანების გათავაშებაში ჩვენ ვერაფერს გავხდით. საბჭოთა კავშირის ექვსგზის და რვაჯერ ჩემპიონები რატომ ვერაფერს ხდებიან, ერთადერთი გამონაკლისის თუ არ მივიღებთ მხედველობაში? (აქვე აღვნიშნოთ, გამოანალიზი მხოლოდ ადასტურებს წესს, ხოლო წესად ამ შემთხვევაში, მუდმივი წარუმატებლობა გვევლინება). საშუალო უნდა გამოინახოს, უპარჯენია საჭირო. ამაზე, ზოგი სპეციალისტი, ასეთ პასუხს იძლევა: იქ პროფესიული ფეხბურთია და მძლავრი სტიმულატორიც — ფული. ვერ დავეთანხმებით. ჩვენი სახელმწიფო სპორტის განვითარებისთვის ვითომ ნაკლებს ხარჯავს? განა ცოტაა სპორტის ისეთი სახეობა, სადაც ჩვენი მოყვარულები მათს პროფესიონალებს გამუდმებით გობნან? მეორე მხრივ, რომელ უცხოურ ეროვნულ ფეხბურთს ჰყავს ისე მრავალრიცხოვანი რეზერვი, როგორც საბჭოთა ფეხბურთს?

არის ერთი კარგი აღმოსავლური ანდაზა: „თუ გინდა ფეხბურთს ვიკეთო — ერთ თავად უნდა იბრძინო“. ცხოვრების კანონია — ყოველი საქმე განვითარების რომელიმე საფეხურზე თვითონ მოითხოვს თავისი მართვის სისტემის გარკვეულ განახლებას, ზოგჯერ ძირფესვიან რეფორმასაც კი. საფეხურებელია, რომ ჩვენმა ფეხბურთმაც მიაღწია ასეთ საფეხურს — იგი თავად მოითხოვს მართვის სისტემის რეფორმას. შეიქმნა ვითარება, როცა გულთ გვინდა ვიდგეთ და არა მარტო ვიდგეთ, არამედ ახალი ზღუდეები ავიღოთ და სირბილი კი არა გვხურს. თავისთავად ცხადია, ყოველ განახლებას, ყოველ რეფორმას ჩვენი, საბჭოური ცხოვრების წესი, სპორტის დანიშნულების ჩვენივე გაგება უნდა ედოს საფუძვლად. იქნებ, მიზანშეწონილი ყოფილიყო, საწყისი ექსპერიმენტის სახით შეგვექმნა „ფეხბურთის განვითარების ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება“ რომელიც თავისთავად აიღებდა ისეთ ფუნქციებს, რომელთა დაფინანსება ჯერჯერობით კლუბის, სპორტსაზოგადოების ხარჯზე ვერ ხერხდება. მოგვყავს ერთი, ჩვენი აზრით, საყურადღებო წერილი: „პატივცემული ბატონო კაბუც. მოგმარბათ, ალბათ, სანტიტრესო წინადადებით: რა იქნებოდა, რომ ჩვენს

რესპუბლიკაში შეგვექმნა ფეხბურთის საზოგადოება, რომლის მიზანი იქნებოდა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა. მე კვებდავ ასეთი საზოგადოების სარგებლობას იმაში, რომ თუ მას ექნებოდა საწევროებზე დაფუძნებული ფონდები, იგი შესძლებდა მიემართა დაგროვებული სახსრები ფეხბურთის განვითარების საჭიროებებისთვის ძირითადი კლექტივებიდან დაწესებული — უმაღლესი კლასის გუნდებამდე. გობოვთ, ჩემი წინადადება გაიტანოთ ისეთ ფორუმზე, რომელიც შეძლებდეს დაყენებული საკითხისთვის მსვლელობის მიცემა. პატივისცემით — ნუგზარ დარსანიძე. ქ. ვალი. (თარბი).“

რას მოგვეცემდა ასეთი საზოგადოება. აღვნიშნოთ მხოლოდ ზოგი რამ: ჩვენი და, მასხადა, მე, საბჭოთა ფეხბურთისთვის საშუალოდ, ფსიქოლოგიური თუ ტექნიკური პრობლემების შეცნობილი გამოკვლევის დაფინანსებას; კოლექტივებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობისა და კულტურული პროპაგანდის გაფართოებას; პერსპექტიული ახალგაზრდობის სპეციალური ჯგუფების შექმნა-დაფინანსებას; სახეობის პროპაგანდა-პოპულარიზაციას; გულშემატკვრებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერებას; გუნდებისთვის თუ ცალკეული მოთამაშეებისთვის ფულადი დახმარების აღმოჩენას და, ვინ იცის, კიდევ რამდენსა და რას.

ჩვენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ვცხოვრობთ და ვიცით, რომ იქ, სადაც არის იდრო ნიჭი, შრომა და სახსარი“ აღმოუჩენელი დაბრკოლებები და გააუწუხებელი პრობლემები არ არსებობს.

კეთილი და პატიოსანი სკეპტიკოსებს დავამშვიდებთ — ერთობ სამოყვარელო აზროვნების დონეზე ვინაობრეთ და მხოლოდ იმ ზოგ რაიმეზე, რაც მოყვარულის თვალთა შეგვიინახავს. ისიც გვცხმის, რომ ჩვენ გუნდში ყველა შემოაღნიშნული ხარვეზი ერთბაშად რომ აღმოვფხვრათ, ხოლო მიშავალი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, შემორჩევი შენიშვნების მიხედვით დაუყოვნებლივ დაფართოდ რომ გავშალოთ მუშაობა ძირითად სპორტულ კოლექტივებშივე, მაინც დიდი ვერაფერი გადატრიალება მოხდება, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვართ, რომ ქართული ფეხბურთი საჭირობლად გაუმჯობესდება, შეინაურთ თუ ევროპულ ასპარეზზე უკაცნოდ შეიღებებს მოსაოვეებს. საყოთარ თავს ეს გაეცხადებდა რომ სიჯიუტეში ჩამოვართვით და ყველა შენიშვნაზე ხელი ავიღოთ, ის ხომ მაინც ურყევ ტემპარტივლად რჩება, რომ ჩვენი, საბჭოთა ფეხბურთის წარუმატებლობის „ძალიან თავი“ მთუგნებელ და სამებარ ჩანდაბაში მარბია!

ამან დაგაწერინა წინამდებარე სტატია, ვეძებთ.
ერთად ვეძებთ!



კვლტურული ცხოვრების კ რ ი ნ ი ა

კენის

ძვის ხანის ობსერვატორია

ამერიკელმა ანთროპოლოგებმა კენის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში აღმოაჩინეს ძველისძველი ასტრონომიული ობსერვატორია. როგორც მეცნიერები იტყობინებინ, ობსერვატორია 2300 წლისაა. ეს ვარაუდობა იმას დააბრუნებს, თუ რა დიდი კულტურა ჰქონდათ სამხრეთსამხარში მცხოვრებ აფრიკულ ტომებს. მეცნიერებმა იპოვეს დაახლოებით 50 სანტიმეტრი სიმაღლის 19 ბაზალტის სვეტი. გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ სვეტები მიმართულია დიდ-დიდ ვარსკვლავებსა და თანავარსკვლავებზე. ამასთან სულ უმნიშვნელოა შეცდომები ვარსკვლავთმდებარეობის განსაზღვრაში. საულისხმოა, რომ ადგილობრივი ტომები თავიანთი კალენდრის შესადგენად, რომელიც წელიწადში 353 დღეს ითვლის, აქამდე დიდ ვარსკვლავებზე დაკვირვებებს იყენებენ.

კოლუმბი

პრემია მარკანს

პრემიულიურად უფრნალიხტა საერთაშორისო ორგანიზაცია ანიკებს ცალკეულ ფურნალიხტებსა და შთელ ორგანიზაციებს პრემიას „დემოკრატიის საქმისათვის, ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მშვიდობის დაცვი-

სათვის“. 1977 წელს ეს პრემია მიენიჭა გამოჩენილ კოლუმბიელ მწერალს გაბრიელ გარსია მარკესს — ანგოლასა და კუბაზე მისი რეპორტაჟებისა და წერილებისათვის. კუბის პრესისა და რადიოს წარმომადგენლებს მწერალმა ასე განუცხადა:

— პრემიის მონიჭებამ განსაკუთრებით გამახარა და კმაყოფილება მომგვარა, როცა გავიგე, რისთვის დამაჯილდოვეს. ჩემთვის ძალიან ახლობელი ხალხების თავისუფლებისათვის ბრძოლა, მე ყოველთვის თანაუგრძნობდი მათ.

ფურნალიხტიაში მშუშობის თაობაზე გაბრიელ გარსია მარკესმა თქვა, რომ ამ ორი წლის წინათ გადაწყვიტა „აღარ წერო მხატვრული ნაწარმოებები, ვიდრე არ დაემთხვა პინოჩეტის დიქტატურა“.

„ხანამ ეს არ მოხდება, მანამ პოლიტიკურ ფურნალიხტიაში ვიმუშავებ, ჩემი მიზანია, იარაღით ებრძოლო ფაშისმს, იგი ბელეტრისტიკაზე უფრო შრისხანე და ძლიერი იარაღია. ამ პრემიის მინიჭება მაღიერებინებს, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე“. თავისი პრემია მარკესმა ახალგაზრდობისა და სტუდენტების მე-9 მსოფლიო ფესტივალის ფონდს გადასცა. წიგნს, რომელიც თავისუფლების კულტულს მიეძღვნა, მან „კუბის ბლოკადის დღეები“ უწოდა.

სასტანგაბო

უცნობი პირამიდა

ზრანბი მწერალი პიერ ბენუ თავის რომანში „ატლანტიდა“ ახსენებს წარსულის დიდებულ ძეგლს, რომელიც დღემდე შემონახულია თანამედროვე აფიკის ტერიტორიაზე. ეს გახლავთ შავრი მეფეების ძვალთშესალავი. ბენუ ამ მავზოლეუმს „იდუმალეზით მოცული პირამიდის“ უწოდებს. მართლაც, ამ ძეგლის თაობაზე უამრავი ლეგენდა და ჰიპოთეზა არსებობს. ერთ-ერთი გამოცემის თანახმად აქ დასაფლავებულია კლეოპატრა-სელენა, მარკუს ანტონიუსისა და ეგვიპტის დედოფლის კლეოპატრას ასული.

მავზოლეუმის პირველი სამეცნიერო გათხრები ჯერ კიდევ 1865-1868 წლებში დაიწყო. მაშინ იპოვეს აქლდამის შესასვლელი და აღმოაჩინეს გალერეა, საიდანაც ძვალთშესალავი შეიძლება შესვლა, მაგრამ იგი ცარიელი აღმოჩნდა, ხოლო ქვის კარები — გატეხილი.

არქეოლოგების ფიქრით, აქ უნდა განსვენებდეს მავრული სამეფო ოჯახი, რომელიც დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ დაკრძადა.

შვედეთი

კანაშალელი ძალი

შვედმა ზღვაოსანმა და პირატმა სელაირკმა, ვინც დანიელ დეუმს „რობინზონ კრუსოს“



საქართველო
საბჭოთაო
საბეჭდო

ინგლისი

ჯულიეტას ახალი მდივანი

„ჯულიეტა პაპულიანი ეძებს ახალ მდივანს, ვინც მიხედავს მის კორესპონდენციას“. ასეთი განცხადება გამოჩნდა ამას წინათ ვერონის ერთ-ერთ გაზეთში. როგორც ცნობილია, ვერონაში ცხოვრობდნენ მონტეკისა და კაპულიეტის ოჯახები, რომლებიც შექსპირის გენიის წყალობით მთელმა მსოფლიომ გაიცნო. ეს არ იყო ხუმრობა — რომეოს სატრფოს ძალიან ბევრ წერილს სწერდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

შექსპირის დრამის გმირი ქალის პირველი მდივანი გახლდათ ეტორე სოლიმანი — ვერონაში „ჯულიეტას საფლავის“ მომვლელი. მან ჯერ კიდევ 1937 წელს დაიწყო ჯულიეტას სახელზე გამოგზავნილ წერილებზე პასუხის გაცემა. გარდაცვალების

შემდეგ იგი ვერონის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯინო ბელტრამინიმ შეცვალა. პროფესორი ცდილობდა თავისი სახელი საიდუმლოდ შეენახა, რათა არ შეებღავა კაპულიეტების აივანიანი სახლის მანეროვანი ასულის შარავანდედი. მაგრამ ეს საიდუმლო მაინც გამჟღავნდა ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის დროს და პროფესორი „გადადგა“. მას შემდეგ წერილები, რომლებშიც სხვადასხვა ეროვნების ქალიშვილები და ქაბუკები სახელგანთქმულ ვერონელ ქალიშვილს თავიანთ საიდუმლოებებს უმხელდნენ, ქალაქის მუნიციპალიტეტის ერთ ოთახში გროვდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, იპოვეს ახალი მდივანი — ოცე წლის ქალიშვილი პაოლა სელა. ამბობენ, იგი თავის წინამორბედებზე უკეთესად უძღვებო საქმეს — ქალა და წერილების ავტორთა პრობლემები მისთვის უფრო მახლობელია.

მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული გმირის პროტოტიპი გახდა, გამოჩენილი მწერლის წყალობით დიდი სახელი მოიხვეჭა, მაგრამ სელიკრკმა, როგორც ცნობილია, კუნძულზე სულ ოთხნახევარი წელიწადი გაატარა, რაც უზრალოდ „ბავშვური გმირობაა“ იმასთან შედარებით, რომელიც ჯერ კიდევ „ელიას“ ღირსეული მწერლის კლამს.

ლდი ჯონეტ ტერასმა კუნძულზე 29 წელი გაატარა, ზუსტად იმდენივე, რამდენიც დეფოს გმირმა რომინჯონ კრუსომ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი კუნძული არც ისე შორს — მდინარე სენაზე მდებარებს, პარიზის შუაგულში. გარიონის „მატიკური“ მისი სიტყვით, ჯონეტ ტერასს ფეხი არ დაუდგამს 1940 წლიდან. „აბა იქ რა მესაქმება? — კითხულობს იგი. — კუნძულზე ყველაფერი მოიპოვება. გარდა ამისა, ნეტავინ მიხედვს ჩემს კატებსა და ძაღლებს?“



კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი ხავერდოვანი თაბახისა.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-88, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლება — 72-47-82, „ციხერის“ დამატება — 72-17-01, ხავერდოვანობა — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 21. 2. 79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 4. 79 წ., ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 15.35. შეიკვ. № 557. უე 00692. ტირაჟი 36.400.

საქართველოს კ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236